


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

30 ნოემბერი 2012

№24(180)



ღელა არაბულის პიესა  
ნუნუ ჯანელიძის ლექსები  
ზურა ელიკაშვილის ნოველა  
ზაალ სამადაშვილის ჩანახატები  
„ბედნიერების სპექტაკლთა“ მთხზველი  
ტორკუატო ტასოს უგანასკნელი სავანე  
ნილაბთა ეს უჩვეულო კარნავალი  
მთანმინდის მთვარის დაბნელება  
ინტერვიუ მანანა სურმაგასთან  
კურტ ტუხოლსკის ნოველა  
იყო ცხრა ოქტომბერი

## შინაარსი

<b>რედაქტორის გვერდი</b>	<b>2</b>	<b>ზეპირი მოთხრობებიდან ავტობიოგრაფიულ თხზულებებამდე</b> (ნოდარ ცერცვაძის მოგონებები გურამზე)
<b>მოგონებათა სივრდი</b>	<b>3</b>	<b>ნოდარ ცერცვაძე „ბადნიერების სპექტაკლთა“ მთხზველი</b> (გურამ ასათიანი)
<b>მხსარეს-მნებრევი</b>	<b>6</b>	<b>მანანა სურმავა „ნინ, ბადნიერებისკენ!“</b> (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
<b>პროზა</b>	<b>7</b>	<b>ზურა ელიკაშვილი ტანია</b>
<b>დრამატურგია</b>	<b>11</b>	<b>ლელა არაბული გვერდს ვერ აუვლი შენ ძველ სადგურებს...</b>
<b>აოუზია</b>	<b>16</b>	<b>მერაბ სიდამონიძე ძველი უზნის კრიალოსანი</b>
<b>მხატვრობა</b>	<b>18</b>	<b>ნუნუ ჯანელიძე „ისეთი დუმილით მხვდება სამყარო“</b>
<b>მხატვრობა</b>	<b>21</b>	<b>ელზა მორანტე ტორკუატო ტასოს უკანასკნელი სავანა</b>
<b>ფიქრი და განსჯა</b>	<b>27</b>	<b>გიორგი ყაჯრიშვილი ახალი ქართული თეატრი: ბასული სეზონის ტენდენციები</b>
<b>ბალაქონოლოგია</b>	<b>30</b>	<b>ვახტანგ ჯავახიძე მთანმინდის მთვარის დაბნელება</b> (ციკლიდან — „ისევ გალაკტიონი“)
<b>ფიქრები</b>	<b>35</b>	<b>გურამ გოგიაშვილი ფერვალი. რა არის თუ ვინ არის?..</b>
<b>რეპორაჟი</b>	<b>38</b>	<b>ზაალ სამადაშვილი კალამს მიღვევებით დანარილები</b>
<b>რეპორაჟი</b>	<b>41</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი „იყო ცხრა ოქტომბერი...“</b> (შეხვედრა ნოდარ მგალობლიშვილთან)
<b>ჩვენი ყოფა. წუთისოფალი</b>	<b>47</b>	<b>კობა ცხაკაია ფხიზლად ფეხსუკელებო ანუ ფრთხილად იყავით, ვინაც 500-ზე მეტი მებრძოლი გყავთ</b> (აჯილა სინონიმი ჩადრისა ანუ აგრესიის ახალი ფორმა)
<b>კრიტიკა</b>	<b>49</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ნილაბთა ეს უჩვეულო კარნავალი</b> (შეხმიანება მაკა ჯოხაძის მონოგრაფიასთან „ჩემი დავით კლდიაშვილი“)
<b>შტრიხები ავტობიოგრაფიისთვის</b>	<b>56</b>	<b>ლელა ჯიყაშვილი თაჰვისუფლების მრეწველი</b> (არჩილ ქიქოძე)
<b>უსხოური ნოველა</b>	<b>58</b>	<b>კურტ ტუხოლსკი ჰიტლერი და გოეთე</b>
<b>ლიბრატურული სიხალენი</b>	<b>60</b>	<b>მაია მაკალათია ჭურნალი და... სურვილები</b> („გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“)
<b>ნაკვეთი</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>უცხო ნაყოფი კვლევისა</b>

**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მეჯვრისხეული შთაბეჭდილებებიდან

არჩილ ქიქოძის ფოტოგრაფიები

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 14 დეკემბერს

# ზეპირი მოთხრობებიდან ავტობიოგრაფიულ თხზულებებამდე

იყო დრო, როდესაც ლოტო წაღეკავდა თბილისს.

დადგებოდა დრო, როდესაც პოკერი წაღეკავდა.

შეიქმნებოდა ცალ-ცალკე ჯგუფები და ერთგვარი ცენტრებიც კი, სადაც თავს იყრიდნენ ხოლმე და ღამეს ამ თამაშში ათევდნენ.

ვინც იცნობდა გურამ ასათიანის აზარტულ ბუნებას, არავის გაკვირვებია მისი გადაშვება პოკერის მორევი. ჯერ ახლობლებში თამაშს დასჯერდებოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო რომ გაინაფებოდა და ძლიერი მოთამაშის სახელსაც დაიმკვიდრებდა, უკვე დიდი ფსონებით მოთამაშე პულებშიც გადაინაცვლებდა და არც მალაღ „სტავეკებს“ მოერიდებოდა.

ერთხელაც:

იღბლიანად რომ აეწყობოდა მისი თამაში და დიდხალ ჩიპებსაც დაილაგებდა წინ, მოულოდნელად ბინაში შეიჭრებოდნენ სამოქალაქოტანსაცმლიანი მილიციის თანამშრომლები, მოითხოვდნენ ყველას საბუთებს, ჩაინერდნენ მათი სამსახურების მისამართებს, წაიღებდნენ მთელ სათამაშო ფულს და წასვლის წინ დაემუქებოდნენ კიდევ: ამ ამბავს სამაგალითო გამოხმაურება მოჰყვებაო.

გურამ ასათიანის ერთ დარდს, ეს მოგებული თანხა მთელს ვალს გამისტუმრებდაო, დაემატებოდა მეორეც: ვაითუ სამსახურშიც მართლა შეატყობინონ და პრესაში, რადიოში, ტელევიზიაშიც გაახმაურონო. ამიტომაც დახმარებისათვის მიაკითხავდა ნოდარ დუმბაძეს, ვინც მეგობრობდა ედუარდ შევარდნაძესთან, შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრთან.


ისიც მიჰყვებოდა, თავდებად დაუდგებოდა და მის ნაცვლად დადებდა პირობას, განმეორების შემთხვევაში მართლაც სამაგალითოდ დასაჯეთო. და გურამს ასე აარიდებდა ყოველგვარ უსიამოვნებას.

ცოტა ხანში მწერალთა სასახლეში გაიმართებოდა განხილვა ნოდარ დუმბაძის ახალი რომანის „თეთრი ბაირალები“, რომლის მომხსენებლობაც გურამ ასათიანს დაევალებოდა. ისიც ჩვეული ანალიტიკური ხელოვნებითა და კეთილგანწყობით შეაფასებდა ამ რომანს, მაგრამ ერთ ნაკლს მაინც აღნიშნავდა: ციხის ცხოვრება მეტად რომანტიკულად და მიმზიდველად აღწერილი, რაც ცოტა დამაჯერებლობას არის მოკლებულიო.

საღამო რომ დასრულდებოდა და ხალხიც გარეთ გამოიშლებოდა, ნოდარ დუმბაძე მკლავს გამოსდებდა გურამს, გვერდით გაიყვანდა და ეტყოდა:

— გურამა, ძამა! არ ვეთანხმები შენს შენიშვნას და უნდა გითხრა, რომ მეტის ღირსი ვარ მე შენგან და ჩემი ბრალია, ეს შენიშვნა რომ მომეცი. არ უნდა მიგყოლოდი მაშინ შევარდნაძესთან, უნდა ჩავსვით ციხეში და შენი თვალით ნახავდი, რა სიტუაციაა, როგორ ცხოვრობენ და საერთოდ რა ტიპებიც არიან ციხის ბინადრები.

ეს ეპიზოდი, რომელიც შზამზარეულ იუმორისტულ ნოვე-



ლად წარმოგვიდგება, ჩართულია ნოდარ ცერცვაძის მხატვრულ-დოკუმენტურ ნიგნში „მოგონებები გურამზე“ („ინტელექტი“, 2012) და ისევე ამშვენებს თხრობას, როგორც სხვა არაერთი სახალისო, კომიკური პასაჟი; თხრობას — აღიარებული კრიტიკოსისა და ლიტერატურის მკვლევარის პორტრეტს რომ წარმოგვისახავს და მის ბიოგრაფიასაც მიადევნებს თვალს სკოლის პირველი კლასიდან სიცოცხლის აღსასრულამდე. ხელშესახებად გამოკვეთს ამ არაორდინარული პიროვნების ხასიათსაც და ისეთ ფსიქოლოგიურ თუ ყოფით ნიუანსებსაც, რისი შემჩნევაც მასთან თანშეზრდილ და თანაც დაკვირვების ჩინებული უნარით დაჯილდოებულ ადამიანს თუ შეეძლო.

გარდა ავტორის გვარ-სახელისა, გარეკანზე ფრჩხილებში მინერილია „ოჩოც“, ნოდარ ცერცვაძის მეტსახელი, რითაცაა იგი ცნობილი მეგობარ-ახლობელთა წრეებში და რაც სწორედ გურამ ასათიანმა შეარქვა ბავშვობისას: ჯერ ოჩოპიტრე და შემდეგ მისი შემოკლებულ-მოფერებითი ვარიანტი.

„მოგონებები გურამზე“ თავისებური ნოველებისაგან შედგება და ამგვარი კომპოზიციური აღნაგობა არ გვიკვირს იმ კაცისაგან, ვინც აქამდე ორი მემუარული ნიგნე გამოაქვეყნა: „ასე იყო“ და „ასეც იყო“ — და ორივეს არქიტექტონიკა ავტობიოგრაფიული ნოველების ქარგაზე შეკრა.

მანამდე იგი ზეპირი მოთხრობებით ვახლდათ ცნობილი მეგობარ-ახლობელთა შორის, ენაწყლიან თხრობას მოხდენილად რომ ეზავებოდა ნატიფი, ცინცხალი იუმორი, და ამიტომაც ურჩევდნენ, ეგებ გეცადა ამ მოთხრობათა გადატანა ფურცელზეო.

ხშირად მომხდარა, რომ შესანიშნავი მთხრობელები ფურცელთან შეხებისას ან სრულიად უმწეონი ხდებოდნენ ანდა ძალიან ფერმკრთალდებოდა მათი ნაწერი და ბუნდოვნად თუ გადმოსცემდა მათი ზეპირმეტყველების შთაბეჭდაობას. მაგრამ ისიც ხომ მომხდარა — იშვიათად, მაგრამ მაინც — რომ ფურცელს შეუნარჩუნებია ზეპირმეტყველების ექსპრესიაც და მომხიბლობაც?!

ბოლოსდაბოლოს ცდას რა უნდა დადგომოდა წინ.

და მეგობართა დაჟინებული თხოვნით შეგულიანებული ნოდარ ცერცვაძე კალამსაც რომ მოსინჯავდა, სწორედ იმ იშვიათთა შორის აღმოჩნდებოდა, მისი ნიგნები მემუარული ლიტერატურის ძვირფას შენაძენად რომ ითქმის, და „მოგონებები გურამზე“ ასევე ბუნებრივად შეინარჩუნებდა ამ რანგსაც და კიდევ ერთხელ დაარწმუნებდა მკითხველს, რომ ნოდარ ცერცვაძეს ჯერაც შესაქმნელი აქვს თავისი თაობის ჩინებულ, კოლორიტულ მოღვაწეთა პორტრეტები — არ არის აუცილებელი, ყველას ასე ცალკე ნიგნი დაეთმოს, მაგრამ სერია ამ ყაიდის თხზულებებისა უთუოდ დაამშვენებს ჩვენს სამწერლო ცხოვრებას.

საერთო სახელწოდებად ეს ან რაიმე ამის მაგვარი:



## რედაქტორის გვირდი

„ჩემი თაობის ადამიანები“ (ალბათ წამოგაგონდათ თედო სახოკიას „ჩემი საუკუნის ადამიანები“!).

რაკილა პროფესიით გეოლოგია და არა ლიტერატორი, იგი შესავალში თავს აარიდებდა გურამ ასათიანის სამწერლო ღვაწლზე მსჯელობასა და შეფასებას და უხვად მოიხმობდა ამონარიდებს ლიტერატორთა სტატიებიდან, ამ ღვაწლის — და განსაკუთრებით მისი გვირგვინის „სათავეებთან“ — შესახებ რომ გამოთქვამენ ცალკეულ მოსაზრებებს, მაგრამ ეს უფრო ნოდარ ცერცვაძის თავმდაბლობით აიხსნება, თორემ არცერთ ლიტერატორზე ნაკლებად არ ერკვევა ლიტერატურულ პროცესებსა თუ გურამ ასათიანის სამწერლო მემკვიდ-

რეობის ავ-კარგში და თვითონაც მშვენივრად მიმოიხილავდა ამ მრავალმხრივ საგულისხმო შემოქმედებას.

წინასიტყვაობაში ისიცაა აღნიშნული: ჩემს ცხოვრებაში თითქმის არ ყოფილა დღე უგურამოდ, და როდესაც ძალა და გონი მოვიკრიფე და მასზე მოგონებების გადატანა დავინწყე ქალაღზე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს კვლავ ერთად ვართ და უფრო ახლოსაც, ვიდრე წინათო.

ძნელი დავალება ეტვირთა ნოდარ ცერცვაძეს?

მისი დაძლევის ყველაზე მეტ ხელშემწყობად ისევ გურამი მოველინებოდა:

— თავისი არაორდინარული, ძალიან საინტერესო ცხოვ-

## მოგონებათა სკივრი

ნოდარ ცერცვაძე

# „ბედნიერების სპექტაკლთა“ მთხზველი

ჭოლევი გურამისა და მისი დეიდაშვილების საზაფხულო სამყოფელი იყო. ზამთარ-ზაფხულ კი იმ სახლსა და ეზო-კარმიდამოს უვლიდა ხანშიშესული, წელში მოხრილი, ტკბილად მოსაუბრე ქალბატონი — „გოგუცა დეიდა“. ყოველ ჩასვლაზე გოგუცა დეიდა გურამთან ჩიოდა: „ამდენი წელი კოლექტივში ვიმუშავე და ახლა, როცა მუშაობა აღარ შემიძლია, პენსია არ უნდა დამინიშნონ? თვეში 30 მანეთი მაინც? შენ გამორჩენილი კაცი ბრძანდები და თუ მოინდომებ, უარს ვერ გეტყვიან“-ო. გურამი დაჰპირდა პენსიის დანიშვნას. ჯერ წყალტუბოს რაიონში და მერე თბილისში გაარკვია, რომ კოლექტივში მომუშავეებს, როგორი სტაჟიც არ უნდა ჰქონოდათ, პენსია არ ენიშნებოდათ. გურამს კი უთხრეს უარი, მაგრამ მან ველარ შეჰბედა უარის თქმა, ველარ გადაუწურა უკანასკნელი იმედი და სანამ გოგუცა დეიდა ცოცხალი იყო, ყოველთვე უგზავნიდა 30 მანეთის ოდენობის პენსიას თავისი ხელფასიდან.

საოცრად უყვარდა იქაური ხალხი თავისი სიტყვა-პასუხით, იუმორით, მოფერებიანი საუბრით და იქაურებიც ასეთივე სიყვარულით პასუხობდნენ მისი თავმდაბლობისა და მათდამი განსაკუთრებული ყურადღებისათვის.

ერთხელ გურამი და შალვა კვინტრადე გურამის მანქანით მოდიოდნენ ზუგდიდიდან, სადაც ღვიძლის მძიმე შეტევით საავადმყოფოში ინვა თამაზ მელიავა, რომელიც იმ პერიოდში იღებდა „მთვარის მოტაცება“-ს. გურამი და შალვა ჩავიდნენ მის სანახავად, მთელი დღე იყვნენ მასთან და საღამო ხანს წამოვიდნენ თბილისისკენ. გზაში დააღამდათ და გურამმა შესთავაზა ჭოლევიში ღამის გათევა. შალვა, რასაკვირველია, დაეთანხმა და ქუთაისიდან გადაუხვიეს ჭოლევისაკენ. სოფელს რომ მიუახლოვდნენ შალვამ იკითხა „გურამ! ჭოლევიში როგორი ღვინოა?“ „საუკეთესო“, — უპასუხა გუ-

რამმა. „თუ იცი, ან თუ გაგიგია, ღვინოს ხომ არ აკეთებენ შაქრით, წყლითა და ნასესხები ჭაჭით“ — კვლავ იკითხა შალვამ. „როგორ გეკადრება, მაგ მხრივ ჩვენ სოფელში უმკაცრესი ზომები შემოიღეს. თუ ვინმეს ნაასწრებენ რომ ღვინოს აკეთებს — ხელს ჭრიან“-ო, დაამშვიდა გურამმა. მიადგნენ გურამის ბებიისეულ სახლს. გამოცვივდნენ გოგუცა დეიდა და სხვა მეზობლები, ზოგი მჭადით, ზოგი ყველით, ზოგი ლობიოთი, ზოგი პრასით და ერთიც ღვინის დოქით ხელში. ამ კაცს მეორე ხელი არ ჰქონდა, ფრონტზე იყო ნამყოფი და იქ დაუკარგავს. გურამმა მაშინვე ანიშნა შალვას ღვინის დოქიან კაცზე და გადაუჩურჩულა — „აი! ხომ გითხარი, სანყალი ღვინის გაკეთებისთვის არის დასჯილი და ახლა ხომ წარმოგიდგენია რა კარგი ღვინო ექნება“. შალვამ დაიჯერა და პირველი ჭიქის გასინჯვამდე სჯეროდა და სიბრაულის თვალებით შესცქეროდა ღვინის მომტანს. პირველივე ჭიქის გასინჯვის მერე გაოცებული სახით შეხედა გურამს და გადაუულაპარაკა — რატომ მეორე ხელიც არ მოაჭრესო. გურამმა ბევრი იცინა ამ ბუნებრივად დადგმულ სპექტაკლზე.

სამოცდაათიან წლებში ერთ-ერთ ჩემ დაბადების დღეს, (20 აპრილს) ისე მოხდა, რომ გურამი და მანანა უნდა გაფრენილიყვნენ მოსკოვში საღამოს რეისით. თუ სწორად მახსოვს რომელიღაც საკავშირო პრემიით დააჯილდოვეს და უნდა გამოცხადებულიყო პრემიის მისაღებად. მანანამ მართო არ გაუმვა რადგან, კარგად იცოდა, რომ მოსკოვშივე გაანიავებდა მთელ ფულს და არც ერთი მანეთი არ ჩამოჰყვებოდა თბილისამდე. არადა უამრავი რამ სჭირდებოდა ოჯახს, რაც მხოლოდ მოსკოვში იშოვებოდა და ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება მანანას არ უნდოდა. გურამმა, როგორც იქნა, დაითანხმა მანანა, რომ ცოტა ხნით შემოერბინათ ჩემთან, მოელოცათ დაბადების დღე და დროულად გასულიყვნენ აეროპორტში. დღის 3 თუ 4 საათი იქნებოდა მართლაც შემოიარეს. მანანა პალტოს არ იხდიდა — გვეჩქარებო. ჩვენ, ბუნებრივია, სტუმრებს ველოდებოდით და რალაც კერძები უკვე მზად გვექონდა. ნანამ ხელდახელ გაშალა სუფრა, გამოიტანა რაც ჰქონდა მზად და გურამი შეუდგა თამადობას: „ოჩო! როგორ გეგონა ისე წავიდოდი მოსკოვში, რომ დღეს შენ სადღეგრძელოს არ დავლევდი?“ — თქვა და გადაჰკრა ერთი მოზრდილი სასმისი. მას მეორე მიაყოლა, მერე მესამე, უცბად წამოიჭრა ფეხზე, პიჯაკის გულის ჯიბიდან ამოიღო თვითმფრინავის ბილეთები, ერთი შეიკურთხა — „დღეს რომ არ წავიდე ხვალეც ხომ ამ თვისააო“ და... გადახია ბილეთები. მანანას ფერი

\* ნივნიდან „მოგონებები გურამზე“

დაეკარგა, გადაესვენა სკამზე, თვალები დახუჭა და ისეთი მძიმე სანახავი შეიქნა, რომ მომეჩვენა თითქოს აღარ სუნთქავდა. გურამიც ძალიან შეშინდა და მანანას ჩასძახა: „გაახილე თვალები, ვიხუმრე, ნამდვილი ბილეთები არ დამიხვეია, აი, აქ არის შეხედე და დარწმუნდი!“ მანანამ თვალები გაახილა, შეხედა ბილეთებზე თარიღს, წამოინია სკამზე და ჰკითხა გურამს: „აბა, ის რა იყო რომ დახიე?“ „ძველი ბილეთები ვიპოვე სახლში და ის წამოვიღე“. — უპასუხა გურამმა. ამაზე მანანა გაცხარდა: „ესე იგი ჩემს გასაგიჟებლად წამოიღე ხომ ძველი ბილეთები?“ ორივე დაეანუნარეთ, დაეამოშმინეთ სიტუაცია, გურამმა კიდევ ორი სადღეგრძელო შესვა, რის შემდეგაც ისევ წამოდგა, პიჯაკის მეორე ჯიბიდან ამოიღო თვითმფრინავის ორი ბილეთი და ამაღლებულ ტონში რიხიანად წარმოთქვა: — „როგორ გგონიათ მე ისეთი კაცი ვარ და ისე გამზარდეს, რომ ჩემი მეგობარი თავის დაბადების დღეს მივატოვო და ცოლთან ერთად მოსკოვში გაეფრინდე? არავითარ შემთხვევაში, მე დღეს აღარ მივფრინავ მოსკოვში“ — ეს თქვა და გადახია ორივე ბილეთი. ახლა კი აღარ შეჰპარვია მანანას ეჭვირომ გურამმა ნამდვილი ბილეთები გადახია და ისევ ცუდად გახდა. გურამმა მოასულიერა მანანა და უჩვენა, რომ ნამდვილი ბილეთები მთელია და რომ დღეს საღამოს ნამდვილად მიფრინავენ მოსკოვში. გურამმა კვლავ შესვა ერთი სადღეგრძელო და ისევ გადახია მოსკოვში გასაფრენი ბილეთები და მანანა ისევ ცუდად გაგვიხდა. გურამმა ახლაც აჩვენა ნამდვილი ბილეთები და მანანა გააცოცხლა. მაინც არ მოისვენა, ერთი ჭიქაც დალია, ისევ გადახია თვითმფრინავის ბილეთები და ასე გამეორდა ხუთჯერ თუ ექვსჯერ. ბოლოს და ბოლოს გურამს გამოეღია არ ვიცი სად შეგროვილი თვითმფრინავის ძველი ბილეთები, დამშვიდდა მანანაც, შეესვით მათი ბედნიერი მგზავრობის სადღეგრძელო და გაფრინდნენ მოსკოვში.

ეს იყო გურამის მიერ მოფიქრებული და დადგმული კიდევ ერთი უტყნაური და ძალიან მხიარული სპექტაკლი, რომელთა სიმრავლითაც მთელი ცხოვრების მანძილზე გვანებიერებდა.

გურამი ყოველდღიურობაში არ გამოირჩეოდა სიმამაცითა და უშიშრობით. პირიქით—თვალშისაცემად მშობარა იყო, რაზეც ყველაზე მეტად თვითონ ხუმრობდა და ჰყვებოდა ხოლმე უამრავ ისტორიებს ამასთან დაკავშირებით. საავადმყოფოში კი ყველას აოცებდა თავისი თავდაჭერილობით, სიკვდილისადმი ირონიული დამოკიდებულებით და ყველას დაამახსოვრა თავი როგორც აბსოლუტურად უშიშარმა ადამიანმა, რომელიც სიკვდილს თვალეზში ღიმილით შესცქეროდა და შიშისა და შეცბუნების კვალიც არ ემჩნეოდა.

ერთხელ გაიოხ შარაშიძემ გურამთან მოიყვანა თავისი ბავშვობის მეგობარი ჟორა გრიგორაშვილი, რომელიც იყო

სამხედრო ექიმი, შეისწავლა ჩინური ნემსებით მკურნალობა და ადამიანების სხვადასხვა ჩივილებს შეელოდა. პალატიდან ყველანი გავიდნენ გაიოხისა და ჩემს გარდა და გავხდი მოწმე გურამისა და ჟორას დიალოგისა. ჟორამ გურამს შესთავაზა: „გურამ! ვერ მოგცემ სიტყვას რომ ფეხზე დაგაყენებ, მაგრამ თუ სხვა რაიმე პრობლემები გაქვს ბევრი მათგანი შემძლია შეგიმსუბუქო. მაგალითად ტკივილის შეგრძნება, დეპრესია, პანიკის განცდა, და სხვა მრავალი.“ გურამს გაეცინა და უპასუხა: „ჟორა, გენაცვალე! დიდი მადლობა ყურადღებისათვის და შენუხებისათვის, მაგრამ ვერ მიმეფლი. მიუხედავად იმისა რომ ვიცი რა მდგომარეობაში ვარ და რა მელოდება, პანიკის განცდა ოდნავადაც კი არა მაქვს. როგორც ჩანს ეს ჩემი დაბადებიდან დაყოლილი გონებრივი თუ ფსიქიკური დეფექტის ბრალია.“ ამის მოსმენამ გამაოცა და დამარწმუნა, რომ გურამი კი არ თამაშობს უშიშარს ან კი არ ცდილობს წარმოგვიდგეს სიკვდილის დამმარცხებელ გმირად, არამედ თავისი გონებრივი და ფსიქიკური ბალანსის წყალობით გაიაზრა დაუმარცხებელ სენთან შერკინების უაზრობა და სრულიად უმტკივნეულოდ და ტრაგიკული განცდების გარეშე გადალახა სიკვდილის შიში და სიცოცხლესთან გამოთხოვების უმძიმესი განცდა.



გოგი თოთიბაძე გურამ ასათიანის პორტრეტი

ერთხელაც, სიმონ ჩიქოვანის დაბადების დღის, 9 იანვრის წინა დღეებში რომელიღაც გაზეთის თუ ჟურნალის კორესპონდენტები მოვიდნენ გურამთან, გაესაუბრნენ და სთხოვეს — „სიმონ ჩიქოვანის დაბადების დღესთან დაკავშირებით წერილს ხომ ვერ დაგვინერთ“—ო. გურამს გაეცინა და სიცილითვე უპასუხა: „წერილის დაწერაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იქეთ მივდივარ და წერილს თუ გამატანთ, წავუღებ“—ო. ასე ხუმრობდა სიკვდილზე და ექილიკებოდა თავის აღსასრულის მოახლოებას.

გურამის საავადმყოფოში ყოფნის რომელიღაც პერიოდში ერთი სართულით ქვემოთ გულის შეტევით დაანვინეს ნოდარ დუმბაძე. ოდნავ მომჯობინდა თუ არა, მაშინვე მისწავა გურამს წერილი ლექსად. გურამი ლექსმა ჩააფიქრა. ალბად ამასაც ლექსად უნდა ეპასუხა და დაეწყო ტვიინის ჭყლეტა. ერთ საღამოსაც მივიდი და გურამი დამხვდა შენუხებულს. შევედი თუ არა თითქოს მელოდებოდა მომაცხა: „ ეგ კაცი გიჟია, ხედავ რას მიშვრება? თვითონ პოეტია და მაგისტრის ლექსებისა და პოემების წერა ჩვეულებრივი რამ არის და მე ბავშვობის მერე ლექსი არ დამინერია და ესე ტვიინი უნდა ვიღრძო რომ რაღაცა გავრითმო და მოვახლაფოროთო. ამისი თავი მაქვს ესე? დაჯექი თუ ძმა ხარ, მე ვიკარანახებ და შენ წერე“. ასე გაგრძელდა ეს მიწერ-მონერა ნოდარის საავადმყოფოდან განეწამდე. საუბედულოდ ეს მიწერ-მონერა დაიკარგა, ვერსად ვერ მივაკვილე მის კვალს. ცოტა ხანში დაანვინეს რეზო თაბუკაშვილი

რომელსაც არ ჰქონდა წოლითი რეჟიმი და ყოველ საღამოს შემოდინდა გურამთან. გურამის საავადმყოფოში ყოფნის თითქმის 8 თვის განმავლობაში მის ოთახში ყოველ საღამოს იმართებოდა ძველმოდური, არისტოკრატიული სალონი, შამპანურით, ჩაით, ყავით, ნამცხვრებით, ხილით და ხანდახან კიდევ რაღაცეებით. ვინ არ მოდიოდა მის სანახავად და გასამხნევებლად: მწერლები, მხატვრები, მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, მეცნიერები, „პოკერისტები“ და უამრავი არაცნობილი პიროვნებები.

საერთოდ გურამს განუხაზღვრელად უყვარდა სიცოცხლე და ისე როგორც არავინ იცოდა მისი ფასი. მუდამ ცდილობდა შინაარსიანად, საინტერესოდ და მხიარულად გაეტარებინა ყოველი წუთი და დღე, სხვებისთვისაც, ვისაც არ გააჩნდა ამისი შნო და ლაზათი გაეზიარებინა ეს ბედნიერება. ეს იყო მისი პრინციპი და შექმლებისდაგვარად ცდილობდა ასე ეცხოვრა და სხვებიც ჩაეთრია ამ ლამაზ ფერხულში, რასაც ადვილად, ლაზათიანად და შეუდარებლად ახერხებდა. აქაც, საავადმყოფოს სანოლზე მიჯაჭვული ქმნიდა საოცრად საინტერესო, მხიარულ და მიმზიდველ ატმოსფეროს. იმართებოდა საუბრები მწერლობაზე, ხელოვნებაზე თუ სპორტზე და საერთოდ ჩვენ ქვეყანაში იმჟამად არსებულ ზოგად პრობლემებზე. იყო პაექრობა მახვილგონიერებაში, ხუმრობა, ერთად გატარებული დღეებისა და ისტორიების გახსენება, გურამის ოინების გახსენება-თხრობა. ხშირად საუბარი გადადიოდა კამათში, ზოგჯერ ჩხუბში, სადაც მოკამათები გურამს უთმობდნენ, როგორც მწოლიარეს. ხანდახან ხალხი ერთდროულად მოდიოდა და ამ დროს რიგ-რიგობით და ჯგუფ-ჯგუფად ვუშვებდით და ვაფრთხილებდით დიდხანს არ შეიკვებებოდათ.

ერთხელაც გოგი და მე შემოვრჩით მრავალსტუმრიანი, მხიარული და საკმაოდ ხმაურიანი საღამოს შემდეგ და მოულოდნელად გურამი გვეუბნება: „მოგზაურობა, ალპინისტობა და ნადირობა არასდროს მიტაცებდა. ჩემი ცხოვრება იყო ფიქრი, ანალიზი, წერა და მეგობრების წრეში ყოფნა. ხომ ვიცი რა უპერსპექტივოდ ვწვალობ და თქვენც განვალვობ, მაგრამ სანამ აზროვნების უნარი გამაჩნია და თქვენთან ურთიერთობა შემიძლია, ყაბულსა ვარ ასეთ მდგომარეობაში ვიცოცხლო თქვენთან ერთად თუნდაც დიდხანს.“

იმ ზაფხულს გურამი რომ იწვა საავადმყოფოში, ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (1982 წლის). გურამი ჭკუას კარგავდა ფეხბურთზე და არ ტოვებდა არც ერთ თამაშს ტელევიზორში რომ არ ენახა. საფინალო თამაშების დრო რომ დადგა საგრძნობლად დააკლდა მხედველობა და მალე ეღლებოდა თვალები. რაიმე გაუმჭვირვალე ქსოვილს რომ დაიფარებდა, უწყნარდებოდა თვალები და მხედველობაც თითქოს უშემჯობესდებოდა. ამიტომ როდესაც რაიმე თამაშის გადმოცემა იყო გამოცხადებული იმ საღამოს შედარებით ადრე დაგვითხოვდა ხოლმე — თვალები უნდა დავასვენო რომ ფეხბურთს კარგად ვუყურო.


საავადმყოფოდან გვიან საღამოს რომ გამოვდიოდით (უმეტესად: გოგი ყუფარაძე და გოგი ოჩიაური მეუღლეებით, თამაზ ალავიძე, თემიკო ჩირგაძე, შალვა კვინტრაძე, ლალი იაკობაშვილი, ციალა ჩინჩალაძე, ნანა და მე და აუცილებლად რომელიმე არაყოველღიური მნახველი ხან გურამ პატარაია, ხან ჯუნა მიქაბაძე, ან სარგის ცაიშვილი ან გურამ გვერდნითელი, ან გოგუცა აგიაშვილი და სხვანი და სხვანი) ყველანი დამძიმებული გუნება-განწყობით ვიყავით და არ გვინდოდა დაშლა. რადგანაც ყველაზე ახლოს ნანა და მე ვცხოვრობდით უმეტესად ჩვენთან ავდიოდით ხოლმე და ვინყებდით: გურამის გადარჩენის შესაძლებლობების მიმოხილვას, ოცნებას მის წამოდგომაზე, ოდესღაც ყურმოკრული სასწაულების ჩამოთვლას და ბოლოს გურამის გავლილი ცხოვრების გახსენებას ყველა თავისი ნიუანსებით და თანდათან გადავდიოდით სიცილ-ხარხარში და უსაზღვრო მხიარულებაში. ეს მეორდებოდა თითქმის ყოველ საღამოს.

27 ივნისს საღამოს გვიანობამდე შემოვრჩით გურამთან გოგი ოჩიაური და მე. ორივეს მოგვეჩვენა რომ გურამი ჩვეულეობრივ უფრო სუსტად იყო და თითქოს აღარ ჰქონდა სხვებთან კონტაქტის სურვილი. ყველა რომ წავიდა, გადავწყვიტეთ ღამით გურამთან დარჩენა. იმ ღამით გურამთან მორიგეობა უწევდა დეიდა თინას და არაფრით არ დაგვტოვა — თქვენი დარჩენით უფრო შევწუხდებით.

მეორე დღით 8 საათი იქნებოდა ჩემი სახლის კარებზე ზარის ხმა გაისმა. შეშინებული წამოვხტი, გავაღე კარი და შემომეფეთა ჩვენ გვერდით სადარბაზოში მცხოვრები დეიდა თინას მეგობრის, თამარ არემიძის ნათესავი გოგონა ზაირა და მითხრა: „დეიდა თინამ დარეკა გურამი ცუდად შეიქნა, ოჩოს თხოულობს და სასწრაფოდ წამოვიდეს“-ო. გადავიცივი და გიჟივით გავვარდი, სულმოუთქმელად ავირბინე მე-3 სართულზე, შევედი ოთახში და დეიდა თინამ მომაცხა — „ჩქარა მიდი, შენ გეძახდა, ამ წუთში დაიძახა — „ოჩო, ოჩო“, მიდი იქნებ კიდე გააგებინო რომ მოხვედიო“. ვეცი საწოლს, შევანჯღრიე გურამი, მაგრამ რეაქცია აღარ ჰქონდა. დავემხე, ჩავებუტე, ვეძახდი — „გურამ, გურამ!“ აღარ უპასუხია.

ასე დამთავრდა უკიდევანო ფანტაზიით, გამოგონებრივი ნიჭიერებით, არაორდინარული აზროვნებით, ყველასგან განსხვავებული წერის მანერით, ბობოქარი და დაუოკებელი სულითა და ამოუწურავი ენერგიით ღვთისგან დაჯილდოებული, ჩვენი თაობის ცხოვრების წესის და არსებობის ტონის მიმცემისა და „ბედნიერების სპექტაკლების“ ნიჭიერი შემოქმედის, გურამ ასათიანის სიცოცხლე, რომელიც მას ასე ძალიან უყვარდა, კარგად ესმოდა მისი აზრი და ფასი და მის ყოველ წამს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

...გურამის გარდაცვალების გლოვის დღეებში დეიდა თინამ გაიხსენა: „პანაშვილებზე ერთმა დედაკაცმა მომატირა — „რა უბედური დედა ყოფილხარო“. როგორ ცდებოდა! ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულება — მე ხომ გურამ ასათიანის დედა ვარ“.



მანანა სურმავა

# „წინ, მშვენიერებისკენ!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- უიმედობა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- სადაც ვცხოვრობ — თბილისში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სიყვარული.  
— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჩემი დამოკიდებულება იმის მიხედვით იცვლება, ლიტერატურული პერსონაჟებისადმი, თუ რომელ ნაწარმოებს კითხულობ...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი. შუშანიკი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

- მანე, ლოტრეკი, ფიროსმანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— შოპენი, მოცარტი და სხვა კიდევ ბევრი...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

- უანგარობას, სითამამეს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- მიმტევებლობას, თანაგრძნობის ნიჭს...
- რომელი ადამიანი სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— უპატრონო ბავშვებისა და მოხუცების მოვლა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მსახიობობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არავინ... თუმცა შეიძლება დედას — მაგრამ ვერ დავემგვანებო.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ძალიან ხშირად მზად ვარ, დავიხიო უკან...

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მეგობრობას!

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— იხ. მე-13 კითხვაზე პასუხი.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სიყვარული...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ურწმუნობა...



— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უკეთესი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— სხვადასხვა დროს სხვადასხვა.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ივანდამარია. მგონი, რუსული სახელწოდებაა და ქართულად რა ჰქვია არ ვიცი...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მტრედი, ბელურა, გედი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა, ჩეხოვი, თომას მანი, ნიკო ლორთქიფანიძე, ოთარ ქილაძე, ლევ ტოლსტოი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბარათაშვილი, გალაკტიონი, ანა კალანდაძე, მიხეილ ქვლივიძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ჩეხოვის პერსონაჟები.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— აფხაზეთის ომში დაღუპული მეგობრები.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— შუშანიკი, თამარ მეფე, ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— ანა, ნია, კონსტანტინე, დავითი, ანდრია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— დაუნდობლობას, ვერაგობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა?

— ნებისმიერი ტირანი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— როცა სამართლიანად იცავენ ღირსებასა და ქვეყანას.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მშვიდი, ურყევი... მაღლიერი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— განონასწორებული. ხვალ უკეთ მეცოდინება...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უმადურობა მეგობრობაში.

— თქვენი დევიზი?

— წინ, მშვენიერებისკენ!

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მომეხვიოს და აღარ გამიშვას!..

ზურა ელიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ძირკოკში. 1984 წელს დაამთავრა ჭანდრის საშუალო სკოლა, 1991 წელს კი — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. სპეციალობით ისტორიკოს-სამართალმცოდნე. განაწილებით მუშაობდა გაგრიის ზონის სოფელ ხეივანის ქართულ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. მოგვიანებით თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან. ამჟამად არასახელმწიფო საშუალო სკოლაში „შოვი“ ასწავლის ისტორიას. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ერთი შეხედვით, ლიტერატურა მისი ჰობია, მაგრამ თუ ამ მოთხრობას ყურადღებით წავიკითხავთ, დავინახავთ, რომ ეს ის ადამიანია, რომელსაც კალმის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. სამყაროს, ადამიანებს, საგნებს, მოვლენებს მწერლის თვალთ უყურებს — პროზაიკოსის გონებით ანალიზებს, პოეტის ემოციით გადმოსცემს. როგორც იტყვიან, აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს. იცის, რა აკეთოს, როგორ და რისთვის.

არის ამ მოთხრობაში რალაც, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ფსიქოლოგიზმი, ფსიქოლოგიური ხედვა დროისა, თემისა, მოვლენებისა, ხასიათებისა, ბედისა და ბედისწერისა. ტანია, მთავარი გმირი ნაწარმოებისა, სიმბოლოა იმ მარცხისა, რაც შეიძლება მოხდეს ერთა შორის ურთიერთობაში, თუკი არ არის საერთო რამ შემაერთებელი და დამაკავშირებელი ხასიათებისა, თვისებებისა, ცხოვრების წესისა და ნირისა. ფაქტობრივად ეს არის ტრაგედია, როგორც ადამიანური, ისე გაცილებით ფართო, ისტორიულ-პოლიტიკური გაგებით, და ამიტომაცაა საინტერესოც და დასამახსოვრებელიც.

ზურა ელიკაშვილი

ტანია

„უსაფრთხო ხომალდები ნაპირზე გამოთრეული ხომალდებია, ხოლო საუკეთესო მტერი — ეს მკვდარი მტერია,“ ხშირად უყვარდა ამის თქმა სამდინარო გემის ყოფილ კაპიტანს, კუზმა ივანეს ძეს. ტანიას უსიამოდ გააფრჟოლა. თვალი მოარიდა გუბეში მოცურავე ქალაღდის ნავს, რომელიც ნელ-ნელა წყლით იჟლინთებოდა. დეკემბრის მზე უნიათოდ იხედებოდა.

ზამთრის მზემ, გუბეში მოლივლივე ქალაღდის ნავმა სამშობლო გაახსენა ტანიას.

„უსაფრთხო ხომალდები, საუკეთესო მტერი“ — ამ ავადსახსენებელ სიტყვებს მამის დაკარგვასთან აიგივებდა.

კახეთის ერთ-ერთ სოფელში, თავისი სახლის წინ, ხის გრძელ სკამზე იჯდა ბებია ტანია და დეკემბრის უკანასკნელ დღეებს სევდას აყოლებდა.

ციმბირის სამხრეთით ქ. ბარნაულის ოლქის ერთ მიყრუებულ სოფელში დაიბადა. მის სოფელს მდინარე ბია ჩამოუდიოდა, რომელიც ასიოდე კილომეტრის შემდეგ რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მდინარე ობს მარჯვნიდან უერთდებოდა. მართლაც რომ ღვთისგან და კაცისგან მივინყებელი ადგილი იყო, სოფელი ლესნაია მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, ოცდაათამდე ოჯახი ცხოვრობდა. ტყის ჭრით, ნადირობა-თევზაობით ირჩენდნენ თავს სოფლის მცხოვრებნი. ზაფხულის დასაწყისში დააცურებდნენ ხის მორებს ჩრდილოეთისკენ ბარნაულში გასაყიდად, იქიდან კი მარილი, ასანთი, ნავთი და ათასი საოჯახო წვრილმანი ამოჭქონდათ.

მათი მყუდროება მერე მსოფლიო ომამდე რამდენიმე წლით ადრე დაირღვა, ზაფხულის ერთ საღამოს სამდინარო გემი „ფელიქს ძერჟინსკი“ გამოჩნდა, რომელმაც სოფელში რევოლუცია, კოლექტივიზაცია, მარქსიზმ-ლენინიზმი, რადიო და სხვა უამრავი „ზაცია“ ამოიტანა.

გემი ბარნაულიდან გამოეგზავნათ სპეციალური მისიით, მდინარეების ობისა და ბიის ზედა წელს მიკარგული სოფლებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის „დიადი“ იდეები მიეწოდებინათ, გემის კაპიტნად და მთავარ მისიონერად კუზმა ივანეს-ძე დაენიშნათ.

კუზმა ივანეს-ძე ორმოცდაათს მიღწეული ტიპური რუსი მუჟიკი გახლდათ — რიაზანის ოლქში დაბადებული. ცხენებისა და ბატების ქურდობა რომ ვერ მოაშლევინეს, ციმბირში უკრეს თავი. სწორედ იქ მოუსწრო რევოლუციამ და სასწრაფოდ ჩადგა ბოლშევიკთა რიგებში, კარგად აუღო ალლო ახალ ცხოვრებას.



კუზმა ივანეს-ძეს შემოვლილი ჰქონდა სამხრეთ ციმბირის მდინარეები, ჩვეულებრივზე უკეთ ეხერხებოდა ტრადიციული რუსული გინება და არყის სმა. ბელადის რამდენიმე თეზისის შესწავლას რალა უნდოდა, ასეთ კაცს ჩააბარეს თხუთმეტკაციანი ეკიპაჟი და სამხრეთ ციმბირის „განმანათლებლად“ გაუშვეს.

სოფელ ლესნაიას ზემოთ რამდენიმე კილომეტრში ჭრომეები იწყებოდა, ხოლო უფრო სამხრეთით — მთიანი ალთაის მხარე, ასე რომ ლესნაია იყო ბოლო დასახლება სადამდეც გემს შეეძლო მისვლა.

გემის საყვირმა იქაურებს რევოლუციის მისვლა ამცნო და დადუმდა, დადუმდა სამუდამოდ, რადგან ნასვლის დრო რომ მოუვიდა, ორთქლის ძრავას ხმა ველარ ამოაღებინეს — ისე მოიშალა.

ჩარჩა დიდი ჩეკისტი „ფელიქს ძერჟინსკი“ მიყრუებულ სოფლის პირას.

კუზმა ივანეს-ძეს ბევრი ფიქრით თავი არ აუტკივებია, გემი ცხენებისა და ხალხის დახმარებით ნაპირზე გადაათრიეს.

დაიწყო კუზმა ივანეს-ძემ აქტიური „მისიონერული მოღვაწეობა“ თვითონ და მისი თხუთმეტკაციანი შეიარაღებული ბანდა წამოაჯდა სოფელს თავზე, თავი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გამოაცხადა, დაიწყო ახალი წესების დამყარება. ყოველი შემთხვევისათვის გემის ორი ჟანგისანი ქვემეხი სოფლისკენ მიმართა. კოლმეურნეობის კანტორა კაპიტნის კაიუტაში მოაწყო. გემზევე მოაწყო აგიტპუნქტი და ბიბლიოთეკა, რა თქმა უნდა, მარქსისტუ-



ლი ლიტერატურით.

ხუთშაბათი აგიტაციის დღე იყო, სამუშაოდან მოსულ გადაღლილ ხალხს ძალით ერეკებოდნენ გემზე, კუზმა ივანეს-ძეს მოსასმენად.

ტანიას უყვარდა მამასთან ერთად გემზე სიარული, თუმცა არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა აგიტატორი რიხით და ხელების ქნევით. მამა ყოველთვის დაძაბული უსმენდა, კუზმა ივანეს-ძე თავის გამოსვლას ყოველთვის ერთი და იმავე ფრაზით ამთავრებდა: „უსაფრთხო ხომალდები ნაპირზე გამოთრეული ხომალდებია, ხოლო საუკეთესო მტერი — ეს მკვდარი მტერია“. ამ დროს მამას დაამტერდებოდა ხოლმე უტიფრად, მრავალმნიშვნელოვნად გაიქნევდა თავს, მამა თვალს ვერ უსწორებდა მის თავხედურ მზერას და თავს ჩალუნავდა, ტანია ამ დროს 7-8 წლის იყო, ვერ ხვდებოდა მამის მღელვარების მიზეზს.

ტანიას მამა, ალექსანდრ ალექსანდრეს-ძე რომანოვი, რუსეთის იმპერატორის გვარდიის ოფიცერი იყო. როდესაც იმპერატორი ნიკოლოზ II ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და ყველაფერი აირია, საზღვარგარეთ წასვლას ისევ მშობლიური რუსეთი არჩია, სამხრეთ ციმბირის მიყრუებულ სოფელში დასახლდა, გვიან დაოჯახდა, ცოლად ადგილობრივი გლეხის ქალი ნინა ვასილის ასული შეირთო, ჯერ საშა შეეძინათ, შემდეგ — ნიკოლაი, ბოლოს კი — ტანია.

მძიმე ცხოვრება ჰქონდა ყოფილი იმპერატორის ყოფილი გვარდიის ოფიცერს, მაგრამ მანაც არ იყო უკმაყოფილო, წერა-კითხვას ასწავლიდა ადგილობრივ გლეხის შვილებს, ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს. ახსენდება ტანიას, როგორ დაისვამდა მუხლებზე მამა თავის ცქრილა გოგოს და ასწავლიდა ფრანგულ გამოთქმებს, უკითხავდა პუშკინის ზღაპრებს, ესაუბრებოდა პეტრეს ზღაპრულ ქალაქზე, იმპერატორის სასახლეებზე, თეატრებზე, მუზეუმებზე, გრაფებისა და ბარონების რეზიდენციებში გამართულ წვეულება-მეჯლისებზე. ჰპირდებოდა ქალიშვილს, რომ სულ მალე ბოლშევიკების დრო წავიდოდა და პეტერბურგში დაბრუნდებოდნენ. ძილის წინ უყურებდა ტანია, თუ როგორ ლოცულობდა ხატების წინ მამა, როგორ ვევედობოდა ღმერთს სატანის მოციქულების (ასე უწოდებდა მამა ბოლშევიკებს) მალე გადაშენებას.

რა იცოდა მამის ტანიამ, რომ კუზმა ივანეს-ძე „უსაფრთხო და გამოთრეულ“ ხომალდში თავის „ფელიქს ძერჟინსკის“ გულისხმობდა, ხოლო საუკეთესო მკვდარ მტერში მამას და მისნაირებს.

მამა, ბუნებრივია, ხვდებოდა, საითაც უმიზნებდა კუზმა ივანეს-ძე და მწარედ ხუმრობდა: „ჩემი ფეხით წამოვედი პეტრეს ქალაქიდან ციმბირში, აქედან სადღა უნდა წამიყვანონო?“ მწარედ ცდებოდა მამა, აქაც მოსწვდნენ ძერჟინსკის გაზრდილი ლეკვები. რომ იტყვიან ციმბირიც უკან მოატოვებინესო, ასე დაემართა ალექსანდრ ალექსანდრეს-ძეს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე, ღამით გაიყვანეს სახლიდან შავლაბადიანმა კაცებმა. გაიყვანეს მამა, თან გაიყოლეს პეტრეს ქალაქის ლამაზი სიზმრები და პუშკინის ზღაპრები.

არც ადრე ამოსდიოდა მზე მისი დანახვით, მაგრამ ახლა ქირის დღესავით შეძულდა კუზმა ივანეს-ძე ტანიას, ცდილობდა არსად მოხვედროდა თვალში.

ძალიან გაუჭირდათ ოჯახში, საშას და ნიკოლაის კი-

სერზე გადავიდა მთელი მამაკაცური სამუშაოს სიმძიმე. ბედის ირონიით ტანიას დედა ნინა ვასილის-ასული დამლაგებლად მოეწყო კანტორაში „ფელიქს ძერჟინსკიზე“.

ომის დამთავრებამ საშას და ნიკოლაის სამხედრო სასწავლებელში, ხოლო ტანიას ჭრა-კერვის კურსებზე მოუწერო.

მშვენიერი ქალიშვილი დადგა ტატიანა რომანოვა. მაღალი, ჩამოსხმული, ნათელი შუბლით, ოდნავ მონღოლურად აჭრილი სამხრეთული ცისფერი თვალებით, მზიანი კულულებით. მასში შერწყმული იყო არისტოკრატიული მანერები და სინაზე, ციმბირელი გლეხი ქალის ველური ვნება. გრძნობდა თავის სიმაღლეს ტანია, გრძნობდა და როგორც ყველა გასათხოვარი ქალიშვილი, ზღაპრულ პრინცზე ოცნებობდა, რომელიც საოცრებათა ქვეყანაში წაიყვანდა...

მოკლე, მაგრამ საკმაოდ ცხელი ზაფხული იცის ციმბირის სამხრეთში.

ივლისის ერთ დღეს კუზია და ტანია (კუზია აღისფერ ციმბირულ ნაგაზს ერქვა. ეს სახელი კუზმა ივანეს-ძის „საპატივცემულოდ“ დაარქვა ტანიამ, მერე კი ბევრი ინანა ერთგულ ცხოველს ასეთი კაცის სახელი როგორ დავარქვით) მდინარის პირას გამოვიდნენ. ტანიამ ყვავილები დაკრიფა, გვირგვინის დაწვნა დაიწყო, კუზია, რომელსაც კუდი მუდმივად ლოკოკინის ნიჭარას მიუგავდა, გარშემო ურბენდა. ნინა ვასილის-ასულს კუზმა ივანეს-ძის კანტორა დაელაგებინა, გემბანზე გამოსულიყო, სიამაყით შესცქეროდა ქალიშვილს. „როგორ უცებ გაიზარდა, როგორ დამშვენდა, — ფიქრობდა ნინა ვასილის-ასული, — ნეტავ შესწრებოდა ალექსანდრ ალექსანდრეს-ძე რა მზეთუნახავი დადგა ჩვენი ტანია.“

ტანიამ აქეთ-იქით გაიხედა, უცებ გადაიძრო ტანზე ჩითის კაბა, თავზე გვირგვინი დაიდგა და მდინარეში შევიდა. მიცურავდა ტანია, მიაპობდა ციმბირის მდინარის ლურჯ ტალღებს, კარგი ცურვა იცოდა ქალიშვილმა, საკმაოდ შორს შევიდა... დედის ხმა მოესმა:

— Тан-я, далеко не уходиий...

— Иду, мамочка, иду-у-у...

მარჯვენა ფეხში საშინელი ტკივილი იგრძნო... ისევ ძარღვი, გაიფიქრა. მძლავრად მოუსვა ხელი, მაგრამ ტალღებმა აჯობეს, გვირგვინი მოხადეს და ქვემოთ წაიღეს. ტანიამ რამდენჯერმე კიდე გაიბრძოლა. მთელი ტანი ტკივილმა გაუშეშა, „რალაც ხდება, რა მომდის?“ — გაიფიქრა, დედის განწირული კივილი ჩაესმა, ერთხელ კიდე მოუსვა ხელი, კუზიას თავი დალანდა წყალზე, „ჩემთან მოდის, ძალიან შორსაა, ალბათ ყველაფერი დამთავრდა...“

— Иду, мамочка, иду-у-у... — მისი ხმა დედას აღარ გაუგია...

თვალები ნელა გაახილა, პირველი, რაც დაინახა, მზე იყო. ისევ დახუჭა. უცებ წარმოიდგინა, რაც მოხდა, შეშინებულმა ისევ გაახილა. თავი მიაბრუნა, სილაზე ინვა, დედის შემოფოთებული სახე... კუზიაც იქვე ჩაცუცქულიყო. „მესამე ვინლაა?“ — გაიფიქრა, ისევ დახუჭა თვალები.

ადრინა გაზაფხულზე სამხედროები მივიდნენ ლესნაიაში, რალაც კაბინები მოათრის და ანტენები გამართეს, თითქოს გამოცოცხლდა დასახლება. სოფლის განაპირას საღამოობით ცეკვები იმართებოდა ხოლმე. იქ გაიცნო გი-

ორგი, — გიო დამიძახეო მოკლედ, სთხოვა, ახოვანი ჭაბუკი იყო, მკვეთრი ქართული აქცენტით ლაპარაკობდა, მშვენივრად უკრავდა აკორდეონზე, მაგრამ სიმღერა არ ეხერხებოდა, გადარია იქაური გოგონები, რამდენჯერმე იცეკვეს ერთად, გრძნობდა, როგორ შურით შესცქეროდნენ გოგონები ტანიას.

ტანიას გაცნობის დღიდან აღარ აცდენდა ცეკვებს გიო. თუ ქალიშვილი იქ არ დახვდებოდა, ყველაფრის ხალისს კარგავდა და უკან ბრუნდებოდა. ტანია მაც იგრძნო, რატომღაც უფრო მოუკლო ცეკვებზე სიარულს, ერჩია მდინარის პირას მარტო ყოფილიყო და ეოცნება თავის პრინცზე, გიო მიხვდა, უფრო ხშირად სად შეეძლო ქალიშვილის ნახვა. დაჯდებოდა ტყის პირას, შორიდან ადევნებდა თვალს ტანიასა და კუზიას თამაშს, ვერ ბედავდა ამხელა ვაჟკაცი მიახლოებას, იმ დღესაც ისე იყო, მერე კი ყველაფერი უცებ მოხდა... გიომ და კუზიამ გამოიყვანეს ტანია მდინარის ტალღებიდან.

ამ დღიდან მოუხშირეს შეხვედრას გიომ და ტანიამ, შეხვედრის ადგილი თითქმის უცვლელი იყო, მდინარის სანაპიროზე, გემთან. შეუმჩნევლად იბადებოდა მათ შორის ის საოცარი გრძნობა, რომელიც ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ ახსნა, რასაც ჩვენ უბრალოდ სიყვარულს ვეძახით.

საუბრობდნენ ყველაფერზე: ყვავილებზე, მთებზე, ციმბირის მდინარეებზე, ყინვებზე, უყვებოდა გიო თავის შორეულ სამშობლოზე, მზისა და ვაზის ქვეყანაზე, ზურმუხტ მთებზე, ანკარა მთის წყაროებზე, უსმენდა გაკვირვებით ტანია და არ სჯეროდა თუ არსებობდა ასეთი ქვეყანა, სადაც ამდენი ხანი ანათებდა მზე.

იმ საღამოს ტანიამ დაიგვიანა, აფორიაქდა გიო, მერე უცებ გემბანზე გამოჩნდა, ხელში გასაღებების აცმა ეჭირა, ხელი დაუქნია აქ ამოდო.

კუზმა ივანეს-ძე ქალაქში გამოიძახეს, ორი კვირა მაინც ვერ ამოვა, დედა შეუძლოდ არის და მე მომიწევს კანტორის დალაგებაო.

— რაც მამაჩემი წაიყვანეს, მას მერე გემზე აღარ ვყოფილვარ, — ნალვლიანად უთხრა ტანიამ მასთან ასულ გიოს. — აქაურობა მას მერე შიშს მგვრის, მაგრამ შენთან არაფრის მეშინია...

ნახევარ საათში მოასუფთავეს აგიტპუნქტი, ბიბლიოთეკა და კაპიტნის კაიუტაში შევიდნენ.

გემი საუკუნის დასაწყისში იყო აგებული და იმ დროის შესაფერისად — მშვენივრად იყო მოწყობილი. ორი ფარ-

თო ილუმინატორი მდინარეს გადაჰყურებდა, ტყავის სავარძლები ხის მასიური მაგიდა, ორი სეიფი, კედლებზე აკრული წითელი მაუდი, შესასვლელიდან პირდაპირ კედელზე რევოლუციის ბელადის უზარმაზარი პორტრეტი ეკიდა. მარცხნივ „ფელიქს ძერეჟინსკის“, ხოლო მარჯვნივ კედელზე მოვერცხლილი ქარქაშიანი და ორნამენტებით დამშვენებული ხმალი.

ტყავის სავარძელში ჩაეშენენ.

სულ დამავიწყდა შენთვის სიურპრიზი მაქვს... ტანიას

ემშაკურად აუციმციმდა თვალები და ხელში წერილი აათამაშა, შენს სახელზეა... ლესნაიაში საფოსტო გემი თვეში ერთხელ ამოდოდა, ყველა მოუთმენლად ელოდა ახალ ამბებს, განსაკუთრებით კი ჯარისკაცები.

გიოს თვალები გაუბრწყინდა, დედა სწერდა: — მოუთმენლად გელი, ჩემო ვაჟკაცო, სამი წელი სამ საუკუნედ მეჩვენებაო, სულ ხელზე ვითვლი დარჩენილ კვირებს. მამაშენს სამი წლის ღვინო და სამი წლის მოზვერი ჰყავს, ასე ამბობს: ჩემი გიო რომ ჩამოვა, ზღაპრული ქორწილი უნდა გადავუხადო, მე კი შენთვის ერთი სათვალეო გოგო მყავს შერჩეული...

გიო უცებ დასერიოზულდა.

— რა მოხდა? — იკითხა ტანიამ, ცდილობდა გიოს

განწყობა ამოეკითხა.

— ქორწილს მიპირებენ, ჩემო ანგელოზო, ქორწილს, ტანია ვერ მიხვდა უცებ — ქორწილი აუცილებლად იქნება ან შენთან, ან არავისთან... — დაიბუხუნა გიომ და...

მერე ყველაფერი თავისთავად მოხდა...

მხოლოდ ორი მონმე ჰყავდა მათ სიყვარულს და ვნებას იმ ღამეს, კაპიტნის კაიუტაში. ორი პორტრეტი, ერთი-დიდი ბელადისა, მეორე პირველი ჩეკისტისა... მზიანი ფერებით გაუთენდათ ციმბირის ღამე...

— ასე უსაფრთხოდ, მყუდროდ და ბედნიერად არასოდეს ვყოფილვარ, — ჩაილაპარაკა ოცნებით ტანიამ.

— მეც... ჩემო სიხარულო... — გიომ ვეება ტორით შუბლზე ჩამოშლილი ოქროსფერი კულულები შეუსწორა...

დედის რძესავით შეითვისა ტანიამ კახეთის მზე და ჰაერი. ვენახს ისე უვლიდა, თითქოს ციმბირში მის წინაპრებსაც ვაზი მოჰყავდათო, მშვენიერი ჩურჩხელების ამოვლება ისწავლა, თონეში პურის ცხობა... უკვირდათ მეზობლებს: ისე იქცევა, თითქოს მეზობელი სოფლიდან ყოფილიყო გამოთხოვილი, ქართული მალე ისწავლა, რუსული აქცენტი ბოლომდე შერჩა, ყველას უყვარდა,



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ცდილობდა ყველას მიმართ ყურადღებებიანი და ხალისიანი ყოფილიყო, თუ ვინმეს შესაკერი ჰქონდა, მასთან მიჰქონდა, ოქროს ხელი აქვსო, ერთმა მეზობელმა რადიო მოუტანა, თავისი რუსული ინსტრუქციით (ახალი შემოსული იყო მაშინ): „მიშველე რამე ტანია, შენი ჭირიმი, მგონი რუსული გამომადგაო“, აღარ ავიწყებოდა ტანიას.

ორივე ძმა ოფიცერი გახდა, საშა ლენინგრადში მსახურობდა და ცხოვრობდა, ნიკოლაი-მოსკოვში. რამდენჯერმე ეწვივნენ ძმებს ტანია და გიო, ტანია გაცეხას ვერ მალავდა, ამ ორი უზარმაზარი ქალაქის განსხვავებაზე; როგორი ცივი და უკარება იყო მოსკოვი, როგორი თბილი და არისტოკრატიული პეტრეს ქალაქი, ხუმრობდა ტანია: რაც ჩრდილოეთით მივდივართ უფრო თბება რუსეთი და ინტელექტი ემატებაო. პეტრეს ქალაქში სეინრობისას მამა გაახსენდა, საშინელი სევდა შემოაწვა, თითქმის ყველაფერი ისე იყო, როგორც მამა უამბობდა ბავშვობაში, მხოლოდ იმპერატორი, ბარონები და გრაფები აღარ იყვნენ. იდგნენ უზარმაზარი სასახლეები, მაგრამ აღარ იმართებოდა წვეულებები და მეჯლისები. აღარ ელირსა მამას მშობლიურ ქალაქში დაბრუნება. პირველად სიცოცხლეში, გულთან მწვავე ტკივილი იგრძნო ტანიამ.

გავიდა ხუთი წელი, ათი, შვილი არ ეძლეოდათ გიოს და ტანიას, დედის წერილები ამხნევებდა ტანიას, სამშობლოზე დარდს უქარვებდა, ბოლო წერილში ინერებოდა დედა: მანია დაგვიბერდა და სახორცეში ჩავაბარეო (მანია ნინა ვასილის ასულის ძროხას ერქვა) კუზიას — მთვრალმა კუზმა ივანეს-ძემ მაუზური დაახალაო, „რა წარამარა ყმუიო,“ რაც შენ ნახვედი ჩემო გოგონავ, კუზიას აღარ გაუხარიაო, იქნებ ასე ერჩიაო, ცხელი ცრემლებით დაიტირა ტანიამ ერთგული მეგობარი.

წელს წელი მისდევდა ყოველდღიურ ჯაფაში და შრომაში დრო სწრაფად გარბოდა. ოცდახუთი წელი გავიდა მათი შეუღლებიდან, არ მიეცათ შვილი, საშინლად განიცდიდნენ გიო და ტანია, ექიმები და მკითხავები არ გამოუტოვებიათ, შინაური და გარეული წამლები, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს იმედი რომ გადაიწურეს, ბიჭი იშვილეს, ეს არის ჩვენი იმედი და კერის გამგრძელებელიო. ალექსანდრე დაარქვეს, ტანიას მამის სახელი.

სწრაფად იზრდებოდა ვაჟი. ტანიას საზრუნავი მოემატა, ღარები დაეტყო სახეზე, უფრო ხშირად ფიქრობდა ციმბირზე, მამაზე, დედაზე. სამშობლოს რაც გამოეთხოვა, მას შემდეგ არ ყოფილა. ორჯერ ნახა დედა ისიც თავის ძმებთან, მოსკოვსა და ლენინგრადში.

ალექსანდრე მშვენიერი ყმანვილი დადგა, მაგრამ თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისას ვილაცამ წამოაძახა — ნაბიჭვარი ხარო... მთლად შეიცვალა ყმანვილი, სმა დაინყო, ლამის გული გახეთქოდათ მშობლებს.

შემოდგომაზე ვენახები უკვე კარგად დამნიფებული იყო. კახეთი რთველისთვის ემზადებოდა, დეკემბა მიიღეს ციმბირიდან დედა აღარ გყავსო, გადმოიღო ტანიამ დედის ათასჯერ ნაკითხული, ნაფერები წერილები და სურათები, მდულარედ დაიტირა.

გიო ვერ გაჰყვა, ტანიას მარტოს მოუწია ციმბირში წასვლა. ერთი კვირის დასაფლავებული დახვდა ნინა ვასილის-ასული. ტანიამ გული რომ იჯერა ტირილით, საფლავიდან ერთი მუჭა მინა აიღო და უბეში შეინახა. საფოს-

ტო გემი ახლა კვირაში ერთხელ დადიოდა, ერთი კვირა დასჭირდათ ლოდინი ტანიას და ძმებს, რომ უკან დაბრუნებულიყვნენ. სახლში ყველაფერი თავის ადგილზე იდგა, ყველაფერს ნაცნობი სუნი ასდიოდა. სახლში ვერ გაჩერდა, სანაპიროზე გამოვიდა „ფელიქს ძერჟინსკი“ ჩამოშავებულ რკინის გროვასლა წარმოადგენდა, როგორც უთხრეს კუზმა ივანეს-ძე ერთხელაც კარგად გამომთვრალიყო ოქტომბრის დღესასწაულზე. ცეცხლი გასჩენოდა გემს და თვითონაც შიგ გამომწვარიყო. „პირველი ჩეკისტი“ ყვავებისა და ღამურების თავშესაფრად ქცეულიყო.

ტანია დაღვრემილი შეჰყურებდა რკინის ჩონჩხს: საოცარია პირდაპირ კუზმა ივანეს-ძეს როგორ უყვარდა თქმა: „უსაფრთხო ხომალდები ნაპირზე გამოთრეული ხომალდებია, ხოლო საუკეთესო მტერი — ეს მკვდარი მტერია“.

ეს ხომალდი მამაჩემისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, მე? მე ჩემი ცხოვრების ერთი უბედნიერესი ღამე ამ გემზე გავატარე, ხოლო თვითონ კუზმა ივანეს-ძე შიგ ნახშირით გამოიწვა. რას გაიგებ ვისთვისაა უსაფრთხო ნაპირზე გამოთრეული ხომალდები და ვისთვის საბედისწერო.

მამისეულ სახლის ფანჯრები ჯვარედინად აფიცრეს, კარებიც აჭედეს.

ტანიამ სახლიდან მხოლოდ დედის საკერავი მანქანა და დიდი ციმბირული კატა ბუსია წამოიყვანა.

ალექსანდრემ ორ წელიწადში ცოლი მოიყვანა, რძალი ღვთისნიერი ადამიანი გამოდგა, მაგრამ ვაჟს უარესი მოუვიდა. ლოთობას მოუმატა, გიოსა და ტანიას გინებას არ აკლებდა, გიომ ველარ აიტანა შვილის ასეთი ქცევა და გულმა უმტყუნა.

ტანიას სილამაზემ (თუ გიოს გარდაცვალებამდე კიდევ ჰქონდა, შემორჩენილი) საშინელი სისწრაფით დაინყო ქრობა, ვაჟმა მამას გარდაცვალების შემდეგ მოუმატა სმას, მარტო გინება კი არა, ხელიც მიაჩვია ტანიას.

ერთადერთ იმედად ტანიას ორი შვილიშვილი შემორჩა, მაგრამ ბოლო დროს ხელებისა და თავის კანკალი დასჩემდა. ველარც მათ მოფერებას ახერხებდა წესიერად. რამდენიმე წელიწადში სამოცდაათს მიტანებული ტანია ოთხმოცდაათი წლის მოხუცს დაემსგავსა. თვალეშშიდა ჰქონდა შემორჩენილი სიცოცხლის ნაპერწკალი.

დეკემბრის ერთი წვიმიანი დღის შემდეგ მზემ გამოანათა, ნანვიმარზე გუბეში ბავშვებმა ქალაქის ნავი ჩაუშვეს.

ტანია თავის და ხელების კანკალით, ჯოხის დახმარებით ძლივს გამოფრატუნდა ეზოში, გაჭირვებით ხის გრძელ სკამთან მივიდა, მძიმედ დაეშვა, ჯერ ქალაქის ნავს დააჩერდა, თითქოს რალაცას იხსენებო, მერე მიმქრალ მზეს შეხედა... მზე შეკრთა, შეთამაშდა, მერე ბიის ტალღები წამოვიდა უზარმაზარი, მღვრიე. ფეხთან საშინელი ტკივილი იგრძნო. მთელი ტანი რალაცამ გაუშეშა, დედის ძახილი შემოესმა:

— Тан-я, далеко не уходиийий...

— Иду, мамочка, иду-у-у...

ახალი წლის წინა დღეს დაასაფლავეს ტანია... ვილაც მადლიანს გაახსენდა და გულზე ერთ მუჭა ციმბირული მინა მოაბნია, ქელეხის სუფრა მალე დაიშალა...

ყველას თავის სახლში ეჩქარებოდა... ბებერი ციმბირული კატა ბუსია ფანჯრის რაფაზე იჯდა და ეზოში შე-

1993 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის ტელე-კინოსარეჟისორო ფაკულტეტი (რეზო ჩხეიძის სახელოსნო). 1995-2005 წწ. — ტელეკომპანია „პირველი არხის“ დილის პროგრამისა და საავტორო გადაცემა „რაციოს“ დამდგმელი რეჟისორი. 2008-2009 წწ. მოზარდ-მაყურებელთა და სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრებში დადგა ვიდეონსტალიაციები სხვადასხვა სპექტაკლისათვის, ასევე, პიესა ერთ მოქმედებად. გადაღებული აქვს რეპორტაჟი პოლონეთის ტელევიზიისთვის თბილისში მცხოვრებ პოლონელებზე (2010) და მუსიკალური კლიპი ჯგუფისათვის „დეციში“ (2011). არის რეჟისორი, ოპერატორი, სცენარის ავტორი თუ მუსიკალური გამფორმებელი არაერთი დოკუმენტური, სარეკლამო და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა. მისი ფილმი „უსათაურო“ 1991 წელს დაჯილდოვდა დიპლომით საუკეთესო სტუდენტური ნამუშევრისათვის. ავტორია პოეტური კრებულებისა: „ჩემი წაწალი“ (2003); „სხვა იყო ურვა არაგველების“ (2007); „მიცნობდეთ, ლელა მუხას ასული“ (2012).

ლელა არაბული

# გვირდს ვერ აუვლი შენ ძველ სადგურებს...

*ქღვინება აფხაზეთში დაღუპულ მერაბ ნიქაბაძისა და საქართველოს მთლიანობისათვის თავგანწირულ მეომართა ხსოვნას.*

**მატარებლის ხმა, რომელიც ნელ-ნელა იკარგება.**

**გოგო** — მორჩა! აღარ ვიტყვებ. რომელი კაცი ღირს სატირლად, არცერთი... **(გული ამოუჯდება)** ნეტა სად ვარ? სად ჩამომავდო იმ არაკაცმა? **(ცრემლებს ინმენდს)** არაფრის თავი არ გაქვს, ნუ გაქვს, მე რას მერჩი? რა შუაში ვარ? თან როგორ მაგინებდა: შენი არაპროფესიონალი დედა... დედაა... დედიკოოო... რომ იცოდე შენი შვილი რა დღე-შიაა... **(ისევ გული ამოუჯდება)** როგორ იტანჯება ამ იდიოტების ხელში... რა ვქნა? რა გავაკეთო? ამ დახეულ ტანსაცმლით სად წავიდე? **(ნერვიულად ხსნის ჩანთას, იქექება)** გადავრჩი, კიდევ კარგი ნემსი და ძაფი არ წაიღო.

**ბიჭი** — მოგეხმარო? **(გოგო მოულოდნელობისგან შეხტება, ნემსი შეერჭობა თითში და შეიკვივებს)** მაპატიე, არ მინდოდა თითი გტკენოდა.

**გოგო** — ვინ ხარ?

**ბიჭი** — მკერავი შენსავით. **(ჯიბიდან ამოიღებს დანას, ღილაკით ხსნის)** ხომ არ შეგეშინდა?

**გოგო** — სულაც არა.

**ბიჭი** — მე შემემინდებოდა.

**გოგო** — რატომ?

**ბიჭი** — რა იცი, რა ხდება.

**გოგო** — ვერაფრით ვერ გამაკვირვებ.

**ბიჭი** — საინტერესოა. **(თავით ფეხებამდე ჩათვალაიერებს გოგოს)**

**გოგო** — რა?

**ბიჭი** — ეს ყველაფერი. **(დაჟინებულ მზერას არ აშორებს)**

**გოგო** — ხოო?

**ბიჭი** — ასეა.

**გოგო** — მართლა?

**ბიჭი** — ასიანი.

**გოგო** — მერე? **(კეკლუცად)**

**ბიჭი** — რა ვიცი აბა...

**გოგო** — ძალიან კარგადაც იცი.

**ბიჭი** — ასე გგონია?

**გოგო** — დარწმუნებული ვარ.

**ბიჭი** — **(მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინებს)** საიდან დავიწყობ?

**გოგო** — საიდანაც გინდა. **(ფეხს გამომწვევად შემოდებს რელსზე)**

**ბიჭი** — შენ?

**გოგო** — ფეხიდან თუ... მკერდიდან!

**ბიჭი** — არა, შეტრი-ალდი **(გოგო კეკლუცად შეტრილდება)** აი, აქედან ჯობია. ქვედაკაბა მაგარი გასაკერია.

**გოგო** — რა?.. გაიმეორე, რა თქვი?!

**ბიჭი** — აღარ მახსოვს.

**გოგო** — მოაშორე ეგ ოხერი ნემსი! შენც იმ არაკაცივით ფიქრობ?

**ბიჭი** — არ ვიცნობ შენს ახლობლებს.

**გოგო** — გგონია, რომ უნიჭო და არაპროფესიონალი ვარ?

**ბიჭი** — დღეს აქვს მაგას რამე მნიშვნელობა?!

**გოგო** — მე პროფესიონალი ვარ. ვისაც გინდა, ჰკითხე.

**ბიჭი** — აქ ვის ვკითხო?

**გოგო** — საინტერესოა ერთი შენ თვითონ რას წარმოადგენ? ვინ ხარ?

**ბიჭი** — მოიცა!

**გოგო** — რას აკეთებ?

**ბიჭი** — პასუხს ვეძებ.

**გოგო** — იპოვნე?

**ბიჭი** — ძნელი მოსაძებნია... იმედია, ან ნემსს ვიპოვნი, ან პასუხს.

**გოგო** — მოდი აქ!.. მომისმინე!

**ბიჭი** — ჯერ ვიპოვნო რაა... ერთი ფეხები აწიე.

**გოგო** — მომისმენ თუ არა? **(დაიყვირებს)** მთელი ცხოვრება ნავთს ვეთამაშები და როგორც კატა გალიაში ისე ვარ. გაიგე?

**ბიჭი** — კიი, როგორ არა. ჩიტი ხარ გალიაში, რომელიც ცეცხლს ეთამაშება, ოღონდ ის ჩიტი მერე კატამ შეჭამა.

**გოგო** — რომელმა კატამ? ჩიტი რა შუაშია?

**ბიჭი** — არაფერი, გააგრძელე.

**გოგო** — რას ვამბობდი?

**ბიჭი** — დღეგამოშვებით ცეცხლზე ნავთს მასხამენო.

**გოგო** — ეგ რას ნიშნავს?

**ბიჭი** — **(ღრმად ამოიოხრებს)** ანუ გამწარებენ რაა, თან მაგრად.



**გოგო** — ხო, ასეა, რაც თავი მახსოვს. დაუსვით მძიმე... აღარ მაქვს თავი ვზიდო სიმძიმე. ჩემი სხეული არის ნატანჯი, უფრორე სული... ჩემი წარსული გადახლართული, როგორც მავთული...

**ბიჭი** — *(ყვირილით)* არა, არ შემძლია!

**გოგო** — გაგიჟდი?

**ბიჭი** — საკმარისია! აი!

**გოგო** — რა ჯანდაბას აკეთებ?

**ბიჭი** — სულ დამბურძგლა, ვერ ხედავ? დაუსვით ტირე, დედა ვატირე მე ამ ცხოვრების, უმოძრაობის, ჩემი რაობის...

**გოგო** — წადი შენი!

**ბიჭი** — დიდი სიამოვნებით, მაგრამ სად? არავის არ ვჭირდები, არც საკუთარ თავს.

**გოგო** — არც მე არ მჭირდები. სექსი შენ არ გინდა, ლექსი შენ არ გინდა... ჩემს კლიენტებს კიდევ ძალიან მოსწონთ. იცი რა კარგად მიხდინა?

**ბიჭი** — ლექსი და სექსი ერთად უფრო ძვირია? არ ვიცოდი.

**გოგო** — აბა რაა?! ეს ხომ ჩემი შემოქმედებაა. *(თავმოხრულად)*

**ბიჭი** — მაგას წყალი არ გაუფა. *(ირონიულად)*

**გოგო** — ეგ რაღას ნიშნავს?

**ბიჭი** — აუ, შენ ლექსებს როგორ წერ?

**გოგო** — ძალიან ადვილად *(აიღებს ბიჭის ხელს და დაიდებს მარცხენა ძუძუზე გულის მხარეს)* აი, აქედან იწყება, გულიდან... მერე გადადის აქ, ყელთან... *(ბიჭის ხელს ყელთან მიიტანს)* მომიჭირე! უფრო მაგრად!

**ბიჭი** — ცხვირსახოცი სად გაქვს? ჩქარა მითხარი! *(ხმას შეიცვლის)*

**გოგო** — იმ მათხოვარმა იაგომ წაიღო.

**ბიჭი** — ვაა, შენ არ ხუმრობ.

**გოგო** — რა მენხუმრება, დღეს იცი რა გადავიტანე? ჯერ გამქურდა, მერე აქ დამტოვა, მანქანა ვერ დავიმახსოვრე. ისე სახელი კი არ მომეწონა თავიდანვე, იაგო... რაღაცნაირი სახელია. არც გამიგია.

**ბიჭი** — მორჩა, აღარ ვეჭვინანობ.

**გოგო** — ჩემი ერთი ახლობელივით ლაპარაკობ. სულ ეჭვინანობს, მაგრამ ისეთი კეთილია, მაინც ყველაფერში მესმარება.

**ბიჭი** — კორექტურას გიკეთებს?

**გოგო** — შენ ცოტა წესიერად ილაპარაკე! უპატიოსნესი ადამიანია.

**ბიჭი** — იმაზე პატიოსანი მაინც ვერ იქნება.

**გოგო** — ვისზე?

**ბიჭი** — ამ დანგრეულ შენობაზე... ნამო, გაგაცნო. *(გოგოს მოკიდებს ხელს და მიიყვანს დანგრეულ შენობასთან)* გაიცანი. მთელი ცხოვრება არავისთვის არ უწყენინებია და მაინც მიატოვეს.

**გოგო** — რას ბოდავ?

**ბიჭი** — იცი, რამდენი შეურაცხყოფა გადაიტანა? ძალიან ბევრი. მაგარი გულნატკენია.

**გოგო** — ჩემზე მეტად?

**ბიჭი** — რა თქმა უნდა. არ ეტყობა?

**გოგო** — ეს აყროლებული ნანგრევი გეცოდება და მე არა? რასაც მე ვიტან და ვუძლებ.

**ბიჭი** — შენგან განსხვავებით ეს ჩუმად იტანს. მოდი, მოვეფეროთ.

**გოგო** — მეტი საქმე არ მაქვს, აგურებს ვეფერო.

**ბიჭი** — ხომ ხედავ, ნაქცევაზეა.

**გოგო** — არა! გითხარი უკვე.

**ბიჭი** — მალე სულ აღარ იქნება. არ გეცოდება?

**გოგო** — რატომ უნდა მეცოდებოდეს? შენობა ადამიანია?

**ბიჭი** — ადამიანია შენობა. უცბად ინგრევა.

**ხმა შენობის შიგნიდან** — მოკეტავთ თუ არა?

**გოგო** — ვაიმე, ეს რა იყო? კინალამ გული გამისკდა.

**ბიჭი** — ბებერი მგელი ალაპარაკდა.

**გოგო** — რა საშინელი ხმაა.

**ბიჭი** — შენობას საერთოდ ასეთი ხმა აქვს. არ იცოდი?

**გოგო** — წავიდე, გეზვებები, მეშინია.

**ბიჭი** — ხომ გითხარი, არ მაქვს წასასვლელი.

**ხმა შენობის შიგნიდან** — მე გაგიშვებთ ახლა ორივეს, სადაც საჭიროა.

**ბიჭი** — ხომ ხედავ, რა ჯიგარია. მაგარ ადგილას გვიშვებს. ეგებ გვეშველოს.

**გოგო** — გავიქცეთ, გთხოვ.

**ბიჭი** — ჯერ გზა გვასწავლოს და მერე გავიქცეთ უკან-მოუხედავად, აბა რა.

**შენობიდან გამოდის მამაკაცი.**

**კაცი** — ვინ ოხრები ხართ, ამ დილაუთენია თავი რომ ამხადეთ გაუთავებელი, სულელური ფილოსოფიით?

**გოგო** — უკვე საღამოა.

**კაცი** — ქალის ხმა ნუ მესმის! კაცს ვეკითხები.

**ბიჭი** — კითხვა ვერ გავიგე.

**გოგო** — რა ვერ გაიგე? მეორე იაგოა, ვერ ხედავ?

**კაცი** — შენთვის ლაპარაკის უფლება არ მომიცია. იაგო ვინ არის?

**გოგო** — ვინ არის და...

**კაცი** — გააჩუმეთ ეს გოგო!

**ბიჭი** — სამწუხაროდ, შეუძლებელია.

**კაცი** — რაო? დაიმახსოვრე! შეუძლებელი არაფერია, თუ ადამიანი მოინდომებს. მოდი აქ! კიდევ ერთხელ გეკითხები: რა უფლებით შემოიჭირით ჩემს ტერიტორიაზე და ვინ ხართ?

**ბიჭი** — მე? მარტო ის ვიცი, რომ არავის არ ვჭირდები და ეს? *(გოგოზე მიუთითებს)* პერიოდულად საჭირო ქალია, თან ლექსებს წერს. თუ გინდათ, ნავიკითხავთ. დაუზარელია.

**კაცი** — დამცინი? გაფრთხილებ, უმძიმესი ღამე მქონდა.

**გოგო** — არ მიაქციოთ ყურადღება. მაგან ეგეთი უცნაური ლაპარაკი იცის. მეც ძლივს ვიგებ ხოლმე, რას მეუბნება.

**ბიჭი** — პრინციპულად არ ჩუმდება.

**კაცი** — იცოდე, აქაურობას არავის წავაბილწინებ. ამას ასე რატომ აცვია?

**ბიჭი** — რა, არ უხდება?

**კაცი** — არ გირჩევ ჩემს ნერვებზე თამაშს.

**გოგო** — ვაიმე, არ სცემოთ რაა, ძალიან გთხოვთ.

**ბიჭი** — შენი ბრალია ყველაფერი. რატომ გაცვია ასე?

**გოგო** — აბა სხვანაირად ვინ მომაქცევს ყურადღებას? იქ ყველას ასე გვაცვია.

**კაცი** — შენ არ გეკითხები! ამან მიპასუხოს, სად იქ?

**ბიჭი** — გადასაღებ მოედანზე. მსახიობები ვართ. შე-



მოქმედებით ჯგუფს ჩამოვრჩით და მატარებელს ველოდებით, რომ უკან დაგვბრუნდეთ.

**კაცი** — მართლა?

**გოგო** — ჰო.

**ბიჭი** — ნატანჯი ქალის ისტორიაა, რომელიც კეთილი და გულიანია, მაგრამ მეძავი.

**გოგო** — სხვა რაღაც მაინც გეთქვა. როგორ მეზიზღება ეს სიტყვა-მეძავი.

**ბიჭი** — შენი არჩეული როლია.

**კაცი** — მართალია ეს გოგო ცოტა უხეშად ჟღერს. შენ რას თამაშობ?

**ბიჭი** — სუტენიორს.

**გოგო** — არ დაუჯეროთ, იტყუება. სხვა სუტენიორი მყავს, რომელიც მომკლავს, დროზე თუ არ დაგვბრუნდი.

**ბიჭი** — პროფესიონალია. ისეა შესული როლში, ვეღარ გამოდის.

**კაცი** — ასე გადალაც არ შეიძლება, უნდა დაისვენო. მძიმე პროფესია გაქვს.

**გოგო** — უმძიმესი. დღეს ერთმა არაკაცმა ისე გამამწარა, ისე... ისე...

**კაცი** — როგორ გაბედა? შენ რას მიკეთებდი ამ დროს?

**ბიჭი** — გვიან გავიგე.

**კაცი** — გული როგორ გითმენს? სასწრაფოდ უნდა მოძებნო და ასწავლო ქალის პატივისცემა.

**ბიჭი** — გაურკვეველი მართულებით გაიქცა.

**კაცი** — მერე რა? შენი კაცური ვალია ცხვირ-პირი მიუღწეო, რომ მეორედ ვეღარ გაბედოს ქალის წყენა და შეუარაცყოფა.

**ბიჭი** — ძლივს არ გამოიკვეთა ჩემი ცხოვრების აზრი?!

**გოგო** — მერე?

**ბიჭი** — არაფერი. დავმშვიდდი.

**გოგო** — ხო არა? მე კიდევ ახლა გავაფრენ.

**კაცი** — ქალს უხდება გაფრენა.

**ბიჭი** — არა მგონია, გავუძლოთ. თუ ისროლა პარიკი და დაიწყო ლექსაობა...

**გოგო** — არა, ქვების სროლას ვაპირებ.

**ბიჭი** — მოგანოდო?

**გოგო** — შენი საქმის შენ იცი. მე აქ გამჩერებელი აღარ ვარ.

**კაცი** — ბრძოლაში ქალი ყოველთვის დაბრკოლებაა, თუ მაია წყნეთელი არ არის.

**გოგო** — ჩერდება აქ მატარებელი?

**კაცი** — ჩემმა მატარებელმა დიდი ხანია ჩაიარა.

**გოგო** — მეორე როდის იქნება, არ იცით?

**კაცი** — ძალიან დადლილი ვარ (*ბიჭს გადახედავს*) ვერ გავიგე, რა უნდა.

**ბიჭი** — ნასვლა, მაგრამ მარტო არ გაიშვება. გავაცვილებ.

**კაცი** — ბრძოლის ველიდან მხოლოდ ლაჩრები გარბიან. ქალს ეპატიება, სათუთია, მაგრამ შენ ვაჟკაცი ჩანხარ. მარტო დავრჩი. ძალიან გამიჭირდება აქაურობის დაცვა.

**გოგო** — შემთხვევით იმ ნანგრევის ხომ არა, წელან რომ უნდა მოვფერებოდი?

**ბიჭი** — ხო, მაგრამ ვერ გაიძულე და...

**კაცი** — ეს ნანგრევი არ არის, საქართველოა.

**გოგო** — საქართველოში რომ ვართ ვიცით, მაგრამ ამ ადგილს რა ქვია?

**კაცი** — ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა. მე გუშავი ვარ.

**გოგო** — უშანგი? რა უცნაურ სახელებს ვიგებ დღეს.

**ბიჭი** — უშანგი კი არა, გუშავი, ქალო.

**გოგო** — ქალო? ესლა მაკლდა. სიტყვები შეარჩიე! შენი ცოლი კი არ ვარ.

**ბიჭი** — კიდევ კარგი.

**გოგო** — რა? არასოდეს ცოლად არ გამოგყვები, ძალიანაც რომ გინდოდეს.

**კაცი** — არასოდეს არ თქვა „არასოდეს“. ხვალ შეიძლება გახდეს კიდევ. ვინ იცის?

**ბიჭი** — ასეთი ქალი ოჯახში შეიშვება?

**გოგო** — მაინც როგორი?

**ბიჭი** — მსახიობი, პოეტი. მძიმე ასატანია.

**გოგო** — მე ვარ მძიმე? რამდენი მყოლია და შენნაირი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

**კაცი** — გეყოფათ! ბიჭებს გამიღვიძებთ.

**გოგო** — იქ კიდევ ვინმეა?

**კაცი** — ხო, ამიტომ ცოტა ჩუმად.

**გოგო** — აბა, რატომ ყვიროდით?

**კაცი** — მე? როდის?

**გოგო** — სანამ გამოხვიდოდით. ასე არ იყო? (*ბიჭს*)

**ბიჭი** — შენ ვინმეს ყვირილი გიკვირს?

**გოგო** — არანაირად.

**ბიჭი** — აბა რა გინდა?

**გოგო** — რატომ არ ელვიძებათ ხმაურზე?

**კაცი** — ძალიან ახალგაზრდები არიან. გადამელაღნენ.

**გოგო** — მე გამელვიძებოდა.

**ბიჭი** — მორჩები თუ არა? (*შკაცრად*)

**გოგო** — რა ვთქვი ასეთი? ყველაფერზე შენიშვნას მაძლევ.

**ბიჭი** — თავიდან იწყებ?

**გოგო** — არა, მივდივარ.

**კაცი** — უკვე მიდიხარ? ნება თქვენია. ნავალ, დაჭრილებს მივხედავ. (*გაემართება შენობისკენ. უცბად ჩერდება და გამოიხედავს*) პირდაპირ იარეთ. მოკლე გზაა. (*შედის შენობაში*)



მხატვარი თამარ მინაშვილი

**ბიჭი** — გაიგონე, რა თქვა?

**გოგო** — კი, პირდაპირ იარეთო. ნავედით.

**ბიჭი** — ნარმოუდგენელია. *(რელსზე დაეშვება)*

**გოგო** — ვაიმე, დაჯდა, დავიღუპე. ახლა ამას რა ააყენებს?!

**ბიჭი** — დაჭრილებიო, გესმის შენ?

**გოგო** — მერე რა?

**ბიჭი** — როგორ თუ რა?

**გოგო** — მე არ დავრჩები.

**ბიჭი** — დარჩები! უნდა დავეხმაროთ.

**გოგო** — შარში გინდა გაეხვიო?

**ბიჭი** — ვერ მივატოვებთ, გამორიცხულია.

**გოგო** — გამაგებინე, რა შენი საქმეა? რას ეტენები?

**ბიჭი** — არ ვეტენები.

**გოგო** — ეტენები. *(შენობიდან გამოდის კაცი)*

**კაცი** — ასეც ვიცოდი, რომ დარჩებოდით. ეჭვიც არ მებარებოდა. გენაცვალეთ თქვენ!

**ბიჭი** — გადაიფიქრა. *(ხელს გადახვევს გოგოს)*

**გოგო** — ხელი!

**ბიჭი** — აი, ასეთი მკაცრია ზოგჯერ.

**კაცი** — ძალიან გამიმართლა. ძლიერი ქალები გვჭირდება წინა ხაზზე, ძლიერი.

**გოგო** — აბა ხაზები?

**ბიჭი** — ჩუმად მაინც მკითხე ხოლმე, როცა რაღაცას ვერ იგებ.

**კაცი** — ახლავე აგისხნით ყველაფერს. ცოტა რთული ტაქტიკა კია, მაგრამ არა უშავს.

**გოგო** — არაფრის მოსმენას არ ვაპირებ.

**კაცი** — მართალი ხარ. ჯერჯერობით არ გვჭირდება, მაგრამ მზად იყავი.

**ბიჭი** — ეგ ფაქტიურად სულ მზადაა. არ სჭირდება შეხსენება.

**კაცი** — თქვენი დიდი იმედი მაქვს. ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ყველამ მიმატოვა.

**ბიჭი** — ეტყობა, ვერ გაქაჩეს, არა უშავს. ჩვენ ხომ აქ ვართ.

**გოგო** — ჩვენ — არა, შენ. მე აქ არა ვარ...

**ბიჭი** — რა ვიცი, მაინც გხედავთ და...

**კაცი** — ქალს ყოველთვის და ყველგან უნდა ვხედავდეთ... ყვავილები არიან.

**გოგო** — ახლა გავხდი ყვავილი, როცა დაგჭირდით?

**ბიჭი** — რაც ბევრს აღარ ლაპარაკობ, უფრო გალამაზდი.

**გოგო** — ვერ გიტან, დანახვა არ მინდა შენი.

**კაცი** — არ გენწყინოს. *(ბიჭს) ომში ადამიანი ყოველთვის ემოციურია, განსაკუთრებით ქალი.*

**გოგო** — სად არის ემოციური?

**კაცი** — ომში, რომელიც დაიწყო და გრძელდება. ნავედით *(შენობისკენ გაემართება)* ჩემი ბიჭები მინდა გაგაცნოთ. გაიღვიძებდნენ უკვე.

**გოგო** — არსადაც არ წამოვალ.

**ბიჭი** — რა დაგემართა? წამოდი.

**გოგო** — არა!

**კაცი** — არა უშავს, დარჩეს. აქაურობას მიხედავს. *(შედიან შენობაში)*

**გოგო** — მეტი საქმე არ მაქვს. რას ბოდავენ? ვერაფერი ვერ გავიგე. ეს ვის გადავეყარე? რა დავაშავე ასეთი? ყველაფერი იმ დამპალი იაგოს ბრალია, როგორ დამთარსა.

ის მაინც ვიცოდე, სად ვარ. *(შენობიდან გამოდის ბიჭი, მიუახლოვდება გოგოს)*

**ბიჭი** — რას შვრები? ხომ არ მოინყინე?

**გოგო** — არა. შენ?

**ბიჭი** — არც მე.

**გოგო** — იქ რა ხდება? რა ამბებია?

**ბიჭი** — არაფერი ისეთი, მშვიდობაა.

**გოგო** — აბა, რა სახე გაქვს?!

**ბიჭი** — ძალიან სიმპათიური, როგორც ყოველთვის.

**გოგო** — გაიცანი ის ტიპები?

**ბიჭი** — ვერა.

**გოგო** — რატომ?

**ბიჭი** — მარტოა და იმიტომ.

**გოგო** — მარტო?

**ბიჭი** — ხო, საერთოდ არავინ არ არის.

**გოგო** — მართლა?

**ბიჭი** — ცარიელია იქაურობა.

**გოგო** — რას ამბობ?

*(შენობიდან გამოდის კაცი, მხრებზე მოხსმული აქვს დაგლეჯილი ფარაჯა, გამოემართება ამათკენ.)*

**კაცი** — როგორი ბიჭები მყავს?

**ბიჭი** — ძალიან მაგარი.

**კაცი** — ნამდვილი ვაჟკაცები არიან. თქვენც კარგები ხართ ძალიან. მშვიდად მივდივარ.

**გოგო** — მიდიხართ? სად?

**კაცი** — ბიჭები უნდა მოვძებნო.

**ბიჭი** — ვინ ბიჭები?

**კაცი** — ჩემი ჯარისკაცები.

**ბიჭი** — აბა, ესენი ვინ არიან?

**კაცი** — სხვები. გუშინ აქ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრნენ და ვუვლი. ჩემს ბიჭებზე მითხრეს, დაიღუპნენო, მაგრამ არ მჯერა. უბრალოდ გზა აებნათ. ძალიან ახალგაზრდები არიან, გამოუცდელები.

**ბიჭი** — მერე ახლა სად უნდა ეძებოთ?

**კაცი** — სადაც ბევრი წყალია.

**გოგო** — აქ სადმე მდინარეა?

**კაცი** — არა, ზღვაა.

**ბიჭი** — რომელი ზღვა?

**კაცი** — შავი, მაგრამ რატომ შავი? როცა ლურჯია, თუმცა მერე განითლდა სისხლისგან.

**ბიჭი** — ზღვა აქედან ძალიან შორსაა, ვაითუ გზაში აცდეთ ერთმანეთს.

**გოგო** — ძალიან გთხოვთ, არ წახვიდეთ. როგორ უნდა იაროთ?

**კაცი** — ნუ გეშინიათ. მაინც ვიპოვნე. ჩემს თავს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ, მაშინ რომ არ გავყევი და მარტო გავუშვი. ნეტავი მე წავსულიყავი და ისინი დამეტოვებინა, ახლა ხომ აქ მეყოლებოდნენ. ჩემი ბრალია ყველაფერი, ამიტომ უნდა ვიპოვნო. მათ დედებს სიტყვა მივეცი. ნამდვილად ვიცი, რომ მალე ვიპოვნე. თქვენც ხომ გჯერათ?

**გოგო** — რა თქმა უნდა.

**კაცი** — მერე ეგრევე დავბრუნდები და იმათაც გაგაცნობთ. ოქრო ბიჭები არიან. დაჭრილების მოვლა ხომ იცით?

**გოგო** — გამოცდილი ექთანია ვარ.

**ბიჭი** — მეც ყველაფერში ვერკვევი.

**კაცი** — ამ ბიჭების სიცოცხლე თქვენს ხელშია. ჩემს დაბრუნებამდე უნდა მიმიხედოთ, განსაკუთრებით პატა-

რას. დღეს შეუსრულდა 17 წელი. რომ გენახათ, როგორ იბრძოდნენ. ვენაცვალე მაგათ.

**გოგო** — არ ინერვიულოთ, ყველაფერს გავაკეთებთ. ერთი წუთითაც არ დავტოვებთ.

**კაცი** — ნახევარ საათში ქრილობები გადაუხვიეთ და პატარას ნამალი დააღვინეთ.

**გოგო** — აუცილებლად.

**კაცი** — მთავარია არ გაცივდნენ.

**ბიჭი** — თქვენს დაბრუნებამდე ფეხზე დავაყენებთ სუყველას.

**კაცი** — ეჭვიც არ მეპარება. აბა, თქვენ იცით. დამშვიდობება არ მიყვარს, არაფერი არ მითხრათ. წავედი.

**დგება, გაისწორებს ფარაჯას და ნელა გაუყვება გზას რელსებს შუა.**

**გოგო** — რა საშინელებაა... ნეტავი საით წავიდა?

**ბიჭი** — ვინ იცის. წამოდი, გავაცილებ.

**გოგო** — შენც ხომ მოდიხარ?

**ბიჭი** — არა, მე აქაურობა ჩამაბარეს, დაჭრილებს უნდა მივხედო.

**გოგო** — რა სისულელეა, კარგი რაა.

**ბიჭი** — შევპირდით. დავავინყვდა?

**გოგო** — გული მწყდება, რომ რჩები, თუმცა ეგებ შევხვდეთ კიდევ ოდესმე.

**ბიჭი** — კარგი იქნება.

**გოგო** — მე კაცებს სახელს არასოდეს არ ვეკითხები, მაინც სულ იტყუებიან. არც შენ არ გეკითხავ.

**ბიჭი** — ისე, იაგოზე უკეთესი სახელი კი მქვია. ჩემზე ნაწყენი ხომ არ ხარ, ლექსი რომ არ მოვისმინე ბოლომდე?

**გოგო** — მაინც არ მახსოვდა.

**ბიჭი** — არ უნდა წერო გრძელი ლექსები.

**გოგო** — საშინელებაა.

**ბიჭი** — გეთანხმები, ძნელი დასამახსოვრებელია.

**გოგო** — არა, სხვა რალაცას გეუბნები: საშინელებაა, როცა ყველაფერი კარგი გავინყვდება და მარტო ცუდი გახსოვს. გამოგიცდია?

**ბიჭი** — კი, როგორ არა.

**გოგო** — ამ ბოლო დროს რალაც სულ ასე ვარ და იცი რა მინდება?

**ბიჭი** — ვიცი, გათხოვება.

**გოგო** — რა? მორჩა! (**წამოხტება**) ამის ატანა აღარ შემიძლია. მარტო წავალ. არ მჭირდება შენი გაცილება. (**შეტრიალდება და გაუყვება გზას ლიანდაგზე რელსებს შორის**)

**ბიჭი** — ანა, ანა, პარიკი რატომ არ მესროლენ? (**გოგო ჩერდება, მოიხსნის პარიკს და ჯიქურ გამოემართება ბიჭისკენ, თავზე დაადგება**)

**გოგო** — როგორ მიხვდი, რომ ანა მქვია?

**ბიჭი** — კარენინას ბოლო გელის.

**გოგო** — ვისი?

**მოახლოებული მატარებლის ხმა.**

**ბიჭი** — არავისი. მატარებელი გაიხლოვდება, გადმოდი.

**გოგო** — მიახლოება... მოახლოება...დაახლოება.

**მატარებლის ხმა.**

**ბიჭი** — რა დროს ლექსებია? მატარებელი გაიხლოვდება-მეთქი. არ გესმის?

**გოგო** — გამიშვი ხელი!

**ბიჭი** — მატარებელი მოდის, შენი დედაც... (**ვინებას მოახლოებული მატარებლის საყვირი ახშობს. მატარებელი ხმაურით ჩაივლის**)

**გოგო** — შენმა მატარებელმა გვერდზე გადაუხვია, კასკადიორო.

**ბიჭი** — სხვა პროფესია მაქვს. მთელი ცხოვრება ვიღებ.

**გოგო** — დარტყმებს.

**ბიჭი** — ცხვირზე მეტყობა?

**გოგო** — იქნებ ინებო, ადგომაში მომეხმარო.

**ბიჭი** — რა თქმა უნდა. რამე ხომ არ იტკინენ?

**გოგო** — სისხლი მომდის ხელიდან, ვერ ხედავ?

**ბიჭი** — მოიცა, ერთი წუთი. (**დაფაცურდება. ამოიღებს სიგარეტის ღერს და თუთუნს იყრის ხელის გულზე**)

**გოგო** — რას შერები? ბოლდები?

**ბიჭი** — მე კი არა, შენ უნდა დაგაბოლოო ისე, ათასი ნელი ვერ ადგე. აი, ამ ლიანდაგზე ველარ იბოდილო. იდიოტური აზრებიც გაგიქრება ამ... (**შეათვალისწინებს გოგოს**) ისე, ლამაზი ფორმის თავი გაქვს.

**გოგო** — შეეშვი ჩემს თავს.

**ბიჭი** — მოდი, მოდი, თუთუნი დაგაყარო. მანახე ხელი.

**(გოგო ხელს გაანვიწინებს)**

**გოგო** — იცი, რას მივხვდი? თევი ვარ.

**ბიჭი** — მე ვერ დამაბრალებ. არ დამიბოლებიხარ.

**გოგო** — ასეა. წყლიდან ამოყრილი, პირდაღებული თევზები ვართ.

**ბიჭი** — აუ, ეს რა მაგარი რალაც მასწავლე.

**გოგო** — მე ვიცი, სადაც არის წყალი.

**ბიჭი** — აქ, სადაც ტუალეტი კია, მაგრამ მეექვსება წყალი მოდიოდეს. თუ გინდა, აჭარაში წადი. აბა აფხაზეთი დავკარგეთ და...

**გოგო** — შენი ლადაობა სულ ფეხებზე მკიდია.

**ბიჭი** — ისე, ფეხებსაც არა უშავს.

**გოგო** — მაინც ვიპოვნი.

**ბიჭი** — რას?

**გოგო** — გზას... არ ამეკილო, არ გამომეკილო. გასაგებია?

**ბიჭი** — ვინ აღარ შემხვედრია ამ გზაზე: მანანალები, მრუში ალები, უცხო ქალები... ფუ, შენი მეც რითმებით ავლაპარაკდი... რაო? ყველა გზა რომში მიდის?

**გოგო** — ქუსლი მომტყვდა, სხვათა შორის შენი წყალობით. ასე კოჭლობით როგორ ვიარო? ბარემ მეორესაც მოატყენე.

**კაცი** — მომეხმარეთ ვინმე!

**გოგო** — ვაიმე, ვინ არის?

**ბიჭი** — მოიცა. (**წამოხტება და გაემართება შენობისკენ, რომლის უკანა მხრიდან შემოლასლასდება კაცი, ხელზე გადაფენილი აქვს ჯარისკაცის სამხედრო ფარაჯა, თითქოს ადამიანი შემოყავდეს**)

**კაცი** — მომეხმარე ჩქარა! დავანვინოთ, ფროთხილად! (**ბიჭი და კაცი ნელა დებენ მინაზე ფარაჯას**)

**გოგო** — რა ხდება?

**კაცი** — არაფერი. დასუსტებულია. ბევრი ვიარეთ. გზაში ცუდად გამიხდა. იყოს აქ, სუფთა ჰაერი მოუხდება. მეც დავისვენებ ცოტას.

**გოგო** — ცუდად ხომ არ ხართ?

**კაცი** — არა, ასე კარგად დიდი ხანია არ ვყოფილვარ. ყველა ვიპოვნე. ეს ობოლია და წამოვიყვანე. აქ მეყოლება ჩემთან.

**ბიჭი** — ყველა იპოვნეთ? რა მაგარია.

**გოგო** — მეც მიხარია ძალიან.

**კაცი** — თქვენ შემოგველეთ ორივეს, რომ არ მიმიტოვებთ ბიჭები. როგორ არიან?

**ბიჭი** — ძალიან მაგრად. სულ თქვენ გახსენებდნენ.

**გოგო** — ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც გვითხარით.

**კაცი** — ალბათ როგორ დაილაღეთ.

**გოგო** — რას ამბობთ? სულაც არა.

**კაცი** — საოცარი დღეა. ასეთი დაღლილი რომ არ ვიყო, დილაზე ვისაუბრებდით, მაგრამ ცოტა ხანი უნდა მივწვე. ჩემს ბიჭებთანაც ბევრი მაქვს სასაუბრო. *(დგება. გაემართება ფარაჯისკენ)*

**ბიჭი** — ხომ არ მოგეხმაროთ?

**კაცი** — არა, დღეიდან მე მინდა ვიყო შენს გვერდით, თუ ოდესმე დაგჭირდები. *(ფრთხილად გადაიფენს ფარაჯას ხელებზე და შედის შენობაში)*

**გოგო** — რა ცოდოა არა?

**ბიჭი** — ეეჰ, ოქროს თევზი მაინც იყო...

**გოგო** — რა თქვი?

**ბიჭი** — სურვილებს აგვისრულებდი ყველას.

**გოგო** — სისულელე გავაკეთე, რომ დავბრუნდი. შენისთანა მოცლილი მილიონი შემხვებოდა გზაზე.

**ბიჭი** — შენ არ მითხარი თევზი ვარო. რატომ ბრაზდები?

**გოგო** — იმიტომ, რომ ვეღარ ვუძლებ შენნაირებს. ყველგან ხართ: ქუჩაში, აღმართში, დაღმართში. დავილაღე.

**ბიჭი** — მოდი, დაჯექი, დაისვენე.

**გოგო** — თავი გამანებე! ნერვებს ნუ მიშლი!

**ბიჭი** — მოკლედ, როგორც ვხედავ, ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა: შენი ლიანდაგზე ბოდიალი, მოტეხილი ქუსლი, მათხოვრული პენსიები, უმუშევრობა...

**გოგო** — ნადი რა, ადამიანი არა ხარ?

**ბიჭი** — ვარ, სამწუხაროდ.

**გოგო** — შემეშვი! მარტო მინდა ყოფნა.

**ბიჭი** — მაშინ იმ კაცთან ერთად წაუფიქრებ.

**გოგო** — ძილი ნებისა.

**ბიჭი** — არ გამოვა. ძილში ისე ვყვირი... შენ?

**გოგო** — უძილობა მჭირს.

**ბიჭი** — მაგიტომ ლაპარაკობ რითმებით?

**გოგო** — ხო, როგორ მიხვდი?

**ბიჭი** — მეც გადმომედო, ნახე: ბელი-მატარებელი, ონი-ვაგონი, გზა-რკინიგზა, რკინა-მინა.

**გოგო** — ძალიან დამლაღე.

**ბიჭი** — შენსავით ვერ ვქაჩავ, რას ვიზამთ.

**გოგო** — მიდიხარ თუ არა?

**ბიჭი** — ტვინი გაგიბურღე, თავი მოგაბეზრე, ხელი გატკინე... არ გენყინოს რა...

**გოგო** — ნახე, რა უცნაური მატარებელია.

**ბიჭი** — ხო, *(პაუზა)* ნავედი.

**გოგო** — მადლობა ღმერთს.

**ბიჭი** — გავიქეცი, თორემ გამასწრებს.

**გოგო** — მოიცა, რას აპირებ?

**ბიჭი** — მიხარია, რომ გაგიცანი. *(მატარებლის ხმა ძლიერდება)*

**გოგო** — სად გარბიხარ?

**ბიჭი** — თუ დავბრუნდი, ბევრს ვიცინებთ ყველაფერზე. გაიგე?

**გოგო** — რა გქვია? ის მაინც მითხარი, რა გქვია?

**ბიჭი** — *(მატარებლის ხმის ფონზე)* დაუსვით ტირე, დედა ვატირე მე ამ ცხოვრების, უმოძრაობის, ჩემი რაობის...

**გოგო** — დაუსვით მძიმე... აღარ მაქვს თავი ვზიდო სიმძიმე. ჩემი სხეული არის ნატანჯი, უფროვე სული... ჩემი წარსული გადახლართული, როგორც მავთული...



ოჰ, ეს ნარატივი, თხრობა და ისტორია, ცხოვრების გზა და აზრი, სიცოცხლე და სიუჟეტი, კარგად დავინყებულები ძველი, ელიტურად გაპიარებული, მაგრამ მაინც უბრალო, გასაგები, თბილი, ადამიანური, ძვირფასი, არსებითი.

ამბავი. სხვა რა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამქვეყნად დატოვოს. არც არაფერი. თუმცა დატოვება ერთია და დამახსოვრება მეორე. იქაც ბედი გინდა.

მერაბ სიღამონიძე

ქველი უზნის კრიალოსანი

*ვუძღვნი - მამიდაჩემის, მარიამ სიღამონიძის ხსოვნას*

1. აი, აქ, „კაკალა“ ცხოვრობდა... ვალიკო ჯუღელის ნაგვარდიელი, როკის მთამდე მოთარეშეს, ჯილდოდ, გერიანი ოსის ქალი რომ ჩამოეყვანა და, ცოლად დაესვა. ამ კაკლის ძირში ჩამომჯდარი, სითეთრეში ჩაკარგული - ყალიონით ხელში, ხშირად გვიყვებოდა ბავშვებს, ოსების კავკასიონზე გადარეკვის ამბავს...
2. აი, აქ, ჩვენ ვცხოვრობდით... მახსოვს, ცხონებული პაპაჩემი, ომში დაღუპულთა შვილებს, პატარა გოდრებს უწნავდა. თითქოს უნდოდა, პატარა მხრებისთვის, შეემსუბუქებინა, ობლობის სიმძიმე. ცხენების ცემა იცოდა, რა მათი ბრალი იყო, ომიდან, ორი შვილის არ დაბრუნება...
3. აი, აქ, გენადა ცხოვრობდა... ორმეტრიანი, ცისფერთვალეა რუსი, დღე და ღამე,

რამ ბედნიერი ხალხი ყოფილა ეს „კაკალა“, ვალიკო ჯუღელის ნაგვარ-დიელი, ომში შვილებდაკარგული პაპა, რუსი გენადა, ბესა ბაბო, ტოტო და ევა, მუნჯი კატო, რომ ისეთი კარგი დამ-მახსოვრებელი და მთხრობელი შეხვდათ, როგორც მერაბ სიდამონიძეა.

კარგი მაქებარი მარტო აქილევეს კი არა, ყველას სჭირდება, ვინც ოდნავ მაინც იმსახურებს, რადგან ამბავი თითის ანაბეჭდით არის — ერთი შეხედვით ყველა ერთმანეთს ჰგავს, შიგნიდან კი ერთადერთი და განუმეორებელია.

წიგნი ეჭირა ხელში, თოხისა და ბარის ნაცვლად. და იყო, გაუთავებელი ჩხუბი, თავის მეტრანახევრიან ცოლთან ომის დროს, ბელორუსიის ტყეებში ეპოვნა მამობილს, შესცოდებოდა და ნამოეყვანა. დღეს რომ, გაღიმებული გასცქერის გაბროს ქვიდან — ლიახვის ქალებს...

4.

აი, აქ, ბესა ცხოვრობდა... მარტოხელა, მოხუცი ქალი, სოფელში ამბობდნენ — ალები ჰყავსო. ჭიშკართან მაისის ბალი ედგა, აუძალღმობი, ბალი რომ შემოვიდოდა, ძალღს გადააბამდა ხოლმე-სახლის უკან — ჩვენ გასახარად! ...ერთხელ, ეზოში შეგვიპატიჟა — მურაბებით გაგვიმასპინძლდა. და როცა ვკითხეთ — „ბესო ბაბო, მართლა ალები გყავსო?“ ცრემლები ნამოუვიდა, მოგვეფერა, შებრუნდა სახლში და, იქიდან გვესმოდა ქვითინი, მურაბით მოთხუპნულ ბავშვებს...


5.

აი, აქ, ტოტო და ევა ცხოვრობდნენ... ერთადერთი შვილი დაჰკარგოდათ, ომის ქარცეცხლში. საქართველოში, ყველა მკითხავი მოეველოთ, „ცოცხალიაო“ —

პირი შეეკრათ იმათაც ერთხმად. ...სამოცდაათიან წლებში, გორში ჩამოსული ამერიკელი ტურისტები, რატომღაც, ჩვენი სოფლის ნახვას მოისურვებენ. ჯგუფს გამოეყოფა ერთი, ამოუყვება ჩვენს ორღობეს, ტოტოს და ევას გამოკეტილ, გავერანებულ სახლს, დაუნყებს ფოტოების გადაღებას. გაბრუნდება და, ბალიდან მომავალ მამიდაჩემს, თავისი, რვაშვილიანი ოჯახის სურათს — აჩუქებს. სიტყვაუთქმელი გაცელება იქაურობას. საღამოს, მამიდა იტყვის ჩურჩულით, ცრემლით — “ამირანი იყო, ტოტოს ბიჭიო”... რეპრესიების ცეცხლი, კარგა ხნის ჩამქრალი იყო, მაგრამ, ალაგ-ალაგ ნალველფარზე ამონაბოლქვი, მაინც უწვავდა თვალებს, ადამიანებს...

6.

აი, აქ, “თევზირაანი” ცხოვრობდნენ... აქ ცხოვრობდა მუნჯი კატო, ღმერთს ყველაფერი გულუხვად რომ მიეცა, ენის გარდა. მუდამ ხალისიანი და მომღიმარი — ფენშიშველი დაქროდა, სოფლის ბაღ — მინდვრებში. ერთ დღეს, სკოლის დირექტორის “რიჟა” ბიჭს, ციხეებთან გამოეჭირა და ძალა ეხმარა. ტირილს ვერ დაარქმევდი, უფრო ღმუროდა საცოდავი, ღამ — ღამობით. მენველი ძროხა მოუყვანეს, კატოს ძმას, დირექტორის ნათესავებმა, და მანაც, მალე, შორეულ სოფელში, ვიღაც კოჭლ კაცს გააყოლა ცოლად. ...გაივლის ხანი, ბრწყინვალე მწერალი, დედით ფხვენისელი, სულგანათლებული — ოთარ ჩხეიძე, დანერს მშვენიერ პიესას და, მთელ საქართველოს გააგებინებს — მუნჯი კატოს ამბავს... ....დღეს კი, მხოლოდ გენადას ქვრივი და, „კათელაურის“ ტალები დადიან, ძველ უბანში, ორივენი რალაცას ბურტყუნებენ, ცხოვრების ამოებაზე ხელჩაქნეულები.







ნუნუ ჯანელიძეს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე არაერთხელ შევხვედრივართ, მაგრამ ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პირველად გამოდის მკითხველის წინაშე. იგრძნობა, როგორ განიცდის, როგორ ღელავს, როგორც მსახიობი სცენაზე გასვლის წინ. რაღაც უცნაურ, დამატებით ფაქტორს ქმნის ლექსში პოეტის შინაგანი მღელვარება და გარეგნული სიმშვიდე.

სხვათა შორის, მართლაც არის ამ პოეტურ აღსარებებში არტისტული, თეატრალური, სახიობური. თითოეული ლექსი იკითხება როგორც დრამატული მონოლოგი, რომელსაც აქვს თავისი სივრცე, ჰყავს შემსრულებელი და, როდენ უცნაურიც უნდა იყოს, მაყურებელი. პოეტისა არ იყოს, ლექსის წერა წყალზე სიარულს ჰგავს, და რადგან ასეა, მაშინ ეს სასწაული უპირველეს ყოვლისა მაყურებელს მოითხოვს. იყოს ასე და ამგვარად, ჯერ თვალმა აღიქვას ის, რაც გულმა აუცილებლად უნდა იგრძნოს და გონებამ გაიაზროს. თავისებურებას ინდივიდუალიზმისაკენ მივყავართ, ინდივიდუალიზმიდან კი არც ისე შორია თვითმყოფადობამდე, რომელსაც შეიძლება მიაღწიო, თუ ბედმა ინება.

პოეტისათვის ლექსი აუცილებლობაა, მაგრამ სიტყვა ბედია და ზოგჯერ ბედისწერაც. კაცმა რომ თქვას, მართლაც იგრძნობა ამ ლექსებში რაღაც ასეთი — განგებითი, და უთუოდ ამიტომაც ეძებს ლირიკული გმირი წონასწორობის ცენტრს ბუნებაში, საგნებში, სიტყვებში და, რალა თქმა უნდა, თავის თავშიც.

ნუნუ ჯანელიძე

\* \* \*

შენი წყალობის წელიწადია  
და მინდა, რომ გამოვწვანდო შენკენ ბილიკი  
ძეძვებში და ჩიტკაკალებში  
და შეგეფარო,  
შიშისგან რომ არ ვკანკალებდე  
დღეთა შემყურე;  
შენი წყალობის წელიწადია  
და დამარწყულე, დამარწყულე  
დიდი სიმშვიდით...

\* \* \*

იმნაირი თავდავიწყებით,  
ქარს რომ დავდე და ნიავს ვეძებ,  
შენ გიხმობდე, უფალო ჩემო,  
მაგრამ ჩვევა მახედებს გვერდზე  
და აჰა, მრჩება ოხრად ყოველი.

\* \* \*

განა სხვაზე უკეთესი ვარ;  
მე, უბრალოდ, სიტყვის ნათესებს  
მუშაკივით კვალში მივყვები  
და ღვარძლს ვმარგლავ თავდავიწყებით;  
სიყვარულს წყალს ვუსხამ ნერგივით  
და შორეულ ნათესავად იფქლს რომ ვერგები,  
ვსულდგმულობ იმით.  
განა სხვაზე უკეთესი ვარ...

\* \* \*

ხიბლს ვეძებდი სიცოცხლის  
და ცხოვრების სანდომს,  
მაგრამ ყველა წამართვა  
ჟამმა უსამართლოდ.

ახლა ის დამრჩენია  
თავთან ზავი დავდო,  
გავერინდო ახალ დღეს,  
დაველოდო სხვა დროს.

\* \* \*

გულში რომ ცეცხლი მართლა დამენთო,  
უნდა დამეთმო სამყარო მთელი;  
უნდა დამეთმო სიტყვა სიტყვისთვის,  
სიყვარული სიყვარულისთვის  
და ყველაფერი ყველაფრისთვის  
უნდა დამეთმო  
და ღმერთო,  
შენი ნებისამებრ მევლო თავდახრილს...  
...და მახვილს სულში უნდა გაეელო,  
უნდა გამელო სიტყვა სიტყვისთვის,  
სიყვარული სიყვარულისთვის  
და ყველაფერი ყველაფრისთვის  
უნდა გამელო,  
გულში რომ ცეცხლი დამენთო  
მართლა.

\* \* \*

რადგან ჩემი სიყვარული  
ჰგავს სიყვარულს არავისას,  
შემპირდი, რომ მაგემინებ  
შენახული მანანისგან.

შემპირდი, რომ დამიფარავ  
დარდისა და ვარამისგან,  
ფლიდისა და ორგულისგან,  
გზირისა და მპარავისგან.

მიხსნი ავი თვალისაგან,  
მწარე ლუკმა, არამისგან,  
გამხდი ღირსსა შეხებისა  
შენი კალთა-კარავისა.

რადგან ჩემი სიყვარული  
ჰგავს სიყვარულს არავისას,  
შემპირდი, რომ მაგემინებ  
შენახული მანანისგან.

\* \* \*

წყალზე სიარულს ჰგავს ლექსის წერა:  
კალმის წვერით მიაბიჯებ წყლის ხერხემალზე  
და ტალღების ნაზ მალეებს ითვლი;  
თითქოს წვეთთა მძივით კრავ რითმებს

და გრძნობების დიადი ზვირთი  
გენევა მალლა...  
წყალზე სიარულს ჰგავს ლექსის წერა...

\* \* \*  
არა სხვათა სისუსტის ფონზე  
გამარჯვება და ალაფობა,  
არამედ ტრფობა უსაზღვროების,  
ცის საუფლოთა მოხილვის ნიჭი  
და ძლევა სულის უძლურებისა.  
არა სხვათა დამარცხებით აფოფინება,  
არამედ სულის სიმაღლიდან გადმოფენილი  
მშვიდობის დროშა...

\* \* \*  
**ადამს**

მე ვიყავი პირველი ლექსი  
შენ რომ ამოთქვი:  
ძვლო ჩემო ძვალთაგანო  
და ხორცო ჩემო ხორცთაგანოო...  
...და ილიმოდა ბალი სამოთხის  
და გახსოვს, ადამ,  
ლექსი იყო ყოველი სიტყვა.  
როგორც ბავშვობას,  
ადამ, შენს თავს როგორ დაშორდი,  
თითქოს სიტყვა გექცა ბელტებად,  
ახლა დალილს, ერთი პნკარიც არ გემეტება  
შენი ევასთვის.  
ადამ, გახსოვს ბალი სამოთხის  
და პირველი ლექსი,  
შენ რომ ამოთქვი:  
ძვლო ჩემო ძვალთაგანო  
და ხორცო ჩემო ხორცთაგანოო...

\* \* \*  
მეც შეშლილი ვარ, იქნებ წყალზე მოსიარულე;  
სივრცეებზე გავავლე მზერა, როგორც სხივი რამ,  
უხილავი  
და მასზე თვალდახუჭულად მივალ.  
არ ვუშინდები წყლის ლურლუმელს  
და არ ვგმინავ ამაოებით,  
და ფიქრსაც, მღვივანს,  
არასოდეს ვაჩუმებ ჩემში.  
მეც შეშლილი ვარ, იქნებ წყალზე მოსიარულე,  
იქნებ მე, შეშლილს, უფრო მეტი  
დამეჯერება.

\* \* \*  
მართალია, სინანული უკან მიდევნებული ლამპარივითაა,  
მაგრამ დედამინა ხომ ისევ ბრუნავს  
და ძველ გზებზედაც ხშირად გვაყენებს,  
და ვინ იცის, ერთხელაც,  
ის ლამპარი წინ დაგვხვდეს ციმციმით  
და აგვარიდოს ახალ განსაცდელს...

**მატარებლიდან**

გადაზნექილი მინდვრები,  
ზვინების პირამიდები  
შვენის გზას დამფრთხალს, შვენის,  
დღე თვალხელშუა მიდნება,  
ფიქრს თბილისისკენ მიდენის  
მატარებელი ქშენით.

უკან მდევარი ხევეებით  
თითქოს ფრთაჩამოხეული  
რბის გველეშაპი რკინის,  
სურვილით და გახელებით  
დევს გზას მიხვეულ-მოხვეულს  
ამონასუნთქი თბილი.

უხდება უამინდობაც  
ტყეს ჩახვევია ბინდებად  
სურო-ფათალო, შქერი,  
გადაზნექილი მინდვრები,  
ზვინების პირამიდები  
შვენის გზას დამფრთხალს,  
შვენის.

\* \* \*  
დედაბოძივით მხრით ვუდგევარ დღეს,  
ციტ ბოძებულს,  
და ღმერთმა ნუ ქნას, მე რომ ერთი ნავიბორძიკო,  
მე რომ დავეცი,  
დაემხოვა მთელი სამყარო,  
რა უნდა მერე მის ამოძირკვას.  
დედაბოძივით, მხრით ვუდგევარ დღეს, ციტ ბოძებულს...  
დედაბოძივით, დედაბოძივით...

\* \* \*  
ვიცოდი,  
არ დაიმალებოდა ქალაქი მთის წვერზე;  
ვერც მე დავემალეობდი მის მწველ მზეს,  
ვინც წელზე მშვიდობის სარტყელი შემაბა,  
უნდა გავყოლოდი შელამბულ ფიქრს  
სიტყვის გვირისტით,  
უნდა მიმეთვალა კვირისთვის  
სადაგი დღეებიც...  
ვიცოდი...

\* \* \*  
რა სათვალავში ჩასაგდები ვარ:  
უჩინარი ვარ, უხმო, საპყარი,  
არავინ მამჩნევს, არავინ მისმენს  
და ჩემზე იმედს არვინ ამყარებს.  
მაგრამ ტკბილია ყოველი წამი,  
რომელიც დღემდე ქვეყნად დავყავი,  
რადგან ის მამჩნევს, რადგან ის მისმენს  
და მანანავებს ხელში აყვანილს.

\* \* \*

ჯერაც შორიასლო მოგყვები;  
როგორც ცხვარი მიწდორს ნოყიერს,  
მივდეგ შენი ფეხის ნაკვალევს.  
გზაზე ხშირად შიშით ვკანკალებ,  
მაფრთხობს მგელი და ღრიანკალი,  
მაგრამ, ვიცი, არ დავყოვნდები,  
რადგან ვპოვე სიტყვის სამკალი.  
ჯერაც შორიასლო მოგყვები,  
როგორც ცხვარი მიწდორს ნოყიერს,  
მივდეგ შენი ფეხის ნაკვალევს.

\* \* \*

ეჰ, ჩემი ლექსიც გზად დაბრკოლდა  
და ბრკე მოიღო,  
როგორც ღვინომ, ქვევრში დამდგარმა  
(თუმცა, ვით ღვინოს,  
დაძველება უხდება ლექსსაც).  
ვით ჩემი თავი, ამ ყოფასთან ვერშენწყობილი,  
ფლიდ ნუთისოფელს ჩემი ლექსიც ვერ შეერიოთმა,  
მარტო მიდის, მარტო, კინკილა,  
თავის შემკლავი მომხდურ დღესთან —  
ჯოყოლასავით...

\* \* \*

ისეთი დუმილით მხვდება სამყარო,  
თითქოს დაბადებისას მეც არ მეტიროს  
და მეც, სხვებივით  
ჩემი წილი არ მომეთხოვოს;  
...ნუთუ შემთხვევით ვარ მოსული ამ ცისქვეშეთში,  
ნუთუ მე შენთვის, დღევ, არ მითქვამს ჩემი სახელი...

\* \* \*

მკერდში რძესავით ჩამიდგა სიტყვა,  
გულის ყველა ბზარი აავსო.  
გააჯერა ყველა ნერვი და კაპილარი  
სიცოცხლის წვენით,  
და ვიცი, დიდხანს ველარ დავიტევ,  
ველარ დავმალავ შიგნით მზისებრ მხურვალე  
სიტყვას,  
ჩამიქვავდება, ჩამიცხვება, ჩამიჯირჯვლდება,  
ჩამეკირება, თუ არ ამოვთქვი,  
ჩამინახშირებს აყვავებულ სულის სანახებს.  
გზა უნდა მივცე,  
სადინარი მივცე კურთხეულს,  
მივაშველო დამშეულ ჩვილებს,  
დავაპურო ქაფქაფა სიტყვით  
და მეც შვებით ამოვისუნთქო.  
მკერდში რძესავით ჩამდგარ სიტყვას  
ვერ დავაკავებ,  
ვერ დამიტევინ ცოცხალი რძის  
მდინარეები...

\* \* \*

დედას

ცალკე მთელი ნუთისოფლის ავლა-დიდება,  
ცალკე ჩემი მშობელი დედა;  
კარგად მიმყოფე, ზეციერო,  
დიდხანს მიცოცხლე,  
ჯერ დაბადებაც არ მომისწრია,  
ჯერაც ჭიპლარით ვარ მიბმული  
ღვთიურ სამოთხეს...

\* \* \*

მივდივარ და მოვდივარ  
აღმოსავლეთიდან დასავლეთში,  
დასავლეთიდან აღმოსავლეთში  
მივდივარ და მოვდივარ  
და მიმაქვს და მომაქვს მონატრება,  
მიმაქვს და მომაქვს  
და მონატრები ვაერთებ  
აღმოსავლეთს და დასავლეთს  
და იმ სიყვარულს,  
გზებმა რომ მასწავლეს,  
ვიზოგავ ყლუპობით,  
და იმ სიყვარულს,  
გზებმა რომ მასწავლეს,  
ვარიგებ დოქებით  
და ვცდილობ, რომ ქვებით  
მოვნიშნო სავალი.  
სანამდე მომდგება დრო რქებით.  
მივდივარ და მოვდივარ  
აღმოსავლეთიდან დასავლეთში,  
დასავლეთიდან აღმოსავლეთში  
მივდივარ და მოვდივარ  
და მიმაქვს და მომაქვს მონატრება  
გოდრებით  
და ვეფერები ველებს და კორდებს  
აღმოსავლეთის და დასავლეთის,  
დასავლეთის და აღმოსავლეთის  
და ვუმხელ, როგორც აღსარებას,  
ლექსებს ჩემს სიყვარულს...

\* \* \*

ამ ყოფას რამე წავართვა  
მეც წარმართივით ვფიქრობ,  
გადაქცეულა წარაფად  
ჩემგან ნათესი იფქლი.  
ცოდვებით დამძიმებული  
მეც წარმართივით ვწვალობ,  
და ილენება ბზესავით  
ჩემი ცხოვრების კალო.



ელზა მორანტე

# ტორკუატო ტასოს უკანასკნელი სავანე

1595 წლის აპრილის პირველ დღეს რომის თავზე კოკის-პირული წვიმა მოთქრიალებდა. წმინდა ონოფრიოს მონასტრის მამებმა მაღლიდან კარდინალ ჩინციო ალდობრანდინის ეტლი დალანდეს გორაკზე ამომავალი და მზრუნველი ფაციფუცით შესაგებებლად გაიჩქარეს. თანმხლებ პირებს დაყრდნობილი, ფერმკრთალი და ციებ-ცხელებაატანილი ტორკუატო ტასო გადმოვიდა ეტლიდან. იგი „დიადი და სახელოვანი“, როგორც თვითონვე შეირქვა, ახალგაზრდობაში ისეთი ლალი და წარმოსადეგი იყო, თანდაყოლილი ცეცხლით გზნებული, რომ მსგავს სტიქიურ ვნებათა მძვინვარებას მხოლოდ ცხოველებში თუ შეამჩნევდით. ღონიერი ფეხებით დანყებული, გრძელ და ლამაზ თითებამდე, სხეულის ყოველი ნაკვეთი მოქნილი და მოხდენილი ჰქონდა; თავად კი, ბუნებით პატივმოყვარეს, ამ სხეულის ძვირფასი სამოსითა და ნატიფი ქსოვილის საცვლებით შემოსვა უყვარდა, ისე, როგორც მის წარმოშობასა და ღირსებას ეკადრებოდა. პირი დიდი ჰქონდა, ლომისებრი, თვალეზი, თუმცა ოდნავ ახლომხედველი, სიამაყით აბრიალებული და მიმზიდველი. ახალგაზრდობაში ტორკუატო ერთ თავის მეგობარს სწერდა: „*Pereat qui cretina curat* (მისი აღსასრულიც მოვა, ვინც ხვალისდელზე ზრუნავს); *თვალხმირად ვაკვირდები ჩემი ცხოვრების მდინარებას; დანარჩენი დრო გამყავს სიცილში, მღერაში, ადამიანებთან, თუმცა ცოტასთან, ურთიერთობაში. მაგრამ იმასაც გეტყვით, ჩემსას არ ვიშლი. არ მოიძებნება ბარონი, გინდაც დუკას მინისტრი, რაგინდარა აღმატებული იყოს, ქედი მოვუდრიკო; და სხვა ვინ, თუ არ თვით უზენაესი, როს შემეყრება, ჩვენი დარბაისლობის შემტყობი, უმაღლესი მონივნებით დამიკრავს თავს ხალხი ამბობს: „საიდან ან რა მიზეზით ასე მხიარული, ანდა საიდან ამხელა სახელი, განძი რამ ხომ არ უპოვნიაო?...“ მე სამ ასტროლოგს მივმართე და ჩემი დაბადების თარიღის ნაკითხვისთანავე, სამივემ, არ იცოდნენ ისე, მე ვინ ვიყავი, ერთხმად დამსახეს დიდ მწერლად, ხანგრძლივი სიცოცხლე და ილბალი მინიანსწარმეტყველეს... სამივეს აზრი დაემთხვა, რომ ქალებისგან დიდი წყალობა მელის...“*

ამ ახალგაზრდა კაცის გარეგნული ხიბლიდან, ერთ დროს რომ მოსავდა იქამდე, რომ ზოგნი ამბობდნენ: მისი უნატიფესი სული ალბათ ნეტარებს მისსავე ულამაზეს სხეულში, სხვა აღარა დარჩენილიყო იმ დღეს, რომელზეც გესაუბრებით, თუ არა ლანდი მორღვეული და მიქრალი. ტორკუატო ორმოცდათერთმეტი წლისა იყო, მაგრამ ბევრად უფრო ხნიერი ჩანდა; და ახლა (მამებმა მისი დანახვისთანავე შეამჩნიეს ეს) მონასტერში სიკვდილისთვის მოდიოდა. მართალია, კეთილგანწყობილი კარდინალი ჩინციო რომის გორაკზე შეფენილ მონასტერში იმიტომ აგზავნიდა, ყველაზე საამური ჰაერი იქ იცოდა, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, თანაც იმ სავანეში ბევრი სასულიერო თუ საერო პირი ადიოდა მოსასვენებლად. ისიც მართალია, რომ

გულუბრყვილო იმედი გამოჯანმრთელებისა და სიცოცხლისა ჯერ კიდევ ბუუტავდა თვითონ ტორკუატოს სულში, მაგრამ ახლა ეს იმედი, როგორც უკანასკნელი ქაფი წყალზე ქარისგან ალგვილი, ზედაპირს ებლაუჭებოდა; მდორე და გამჭვირვალე სიღრმეში კი უეჭველობა ჩამდგარიყო, უეჭველობა სიკვდილისა.



უკვე რამდენიმე კვირა იყო, თვით გაფიქრებაც კაპიტოლიუმში გვირგვინით შემკობისა, ასერიგად ნალოლიავები, ტორკუატოს აღარ უჯდებოდა ჭკუაში, არც ეიმედებოდა და არც ეზიემებოდა, პირიქით, რალაცნაირი გულისამრევი დალილობის შეგრძნება ნალველს უმატებდა. ოდესღაც კი ერთ თავის წერილში აღიარებდა: „*უარს არა ვარ გადამეტებულ პატივზე, შეუფერებელ ტიტულებზე, გადაჭარბებულ ხოტბასა და უსაზომო მამებლობაზე; ეს ხომ ცხოვრებაზე უარის თქმა იქნებოდა*“. მაგრამ ახლა ერთ თავყანისმცემელს მისი დაფნის გვირგვინით შემკობის ცერემონიისთვის მგზნებარე და რიტორიკული სონეტი რომ მიეძღვნა, ასე პასუხობდა: „*Magnifica verba Mors prope admota excutit*“ (როცა სიკვდილი ახლოვდება, გონებას დიდებული სიტყვებით აფხიზლებს). ასე რომ, იმ დღეს ზედმინევი ჰქონდა გაცნობიერებული არც გახელებული და არც ზემთაგონებული კაცი, რომელსაც თვითვე კარგად იცნობდა, არამედ მკვდარი სული ადიოდა იმ მასპინძელი მამების კიბზე.

როცა წვიმიანი ქარაშოტი წამოუფლიდა ირგვლივით, სიკვდილის ლანდი ორი სხვადასხვა სახით ეცხადებოდა: ხან თითქოს ბუნება რალაც ზენაარულს ეზრახვოდა, ხანაც სიგაჟის სასტიკ რისხვას ატეხდა, მხოლოდ იშვიათად, მაღლს როცა იგრძნობდა, რწმენა ეუფლებოდა, რომ პირველი იყო ნამდვილი, და მაშინ სული ივანებდა მასში, როგორც წყალი ტბაში.

ახლა ტორკუატო საკუთარ სიკვდილს იმავ მტანჯველი შეგნებით უცქერდა, როგორითაც ერთ დროს საკუთარ სიგიჟეს, უფრო სწორად, „გახელებას“, როგორც თვითონ უწოდებდა. ვინც მისი ავადობის შესახებ უწყოდა, ასე განმარტავდა: „ერთგვარი მელანქოლია, რომელსაც ბერძენები „იპოქონდრიად“ მოიხსენიებენ, არაბები — „მირარქიად“, ხოლო ლათინები „მოჭარბებულ გულზიდვად“, გამოწვეულს ან შავი ნალველით, როგორც გალენოს მიაჩნია (გალენო პერგამოელი 129-216 წწ. ძველი ბერძენი მკურნალი. მთარგმნ.), ანდაც სულთა დემონური თვისობით, რომლებიც თავში აწვებიან, როგორც მართებულად მიიჩნევენ ავეროე (1126-1198 წწ. არაბი ფილოსოფოსი, მოსამართლე და ექიმი) და ავიცენა (980-1037 წწ. სპარსელი ფილოსოფოსი, ექიმი და ლიტერატორი. მთარგმნ.). რაკი ამგვარი ჯანგაგებობა არ აზიანებს ტვინის შედგენილობას, არც სხეულის სხვა გარეგან ნაწილებს, არამედ მხოლოდ დაბინდავს მას შავი კვამლის გაზებითა და ბნელი სულებით, რომლებიც მოჩვენებებად გარდაიქმნებიან და რაკილა

ისინი თავიანთი სიმსუბუქით საკმაოდ სწრაფად დაუვლიან სხეულს, მტანჯველი, ცრუ იმაგიანაციისაგან სწეული მთლად თავისუფალი ვერ რჩება, პირიქით, გაცნობიერებულიც კი აქვს გონის უნებური მიბნედა, კარგადაც ახსოვს და არ ერიდება ამაზე საუბარს, როგორც ამას ტორკუატო აკეთებდა ამ თავის მოხშირებულ ფსიქოზს განმარტავდა კიდევ და „გახელებას“ უწოდებდა.

ორმოცდათერთმეტი წლის ასაკში ტორკუატო ტასოს ბევრი რამ ჰქონდა გაცნობიერებული. უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ იმ ეპოქის უდიდესი პოეტი გახლდათ. ერთ დღეს პიეტრო დი ნორესს უკითხავს: „თქვენი აზრით, ვინ არის პირველი პოეტიო“, ტორკუატოს უპასუხია: „მე თუ მკითხავთ, არიოსტოს მეორე ადგილს მივაკუთვნებდიო“. ჩაჰკითხვია თანამედროვე — „მაშ პირველს ვისო?“ — პოეტს გაუღიმიდა და ზურგი შეუქცევია იმის ნიშნად, პირველი ხომ მე ვარო. ამასთან, იგი ღრმად იყო დარწმუნებული ადამიანთა უსამართლობაში, ვინაიდან: გერქვას პოეტი, უკვე ღვთიურობას ნიშნავს, რამეთუ მხოლოდ შემოქმედი ღმერთთან მიახლებული, ადამიანები კი მათ ან გიჟებად რაცხენ, ან მათხოვრებად, იმის მაგიერ ხელმწიფეებივით მოწინებით მოეპყრან. და ეს რწმენა სდევდა მთელი ცხოვრება. ჯერ თვითონვე უყვარდა თქმა: „თქვენი უმდაბლესი მსახურიო“, მერე წარჩინებულთა სუფრებზე თუ ისეთივე გამორჩეულ ადგილს არ მიუჩინდნენ, როგორსაც პრინციებსა და კარდინალებს, დამამცირეთო, ემართლებოდა. არადა, თვითვე ეაჯებოდა იმ ბატონებსა და პრინციებს: ვერცხლის სათლი მიფეშქაშეთ, წყალი რომ მუდამ საამური დასალევი ვიქონიო; ან რაიმე ნუგბარს გამოითხოვდა, დაშაქრულ ხილს, მაგალითად; ან ტკბილ კრენდელებს, ანდაც შავ ღვინო „მალეზიას“, ლექსს წერას რომ უწყობს ხელს, ან აბრეშუმის წინდებს, ან ფულს მელიის დაძველებული ქურქისთვის ახალი სარჩულის შესაძენად, თუმც მთელი არსებით სწამდა, რომ მელიის გაცვეთილი ქურქი კი არა, პოეტს ყარყუმისა უფრო შეშვენოდა. და, საერთოდ, ამქვეყნიური ყველა სიმდიდრე უთხოვნელად უნდა ჰქონოდათ პოეტებს, რათა მეფური და ყმანვილური დაუდევრობით დაენიავებინათ.

და კიდევ, ტორკუატომ იცოდა, რომ მასში დემონი ბუდობდა, და რომ ამაოდ ლამობდა მისგან გაქცევას: ციხეში, მეფეთა თუ კარდინალთა სასახლეებში, მშობლიური სორენტოს ბალებსა და მონასტრებში, სადაც უნდა ყოფილიყო, ეს თანმდევი ბორგვა არ ასვენებდა და ბოლოს უღებდა.

ეს ყოველივე და სხვაც ბევრი ცხად-სიზმარი, ხან ელვა-სავით წამიერი, ზოგჯერ ხანიერი და ლურსმნებივით წამახული, თავს არ ანებებდა ტორკუატოს, ხან განადიდებდა, ხან კი ამცირებდა და უმწარებდა უკანასკნელ დღეებს, ისედაც რომ მკვდრად მიაჩნდა უკვე თავი. თუმცა მასში ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო სიბოხოქრე, დაუოკებელი ამბიცია, შიში, უნდობლობა, რისხვა, გამდიდრების სურვილი, სიცოცხლის წყურვილი, და ის მოჩვენებითი, შიშისმომგვრელი ხატებანი სიკვდილისა, დაცარიელებული თეატრის მთვლემარე, დაღრეჯილი ნიღბებივით ჩახლუჩილი ხმით რომ გაჰყვიროდნენ და უთავბოლოდ ზუზუნებდნენ მის ოთახში. რომელიღაც კუნჭულიდან იდუმალი ხმა ჩასძახოდა: „შენ მკვდარი ხარ!“ ის კი ყვიროდა: ჰო, მკვდარი ვარ, მკვდარი! ნულარც საკვებს მომცემთ და ნურც წამალს, რადგანაც ისინი მკვდრებს აღარ სჭირდებათ!“ ეს სასონარკვეთილი ამოძახილი სიცოცხლეს ჩაბლაუჭებული კაცის

ხმა იყო, ის საკვები, გინდაც წამალი, შხამი რომ ეგონა, ყოველ სულდგმულში მოლაღატესა და მკვლელს რომ ხედავდა. აი, ახლაც პირადი მტრების ათასი ინტრიგის ხლართებიდან ამაოდ ცდილობს თავის დახსნას, როგორც ბუზი, მარწუხებში გაბმული, და მათ მიერ გადმოღვრილი სანამლაგის ასაცდენად თუ საკუთარი შავი მელანქოლიის დასამარცხებლად „უთავბოლოდ ეძალება შხამსანიანალმდეგო ნაყენს, ხან კასიისას ან ალოესას, რევანდისას ანდა სურმისას, რომლებმაც საბოლოოდ გამოუფიტეს შიგნეული“. რაკილა მიიჩნევდა, რომ სხვები იჩემებდნენ ცრუ სალბუნებით მის მკურნალობას, მთელი სიშმაგით აუჯანყდა მათ. „თავიდან მომწყდით!“ შეუყვირა ექიმი და ქოშიც გაუქანა, მერე ჯიუტი სიბრაზით მსახურს, მეფეთა ჩვეულებისამებრ, უბრძანა, მის მაგიერ დაეღია წამალი.

\*\*\*

ადგილი, სადაც მონასტერი წამომართულა, ერთ დროს განდევნილი ნეტარი ნიკოლა და ფორკა პალენას (1349-1449) და წმ. ჯიროლამოს (347-420) კონგრეგაციის მწირ განდევილთა სავანე ყოფილა. პალენასთან ერთად ამ მონასტრის დამაარსებელი ნეტარი გამბაროცა (1355-1435) დედის მხრიდან დიდ პაპად ეკუთვნოდა ტასოს. ასე რომ, პოეტი ამ სავანეში კასტის წმინდა უფლებით იმყოფებოდა და, გარკვეულწილად, იქ მყოფი წარჩინებულების სიაში ირიცხებოდა.

მაღლიდან, ვიდრე ჰორიზონტის დასასრულამდე, თვალის გაყოლებაც საკმარისია, სამყაროს ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი პანორამა თვალწინ გადაგუშალოს. გაზაფხული, როგორც უკვე ითქვა, ავდრიანი იღვა და ხანგამოშვებით ცრიანტ სინათლეში სასახლეები და ტრიუმფალური გუმბათები, კაპიტოლიუმში და კასტელ სანტ ანჯელო, რომლის უგრძესი ანძის წვერში რომის წმიდა საყდრის ალაში ფრიალებდა, წმინდანთა ფიგურებითა და ქანდაკებებით მოფენილი მთელი ბრწყინვალე საუფლო მორონინე ღრუბლებსა და ცის მშფოთვარე პეიზაჟში ყელყელაობდა. აზერითებული ტიბროსი გალავნიდან უკაცრიელი სოფლისკენ მიექანებოდა; დასავლეთით, პაპის სასახლეების გადაღმა გორაკზე შეფენილი ნახირი ძოვდა. როგორც კი ნისლს გადაიყრიდა ბუნება, შორს მოსჩანდნენ ალბანის მთები და აპენინი, თოვლით დაფარულნი. მთელი არემარე დროგამოშვებით ბურუსში ჩათვლემილი და ძალიან შორეულს შავდა, როგორც ხსოვნა უკვე გაუფერულებული; ხანდახან კი, ქარი რომ დაუბერავდა და სიბნელე წამოადგებოდა ზეაზიდულებს, გოლიათებს ემსგავსებოდნენ და ისედაც დამფრთხალ სულს შიშის ზარს სცემდნენ. ასეთ ამინდში ჭექა-ქუხილს მოყოლილი ელვის შუქზე ხან აირეოდა ოთახი, ხან კი ავისმომასწავებელი მუქარის ნიშნად, მთლიანად წყვიდადში ინთქმებოდა. ამიტომაც დღის განმავლობაში სანთლების ანთება აუცილებელი ხდებოდა; თანაც თუ მაღალი სიცხე ტორკუატოს ცნობიერებას იმ სანახებისკენ მიაქანებდა, სადაც იდუმალი ხმა ფუტკრის ბზუილივით შორეთში ინთქმებოდა და დამდგარ ყურეში სინათლე ჩაედინებოდა, ის დიდი და წვიმიანი სოფელი ციურ იერუსალიმად ეჩვენებოდა. პოეტურ იმაგინაციას ჯერ კიდევ არ მიეტოვებინა ტორკუატოს გონება და კარგად ნაცნობი სიმბოლოების წარმოსახვით, როგორიცაა პაპის ტიარა, სხივი, გინაც მტრედი, კურთხეული კარის გაღებას აუნყებდა თითქოს



და დარწმუნებული, რომ ამ სიმბოლოების მნიშვნელობანი კარგად უნყოდა, აღტაცებული შეძახილით ეგებებოდა მათ. ერთმანეთში ირეოდა შიში, რწმენა და გაუმხელელი ეჭვი; ღირსება, კანონი და ინკვიზიცია; სიყვარული, პოეზია და ხარება და კიდევ მისტიკური, უკვე გაცხადებული, სამყაროდან მოყოლებული ვიდრე ქალწულის მშობიარობამდე ქმნილი; თვით ტორკუატოს სტრიქონებიც, სპონტანურად გადმოღვრილი მისი ახალგაზრდული და უკიდევანო ფანტაზიის თავისუფალი სულიდან, შეურყვნელი ტკობით რომ დაენერა ოდესღაც, და ესღა თუ იყო მისი სიხარულის საგანი.

ისეც მომხდარა, მსგავსი ნეტარი გონებაშლილობა მავანის მობრძანებით შეწყვეტილა. „ვინ არის?“ კარდინალ პალავინჩინოს აუდიტორი და განდევნილი მამების პროტექტორი. და ტორკუატო ეუბნება მას: „თქვენმა მოწყალებამ შემაქო, მკვდრებს კი ეს აღარ ესაჭიროებათ“.

მონასტრის წინამძღვარი სთხოვს, ეპიტაფია შეთხზას თავისთვის. ტორკუატო საკუთარ თავში მოიაზრებს სამყაროს, მასში გაცხადებულს, და სთავაზობს: „*Beatus ille postquam indormivit in Domino*“ (ნეტარია, ვინც უფალში განისვენა). „თუმცა კი ესეც საკმარისია“, დასძენს: „*Ossa Torquati Tassi*“ (ტორკუატი ტასის ძვლები).

კიდევ მერამდენედ უნდა განაქარვოს სასოებამ და შიშმა სიკვდილის მწარე დანაპირები?! ამბიცია, უსამართლობა, პატივი, წლიური პენსია, აველინოს პრინციტან ჩხუბი, „გათავისუფლებულის“ (იგულისხმება „გათავისუფლებული იერუსალიმი“ — მთარგმნ.) დახვევა, თავდაცვა, შეთქმულება; ერთად იხორხლება ეს ყველაფერი და მერე გამომზეურებას იჩქარის გაავებული მოაჯებებით, საკუთარ ძონძებსა და იარებს რომ გამოჰფენენ იქ, სადაც მეფემ უნდა ჩაიაროს. ბოლოს ვიღაცა გაანდობს ტორკუატოს, რომ მძიმედა დაავადებული და სააქეთო პირი აღარ უჩანს. ამასთან დაკავშირებით მოსწინიორ კუერენგო წერს: „*სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში საოცარი ზებუნებრივობით გაუნათდა გონება; იმგვარად გარდაისახა, გეგონებოდათ სულს მის ცხვირთან მისივე ტვინის მილაკი მიედგა და ისე გადმოსდინებოდა*“.

ოცდახუთი აპრილის დილას, სამშაბათს, წმიდა მარკოზის სახელობის დღეს, ჩვეულებისამებრ, წმინდანის პატივის მისაგები პროცესია გაიმართა ყველა სასულიერო პირის, წინასწარ მოსული უბრალო ადამიანების, ანუ ექიმების და წმიდა სულის მსახურთა მონაწილეობით, დაახლოებით სამასი კაცი და მათი კომანდორი. ყველა ვენეციელი, ვინც კი რომში იმყოფებოდა, წმინდა მფარველის დღეს ზეიმობდა დიდებულ წვეულებაზე, რომელსაც ესწრებოდა ვერონის კარდინალი, ელჩი ვენეტოსი.



ტორკუატო ტასო

ჩინციო აღდობრანდინიმ ზეთი სცხო მომაკვდავ მეგობარს, რომელმაც უკანასკნელად აამეტყველა თავისი მაღალფარდოვანი და მჭვერი ენა, რაც ესოდენ ხელეწიფებოდა და თქვა: „*ესე არს ეტლი, რომელითაც, ვსასოებ, შევალ ტრიუმფით გვირგვინშემკული ცათა შინა*“. მერე ჯვარცმას მოეხვია და წარმოსთქვა: „*In manus tuas, Domine*“ (შენს ხელთა ვარ, უფალო).

მიცვალებული ძვირფასი ტოგით შემოსეს და ანთებული კანდელებით, დიდი ზარით ჩამოასვენეს ქვევით, ქალაქში; სან პიეტრო დელა პალატინას მოედანზე გაატარეს კარდინალ ნეპოტების ოჯახებმა, საპინეცას (რომის უნივერსიტეტი დაარსებული 1303 წ. მთარგმნ.) ლექტორებმა, წარჩინებულებმა და ლიტერატორებმა. შემდეგ უძვირფასეს კატაფალკაზე დაფნის გვირგვინით საფეთქლებშემკული სანტო სპირიტო ინ სასიოს ეკლესიაში დაასვენეს. დაკრძალეს ჩვეულებრივად, სხვა რამ პატივის გარეშე, არც არავის დაუნერია ლექსები და ეკლესიის ბოძებზე გაუკრავს, იმხანად მიღებული ტრადიციის თანახმად. სხვა ჰქონდათ სანუხარი პაპსა და კარდინალ ჩინციოს.

მონასტრის მამების მიერ დამარხული კუბოს ეგზუმაცია 1857 წელს ჩაატარა ექიმმა, ანატომიის პედაგოგმა, რაინდმა ფორტუნატო რუდელმა, რომელსაც პოეტის ნეშტის წარჩენები გულმოდგინედ ჩამოუთვლია სამედიცინო ცნობაში: „მარჯვენა წვივის ძვალი, ერთი ნეკნი, თქმოს ძვალი...“ და ა.შ.

იმავე ხანს წმ. ონოფრიოს ეკლესიაში ტასოს ძეგლი აღმართეს, ფაბრისის ნამუშევარი.

\*\*\*

უკანასკნელად, როცა წმ. ონოფრიოს პატარა ეკლესია მოვიხახულე, სწორედ ავდრიანი დილა იდგა. არაფერს ვიტყვი მართლაც თვალწარმტაც, არქიტექტურის დიდებულ ნიმუშზე, კიბეებზე, რომელიც მალლა მიგიძღვის, იქ, სადაც ასვლა ფრენის შეგრძნების ტოლფასია და გერყენება, მცირე მოედანზე შეგუბებული მადლისა თუ ფართოდ მსუნთქავი ჰორიზონტის გამო, უსაშველოდ დიდ სიმაღლეზე იმყოფები. ვინც ჩემსავით რომშია დაბადებული, იმას ემსგავსება, ამქვეყნად მოსვლისთანავე ზღაპრული სიმფონიების აკვანში რომ არწევდნენ: ამ რიტმებისა და ჰარმონიის ატმოსფერო იყო მათი სიყმაწვილის თანმდევი, და სხვა რაღა სასწაული გააკვირვებს მერე?!

ეკლესიის იატაკი საფლავის ქვებითაა მოფენილი და ფეხის გადადგმას ერიდები. სულს ერყენება, რომ მტვრადქეული ძვლების სუნს, საფლავების ნესტიან სუსს ისრუტავს და კრძალვა ეუფლება. შესასვლელის მარცხნივ ეგეტერში ეპიკური ფარის ნიშაში ტორკუატოს რომანტიკული პორტრეტი ჩასმული. ჩინკუენეტოსთვის დამახასიათებელი

ბელი ელევანტური სამოსი, მის წაგრძელებულ მოხდენილ ტანს რომ მისადაგებია, პოეტის გარეგნობას მელანქოლიურ, კოპნია იერს ჰმატებს. მის ჩამოქნილ და ფეხსაცმელშემოსილ ფეხებს შორის გამხმარი ყვავილი დავლანდე, ჩახვეული ფოთლით; და ეს ძღვენი ესეც, სხვათა შორის, დამჭყნარი, იმის მოტანილი, ვისმა თანამედროვე რომანტიკულმა სულმაც უწყის, როგორი ყმანვილური გულუბრყვილობით უყვარდა პოეტს საჩუქრები, გულს მიჩუყებს.

კიდევ ერთი სახე პოეტისა ფერწერული ტილო გვეგებება კიბის ბაქანზე, რომელიც ტორკუატოს ოთახებში შევვიძლებება. სწორედ ის არის, ფერმკრთალი პოეტი, მოკლედშეკრეჭილი, კარგად მოვლილი წვერით, წითელ და ყვითელფერებიან მდიდარ სადღესასწაულო ტანსაცმელში; ეს ფიგურა, მხოლოდ შიშველი კედელი რომ უძევს ფონად და სხვა არაფერი, კალკით გადაღებულს გაგონებს, ბავშვებს რომ სჩვევიათ, ისეთს; და, არ ვიცი რატომ, სევდისმომგვრელად, წარმოსახვაში აღმიძრავს კოლექციონერთა მიერ ფურცლებზე მიწებებულ პეპლებს. ლამის იჯერებ, რომ ვილაცას კედელზე მიუჭედებია სალუქი მასპინძლის ცოცხალი ფიგურა, რათა საკუთარი სურვილის სანინალმდეგოდ დამთვალეირებულთა კეთილი მოზრძანება უსუფოს. ნუ შეშინდები, ტორკუატო, ჩვენ არ ვართ საპატიო სტუმრები, არც ის ჟურნალისტები, თავიანთი უხერხული შეკითხვებით პოეტების ჭირვეულობას რომ აფორიაქებენ.

პატარა ოთახები ცივია და ღარიბი; თავდაპირველად ოჯახის წევრთა პორტრეტები გვეგებება, რომელთა შორის ღირსეული თავაზიანობით პატივს გვძებს დედის ახალგაზრდა სახე. მეორე ოთახში გველიან ტორკუატოს ნაქონი საგნები: ლითონის დეფორმირებული ყუთი, რომელიც მაცვებს თავისი სიპატარავით და რომლიდანაც ექიმმა ფორტუნატო რულელმა პოეტის ნეშტი ამოიღო. მეორე კედლის წინ, მინის ქვეშ განლაგებულია ნივთები, რომლებსაც ტორკუატო სიცოცხლეში იყენებდა: კალამი, ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც ქამრად იხვევდა ნელზე. ვაღიარებ, რომ ჩემი უდავო პატივისცემის მიუხედავად, ეს და მსგავსი სამუზეუმო ნივთები არავითარ ემოციას არ აღმიძრავს. ჩაქრება თუ არა იმ თითების სიმხურვალე, ის კალამი რომ ეჭირათ, სინათლე იმ თვალებისა, მას რომ ემსახურებოდნენ, ხელები, რომლებიც კვანძავდნენ ამ ქსოვილს, მაშინვე დაკარგავენ შეხების მცხიერებას და ისინი საგანთა გაქვავებული ლიმბების მდგომარეობას დაუბრუნდებიან. ბევრს გულუბრყვილო კეთილსინდისიერებით საკუთარი კადნიერი ცნობისმოყვარეობა და ლამის მანიაკური აჩემება იმ ცხოვრების ეფემერული ფრაგმენტებისადმი, რომელმაც თავისი არსი იცვალა, სიყვარული ჰგონია; განა უარყოფ გულუბრყვილო მატერიალიზმის ინდულგენციას, ადამიანთა ეგოისტური გრძნობას, მაგრამ მე, ჩემდათავად, ჟრჟოლით ვწყვეტ მზერას ტორკუატოს ნიღაბს, რომელიც პოეტის ცხედრიდანაა აღებული და მისი ასლი ახლა, ამ მინის ქვეშ ინახება. ამგვარ ნიღაბს აქვთ რალაც მოურიდებელი და კადნიერი, ვინაიდან არცერთი ნეშტი ამ ხორცართმეული ლოყებით, ამ უგუგებო თვალის ბუდეებით, ამ ორზროვანი ღიმილით ცოცხალ, ნამდვილ ფიზიონომიას არ ინარჩუნებს. ოდენ საბრალო და სენტიმენტალური მატერიალისტები ხედავენ ღვთაებრივ ნიშნებს მიცვალებულის ღიმილში. სინამდვილეში სახეც და ღიმილიც ყველა მიცვალებულს ერთნაირი აქვს; და გაუფერულებულ დრამას თუ უბადრუკ სიცარიელეს ნაკეთებისას, რომლებიც გაუშნო-

ბულან, რადგან სული აღარ არხევთ, რიდი და სიმშვიდე სჭირდებათ და არა პროფანების ცნობისმოყვარე ჩაშტერება. ტორკუატოს მომღიძარი სახე რომ აღვიდგინოთ, ჩვენი სიყმანვილისდროინდელი გამორჩეული ხმა სიყვარულით გარდარეული ახალგაზრდა ამინტას ხმა უნდა გამოვიხმოთ, ანდა სილვიასი, რომელიც თავიდან უარყოფს ამინტას, ბოლოს ემორჩილება მის სიყვარულს და საკუთარ გაუცნობიერებელ წარსულსა და უმნიკვლობას მორცხვად იხსენებს:

**რამდენი ქვრივი ღამე,  
და დღე რამდენი მარტოობისა!**

მესამე ოთახში ტორკუატოს ავტოგრაფები უფრო ცოცხალი არიან: ჟამგადასული საგნების მეშვეობით წარმოდგენა გექმნება მისი პატრონის ოდესღაც წრეგადასულ მხიარულებასა და ოფლისმღვრელ მუშაკობაზე. რამდენ დიდებაზე მეტყველებს ეს პატარა ოთახი, რამდენ პატივზე! თუნდაც აი, ეს: „*კრუსკას აკადემიკოს ინფარინატოს პასუხი ტორკუატო ტასოს აპოლოგიაზე ორლანდოს ირგვლივ*“; ან სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანები, მაგალითად, უნგრულად: „*A megszáditatt jerusakem – Budapest*“; თუნდაც ნეაპოლურ დიალექტზე: „*Lo Tasso napoletano – zoe la Gerusalemme liberata*“.

\*\*\*

უნდა შევწყვიტო კითხვა, რადგან შავად ჩამონოლილმა ღრუბლებმა ოთახში ელვისგან დასერილი სისხლიანი წყვილი გაამეფა და კოკისპირულ წვიმაში ზემოდან ძლივს ვარჩევ მონასტრის პატარა შიდა ეზოში ბავშვთა საავადმყოფოს და ფანჯრის გერანიუმებით შემკულ რაფებს; მონაზონი-მედდაც დაღვანდე, უზარმაზარფრთებიანი თავსაკრავით, რომელსაც ეს სიფრიფანა არსება თითქოს ჰაერში აუტაცვინა.

მონასტრის პატარა შიდა ეზოში, საიდანაც კიბით ტორკუატო ტასოს ოთახებში ადიხარ, Honohrius-ის, წმ. ონოფრიოს ცხოვრების ამსახველი ფრესკები გიმზერენ. დაბადებითვე სასწაულისთვის ამზადებდა წმინდანს ბედი; სიყმანვილეში კი მადლი გადმოსულა მასზე: აი, პატარა წმინდანი პურს სთხოვს ქრისტეს და მისგან ისეთ დიდ პურს იღებს, რომ ძლივს აუთრეგია და ტანჯვით მოაქვს, ამის შემხედვარენი გაკვირვებით უცქერენ ბერები. მთელი ცხოვრება უდაბნოში ლოცვაში გაატარა ონოფრიომ. სასწაულებრივი ხილვები განანათლებენ მას, ოქროსფერი და მენამული მოსავს წმინდანის გამოსახულებას, დრო-ჟამს რომ, სამწუხაროდ, გადაუხუნებია ამ კედელზე და რომელსაც ჩემი ახლომხედველი თვალები ვერც მიუწვდება ისე, რომ მისი ღირსების შესაფერისად აღიქვას. ციური ხმები უნანავებენ მას და მისტიკური საკვებით აპურებენ; გარდაცვალების ჟამს კი ორი ლომი დასტირის და მერე საფლავს უთხრის; იქვე ანგელოსს, რომლის უმშვენიერესი ფრესკა, ჩემდა სამწუხაროდ, ჟამთასვლას დაუზიანებია, მარადიული ბედნიერების გამომეტყველება აღბეჭდვია.

ზოგჯერ ერთმანეთს კვეთენ, როგორც აქ, ახლა, პოეტთა და წმინდანთა ბედისწერანი. აქა დგას მუხა, თანაზიარი (ასე გადმოგვცემს ლეგენდა) ტორკუატოს მწუხარე მედიტაციებისა და ოხვრისა, მუხა, ორჯერ დამეხილი, რომლისგანაც ჩონჩხილაა დარჩენილი. ერთი წმინდანის ხუმრობას გვახსენებს ეს ლამაზი მემორიალური დაფაც „*ყმანვილთა შორის*“.

ორი უცნაური და დიდებული ყისმათი დაუდგინა უფალმა ადამიანებს სხვა დანარჩენ ხვედრთა შორის: წმინდანისა

და პოეტის. და ისინი წმინდანებიცა და პოეტებიც ამ ორი უცნაური და დიდებული ბედისწერისთვის მოვლენილნი, თუმც კი სხვებით ხორცისგან ქმნილნი, მაინც არიან გამწვანებულნი უხილავი და მოკვდავთათვის მიუწვდომელი სულიერი აღმადგენისთვის. მაგრამ თუ წმინდანები თავის თავში ჰპოვებენ, როგორც იტყვიან, წყურვილს და წყალსაც, რამეთუ მათი სიყვარული საკუთარ თავში იხარჯება და მათივე ჰპოვებს კმაყოფილებას, პოეტებისთვის გაცილებით მეტია მოლოდინი, ამიტომაც ემსგავსებიან ხარბ მტაცებლებს — გადამწვარი უდაბნოსკენ მორბენალთ. არც წმინდანები და არც პოეტები არ უგულვებლყოფენ შესაძურ იღბალს უფლის რჩეული შვილებისას. მაგრამ თუ პირველს შინაგანად გაცნობიერებული აქვს საკუთარი პრივილეგია, იქამდე, რომ ყოველგვარი დამცირება მასში ტრიუმფალურ ეგზალტაციად გარდაიქმნება, მეორენი გვირგვინს ეძიებენ დღენიდაც და ყველასგან ითხოვენ ქედის მოხრას, მათი ბე-

დის უპირატესობის აღიარებას; და ეს რჩეულნი ხშირად ემსგავსებიან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ მოქიშპე ყმანვილებს, იმ ზომამდე, რომ, ჰგონიათ, თითქოს ციური სასუფეველი უსასრულო არ იყოს და ყველას ერთიანად არ იტევდეს. ამას კი მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როს სამუდამოდ დაივანებენ ციურ წიაღში.

იქ, ქვევით, პოეტების ლამაზი სტროფები დიახაც რომ დიდად ფასდება, ხოლო ნეტართა ცხოვრება ქოროდ, საგალობლად აღიქმება. ღვანლი კი ორივესი პოეტებისა და წმინდანებისა ნაყოფს მერმისში გამოიღებს.

**იტალიურიდან თარგმნა ნუნუ გელაქია**

*ეს პუბლიკაცია დაიბეჭდა 1940 წლის 27 იანვარს გაზეთში „ოჯი“*

იტალიური სახელოვნებო სამყარო ოქტომბრის თვეში ფართო მასშტაბით აღნიშნავს „ყველა დროის იტალიელ ქალთა შორის ყველაზე აღმატებული გენიოსი ქალის“ ელზა მორანტეს დაბადებიდან 100 წლისთავს: გამომცემლობა ეინაუდი ხელახლა დასტამბავს მის რამდენიმე ნაწარმოებს; ელზა მორანტეს სახელობის ლიტერატურული პრემიის ფიურის თავმჯდომარე, მწერალი დაჩა მარაინი, რომლის გამოც აღბერტო მორავიამ მიატოვა იგი, გამოსცემს წიგნს სათაურით „საარაკო ხსოვნა“; მწერლის ძმისშვილი დ. მორანტე გამოაქვეყნებს მის აქამდე უცნობ კერძო წერილებს; გაიცემა ელზა მორანტეს სახელობის ლიტერატურული პრემია, რომელსაც უკვე ოცდახუთი წელია მისივე სახელობის საერთაშორისო საზოგადოება ევროპის საუკეთესო მწერლებს გადასცემს; გაიხსნება მწერალი ქალისადმი მიძღვნილი ფ. გაროლას ფოტოგალოფენა; აულერდება ელზა მორანტეს ლექსებზე შექმნილი ცნობილი მომღერლის ჯ. ნანინის სიმღერები; ტურინის „სტაბილურ თეატრში“ დაიდგება მისი ერთადერთი პიესა „სალამო კოლონეში“...

**მთარგმნელისაგან**

წული თვისებებითაც განსხვავდებოდა ყველასაგან. ერთი მეგობარი იხსენებს: ელზა უპირატესობისთვის იყო განწინებული და იმ სიხარულის განცდას მოკლებული, თავი საზოგადოების საყვარელ ადამიანად ჩათვალა. გარეგნობით საოცრად მომზიბლავს ისეთი ტრაგიკული გამომეტყველება ჰქონდა, გეგონება, ლამით ბნელეთის ურჩხულებს ებრძოდაო. ენიგმატურსა და უიღბლო ელზას ბედისწერის განწინებით იმთავითვე მართლაც დაჰყვა ტრაგიკულობა. დაიბადა ღარიბ ოჯახში; დედა ირმა პოჯიბონსი, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი და ვერშემდგარი მწერალი, ქორწინების პირველსავე ღამეს მიხვდა, რომ იმპოტენტი აუგუსტო მორანტე ვერც დედად განხორციელების შესაძლებლობას მისცემდა და, გაყრა რომ შესთავაზა, ქმარი თვითმკვლელობით დაემუქრა. ბოლოს შეთანხმდნენ, ირმა აუგუსტოს ნამუსსს შეუნახავდა, სამაგიეროდ, ქმარივე მოუძებნიდა კაცს, რომელიც მის მოვალეობას შესარულებდა. ასე გამოჩნდა „მაშველი“ ოჯახის მეგობარი ფრანჩესკო ლო მონაკო, მაღალი, მხიარული სიცოცხლიელი, ქალების გულთამბყრობელი, რომელთანაც ირმამ ხუთი შვილი გააჩინა. სისხლისმიერი მამა მორანტეებთან ხშირად დადიოდა ტკბილეულით ხელდამშვენებული და თავისი ლამაზი ბარიტონით სახლს არიებით ავსებდა. ოფიციალური მამა კი საკუთარ ოჯახში გარიყულივით ცხოვრობდა; მარტომდარტო სადილ-ვანშპობდა სამზარეულოში; სარდაფში ეძინა და ყველანაირ დამცირებას იტანდა იმის შიშით, რომ ცოლს შვილებისთვის სიმართლე არ ეთქვა, თუმცა მრავალი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ბავშვებს თავიდანვე სცოდნიათ ყველაფერი. რაც შეეხება პირმშოს, ელზას, მალული, სასონარკვეთილი და უცნაური სიყვარულით შეპყრობილი ეგრეთწოდებული მამა უკიდურესი სისასტიკით ემყრობოდა; მის მწერლურ ნიჭში ღრმად დარწმუნებული დედა კი დაპფოფინებდა და ჭირვეული დედოფალივით ზრდიდა. „სული ჩემი იყო უძირო და შავი, დადარაჯებული ცნობისმოყვარე თვალებით და დაკლაკნილი იდუმალი ბილიკებით. ვიყავი პირფერი და დაუნდობელი მონსტრი, რაც უპირველესად იმით გამოიხატებოდა, რომ ყველას პატარა ვეგონე, მე კი უკვე საკმაოდ ზრდასრული ვიყავი“, — დანერს ელზა მრავალი წლის შემდეგ.

ამ და კიდევ სხვა ხალხმრავალი ღონისძიებით იტალიისა და ევროპის ინტელექტუალური საზოგადოება იტალიის სხვადასხვა ქალაქში „დამსახურებულ პატივს მიაგებს“ თანამედროვე იტალიური ლიტერატურის იმ უიშვიათეს „ჭეშმარიტ მთხრობელს“, რომლის დაკრძალვასაც 1985 წელს რომში ოციოდე კაცი დაესწრო. თუმცა ეს არც იყო გასაკვირი, ახლო მეგობარი ცოტა ჰყავდა და იმთავითვე „დიდი მარტოსულის“ სახელი ჰქონდა დამკვიდრებული. აკი თვითონვე წერდა 1946 წელს შეპერეზადესადმი მიძღვნილ ლექსში: „მე, მარტოსული, მე, ერთადერთი, ულამაზესი ჩემი ზღაპრებით ნუგეშს ვცემ ღამეს“... კრიტიკოსმა კ. გორლონიმაც „ჩვენი დროის შეპერეზადედ“ მონათლა, ... „რამეთუ თხზავს იდუმალ ამბებს, გაუცხოებულ, სასონარკვეთილ, მექანიკურ საზოგადოებას სევდიანი ღამეები რომ დაუამოს და მისგან ის ავსულები გამოდევნოს, დალუპვით რომ ემუქრებიან“. ელზა მორანტე დაიბადა 1912 წლის 18 აგვისტოს, რომში. სამწერლო მოღვაწეობას თითქმის წერა-კითხვის შესწავლასთან ერთად შეუდგა, ის, რომ დაწყებით სკოლაში არც უვლია და დედის მონდობითა და დახმარებით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში საბავშვო ლექსებსა და ზღაპრებს აქვეყნებდა საკუთარი ილუსტრაციებით. პირველი წიგნის გამოცემისთანავე (მოთხრობათა კრებული „საიდუმლო თამაში“, 1941 წ.) დაიკვივრა თემითა და ხელწერით გამორჩეული მოთხრობელის სახელი იტალიური ლიტერატურის უპირველესმა კრიტიკოსმა კ. დებენედეტიმ განაცხადა: „ელზა მორანტე არავის არა ჰგავს!“ იგი პიროვ-

მანამდე კი მორანტეების ოჯახური ყოფა დღითიდღე აუტანელი ხდება; მამა აუგუსტო ხშირად ანთხევს ბოლმას და ხან აწვევის მტვრევას იწყებს, ხან ვაჟიშვილებს დასდევს ჩაქურით, ხან ელზას ნაეკიდება და მერე დიდხანს არ ელაპარაკება. „კვირა არ გავიდოდა, ჩვენს სახლში ჩხუბი არ ყოფილიყო“, — იხსენებს ელზას რჩეული ძმა, საკუთარ დაზე ლამის ინცესტამდე შეყვარებული მარჩელო.

თვრამეტი წლის ასაკში ოჯახის ყველა წევრს დამდურებული ელზა შინიდან გარბის და უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე იწყებს სწავლას, მაგრამ უსახსრობის გამო მალევე მიატოვებს; თავს ლათინურისა და იტალიურის კერძო გაკვეთილებითა და სხვების დიპლომების წერით ირჩენს და უავეჯო, ლარინბული ბინის ქირას ძლივს იხდის. იმავდროულად აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებთან: „კორიერე დეი პიკოლი“, „ოჯი“, „პოპოლო რომანო“...

1936 წელს მეგობარი მხატვარი კაპოვრასო ალბერტო მორავიას გააცნობს, რომელიც მოგვიანებით გაიხსენებს: „ელზა შიმშილისა და მარტოობისაგან სულს ღაფავდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“. მათ შორის წრფელი, მაგრამ მოძალადე სიყვარული იბადება. „ალბერტოს მხოლოდ მაშინ ვუყვარვარ, როცა გაუზრბივარ, მაგრამ მე არ შემიძლია გაქცევა, ფული არ გამარჩნია“, — დანერს თავის დღიურში ელზა. საზოგადოებაში მაშინვე გახმაურდა მათი სკანდალური სცენების, გაუთავებელი დამშვიდობებისა და შერიგების ამბავი. „ერთხელ ალბერტომ მითხრა, წელიწადი ერთადა ვართ და ერთმანეთისთვის ტკივილის მეტი არაფერი მიგვიყენებია, უმჯობესია, დავშორდეთ, ჩემზე ნუღარ იფიქრებო. მაშინ მე ვუპასუხე: თუ ასე გინდა, ახლავე წადი-მეთქი. მან პალტო ჩაიცვა და მართლა წავიდა“, — აგრძელებს ელზა დღიურში.

1941 წელს იქორწინეს. ომი მივიწვევრებდა და ორივეს საშიშროება ემუქრებოდა, რადგან ნახევრად ებრაელები იყვნენ. გადარჩენის ნეაპოლში ინგლისელებისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ გამგზავრება უფრო სასიფათო აღმოჩნდა და იქვე ჩოჩარაში, მთებში შეხიზნულ პატარა სოფელ სანტ აგატაში იმალებოდნენ. ადგილობრივი მცხოვრებნი აღფრთოვანებით იგონებენ მუდამ უზადოდ ჩაცმულ, განსაკუთრებული სილამაზისა და დახვეწილობის, არაჩვეულებრივი ხმის ტემბრის მქონე უაღრესად განათლებულ ელზა მორანტეს, რომელმაც თავისი ალტრუისტობითა და სულიერი სიფაქიზით მოხიბლა იქაურები. პროფესორი ა. ოზილი იხსენებს ასეთ ეპიზოდს: „მორანტე გადაჭარბებული მგრძობილობით გამოირჩეოდა, უსაზღვროდ უყვარდა ბავშვები და არანაკლებ ცხოველები. ჩვენი გლეხის ბავშვები ხშირად ხაფანგით იჭერდნენ ჩიტებს და ელზასთან მიჰყავდათ: ნახე, რა ლამაზი ჩიტია, მაგრამ თავი უნდა ნავაცალოთო, ის კი ფულს აძლევდა, ოღონდაც არ მოეკლათ საბრალდო ფრინველები. ასე თითქმის ყოველდღე სარგებლობდნენ ელზას გულჩვილობით და ფულს აკეთებდნენ“.

რომის ნაჩქარევად დატოვებისას ელზას თავისი რომანის „სიცრუისა და ჯადოქრობის“ ხელნაწერი შინ დარჩენოდა, რაზეც ძალიან ნუხდა, რადგან მიაჩნდა, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აქამდე დაეწერა მისი ოჯახურ საიდუმლოებათა და სევდიანი სიყვარულების ისტორია, რომელიც, მწერლისავე თქმით, „მოიცავს ყველაფერ იმას, რაც მანვალეობა; მოიცავს მთელ ჩემს ცხოვრებას, ჩემს ახალგაზრდობას, ინტიმურობამდე დრამატულს“. დაბრუნებისას ხელნაწერი ვეღარ იპოვა და ხელახლა დაიწყო წერა, დღე და ღამე ასწორებდა, სიცხიანით წერდა, ალკოჰოლსა და თამბაქოს მიძალებული. „მოცარტესაც რომ დაეკაკუნებინა იმხანად კარზე, იმასაც არ გავუღებდი“, — იტყვის მერე დიდ მუსიკოსზე, რომელსაც აღმერთებდა და რომლის „დონ ჟუანს“ საათობით უსმენდა — „ვერ ვიტყვი, რომელიმე მწერალს ისეთი დიდი გავლენა მოეხდინოს ჩემზე, როგორც მოცარტეს, იგი ნამდვილად ჩემი მასწავლებელია“.

რომანი „სიცრუე და ჯადოქრობა“ 1948 წელს გამოსცა და საბოლოოდ დაიპყრო კრიტიკა და მკითხველი, და ვიარჯჯოს პრესტიჟული პრემია ც მოიპოვა (მანამდე, 1942 წელს, აქვეყნებს ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ასაკში დაწერილი და მის მიერვე ილუსტრირებული ნოველების კრებულს „ნანსავებიანი კატერის ულამაზესი თავგადასავლები“). იმხანად მორავიაც უკვე ცნობილი მწერალი იყო და რაკილა სახელთან ერთად ფულმაც არ დააყოვნა, სახლი შეიძინეს, მოგზაურობა და-

ინყეს: მოიარეს შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი და სხვ. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ისევ ერთად ცხოვრობენ, ოღონდ როგორც მეგობრები; მოგვიანებით ცალ-ცალკე სახლში გადადიან, თუმცა ოფიციალურად არასოდეს განქორწინებულან. მორავია მწერალ დაჩა მარაინისთან ერთად ცხოვრობს, ელზა თავის კატებთან, რომლებიც მისი უსაყვარლესი სიამის კატის ჯუზეპეს ჩამომავლები არიან, „ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობარი, ჩემი სულის მეორე ნახევარი“, — ამბობდა ხოლმე კატა ჯუზეპეზე.

1957 წელს უდიდესი წარმატება და სტრეგას პრემია მოუტანა რომანმა „არტუროს კუნძული“, რომელიც მოგვიანებით, 1962 წელს, რეჟისორმა დამიანო დამიანიმ ფილმად აქცია. 1958 წელს გამოდის სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსთა კრებული „ალიბი“; 1968 წელს პოემების, სიმღერებისა და ლექსების კრებული „ჭაბუკების მიერ გადარჩენილი სამყარო“.

ხშირად სტანჯავს თავისი უიღბლო სასიყვარულო თავგადასავლები, განსაკუთრებით აუტანელი ხდება იმის შეგრძნება, რომ ბერდება და უშნოვდება; დეპრესიაში ჩავარდნილი არაფრით თანხმდება, ფსიქოანალიტიკოსს მიმართოს, „ბევრად უკეთესი იყო, თავის დროზე მოძღვარს რომ აბარებდნენ აღსარებას, ანდაც ჯადოქრებს მიმართავდნენ“, — ამბობდა. ყველაზე ტრაგიკული მაინც ახალგაზრდა ამერიკელი მხატვრის ბილ მოროუსადმი სიყვარული აღმოჩნდა, 1962 წელს იგი ნიუ-იორკის ცათამბჯენიდან გადმოსტა. მას შემდეგ სხვა სასიყვარულო რომანებიც ექნება (მანამდე ლუკინო ვისკონტისა ც ყვარობდა) მასზე ბევრად ახალგაზრდა მამაკაცებთან. მაგრამ სიყმაწვილის ფანტაზმებიდან ვერ თავისუფლდება და ისევ წერაში ექებს შვებას.

1963 წელს გამოსცემს მოთხრობების კრებულს „ანდალუზიური თავშალი“, ადრე დაწერილი მოთხრობის სათაურით, მის უახლოეს მეგობარს პიერპაოლო პაზოლინის ყველაზე მეტად რომ მოსწონდა; მოგვიანებით ქმნის რომანს „ისტორია“, რომელიც 1974 წელს დაისტამბა და მილიონი გზემოწლარი გაიყიდა, თუმცა აზრთა დიდი სხვადასხვაობაც გამოიწვია. ამავე პერიოდში წერს პუბლიცისტურ კრებულს „ჰო და არა ატომურ ბომბს“, ასევე დიდი პოლემიკის საბაზი რომ გახდა; 1982 წელს გამოდის ელზა მორანტეს უკანასკნელი რომანი „არაქოლი“, რომელსაც აშკარად ატყვია დეპრესიით დათრგუნული მწერლის ხელი თქმის ძვლის მოტეხილობის გამო სამუდამოდ ლოგინს მიჯაჭვული, საძულველი სიბერისგან გაქცევას ცდილობს და თვითმკვლელობას მიმართავს, მაგრამ შინამოსამსახურე გადაარჩენს. ამის შემდეგ სამ წელს გაატარებს „ორმუხრიანი კლინიკაში, როგორც კარმელო ბენე წერს, უტელევიზოროდ, სრულ მარტოობასა და უკიდურეს სიღარიბეში“; და 1985 წლის 25 ნოემბერს ინფარქტით გარდაიცვლება. სიცოცხლის ბოლოს დაწერს: „ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ სამ რამეს ჰქონდა მნიშვნელობა — სიყვარულს, ბავშვებსა და კატებს“.

ელზა მორანტეს შემოქმედებითი მრწამსი არ იზიარებდა თავისი ეპოქის გემოვნებას. იგი შორს იდგა იმხანად გაბატონებული არამარტო ფაშიზმის, არამედ ჰერმეტიზმის ლიტერატურული კულტურისგანაც; არამხოლოდ წინარე საუკუნეთა პოეტური მემკვიდრეობის, არამედ თანამედროვეების ა. მორავიას, ე. ვიტორინის, ჩ. პავეზეს — ნეორეალისტური ტრადიციებისგანაც. ამიტომაც შერაცხეს იგი მანამდე არარსებულ, არაორდინარულ, უცნაურ, მაგრამ ჭეშმარიტ მთხრობელად. თუმცა ზოგი მასში XIX საუკუნის ფრანგ და რუს პროზაიკოსთა ზეგავლენას ხედავს, ზოგი პრუსტსა და კაფკას ადარებს, ზოგიც ანტიკურ მითოლოგიასა და ებრაულ მისტიკაში ექებს მის ფესვებს; მავანს საერთოდ ანტიმოდერნისტად მიაჩნია. პაზოლინი კი ასე ახასიათებს: მორანტე ბებია-ბავშვია, რომელიც აქამდე გამოუთქმელ, გაუცონარ მწერალ სათქმელს პირში ახლის არა მხოლოდ ბურჟუაზიას, არამედ მთელ საზოგადოებას და ამას დახვეწილი მეზღაპრის ენით ახერხებს.

გიორგი ყაჯრიშვილი

## ახალი ქართული თეატრი: ბასული სეზონის ტენდენციები


ქართული თეატრს, განსაკუთრებით საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდში, პოლიტიკური შეფერილობა ჰქონდა: დასაწყისში „მსოფლიო პროლეტარიატის“ იძულებითი აპოლოგეტი (მაგალითად სანდრო ახმეტელის რუსულ დრამატურგიაზე აგებული რეპერტუარი, კოტე მარჯანიშვილის რევოლუციური „ფუნტო ოვეზუნა“ საბჭოთა ნითელი დროში ფინალში), ეს თეატრი თანდათანობით ხდება ჯერ „კომუნისტური იდეალების“ და „ბოროტების იმპერიის“ კრიტიკოსი და შესაბამისად — საშიში სახელმწიფო აპარატისა და მმართველობისთვის. როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ზოგიერთი თეატრი, კონკრეტულად კი რუსთაველის თეატრი რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით, სულ ცოტა ხნის წინათ, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს მშენებლობის ეპოქაშიც კი ასეთ საშიშ რგოლად რჩებოდა სახელმწიფოსთვის. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დღეისთვის ეს „რგოლი“ დაშლილია — „სტურუა თეატრიდან გაუშვეს“ — ბოდიშს ვიხდი სკანდალურად ცნობილი სლოგანის ციტირებისთვის. თეატრალური ხელოვნების პოლიტიკური ნიშნით სტაგნაცია გრძელდება.

შარშანდელ ტენდენციებზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ საქართველოს ერთ-ერთმა წამყვანმა თეატრმა დიდ სცენაზე ვერცერთი პრემიერა ვერ უჩვენა თავის მაყურებელს. ამ თეატრის უპროდუქტიულობამ აშკარად დალი დაასვა საერთო თანამედროვე თეატრის განვითარებას და სეზონიც, ცხადია, უღიმღამო გამოვიდა. ამის შესახებ ძალიან ხშირად ვწერდი მეც და ჩემი კოლეგებიც: ზაზა სოფრომაძე, ლაშა ჩხარტიშვილი („თეატრი და ცხოვრება“, 2011, №3-4), ლელა ოჩიაური („თეატრი და ცხოვრება“, 2011, №5) რაც აშკარად გამოჩნდა წინა ფესტივალის ქართული თეატრის შოუ-ქესის დროს. დაახლოებით იგივე სურათია მოსალოდნელი ახლაც. თეატრის მოღვაწეთა კავშირმა ორჯერ მოაწყო სეზონის განხილვა, ჯერ გაზაფხულზე, შემდგომ კი სეზონის დასასრულს, მაგრამ ამ განხილვებს თეატრის მმართველები და რეჟისორები არ დასწრებიან (თუ არ ჩავთვლით რეჟისორებს: გოჩა კაპანაძესა და დიმიტრი ღვთისიაშვილს). აქ აშკარად გამოიხატა დანარჩენების უინტერესობა და, არ შევცდები თუ ვიტყვი, მათი „პოლიტიკური“ განწყობაც. სამწუხაროდ თეატრების მმართველობა, დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ „ოპოზიციურად“ განწყობილ თეატრის მოღვაწეთა კავშირს უკვე დიდი ხანია ზურგს აქცევს.

შარშანდელ სეზონთან შედარებით, მიუხედავად მთელი რიგი ექსპერიმენტებისა, წლებანდელი სეზონი ისევ მწირი რეპერტუარით და თეატრების შემოქმედებითი პასიურობით გამოირჩეოდა. ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრში ერთიდაიმავე არცთუ დრამატურგოულად საუკეთესო პიესის დუბლირებას (მაგ. თუნჯერ ჯუჯენოლლუს „ზვაგი“ ხუთჯერ). დაახლოებით 74 პრემი-

ერიდან ჩემი აზრით მხოლოდ რამდენიმე გახდა კრიტიკოსთა და თეატრალთა ყურადღების ღირსი. თ. ჭილაძის „ნადირობის სეზონი“, ჩ. დიკენსის „ოლივერი“ და ალდგენილი „მარიამ სტიუარტი“ რუსთაველის თეატრში; ბოკაჩოს „დეკამერონი“, უ. შექსპირის „როგორც გენებოთ“ და ლ. ბულაძის „ნაფთალინი“ მარჯანიშვილის თეატრში, ს. რულის „სუფთა სახლი“ და მ. მარმარინოსის „R+J“ ბედისწერა დაბნეულია, რომეო და ჟულიეტა, მესამე განზომილება“ კინომსახიობთა თეატრი, ე. ბერჯისის „მექანიკური ფორთოხალი“ და ჰ. იბსენის „თოჯინის სახლი“, „თავისუფალ თეატრში“, ს. კეინის „ფსიქოზი 4:48“ დრამისა და მუსიკის თეატრში, ს. მროჟეკის „სტრიპტიზი“, ნ. ხარატიშვილის „ლივ შტაინი“, რ. ვ. ფასბინდერის „კანცელმახერი“. როგორც ნახეთ, ჩამონათვალი ძალიან მოკლეა.

აშკარად გამოიკვეთა, რომ თანამედროვე ქართული თეატრი დგას „ჟანრის კრიზისის“ საფრთხის წინაშე — ეს ერთნაირად ეხება დრამატურგიასაც და თვით წარმოდგენასაც. ხშირია შემთხვევა, რომ თეატრები თავს არ იწუხებენ მიუთითონ, რა ჟანრის სპექტაკლია გათამაშებული კომედია, ტრაგიკომედია, მელიოდრამა, ტრაგედია... უმეტეს შემთხვევაში უტექსტო პიესა და თეატრი ქმედების გარეშე ხდება მისი ძირითადი დასაყრდენი. ეს განსაკუთრებით ვლინდება ეროვნული დრამატურგიის მაგალითზე. მ. თუმანიშვილის ფონდის მიერ ჩატარებული თანამედროვე პიესის კონკურსებმა, რომლის ჟიურის მუდმივი წევრი გახლავართ და ასობით ქართული პიესა მაქვს წაკითხული, ცხადყო, რომ ხშირად დრამატურგებს უჭირთ არა მხოლოდ ორიგინალური სიუჟეტის შეთხზვა და ამბის მოყოლა, არამედ პიესაში მეტ-ნაკლებად არსებული ფაბულის ლირსეული ფინალის მონახვა. ხშირია ასევე დრამატურგიულ კანონთა არცოდნა, რაც ხშირ შემთხვევაში სიუჟეტისა და ფაბულის ერთმანეთში აღრევას განაპირობებს. თავისთავად ცხადია, ეს დამატებით პრობლემებს უქმნის დამდგმელ რეჟისორებს და რაც შეიძლება სწორედ იმის მიზეზი იყოს, რასაც ზემოთ „ჟანრის კრიზისი“ ვუწოდებ. რაც შეეხება უტექსტო პიესას ამის მაგალითად თუნდაც ისევ „ნადირობის სეზონი“ გამოდგება, სადაც ტექსტს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ყველაფერი ქმედებაზეა გადატანილი. იას სიტყვები, მრავალჯერ გამეორებული, ბერს არაფერს ეუბნება მაყუ-



რებელს, ხოლო მისი უტექსტო საქციელი არსობრივად გამობატავს რეჟისორის სათქმელსა და ჩანაფიქრს. დასმული საკითხის ერთგვარი გამოძახილია მიხეილ მარმარინოსის მიერ დადგმული „R+J ბედისწერა დაბნეულია, რომეო და ჯულიეტა, მესამე განზომილება“, სადაც შექსპირისეული ტექსტი მინიმუმამდეა შემცირებული, მხოლოდ რეჟისორული სვლებითა და მინიშნებებით ვხვდებით, როდის ვინაა რომეო, ჯულიეტა, ძიძა თუ ბერი ლორენცო. თუმცა ეს სრულიადაც არ უშლის რეჟისორს, თქვას თავისი მთავარი სათქმელი, რომ სიძულვილი და მიუტევლობა დიდი დანაშაულია და მათ დიდი უბედურების მოტანა შეუძლიათ.

ბოლო ორი წლის მიმდინარე რეპერტუარში თავი იჩინა XXI საუკუნისთვის დამახასიათებელმა მნიშვნელოვანმა საზოგადოებრივმა მოვლენამ — ადამიანთა ფსიქოენერვიულმა განწყობამ მოსალოდნელი მსოფლიო კატაკლიზმების და შიშის სინდრომის შესახებ (თუნჯერ ჯუჯენოლლუს „ზვავი“, ს. მროჟეკის „სტრიპტიზი“, თ. ჭილაძის „ნადირობის სეზონი“, ბოკაჩოს „დეკამერონი“).

თუ მაგალითად „ნადირობის სეზონში“ იასა და „მათხოვრის“ შიშს სრულიად ობიექტური საფუძველი აქვს, რომლებიც გარკვეულ ძალთა მხრიდან დევნას განიცდიან, გვეჩვენება, რომ „ზვავში“ „შიშის“ ფაქტორი ხელოვნურადაა გამძაფრებული, თუმცა გასაგებია, რომ ავტორის მშობლიურ მუსლიმანურ სამყაროში მშობიარობასთან, ფეხმძიმობასა და ქალის ფიზიოლოგიასთან დამოკიდებულება სულ სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე ქრისტიანულში. ამდენად, ამ პიესაში ასახული მოვლენის ამგვარი ტირაჟირება უცნაურად მიმჩნია. ამასთან კავშირში მინდა ვთქვა, რომ რეპერტუარის სიჭრელე, მისი დაბალი დონის გათვალისწინებით, იმ „ქაოსის“ შედეგია, რაც დღეს ქართული თეატრალურ გარემოშია. არცერთ თეატრს არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული მხატვრული პოზიცია, როგორც ჩანს, სამხატვრო საბჭოების და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის გაუქმებამ გარკვეული დალი დაასვა თეატრების შემოქმედებით ცხოვრებას (თავისთავად სამხატვრო საბჭო პანაცეა არაა და რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი შემადგენლობის საბჭოც არსებობდა დიდ არაფერს წყვეტს!). რასაკვირვებელია მე არ ვარ რეპერტუარის მრავალფეროვნების წინააღმდეგ, მაგრამ ჩემ აღშფოთებას იწვევს ამ „ჭრელი“ რეპერტუარის დონე და არამიზნობრიობა. მაგალითისათვის, ვერაფრით ვერ ამიხსნია, რა პრინციპით შეირჩა ე. როსტანის ნეორომანტიკული დრამა „სირანო დე ბერჟერაკი“ დრამისა და კომედიის თეატრში, გ. ბერგერის 1915 წელს დაწერილი დრამა „ნარღვანა“ ახმეტელის თეატრში, რატომ მზადდება დ. ტურაშვილის საკმაოდ მოძველებული პიესა „შავი კეტები“ იმავე ახმეტელის თეატრში და რატომ გახდა უეცრად აქტუალური და რეპერტუარში შესატანი ასევე დიდი ხნის წინათ, ლ. ბულაძის თითქმის პირველი პერიოდის „პანთეონი“ ორ თეატრში და აშ. და ა.შ., დრამატული ნაწარმოებები, რომელთა პრობლემეტიკაც დიდი ხანია მოძველდა და არავის არაფერს აღარ ეუბნება. ან რა შეიძლება უთხრას მაყურებელს მარჯანიშვილის თეატრის ისეთმა სუსტმა სპექტაკლმა, როგორც ნ. გოგოლის „რევიზორია“, სადაც არათუ ახალი არაფერია, მასში ის მნიშვნელოვანიც დაკარგულია, რაც ამ გენიალურ

კომედიაში იყო ავტორის მიერ მოცემული. ძიებებით გამორჩეული სამეფო უბნის თეატრის კოლექტივი ბოლო სეზონებში ბევრი ექსპერიმენტით წარსდგა ჩვენს წინაშე. აქაც გარკვეულწილად „სიჭრელე“ შეიმჩნევა, მაგრამ ამ თეატრში ეს სრულიად გასაგები და მისაღებია.

ს. მროჟეკის „სტრიპტიზი“ ზუსტად ეხმიანება იმ ტენდენციას, რასაც შიში სინდრომი ვუნოდეთ. სპექტაკლს ორი მთავარი მოქმედი პირის გარდა ჰყავს მესამე და ყველაზე „გავლენიანი“ „ჯადოსნური“ პერსონაჟი — ხელი — იმ ზებუნებრივი ძალის გამოვლენაა, რომელმაც ეს ორი მამაკაცი ამ ოთახში მოაქცია. კატეგორიული, მკაცრი ხელი ერთნაირი წარმატებით აღწევს პერსონაჟთა სულიერ და ფიზიკურ სტრიპტიზს, ეტაპობრივად ახერხებს მათი ფსიქოლოგიის წვრთვას, მათზე ზემოქმედებას „დაშინების“ ფაქტორით.

ასევე რეპერტუარულმა „ეკლექტიკამ“ მოიცვა „თავისუფალი თეატრიც“. კინოდრამატურგიიდან გადმოტანილ ნაწარმოებთა სცენური ვერსიები იკავებენ საპატიო ადგილს. უნდა ვაღიაროთ, რომ კინონაწარმოების სცენიურ ვერსიათა წარმოდგენა ბოლოდროინდელ ქართულ თეატრში ახალი არაა, „რომანსი შეყვარებულებზე“ ბათუმის და „ამადეუსი“ მარჯანიშვილის (ორივე სპექტაკლის რეჟისორი ზ. სიხარულიძე), „ძმები“ (რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი) იმავე „თავისუფალ“ თეატრებში იმის მანიშნებელია, რომ ხშირად რეჟისორებს არ ჰყოფნით „წმინდა“ თეატრალური დრამატურგია და სათქმელის გამოსახატავად კინოდრამატურგიასაც მიმართავენ. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით თუნდაც წლევეანდელი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამაში წარმოდგენილი „ღმერთების დაღუპვით“ (ლ. ვისკონტის ცნობილი ფილმის მიხედვით) იან კოხანოვსკის თეატრი ოპოლეს (პოლონეთი — რეჟისორი მაია კლერვესკა) სპექტაკლით. თავისთავად გასაგებია, რომ აქ „თავისუფალი თეატრის“ მთელ რეპერტუარზე არაა ლაპარაკი. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ჰ. იბსენის „თოჯინის სახლი“ (რეჟისორი ი. ხუციშვილი), რომლის მაღალი მხატვრული დონეც თითქმის არავის არ აეჭვება.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო პიესის ტექსტუალური მასალის მიმართ ზოგიერთი რეჟისორის „უღივი“ დამოკიდებულება. გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, გარდაცვლილ დრამატურგებზე რომ არაფერი ვთქვათ (მაგ. შ. დადიანი ან დ. კლდიაშვილი), რომელთა საავტორო უფლებებს უკვე ვერავინ დაიცავს, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ თანამედროვე ავტორებმაც კი ვერ იცნეს საკუთარი ნაწარმოებები (მაგ. ლ. ბულაძე, თ. ბართაია).

გასულ სეზონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა თემურ ჩხეიძის „მარიამ სტუარტი“, წარმოდგენილი სანკტ-პეტერბურგის გ. ტოვსტონოგოვის დიდი დრამატული თეატრის მიერ. ჩვენს წინაშე გათამაშდა თემურ ჩხეიძის ფსიქოლოგიური თეატრი, რომელმაც საფუძველად უდევს ფ. შილერის რომანტიკული დრამა, სადაც რეჟისორი სიტყვა-სიტყვით მიჰყვება პასტერნაკისეულ გენიალურ თარგმანს, სადაც ისმის ამ პოეტისათვის დამახასიათებელი მუსიკალური ჰანგი და პოეტიკა, და სადაც მარია სტიუარტი მსხვერპლია. ესაა სპექტაკლი ძალაუფლებაზე, ძლიერ ხელისუფლებაზე, ძლიერ სახელმწიფო აპარატზე, ძლიერ დედოფალსა და გარდაუვალობისგან გა-

მონვეულ გადანყვეტილებაზე. ამავდროულად ამავე სეზონში გოჩა კაპანაძის განახლებულ „მარიამ სტიუარტში“ (შეზავებული რ. სტურუასა და ლ. ფოფხაძის, შ. დადიანის ლექსად თარგმნით და შტეფან ცვაიგის ისტორიული რომანით, ლ. რაზუმოვსკაიას პიესა „თქვენი და და თქვენი ტყვეს...“ ფრაგმენტებით) მონოლოგთა პოეტურობას დიალოგების პროზაულობა ცვლის. ახალი ტექსტების შემოტანა, რაც ასე სჩვევია ამ რეჟისორს, სრულიადაც არ არღვევს მთლიანს და ყოველივე ეს ერთ სრულყოფილ ქსოვილად აღიქმება. აქ ორივე დედოფალი თანაბარია, ორივე „ცოდვილი“, ესაა ემოციური, გრძნობებზე აგებული სპექტაკლი სიყვარულსა და ღალატზე.

რეჟისორულ თეატრში გრძელდება „დეკონსტრუქცია“ ისევე პოსტმოდერნიზმისა დამკვიდრების ან პოსპოსტმოდერნიზმის შემოტანის მცდელობის გზით („ფსიქოზი 4.48“, „ნადირობის სეზონი“), სადაც საერთოდ არ არსებობს რეჟისურა. გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთელ რიგ თეატრებში სპექტაკლები მხოლოდ სცენიდან მსახიობთა მიერ ტექსტუალური მასალის მოწოდებად გადაიქცა, ხოლო იქ, სადაც არის რეჟისორული გადანყვეტის მცდელობა, ხშირ შემთხვევაში თვითმიზნურია და არაფრისმეტყველი.

მაგალითისთვის ისევ „ჟანრის კრიზისს“ თუ დავუბრუნდებით, არ შემიძლია არ ვთქვა აბსურდის თეატრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ს. ბეკეტის „კრეპის უკანასკნელი ფირის“ დადგმის შესახებ, სადაც მსახიობის მიერ არასწორად განსახიერებული როლის გამო ამ თეატრისთვის დამახასიათებელი სტილის სანაცვლოდ მივიღეთ მელოდრამა, სენტიმენტები და ფსიქოლოგიური თეატრის შექმნის რაღაც მცდელობა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება აბსურდის თეატრის გაგებას.

ზოგად ტენდენციებზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თეატრალური ხელოვნების კიდევ ორ მნიშვნელოვან სფეროს: სცენოგრაფიასა და მსახიობის ოსტატობასა და როლის ინტერპრეტაციას.

სცენოგრაფიასა და სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში არათანაბარი მდგომარეობაა. თეატრები, რომელთაც კარგი სახელმწიფო დაფინანსება აქვთ, ასე თუ ისე ცდილობენ შექმნან დრამატული წარმოდგენის შესაბამისი გარემო, შეკერონ კოსტუმები, მუსიკალურად და მხატვრულად (განათება) გააფორმონ წარმოდგენა (რუსთავე-

ლის, მარჯანიშვილის, ოპერისა და ბალეტის თეატრი, გრიბოედოვის, ბათუმის თეატრი, „თავისუფალი თეატრი“). ამ კუთხით გამოიკვეთა ისევე „ნადირობის სეზონი“ (მხატვარი თ. ნინუა), „დეკამერონი“ (ლევან ნულაძე, ნინო სურგულაძე), სხვა ე.წ. მცირებუფეტისანი ან კერძო თეატრები კი მოპოვებული თუ „გადარჩენილი“ თანხების მეშვეობით (ილიაუნის, სამეფო უბნის და ძირითადად რეგიონალური თეატრები) ცდილობდნენ ოდნავ მაინც მიახლოვებოდნენ იმ თეატრალურ გარემოს, ეპოქას თუ სამყაროს, რაც წანარმოებში სუფევს ან ავტორს აქვს აღწერილი. მეტ-ნაკლებად „ლივ შტანი“, „ფსიქოზი 4:48“ (მხატვარი ნ. კიტია), „სტრიპტიზი“ (მხატვარი მ. მურვანიძე) და „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ (მხატვარი ნ. თათარაშვილი). რაც შეეხება სხვა წარმოდგენებს, მათი მხატვრული გაფორმება თუ სცენოგრაფია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ქართული თეატრი ყოველთვის ბრწყინავდა თავისი „ვარსკვლავებით“. არ არსებობდა ეპოქა, თაობა, სეზონი, რომ იგი გამორჩეული არ ყოფილიყო მსახიობთა მიერ შექმნილი სასცენო შედეგებით, ახალი სახეებით, ბრწყინვალე სასცენო დებიუტებით. ბოლო სეზონებში აქაც ვერ დავენიეთ განვლილ თეატრალურ ცხოვრებას, ვერ შეიქმნა როლები და როლების ისეთი ინტერპრეტაცია, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი იქნებოდა, თუმცა ია სუხიტაშვილი, ეკა ჩხეიძე, თამუნა ნიკოლაძე, ქეთა შათირიშვილი, კატო კალატოზიშვილი, რუსკა მაცაშვილი, მარიამ კიტია, პაატა ინაური, გიორგი ნაკაშიძე, კახა კინწურაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ლაშა გურგენიძე მსახიობთა საერთო სიიდან მაინც განსაკუთრებულად დგანან ბოლო სეზონების ნამუშევრებით.

ახალი სეზონი იწყება. თეატრები ისევ თავს არიდებენ პრესკონფერენციების ტრადიციას, როდესაც მომავალი გეგმების შესახებ უყვებოდნენ ჟურნალისტებსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს. სამეფო უბნის თეატრმა ყველას დაასწრო და წარმოადგინა უაღრესად რთული ა. სტრინბერგის ნატურალისტურ-სიმბოლისტური დრამა-მანიფესტი „ფრეკენ იულია“, რომლის შესახებ ალბათ ცალკე გვექნება საუბარი.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ თანამედროვე ქართულ თეატრს შველა სჭირდება.

ბონატისი ყმაფილთა მიხედვის

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ (მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე) და საქართველოს ისტორიის მოყვარულთა კლუბი „მემკვიდრე“ (ხელმძღვანელი ნუგზარ მოლაშვილი) აცხადებს კონკურსს თემაზე — „მზით დაფერილი“ (ერი და ეროვნული გმირი)“.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლის VII-XII კლასის მოსწავლეს და უცხოეთში მცხოვრებ „საკვირაო სკოლის“ მსმენელს.

საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილი იყოს გამოკვლევა (10 ნაბეჭდი გვერდი), ესეი, ვიდეოფილმი, ლექსი, მოთხრობა (არა უმეტეს 10 გვერდისა), ფოტოალბომი...

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად: სასკოლო ტური — მარტში, დასკვნითი ტური — მაისში.

დასკვნით ტურზე მასალის წარმოდგენის ბოლო ვადაა 15 აპრილი. ნაშრომს უნდა ახლდეს წარმომდგენის (სკოლის, პედაგოგის, კლუბის...) რეცენზია-რეკომენდაცია.

დანვრლებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ნუგზარ მოლაშვილი

ტელ: 253 43 10, მობ: 551 33 03 53, ელ. ფოსტა: nugzarmoli@gmail.com



ვახტანგ ჯავახიძე

# მთაწმინდის მთვარის დაბნელება

(ციკლიდან — „ისევ გალაკტიონი“)

1940 წლის 20 თებერვლის გვიანი ღამით ქალაქ ვლადიმირში გადასახლებულმა ოლიამ ფანჯარაში ნაცნობი მთვარე დაინახა და გალაკტიონის აუწყა:

— ახლა მე ფანჯრიდან შემომყურებს მთვარე, რომელმაც სრულიად მოვერცხლა ყინვის ყვავილები. შენც ეს მთვარე შემოგყურებს ახლა. გიგზავნი მოკითხვას და კოცნებს, „კოცნების ზღვას“. შენც შეგიძლია მთვარეს დაუბრუნო და გამომიგზავნო, თუმცა მე უკვე მივიღე...

ხუთი დღით ადრე — საზიარო მთვარეზე ადრე — საზიარო რიონი შეახსენა:

— აი ხის პატარა სახლი და გრძელი ეზო რიონის პირას, რომლის განუწყვეტელი ხმაური ახლაც ჩამესმის და ჩემს ფიქრებს ეხმაურება. ჩემო კეთილებო! ამ სახლში ხომ გალიკი დაიბადა. ამ უზარმაზარი ხეების ჩრდილში ხომ გალიკი ოცნებობდა, პატარა გალიკი. აი მეორე პატარა სახლიც აყვავებულ ალუბლებს, ბრონეულებსა და ლეღებს შორის. ეს სახლიც ხომ ქუთაისში რიონის პირასაა, აქ ხომ პატარა ოლია დარბოდა, რომელიც არ გიცნობდა, მაგრამ ოცნებობდა შენზე...

მომავალი საბედისწერო წლის 14 მარტს კი მთვარე და რიონი ერთად წამოაგონდა:

— გამახსენდა რიონი, რომლის ნაპირზეც ხშირად ვსაუბრობდით, როცა ტალღები ჩუმად ჩურჩულებდნენ და მთვარის არეკლილ სხივებს ეთამაშებოდნენ.

1938 წლის ერთ მშვენიერ ღამეს თბილისში გალაკტიონმა თვალი მოჰკრა მთაწმინდის ნაცნობ მთვარეს და გაახსენდა, რომ ამ მთვარეს რვაასი წლის წინათ შოთა რუსთაველიც შესცქეროდა და შესცქეროდა მაშინაც, როცა პატარა ბიჭი იყო. პოეტმა დაწერა „მთვარის ნაამბობიდან“, პოეტი გაესაუბრა მთვარეს და მთვარემ უამბო პოეტს:

**რუსთაველი მახსოვს ბავში,  
ოცნებობდა ოქროს ნავში,  
მიცქეროდა და თან თრთოდა,  
ვით ფოთოლი თრთის ნიაჭში.**

ცხადია, გადასახლებულ ოლიას 1938 წლის ეს ლექსი ნაკითხული არ ჰქონდა და, სამწუხაროდ, 1936 წლის 11 ნო-

ემბრის შემდეგ დაწერილი არცერთი სტრიქონი თვალით არ უხილავს. მაგრამ ოლიას, რომელიც რუსულ პნკარედებს უმზადებდა გალაკტიონს და რომლის ჩანაწერები და პირადი წერილები გაჯერებულია გალაკტიონის მეტაფორებით, უსათუოდ ახსოვდა:

**მთვარემ მოვერცხლილ ძაფების გროვა  
გადააქსოვა სარკმლის მწვანე ზოლს.**

და

**ზამთრის ფანჯრის მინებზე  
აყვავებული  
ფერიული ყინვა.**



გალაკტიონ ტაბიძე

1937 წელს ოლია იაროსლავლის ცის ქვეშ ითვლიდა მისჯილ დღეებსა და თვეებსა და წელიწადებს და 21 დეკემბერს გალაკტიონს შეატყობინა:

— ახლა ჩემს ფანჯარასთან ბელურა მოფრინდა. დაჯდა და საყვარლად ჟღურტულებს. ოთახიდან შევეხმიანე და ვთხოვე, შენთან გადმოფრინდეს და ჩემი სალამი გადმოგცეს.

შვიდი თვის შემდეგაც ნაცნობი ჩიტუნა ისევ ნაცნობ სარკმელთან ჟღურტულებდა:

— ყოველ დღით ჩემს ფანჯარასთან პატარა ბელურა ჟღურტულებს. მე მას მირიადი საამური მოკითხვა დავაბარე შენთან. არ ვიცი, მოაღწია თუ არა შენამდე. მჯერა, რომ მოაღწია, რადგან ელოდებოდი და არც შეიძლება არ ელოდებოდე... ო, ნეტავ ფრთები მომცა! — ინატრა ოლიამ 1938 წლის 20 ივლისს და გალაკტიონმაც იმავე წელიწადს დააიმედა:

— აქ ყველანი კარგადა ვართ და ბელურებიც ხშირად მოფრინავენ ჩვენთან.

5 ოქტომბერს ოლიამ ჩვეულებრივად ძველი ნაცნობებივით მოკითხა გალაკტიონის ხელნაწერები და მოუბოდიშა — უნებლიეთ რომ მიატოვა უყურადღებოდ. გალაკტიონს კი სთხოვა:

— საყვარლო გალიკ, ახლახან ნავიკითხე 1937 წლის აკადემიური გამოცემა გოგოლის „მკვდარი სულებისა“. ძალიან კარგი ილუსტრირებული გამოცემაა. მინდა კიდევ და კიდევ ნავიკითხო ეს გენიალური ნაწარმოები, განსაკუთრებით — ლირიკული ნიაღვრები. საყვარლო გალიკ, გევედრები, როგორმე იმოვნე და შეიძინე ეს წიგნი.

ოლია აქტიური წიგნომანი გახლდათ, განსაკუთრებით რუსული კლასიკისა და განსაკუთრებით — თავისუფლების ალკვეთისას. ორი წლის შემდეგ ვლადიმირში ისევ „მკვდარ სულებს“ მიუბრუნდა: ბოლო მეთერთმეტე თავიდან ორი საგულისხმო ლირიკული ციტატა ამოინერა და შეაერთა:

— რა საოცარი, მიმზიდველი, წარმტაცი და მომაჯადოებელი სიტყვაა: გზა! და რა მომხიბლავია თვითონ ეს გზა... ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი ხარ, ზოგჯერ შორეულზე შო-

რეულო გზაო! რამდენჯერაც წყალწაღებულებით ჩაგეჭიდე, იმდენჯერ დიდსულოვნად გადამარჩინე.

20 თებერვალს მორიგი წერილის წერად დაჯდა და გოგოლის პანეგირიკი გააგრძელა:

— გესმის, ჩემო საყვარელო, შორეული გზა მეძახის? ეს ჩემი საყვარელი გზა მიხმობს, სამხრეთის გზა. ზურმუხტოვანი ხალიჩებითაა მოფენილი იგი, კიდეც მიზიდავს და კიდეც მეფერება. მალე, იქნებ, ამ გზაზე გრიალითა და გუგუნით გაიქროლოს ჩემმა მატარებელმა... ო, როგორ ცბიერად შემომყურებს და ილიმება კაშკაშა მზე. მზეო, საყვარელო, მიპასუხე, მალე გამათობო? მალე დავბრუნდები სახლში?.. ეშმაკი კი იცინის და კვდება სიცილით. მე ყვავილები მივართვი. იგი ყვავილებს მივალერსა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გულწრფელად მითხრა: მალე, მალე დაბრუნდები სახლში. კეთილი ეშმაკი — ჩემი მეგობარია... ნეტავ როდისღა გათენდება ეს დღე?

როგორც ჩანს, ეშმაკი ირონიულად იცინოდა: ნელინად-ნახევრის შემდეგ ოლიას მატარებელმა განწირულთა სადგურისაკენ გაიქროლა ვლადიმირიდან ორიოლისაკენ. ამჯერად აღარ გაამართლა ნაქებმა გზამ. თუმცა ამ გზაზე განუწყვეტლივ მიქროდა და მიქრის რუსული ტროიკა. რომანი დასრულდა, ტროიკა კი ისევ მიქრის. ყოველი სოლიდური რომანი თუ მცირე ლირიკული ლექსი უკანასკნელი სტრიქონებისათვის იწერება. „კარგმა მწერალმა დასაწყისშივე იცის თავისი ნაწერის უკანასკნელი სტრიქონი“, — ედგარ პოს ეს მაქსიმა გალაკტიონმა თარგმნა და მას „აქსიომა“ ანუ აბსოლუტური ქვემარტება უწოდა. ხოლო გოგოლმა, „მკვდარი სულების“ წერას რომ შეუდგა, რომანის შთამავონებელ პუშკინს მისწერა: „მე მინდა ამ რომანში თუნდაც ცალმხრივად ვაჩვენო მთელი რუსეთით“. ვკითხულობთ „მკვდარი სულების“ უკანასკნელ აბზაცს, უკანასკნელ ლირიკულ ნიალსვლას: ოლიას მიერ მოწონებული რომანის გმირის ტროიკა გოგოლის მიერ მოწონებულ გზაზე მიქრის და:

— შენც ხომ ამ მიუწევარ ტროიკასავით მიქრიხარ, რუსეთო? კვამლივით იკვამლება შენს ფეხქვეშ გზა. ზანზარებენ ხიდეები. უკან იტოვებ ყველას და ყველაფერს. შეჩერდა განგების სასწაულით განცვიფრებული მჭვრეტელი: ცის წყრომა ხომ არ მოგვევლინა? რას ნიშნავს ეს თავზარდამცემი სრბოლა? ან რა ჯერარგაგონილი ძალა ჩამწყვედულა ამ ჯერარნახულ ცხენებში? ეს, ცხენებო, ცხენებო, განსაცვიფრებელი ცხენებო! ქარიშხლები ხომ არ ბობოქრობენ თქვენს ფაფარში? დაუცხრომელი გამოძახილი ხომ არ ბორგავს თქვენს ძარღვებში?.. როგორც კი ნაცნობი სიმღერა ჩამოესმათ მალლიდან, მწყობრად და ერთბაშად დაძახეს ბრინჯაოს მკერდები და მიწაზე ფლოქვებდაუკარებლად, ლარივით გაჭიმულები, მიფრინავენ, მიქრიან ღვთით შთავგონებულები!.. საით მიქრიხარ, რუსეთო? მიპასუხე! პასუხს არ იძლევა. უცნაურად წკრიალებს ზანზალაკი. ქა-

რამოტივით გრიალებს დაფლეთილი სივრცე. უკან რჩება ყოველივე, რაც კი ამქვეყნად არსებობს. გზას უთმობენ და აღმაცერად შესცქერიან სხვა ხალხები და სახელმწიფოები.

აი, შეხედეთ მაშინდელზე უფრო დღევანდელ რუსეთს, — განსაცვიფრებელს, ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს, — რომელსაც ხელში წყალბადისა და ნეიტრონის ბომბები უჭირავს და მძევლად აყვანილ კაცობრიობას აშანტაჟებს, რუსეთს, რომელსაც ყველა ერიდება, რადგან ყველაფერზე ნამსვლელია, და ყველა აღმაცერად შესცქერის, რადგან ყველაფერს იკადრებს და პასუხს არაფერზე აგებს.

ცხადია, ოლია ასე არ წაიკითხავდა ამ უკანასკნელ ნიალსვლას და ვერც ვუსაყვედურებთ მონამულ კომუნისტს, რომელსაც, როგორც მისმა რძალმა აშენ ნალბანდიანმა-ოკუჯავამ გვაუწყა, „ისევე ფანატიკურად უყვარდა გალაკტიონი, როგორც პარტია“, — მიუხედავად იმისა, რომ უმწარეს და უმძიმეს მოლოდინში გაათენებინეს —

ბაქოს და კრასნოვოდსკის, ბუხარის და აშხაბადის, სამარყანდის და კოკანდის, მოსკოვის და სიმფეროპოლის, ყარასუბაზრის და იაროსლავლის, ვლადიმირის და ორიოლის — მთვარიანი და უმთვარო ღამეები. მთვარეს კი ადრიდანვე გაუშინა-ურდა უცნაური და უცნაურად შეყვარებული: ჯერ კიდეც 1913 წლის 27 სექტემბერს გაენდო ჭიათურიდან:

— მთვარევ, შენ გახსოვს ჩემი გიჟური ღამეები? შენ გახსოვს, როგორ ავდიოდით მთაზე მე და გალაკტიონი? შენ გახსოვს, როგორ ამიტანა იღუმალმა შიშმა? შენ გახსოვს, იმ ღამეს პირველად მაკოცა და გამომიტყდა სიყვარულში? შენ ყველაფერი ეს გახსოვს! სადაა ახლა იგი? რასა იქმს? ჩემზე ფიქრობს და დარდობს თუ სხვასთან ერთობა და სხვას ეფიცება სიყვარულს? უკვე მიღალატა? მითხარი, მითხარი, არ დამიმალო, შენს მეტი ვერავინ ვერაფერს მეტყვის. მაგრამ შენ სდუმხარ და გულგრილად შემომცქერი! მითხარი რამე, თორემ უკვე დამაეჭვე, უკვე ვიტანჯები და ვენამები. მე იგი ძალიან მიყვარს, მიყვარს და არ შემიძლია თავი შევიკავო. შემიძლია მხოლოდ შენ გესაუბრო უსიტყვოდ ჩემს ტანჯვაზე. გამიგე, როგორ მიჭირს! რა ძნელია, როცა ტანჯვის საიდუმლოს ვერავის უზიარებ! გადაეცი, გაახსენე მას ჩვენი სიყვარული! გაახსენე მისი ფიცი! გაახსენე, რომ მე ვარსებობ!

ოლია ოკუჯავა

სამი დღის შემდეგ გააგრძელა:

— ეს ესაა, ლექციიდან დავბრუნდი, ჩემო გალონ. საშინლად მინდა გესაუბრო, მინდა ახლა ჩემთან იყო, აქ, ამ განმარტოებულ ოთახში, მინდა მაგრად ჩაგეკრა, მინდა გაკოცო და კოცნა-კოცნაში თავდავიწყებით ჩამეძინოს. გკოცნი, გკოცნი, გალონ! სადა ხარ! რატომ აქამდე არა ჩანს წერილი. შესვენებისას ვაგზალზე გავედი, მეგონა ჩამოხვიდოდი. გალონ, რომ იცოდე, როგორ მინდა, რომ შეგხვდე, მაგრად ჩაგეხვიო, თავზე მოგვეფერო. შენ მინდებარ,



მხოლოდ შენ! მოდი! რამდენი ხანია არ მინახიხარ! წამი საუკუნედ მეჩვენება. მოდი, აქ მე მარტო ვარ, გესმის?

როგორც წავიკითხეთ, ოლია თავდავიწყებით ელოდება გალაკტიონის და გალაკტიონის წერილს. გალაკტიონის პირველი წერილი 25 სექტემბრითა დათარიღებული, მაგრამ როგორც ჩანს და როგორც მოსალოდნელი იყო, 27 და 30 სექტემბერს ოლიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა წაკითხული ეს აღსარება:

— სადა ხარ ახლა, ოლოლ! რომ იცოდე რანაირ მდგომარეობაში ვარ. ისე მინდა ახლა შენს ახლო ვიყო, შენს სუნთქვას ვგრძნობდე. მაგრამ ყველაფერი ეს ისეა შესაძლებელი, როგორც ცისა და დედამიწის შეერთება... რა საშინელი მარტოობაა! რა უსაზღვრო უთვისტომობაა. რაგვარი უფსკრული მიდგას წინ და მიპირებს შთანთქმას. მეშინია, ოლოლ, მეშინია!.. გესმის, ოლოლ, ბავშვობიდანვე მწამდა ბედისწერა, მოირა, როგორც ეძახიან — ფატალიზმი. იგი ჩემი მუდმივი მტერი იყო. მე არ მახსოვს მისგან რაიმე კეთილი საქმე. ხვალინდელი დღე ჩემთვის, არ ვიცი, როგორი იქნება. მაგრამ ჩემი მტერი — ჩემი ბედისწერა უთუოდ აქაც თავისას დამმართებს. ოლოლ, თუ სალდათად წამიყვანეს... შენ გეწყინება, არა? მე მგონია, შენ ერთადერთი არსება ხარ მთელ ქვეყანაზე, რომელსაც ჩემი უბედურება გულს გატკენს. ახლა რომ შენთან ვიყო, დაგკოცნიდი, დაგკოცნიდი გიჟივით... ჰო, იმას ვამბობდი, რომ საშინელ სულიერ ობლობას განვიცდი-მეთქი. არავინ არ მინდა ვნახო, დაველაპარაკო. მინდა, მხოლოდ შენ იყო ჩემს ახლო.

2 დეკემბერს ჭიათურაში ზღაპრული, მაგრამ მაცტურით მთვარე ამოვიდა:

— მაცტურო ზღაპრული მთვარე, — უსაყვედურა ოლიამ, — ისევ აქა ხარ, ჩემთან, არ მშორდები, რათა წარსული გამახსენო და ყოველდღე მეტი და მეტი ტკივილი მომეყინოს! ოჰ, როგორი ბოროტი სიცილით იცინი, როგორ ჩუმად მანამებ! მეტი რაღა გინდა ჩემგან! უკანასკნელი სიხარული წარმტაცე და მხოლოდ ტანჯვა-წამება დამიტოვე. რაღა გინდა კიდევ! არ მინდისხარ, გამშორდი, მინდა წყვილიადი, მხოლოდ წყვილიადი!.. გალონ, შენთან, შენთან მინდა. გალონ, დავეცი, სიცოცხლის ნიშან-წყალიც აღარ გამაჩნია, გალონ, მინდა გავიქციე, გავიქციე და ყველაფერი გადავივიწყო. გალონ, როგორც ჩანს, სიყვარულს მაინც ვერსად დაემალე.

1914 წლის 16 იანვარს ოლიას ფანჯარაში ისევ ჭიათურის მთვარემ შემოიხრებ:

— ღია ფანჯარაში იმ მთვარეს შევეყურებ, რომელიც ორივეს დაგვანათოდა ამ ოთახში ჯერ კიდევ გუშინ, როცა გახარებული ვიყავი და განშორებაზე არ ვფიქრობდი. ახლა ეს მთვარე მე შემომყურებს, მხოლოდ მე, დანალღიანი-ბულს, დაღონებულს, მწუხარებით დამძიმებულს... ვქვითინებ, ვტირი, შენს მკლავებს დავეძებ, მწყურია ალერსი, მწყურია თავდავიწყება. გაცოცხლები და მოწყენილი მთვარე ისე შემომტყერის, თითქოს მეკითხება: სადაა იგი?... ო, საოცარო გალონ, იქნებ შენც ამ მთვარეს შეჰყურებ ახლა და ასევე ნაღვლობ... იქნებ შენც იმ წამებს იგონებ, როცა ერთად ვიყავით.

1915 წლის იანვრის ერთი შუალამე გალაკტიონის ხელნაწერებთან გაატარა:

— ვათვლიერებ შენი ხელით გადაწერილ რეგულებს. ხელები მიკანკალეს. მოჭარბებული გრძნობები არ მასვენებენ. შეხებაც კი მეშინია ამ ფურცლებისა. ყოველ მათგანზე შენი ანაბეჭდია. ღმერთო ჩემო, ახლახან იგი ეხებო-

და, კითხულობდა, წერდა, ოცნებობდა, განიცდიდა, ჩემს გვერდით იდგა. ახლა კი აღარაა და აღარ. მინდა წავიკითხო შენი ლექსები, წერილები, მაგრამ მეშინია, რალაციის მეშინია. მგონია, ხელი რომ შევახო, შენი კვალი წაიშლება, ჩემთვის წაიშლება და სამუდამოდ წაიშლება.

ორი თვის შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სანტიმენტალური ანონიმური არზა გაუგზავნა: უსახსრობის გამო ტალანტი იღუპება და გადაარჩინეთო. ბროლივით წმინდა სულში მალავს თავის იღუმალ კაემანს. უკვე მოამზადა მეორე წიგნი, მაგრამ ვერ ბეჭდავს. წამოიწყო ახალი ნაწარმოები და ვერ დაასრულა. ერთმა მისმა ამხანაგმა მიაბმო მისი სასონარკვეთილების შესახებ და მინდა უფალს შევლალადო: მნათობი ქრება და ხელი შეაშველეთ. იმავე ამხანაგმა გვაუწყა, 3-4 წლით მოსკოვში აპირებს გამგზავრებას კერძო კურსებზე, მაგრამ არავინ ეხმარებაო. თქვენ შეგიძლიათ დაუნიშნოთ 3 ან 4 წლის სტიპენდია და საზოგადოებას ახალი ვარსკვლავი აჩუქეთ. მჯერა კადნიერებად არ ჩამითვლით ამ ანონიმურ წერილს. გთხოვთ, 5 აპრილის სხდომაზე განიხილოთ. უმორჩილესად გთხოვთ აგრეთვე, სხდომის შემდეგ მიპასუხობთ შემდეგ მისამართზე: 15 აპრილამდე — ჭიათურაში, მოკითხვამდე, „პერო“, 15 აპრილის შემდეგ კი — ქუთაისში, მოკითხვამდე, „პერო“.

გასაგებია ოლიას კონსპირაცია: ისე ინიღბება, თითქოს არც კი იცნობდეს ახალგაზრდა პოეტს. უნდა გავუგოთ: გალაკტიონი ჯერ კიდევ არაა გალაკტიონი (გამეფებამდე 6 წელი უკლია!) და სწორედ იმ დღეებში იწყება თუ იწყებს!

1915 წლის აპრილში გალაკტიონი ქუთაისიდან გადაიკარგა და ერთი თვე — „თაფლობის თვე“ — ოლიასთან გაატარა. სწორედ იმ 1915 წელს თითქოს ანაზღად „არაჩვენებური“ სიზმარი დაეცხმრა და — თუ გავიხსენებთ, რომ მის ლექსებს გამოქვეყნებამდე პირველად პირველი მკითხველი მოვევლინა (რომელიც ლიტერატურასაც გემოვნებით ურჩევდა) —

როგორც ჩანს და როგორც ირკვევა, როგორც უნდა ვიფიქროთ და როგორც უნდა ვივარაუდოთ, როგორც მოსალოდნელია და როგორც არაა გამორიცხული, —

უპირველეს ყოვლისა ოლიას გაუმხილა — „მთანმინდის მთვარემ“ სულში როგორ ჩაიხხედა.

დაიხ, პირველი წიგნის შემდეგ, პოეტის სტრიქონებს გამოქვეყნებამდე უკვე მეორე თვალი განიკითხავდა და ეს უეცარი და მოულოდნელი გარდასახვა — ჭიათურის ინტიმურ ღამეებთან ერთად — ალბათ ამ რეალობასაც უნდა „დავებარალოთ“: სხვა ლექსები დაინერა და სხვამ დანერა, სრულიად სხვა ვინმემ, რომელმაც ზუსტად დაგვითარიდა ეს ლექსი-დასაწყისი და ეს წელიწადი-დასაწყისი.

ოლიას 1915 წლის რეგულში გალაკტიონის ხელით შავი ტუშით ჩახატულია სავარაუდო მეორე წიგნის ყდა, სატიტულო ფურცელი და მომდევნო გვერდების ჩარჩოების მხატვრული ესკიზები — „გ. ტაბიძე. ლექსები. ტომი მეორე 1915 წ.“ (ნაადრევი და განუხორციელებელი მაკეტი „არტისტული ყვავილებისა“). ამდენად არაა გამორიცხული, ეს ჩვენგან აჩემებული ათვლის ოცდათექვსმეტი სტრიქონი სულაც ოლიას მიერ „დაწყვეტილ საპყრობილედ“ შერაცხულ ჭიათურაში დაინერა — „გენიალური თვალების“ თვალწინ 1915 წლის ერთ მშვენიერ დღეს თუ ღამეს.

1916 წლის სექტემბერში კი „საბოლოოდ“ შეუღლდნენ და გალაკტიონს გაახსენდა — თითქოს ოლიას დღიურები წაეკითხოს:

**ხშირად მაგონდება: ფოთლებშემოცლილი, სახემიბნედილი ქალის მწუხარება! მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი, მთვარით დაძონძილი ოხვრა... შეყვარება!**

სტროფი ციტირებულია ლექსიდან „საუბარი ედგარზე“ და სტროფს მოსდევს რემარკასავით ფრჩხილებში ჩასმული და ამდენად ვიზუალურადაც ხაზგასმული მოულოდნელად ჩართული სინაუნტის ტაეპი:

**(რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!).**

ამ დროს ოლია რუსეთშია (თვითონ წაიყვანა და დატოვა), გალაკტიონი კი — საქართველოში და „სახემიბნედილი ქალის“ ვინაობა უკვე სავარაუდებელი აღარაა.

1916 წლის მეორე სიურპრიზი: „მთანმინდის მთვარის“ შემდეგ — ერთი წლის შემდეგ — „დაძონძილმა“ მთვარემ თავისი შემზარავი მეორე ნახევარი გამოაჩინა: „სიკვდილი მთვარისაგან“! ეს შეუთავსებელი სინტაგმა იმდენად მოულოდნელი და ალოგიკური აღმოჩნდა, რომ — რაც არ უნდა გაგვიკვირდეს — პირადად ავტორს დაუსვა თვალნინ დიდი კითხვის ნიშანი, და, მიუხედავად იმისა, რომ „უცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე“, ეს კითხვის ნიშანი ისე გაიზარდა და თვითონაც უფრო და უფრო ისე გაოცდა, რომ როდესაც სხვაც დაინტერესდა, უმნეო მონაფესავით ჩაიჭრა და სამართლიანად დაინტერესებულ ცნობისმოყვარეს გაუბრაზდა და შეუტია: მე თვითონ არ ვიცი და შენ რა გიპასუხო.

„საუბარი ედგარზე“ ელეგიური მეტაფორით დაასრულა 1916 წელს:

**ბაღში შემლიღივით კვდება თებერვალი!**

„შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა მონასტერში“ დაქტილით დაძაბა და დამუხტა 1917 წელს:

**თებერვალს უხმობენ, თებერვალს სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები!**

1917 წლის 20 თებერვლის მთვარე კი გალაკტიონმა ქუთაისში იხილა და ოლიას მოსკოვში დაესიზმრა:

— საყვარელო გალ, ნუხელ სიმებად ავკინძე მთვარის ჟასმინები, საქანელა დავნანი და არომატული ყვავილებით ავავსე. შენც მოგინვიე საქანელაში და მოვერცხლილი შორეთისაკენ გავქანდი. გზადაგზა თავზე გვაცვიოდა სურნელოვანი იასამნები, სუმბულები, იები, მაისის ვარდები, კესანეები... ჩვენ ერთმანეთს ჩავეკარით... საიდანღაც სიყვარულის მიმზიდველი ჰანგები მოისმოდა და ჩვენ ყვავილების ზეფირი გვეაღერებოდა და გვანანავებდა... გავაღე სადარბაზოს კარი და რა შემრჩა ხელთ? — პირქუში მწუხარება!

როგორც ჩანს და როგორც ირკვევა, როგორც უნდა ვიფიქროთ და როგორც უნდა ვივარაუდოთ, როგორც მოსალოდნელია და არაა გამორიცხული —

ოლიამ პირველმა წაიკითხა: — დაათრობს მთვარე თოვლიან ალგებს ივლისისფერი ყინვის თასებით (1915). — შეკიდებიან მთვარეს — როგორც მძიმე მტევნები, თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები (1916). — შემდეგ არაა არსად ახალი ცა-ოკეანე, მთვარე-ნაფოტი (1920). — უცებ ქაოსიდან მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება (1922). — გახსოვს, ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა (1922). — არ არის ღამე დედამიწაზე, როდესაც მთვარე ანათებს დღისით (1925).

ოლიას ტექსტების პირველი და უკანასკნელი წამკითხველიც გალაკტიონი ბრძანდებოდა, თუნდაც — ასეთი სახიფათო აბზაცისა 1929 წლის 29 დეკემბერს აშხაბადიდან გამოგზავნილი წერილიდან:

— ნუხელ მთელი ღამე ჩამესმოდა მგზავრების ლაპარაკი. ერთი მათგანი ძალიან ხშირად ახსენებდა ტროცკის და ყოველთვის კარგად მოიხსენიებდა. მესიამოვნა, მინდოდა ნამოვმდგარიყავი და მაგრად ჩამომერთმია ხელი უცნობისათვის, რომელმაც გაბედა და ხამამალა წარმოსთქვა სიმართლე. და ეს სიტყვები ტროცკის შესახებ გუგუნით გაისმოდა მკვდარ უდაბნოში, რომელსაც თავისი უზარმაზარი ხახა დაელო და ფარულად უკრავდა კვერს.

გალაკტიონმა გარისკა და ოლიას დღიურებისა და ჩანაწერების 33 რვეული (პირად წერილებთან ერთად) შეინახა საკუთარ არქივში. რვეულებში აღმოჩნდა ოლიას წითელი ბაფთა, აგრეთვე — გამხმარი ფოთლები, ვარდის ფურცლები, წითელი ვარდი. ოლიას ნაწერებს შორის გაფანტულია გალაკტიონის ავტოგრაფები: პროზაული ფრაგმენტები, თარგმნილი აბზაცები, ცალკეული სტრიქონები და სტროფები. შიგადაშიგ ჩანახატებია ორთავისი — ფერადი და შავ-თეთრი, აკვარელი, ტუში და ფანქარი (ხშირია საპირისპირო შემთხვევებიც: ოლიას ტექსტები — გალაკტიონის ჩანაწერებში). ყოველგვარი ვარაუდის გარეშე ცხადია, გალაკტიონმა — ერთადერთმა — ყველა 33 რვეულის 814 გვერდი წაიკითხა (მოუწონდა კიდევ ოლიას — ნოველები დანერგო):

— ქათქათა ღრუბლებს შორის მთვარემ ამოყვინთა და ყვავილებში ჩაძირული ქალაქი ზღაპრულად მოვერცხლა.

— წყნარი ზღვა დიდებულად ირწევა. მოსარკულ არეზე ზარ-ზეიმით მიცურავს მთვარე. ზღვის უსაზღვრო სივრცე მოივერცხლა. მირიადი ტალღა ირევა და ყოველი მათგანი მთვარის სხივებს იტაცებს. მერე ხარხარით ეხვევა ამ სხივებში, ხოლო წამიერი ვნებიანი ალერსის შემდეგ შეუბრალებლად გადაუძახებს თავის ბნელ ხახაში. ყოველი მირიადთაგანი ასე მაცდურად ეარშიყება სხივებს და წამიერად ნასიამოვნები იმეტებს მათ და ამგვარად ეს ღამაზ-ღამაზები მთელი ღამე ჩადიან დანაშაულებს.

— ამ მუხის ტოტები ზაფხულის საღამოობით გარეშე თვალთაგან იფარავენ შეყვარებულ წყვილებს, იფარავენ თვით ქვეშ-ქვეშა და ყოველისმხილველი მთვარისაგანაც, რომელიც ყველას სასიყვარულოდ აცდუნებს. ო, ეს მთვარე თვითონაა სიყვარულის რომანი და ყოველთვის სხვათა რომანებს უთვალთვალებს.

— ვზივარ მარტოობის კუთხე-კუნჭულში და მენატრები. გახსოვს მერხი მესამე წყაროსთან, ფრთაგაპილი და

მონყენილ ფიჭვის ქვეშ, რომელსაც „ბაირონს“ ვეძახდით? არავის ველოდები, ყოველი მომდევნო მთვარიანი ღამე შენზე ოცნებას შევალე. ამ წმინდა და იდუმალ ღამეებში, სიყვარულის ღამეებში, სურნელოვან ბალახებში ვიჩოქებდი და შენზე ვლოცულობდი, ჩემო გრძნეულო, ჩემი ნებიერი და ბობოქარი სიყვარულის ქალღმერთო! — ამგვარი აღმატებითი მონატრებით მოესიყვარულა ერთხელ კიდევ გალაკტიონს 1927 წლის სექტემბრის მთვარიანი ღამით ბორჯომიდან, სამი წლის შემდეგ კი შორეულზე შორეული სამარყანდიდან ისე გაეხუმრა, თითქოს ერთმანეთის გვერდი-გვერდ იხსდნენ:

— გალ, შეხე, შეხე, რამხელა ქარავანია აქლემებისა და როგორ გულგრილად მიიზღაზნებიან... გუშინ ერთ აქლემს დავაკვირდი, ძალიან გგავდა შენ და მე მას „გალაპოეტი“ დავარქვი.

ხოლო მომავალ წელს, ოლია რომ გადასახლებიდან დაბრუნდა, ოლიას პირადი წერილის თუ პირადი მონათხრობის შთაგონებით, გალაკტიონმა მშვენიერი მინიატურა დაწერა — „აქლემი“, დასძინა კიდევ — სამარყანდში აქლემის ხორცს სჭამენო, და გააგრძელა — აქლემს უდაბნოს აგასფერს (ანუ მარად მონეტილად ურიას) ეძახიანო:

**სად ოდესმე მეოცნებე აფრებით, ათასფერი იმედით და ზაფრებით, აგასფერის მიმოქროდა ხომალდი, მეზღვაურის სულთან გათანაბრებით.**

ალბათ გახსოვთ: პირველსავე წერილში გამოუტყდა ოლიას: მთელს ქვეყანაზე ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი ტკივილი ეტკინებაო. სხვათა შორის, ადრე ხშირად ვაკვირდებოდი ოლიას ფოტოებს და ამაოდ ვცდილობდი გალაკტიონის თვალთ დამენახა. მხოლოდ ოლიას დღიურების წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე პოეტის ორეული და დავანყვილე: ერთიერთმანეთზე უარესად ექსტრავაგანტურები, ერთნაირ უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებულები და ერთნაირად გაუცხოებულები. გეგონებათ ეს ტირადები გალაკტიონმა დაწერა — ანდა გალაკტიონს უნდა დაეწერა: — ბავშვობიდანვე ჩემი განუყრელი მეგობრები იყვნენ დუმილი და მარტოობა. მრავალთა შორის მე ყოველთვის მარტო ვიყავი და ყოველთვის გავურბოდი ადამიანებს.

— ადამიანებო, თავი დამანებეთ!  
— გამშორდით! მე მინდა მარტო დავრჩე ჩემს კეთილ „მე“-სთან. ეს მეორე „მე“ კი აქეთ მიტევეს. მაძალებს გავჩუმდე, ვიტანჯო და ხმა არ ამოვიღო.  
— სამყარო საპყრობილეს ჰგავს, მხოლოდ გიჟია თავისუფალი.  
— რაც უფრო მიმზიდველი იყო სიზმარი, მით უფრო საშინელია გამოლვიძება.

— სიღარიბე ჩვენი მუდმივი სტუმარია.  
— საყვარელი წიგნები — სამარადისო მეგობრები.  
— ცხადია, ბევრი ჩვენთაგანი პოეტად არ დაბადებულა, მაგრამ მაინც უნდა აღმოგვაჩნდეს განსაკუთრებული ნიჭი, განსაკუთრებული დახვეწილი ალღო და უაღრესად დახვეწილი ნერვები, რათა სიმების ოდნავი შერხვისას ისინი აცახცახდნენ და ქალღმერთზე სილამაზის ანაბეჭდები ალბეჭდონ.  
— მე არ დავბადებულვარ ოჯახისათვის.

— მე დავამხე ჩემს მიერ შექმნილი ღმერთი.  
— ძალიან ადრე დავბერდი.  
— არავინ თქვას, თვითმკვლელობის დროს ადამიანები ჭკუიდან იშლებიანო. არა, არა და არა, მე სრულ ჭკუაზე ვარ.  
— მე სიცოცხლესთან ბანქო ნავაგე.  
— მე მითხრეს, რომ გაზაფხულზე მოვკვდები.

1927 წლის აპრილში ოპერაციისათვის ემზადებოდა და ორი რჩეული ჩვეულ სტილში გაახსენა ადრესატს:

— გალაკტიონ, ჩემი ბედისწერა ედგარის „ნევერმორივით“ უკან მომჩხაოდა ყოველთვის.

ოპერაცია 30 აპრილისათვის დანიშნეს და წინაღედს ანდერძივით ბარათი დაუწერა თავისიანებს:

— მე ძალიან მიყვარს გალაკტიონი, მოექცეით მას ისე, როგორც უახლოეს ჩვენთანს. მე ძალიან ვუყვარვარ გალაკტიონს და არასოდეს გადამიყვარებდა, თუკი გადავრჩებოდი... შენ კი, გალაკტიონ, გნამდეს, მე შენ თავდავიწყებით მიყვარდი, მაგრამ ჩვენ არ გვეღირსა

— ერთხელ მაინც განგვეცადა უშუალოდ ჩვენი სიყვარულე, ერთი დღით მაინც გავგეზობარებინა. ჩვენ ვერ დავასრულეთ საუბარი და ჩვენი საუბარი დაუსრულებელი დარჩება სამარადისოდ.


ამავე სიტყვებს გაიმეორებდა ალბათ, ანდა — გაიმეორა კიდევ, 1941 წლის 11 სექტემბრის ღამით, როცა სრულიად მოულოდნელად სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადეს და უმალ აღასრულეს.

მთვარის პოეტმა კი ჯერ წყვილი აღმოაჩინა 1916 წელს და მერე მრავალი აღმოაჩინა — 1926 წელს:

**აყვფებიან მთვარის ტყულები, ო, შენ მაინც არ დაიღუპები.**

და

**მიეჩქარება მთვარის შუქში გაჭრილი ცხენი, მთვარენი დგანან, როგორც ანძები.**



ჭაშიც მიაგნო გასაიდუმლოებულს 1925 წელს:

**და თეთრი მთვარე საიდუმლოდ ჩასული ჭაში  
განცვიფრებული უყურადებს მიმავალ ჭინკებს.**

ხოლო 1931 წლის 26 სექტემბერს — შაბათ ღამეს —  
მოსკოვის დროით — 20 საათიდან და 54 წუთიდან —  
23 საათამდე და 31 წუთამდე,  
ხოლო თბილისის დროით — 21 საათიდან და 54 წუთი-  
დან —  
24 საათამდე და 31 წუთამდე —  
კრილოვის ქუჩის მეათე ნომრის მესამე სართულის აივ-  
ნიდან თვალი მიადევნა და რუხყდიანი საერთო რვეულის  
ექვს გვერდზე — თავისი ერთგული „კარანდაშით“ —  
როგორც ჩანს და როგორც ირკვევა,  
როგორც უნდა ვიფიქროთ და როგორც უნდა ვივარაუდოთ,

როგორც მოსალოდნელია და როგორც არაა გამო-  
რიცხული, —  
უპირველეს ყოვლისა, ოლიას აღუნუსხა და დაუხატა  
კიდეც მთანმინდის მთვარის სრული დაბნელება.  
რაც შეეხება მზეს:  
პირველს — შორეულ ორიოლში დაუბნელეს —  
1941 წლის სექტემბრის ალბათ უმთვარო ღამით —  
მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის დროით —  
მოსკოვის საიდუმლო განკარგულებით და  
მოსკოვის უშუალო მონაწილეობით;  
მეორემ კი —  
თვითონ დაიბნელა თუ დააბნელებინეს —  
მშობლიურ თბილისში —  
დღისით — მზისით —  
1959 წლის უმზეო 17 მარტს —  
მოსკოვის დროით — 16 საათსა და 50 წუთზე,

გურამ გოგიაშვილი

# ფერვალი. რა არის თუ ვინ არის?..

არა, რა არის კი არა, მგონი, ვინ არის? სინამდვილესთან  
ეს უფრო ახლოს უნდა იყოს. **ირგვლივ დამჭკნარია ფერი  
და ფერვალი,** — ამ სტრიქონზე და, კერძოდ, ფერვალზე  
დღემდე უკვე იმდენი დაინერა, ეგების ერთი წიგნიც გამო-  
ვიდეს, და მე ვისი ტიკიტომარა ვარ, მაგრამ მაინც ვბედავ  
ჩემი მოსაზრების გამოთქმას იმ იმედით, რომ, რა იცი, ისეთ  
„უფსკრულებზე ღრმა“ პოეტთან გვაქვს საქმე, იქნებ ასეც  
იყოს. მით უმეტეს, თუ „ლექსი ლოგიკური სილოგიზმი არ  
არის, რომ ყველაფერი ერთმანეთისგან მათემატიკური სი-  
ზუსტით გამომდინარეობდეს“ (დ. ნერედიანი). და თუკი  
ისევ ამ ციტატის ავტორს მოვიშველიებ, „ამ პერიოდის გა-  
ლაკტიონი... უფრო წიგნითა და საკუთარი ფანტაზმებით  
შთაგონებული პოეტია, ვიდრე გარემომცველი სინამდვი-  
ლით... სიმბოლიზმის პოეტუალმა მასზე ღრმა გავლენა მოახ-  
დინა და მისი მრავალი და მრავალი ლექსი სიმბოლიურ გან-  
წყობილებათა წიაღიდან იშვა“. სწორედ ასეთი „ბუნდოვან  
ასოციაციათა მწკრივის“ ლექსია „საუბარი ედგარზეც“ და  
„ამგვარი ლექსის აზრობრივი ინტერპრეტაცია ყოველთვის  
სათუო საქმეა“.

სხვა რა გზაა, რახან გავებდე, უნდა მივყვე კიდეც ამ  
„სათუო საქმეს“.

მაშ, აბა, ერთხელ კიდეც გავისხენოთ ეს „საუბარი ედგარ-  
ზე“, როგორც „დიდი ინფორმაციით კოდირებული ტექსტი“  
(მ. შელეგია), რათა იქნებ ფარსავად წაგვადგეს პოეტის მიერ  
გამოცანად ქცეული სიტყვის გამოცნობაში, რამეთუ „სიტყვა  
მარტო ის კი არ არის, რასაც გამოხატავს, არამედ ასოციაცი-  
ათა ის კომპლექსიც არის, რასაც ის იწვევს...“

**ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,  
როცა საუბარი ედგარ პოეზეა!  
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი  
დასდევს განწირულთა შავი პოეზია.  
ხშირად მაგონდება: ფოთლებშემოცლილი,  
სახემიბნედილი ქალის მწუხარება!  
მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი,  
მთვარით დაძონძილი ოხვრა... შეყვარება!  
(რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!)  
მოვა შუალამის ბნელი სტუმარივით...  
სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,  
მიდის სავარძელთან სხვაგვარ მდუმარებით.  
უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,  
ფარდა შეირხევა, როგორც ყრუ ფოთოლი.  
კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება,  
ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი,  
თანაც გაიხედავ: შენაც დაღამდები —  
ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი;  
ასეთ სანახავად — როგორც თანამდები —  
ბაღში შემლილივით კვდება თიპარპალი!**

ზოგიერთის ვარაუდით, სიტყვა „ფერვალი“ გალაკტიონ-  
ური ნეოლოგიზმია (მ.ალავიძე), ხოლო ზოგი ფიქრობს,  
რომ „საყრდენი ტაეპის სარიტომო სიტყვისა და, საერთოდ,  
ლექსის ეფფონიის მოთხოვნით ფონის შემქმნელ სტრიქონ-  
ში ხშირად ჩნდება აზრობრივად არცთუ მაინცდამაინც ნა-  
თელი და შესატყვისი სიტყვა“ (ალ.ფოცხიშვილი). აქაც ისევ  
სიტყვა „ფერვალზეა“ ლაპარაკი. არის კიდეც აზრი, თითქოს  
„ფერვალი“ გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული ტერმი-  
ნია და შეიძლება რომ მოჭარბებულ ფერს აღნიშნავდეს და  
ეს „**იდჰაპალი**“ ფერი თუ ფერვალი, პენი თუ ეშბი, **პარაჰი**  
**თუ შარაჰანი,**“ რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქ-  
მევიათ (ვ. ჯავახაძე). ამის დაწერისთანავე ჩვენი ვნის ერთი  
ფრიად კითხული კაცის დაკვირვება წამომავონდა: „ძნელია  
ასეთი დიდი შესაძლებლობების მქონე სხვა ქართველი პოე-  
ტის დასახელება, რომელსაც ასე ცოტა ეფიქროს ახალი  
სიტყვების შეთხზვაზე. ასეთი სიტყვები გალაკტიონ ტაბი-  
დის ლექსებში საძებარია“ (ივ. გიგინეიშვილი).

როგორც თავშივე ვთქვი, ამ საძებარ სიტყვათაგან ერთ-ერთის „კვლევაში“ ჩართვა იმან გამაბედვინა, რომ „ფერვალის“ „მფერვთან“ დაკავშირების გამო მამინვე ითქვა: „ეს ლიტონი განცხადებაა, რადგან სრულიად გაუგებარია, ვინაა თუ რაა ან როგორაა დამტკნარი ის, ვინც ფერავს, გამფერავი“ (თ. დოიაშვილი). ჩემი აზრით, ასევე საეჭვო უნდა იყოს „ფერვალის“ სიტყვა „ფეროვანიდან“ წარმომავლობა (ალ. ფოცხიშვილი). მაგრამ რახან ითქვა „ვინააო“, მარტო „რა არის კი არაო“, ეს ერთგვარი ბიძგი გახდა იმისთვის, რომ „ფერვალში“ დამენახა მავანი სულიერი, მოსული „შუალამის ბნელი სტუმარივით“ და „ფოთლებშემოცლილი“, ანუ დამტკნარი... არადა რატომაც არა, უკეთუ „ლექსი ლოგიკური სილოგიზმი არ არის და ყველაფერი ერთმანეთისგან მათემატიკური სიზუსტით არ გამომდინარეობს“... როგორი წარმოსადგენია თანამედები, ანუ მოვალე თებერვალი, ვილაციისგან სესხალეული, რომელიც „ფოთლებშემოცლილ, დამტკნარ ფერვალთან“ ერთად ბალში შეშლილივით კვდება?!



დე მარივო

ეს ლექსიც, როგორც ბევრი სხვა, მართლაც „იღუმალ, გაუხსნელ მინიშნებათა პრინციპზეა აგებული“ (დ. წერეთლიანი), რის გასაღებიც უთუოდ და უმთავრესად ფრანგულ სიმბოლიზმის პოეტიკაში უნდა ვიპოვოთ, რომლისთვისაც უცხო არ არის ლექსის არც „სემანტიკურ-ასოციაციურობა და არც ინტეგრალურობა“ (მ. კვესელავა). და რადგან „გალაკტიონმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა იდეის განფენის ხელოვნება, ქვეტექსტისა თუ ნართაულობის გამოყენების ოსტატობა... არა მხოლოდ კონკრეტულ ნაწარმოებს, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც სიმბოლური დატვირთვა ეძლევა“ (ნ. ტაბიძე)... და, ბუნებრივია, „მკითხველი, რომელიც შეძლებს ამ სიტყვების გაშიფვრას, თვითაღმოჩენიდან მომდინარე ტკობით გაითანგოს...“ მეც დიახაც ასეთი „გათანგული“ მკითხველის მდგომარეობაში ვარ...

**მამ, რა არის კი არა, ვინ არის ფერვალი?** აქ ჯერ იმ ბრძენ ფრანგთ მოვიმველიებ, რომელთა აზრით, ზოგადად, ჩემს ვარაუდს ერთგვარად ამყარებს. ერთი წერს, რომ „სიმბოლიზმი სხვა არა არის რა, თუ არა აზროვნების რიტორიკული თეორია, სისტემის რანგში აყვანილი აზროვნება“ (პოლ ვალერი), ხოლო მეორის გაგებით, „არც სიცხადე და არც სიზუსტე ლექსში აუცილებელი არ არის“ (ანდრე მორუა). ექვმეუვალი აზრია ისიც, რომ ადრეული გალაკტიონი უფრო წიგნით... შთაგონებულია“, რასაც აშკარად მეტყველებს თუნდაც „არტისტული ყვავილები“ (1919 წ.), რომლის სამყაროც ღრმად რომანტიკულია, სადაც „პოეტმა მინიშნებების, ნიუანსებისა და ასოციაციების საშუალებით იშვიათი უშუალოდობა და სილამაზით აამეტყველა თავისი დროის ადამიანის ყველაზე ფაქიზი განცდები“ (რ. თვარაძე). ერთი ამ ადამიანთაგანი კი, ცხადია, თავად პოეტი იყო და აკი შემჩნეულია კიდევ, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ელავენ უცხოელი პოეტების, მხატვრებისა და ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები“, რაც ამ ლირიკას ფართო ფილოსოფიურ კვარცხლბეკზე აყენებს

(გრ. კიკნაძე)... ისიც შემჩნეულია, რომ გზადაგზა, აქა-იქ გალაკტიონი „ახსენებს „ტრიანონს“, „თეთრ შადრევნებს“, „ვერსალის ბროლს“ და უმალ გადაყვართ ბაროკოსა და კლასიციზმის ხანაში“ (ე. კვიციანიშვილი).

როგორც „არტისტულ ყვავილებამდე“, ისე თვით ამ კრებულში, მართლაც არცთუ იშვიათია ასეთი სტრიქონები: „ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული... „ხშირად ვიგონებ ბოდლერს“, „იყო შარლ ბოდლერი...“, „გადავული ბოდლერს... „გადმოვიღებ მიუსეს ნიგნს“... დროდადრო ჩნდებიან გოტიე, ვერლენი, რენიე, ვერზარნი („დროის ახალი დანტე“), პოეზე ხომ აღარაფერს ვამბობ, რომელიც ესოდენ ხშირი სტუმარია გალაკტიონისა და მისტიციზმის გარდა, ასოციაციებითაც ხუნძლავს („როცა მტრობაა და ედგარობა...“), აღარაფერს ვამბობ ტვენზე („შენ კითხულობდი ტვენს“), დიკენსზე („დიკენსის გმირით ცეცხლთან ჩაფიქრება...“) და განა ხან ჩვენდა უნებურად არ წამოგვავიწყდება ხოლმე: „მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური“, „ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს, არ არის ძნელი მთების დადნობა...“ ანდა „მოსვლა ფერების: ვერონეზი და ტიციანი და ნიაღვარი...“ „და წავალ ქარში, როგორც მოცარტი...“ „და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე...“ „თოვლმა სილას მიაწება ნოვალისის ყვავილი...“ ჰეგელისა თუ შოპენჰაუერის და სხვა სიბრძნის-მეტყველთა ხსენებას აღარ შევუდგები...

მაგრამ უცხოელი ავტორების ნაწარმოებთა პერსონაჟებზე ორიოდ სიტყვით აუცილებლად უნდა შევჩერდე, რადგან ჩემი ვარაუდი, რომელმაც „ბუნდოვან ასოციაციათა მწკრივი“ უნდა გამარღვევინოს, დასტურ აქეთ მიდის („აგერ, შემოდგომობის ცივი გრძნობა ამდორებს უმძიმეს ტომების გენიალურ ავტორებს“).

ვფურცლავ „არტისტულ ყვავილებს“:

**ჩვენ ვიგონებდით გოტიეს გმირ ქალს,  
ქალიშვილს ლამაზს, მადლენ დე მოპენს,  
რომლის წკრიალა და უდარდელ ხმას  
რომანტიული ჭღერა მიმოფენს...**

\*\*\*

**ის გაზაფხული გაქრა,  
მეგვიარა, წამო!..**

\*\*\*

**და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,  
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი...**

\*\*\*

**მე სხვა ქალებს ვერ დავემალე,  
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,  
მაგრამ სხვა იყო შენი თვალები  
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!**



\*\*\*

**მაგრამ ღიმილი გაიტაცეს ჩემი გულიდან,  
როგორც ლუვრიდან გაიტაცეს შორს ჯიოკონდა!..**

\*\*\*

**გაინკრიალა სიმმა  
შენი სახელი ემა.**

\*\*\*

**რად დაგავინყდა  
ძველ ნანგრევებზე ძველი ნავარდი  
და ჰავაელი პატარა ქალი,  
სახელად ემა?**

\*\*\*

**ამაოა მთლად ცხოვრება,  
დრტეინვის ნუთისოფლია,  
ნადი... ნადი მონასტერში,  
მონასტარში ოფელია!**

სანამ 1939 წელს ქეთევან ირემადის მიერ თარგმნილ პრევეს მანონ ლესკოს ცნობილ ლექსს წააწერდა, გალაკტიონს ჯერ კიდევ თითქმის ოცდახუთი წლით ადრე აქვს დანერვილი:

**მე კი, მოღრუბლულ დღით მოწყენილი,  
ავიღებ მანონს, სადაც ზონარად  
მჭკნარი ალოე არის შთენილი  
უკითხს დროთა მოსაგონარად.**

ანდა:

**უცებ გაჩნდა ტრიანონის  
კოშკში გულის ნდომანი,  
დე გრიესა და მანონის  
სეველიანი რომანი.**

ამავე დროს ეკუთვნის ეს სტრიქონებიც:

**ამ დღეებს მისდევს ჩემი განდობა,  
ფერფლდება თვალთა ბანოვანება  
და ასე მჭკნარი ახალგაზრდობა  
ნუთუ არავის არ ენანება?  
ჰაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი,  
სწუხს ლაჟვარდებში მსუბუქი ქაფი  
და შემოდგომის გზებზე დაღლილი  
მიდიან გრიე და ზეინაბი.**

გოტიესაგან განსხვავებით, გალაკტიონი პრევეს (1697-1763), როგორც რომანის ავტორს, არ ასახელებს. პოეტი არც იმას ამბობს, ვინ არის, ვისი ნაწარმოების პერსონაჟია ზეინაბი, რომელიც მანონის ნაცვლად შესწავილებია გრიეს. და უკეთუ ახალგაზრდობა შეიძლება რომ იყოს მჭკნარი, უკეთუ ახალგაზრდობა შეიძლება რომ დაჭკნეს, რატომ არ შეიძლება, რომ ბუნების ნაირ-ნაირ ფერთან ერთად უკვე ახალ დროში დაჭკნეს ყალბი სიყვარულის ბადით გულუბრ-ყვილო თავყანისმცემლებზე მონადირე ახალგაზრდა ქერი-

ვი ქალიც, რომლისთვისაც მწერალს ფერვალი დაურქმევია, ხოლო პოეტს ედგარ პოს „განწირულთა შავი პოეზია“ ასხე-ნებს ასოციაციურად, რაც ესოდენ დამახასიათებელია და ბუნებრივია „არტისტული ყვავილების“ ავტორისათვის.

**ფერვალი** პრევეს თანამედროვე ფრანგის, არცთუ აგრერიგად ხელწამოსაკრავი მწერლის — **მარივოს (1688-1763)** ერთ-ერთი რომანის („**ილბლიანი გლეხის**“) პერსონაჟია, რომელსაც უთუოდ იცნობდა ყოველივე ფრანგულით და, კერძოდ, ძველი და ახალი ფრანგული სიტყვიერებით გატაცებული ახალგაზრდა გალაკტიონი. თანაც, სხვა არა იყოს რა, **ფერთან კეთილზმონად შეწყვილებული ფერვალი** ფრიად შებუნებებულია „არტისტული ყვავილების“ არცთუ მცირე დოზის „იდუმალებით კოდირებულ პოეტიკასთან“. რაც შეეხება მარივოს ცნობას, თუკი პრევეს იცნობდა, რატომ არ შეიძლება რომ გალაკტიონს მარივოც სცნობოდა და სახელი ამ მწერლის საკმარისად გახმაურებული პერსონაჟისა (უკვე ჟამგასულისა, რაც ტექსტის მდინარებაშიც აგრე ჩანს) თავისი სათქმელის „გასაფრადოვნებლად“ მოეყვარებინა?.. მით უმეტეს, თუ როგორც თავადვე ამბობს, „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“... ანდა, უკეთუ „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვეებს ივლისისფერი ყინვის თასებით...“ და თუ სადღაც შორს მუსიკა კითხულობს: „ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?“ და „შემოდგომის გზებზე დაღლილი“ ერთად მიდიან ფრანგი გრიე და ქართველი ზეინაბი, ხოლო ამ დროს „ჰაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი“, ლაჟვარდებში კი „წუხს მსუბუქი ქაფი“, ასეთ ვითარებაში არც ადამიანის დაღამება მეჩვენება შეუძლებლად და არც თუ „ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი“, არც კიდევ თუ „ბაღში შემოლივით კვდება თებერვალი“...

ერთი კია — გონებით გალაკტიონის წვდომა ნამდვილად შეუძლებელია, ალბათ, მხოლოდ შეგრძნებაა შესაძლებელი.



*მარივოს „ილბლიანი გლეხის“  
ერთ-ერთი ბოლო გამოცემის ყდა*

ზაალ სამადაშვილის პროზაში საგულისხმოა ეს ციკლიც — „კალამს მიდევნებით დანერილები“, ერთგვარი მხატვრული დღიური, ესეისტური და ბელეტრიზებული ჩანახატების ერთობლიობა, თითქოს ქრონოლოგიურად დაულაგებელი, მაგრამ აგებული მტკიცედ მონესრიგებულ კომპოზიციაზე, განმსჭვალული ფაქიზი ლირიზმითა და შეუფარავი სევდით ბავშვობის წლებზე და შესრულებული იმ დახვეწილი სტილით, რაც საერთოდაც არის ნიშანდობლივი ნიუანსებზე აგებული მისი თხზულებებისათვის.

## ზაალ სამადაშვილი კალამს მიდევნებით დანერილები

ზუსტად აღარ მახსოვს, სად ამოვიკითხე ეს მოკლე დი-  
ალოგი, დიდი ალბათობით ბორხესთან, მის მიერ შედგენილ  
ანთოლოგიათაგან ერთ-ერთში:

— დღეს არის ერთგული, მაგრამ ზვალ იქნება? ადამი-  
ანი იცვლება, — უბნებიან მოსეს.  
— ღირსეულები არ იცვლებიან, — პასუხობს ის“.

კითხვა ცნობისმოყვარეობამ დამაწყებინა. მაინტერე-  
სებდა, რა ენერა კედლებზე გაკრულ ფირნიშებზე, მალაზი-  
ებისა და კინოთეატრების შესასვლელებზე. მშობლებს ვე-  
კითხებოდი, რა ერქვა ამა თუ იმ ასო-ნიშანს, ვისმენდი პა-  
სუხს, ვიმახსოვრებდი და ვცდილობდი, ერთმანეთისთვის  
გადავებო. პირველი სიტყვები, რომელთა წაკითხვა დამოუ-  
კიდებლად შევძელი, სავარაუდოდ იყო: „საფუნთუშე“, „ბა-  
კალეა“, „გასტრონომია“, „კოლხიდა“, „ამირანი“, „ნინოშვი-  
ლის ქ.“ და „მარჯანიშვილის ქ“. სურათებიანი წიგნების  
კითხვა ხუთი წლისამ დავიწყე და სკოლაში წასვლამდე ლა-  
მის ზეპირად ვისწავლე ნაცარქექიას, კომბლეს, ხუთკუნ-  
ჭულასა და ასფურცელას ზღაპრები. ნამდვილ, ანუ ნაკლე-  
ბად დასურათებულ წიგნების კითხვაზე რომ გადავედი,  
უფროსებმა დაისვენეს — აღარც ბებოს და აღარც დედას  
აღარ ვთხოვდი, ახლა ეს წამიკითხე, ახლა ის-მეთქი. ფათე-  
რაკებით დახუნძლულ ამბებს დავენაფე, სათავგადასავლო  
ლიტერატურას. ისე მაინტერესებდა მოვლენების განვითარ-  
ება, რა გადახდებოდათ წიგნების გმირებს, როგორ დააღ-  
ნევდნენ თავს ერთიმეორეზე მძიმე განსაცდელს, რომ  
მზად ვიყავი შეუსვენებლად, დღე და ღამე მეკითხა. არ ვე-  
პუებოდი გვერდების რაოდენობას, რომელიც ხშირად ოთხ,  
ხუთ ასეულს აჭარბებდა, და ისეთ სქელტანიან წიგნებს,  
როგორებიც „კაპიტან გრანტის შვილები“ და „სამი მუშკე-  
ტერი“ გახლდათ, სამ დღეში ვნთქავდი. მოგვიანებით, რო-  
ცა გარესამყაროს მიმართ შეკითხვები გამიჩნდა და პასუ-  
ხები ვერც უფროსებისგან მოვისმინე და ვერც ჭკვიანი მე-  
გობრებისგან, სათავგადასავლო რომანებიდან ე.წ. „სერი-  
ოზულ“ წიგნებზე გადავერთე. კვლავ სქელტანიანი თხზუ-  
ლებებზე, სადაც ხან ავტორები უღრმავდებოდნენ ცხოვ-  
რების არსს, ხან პერსონაჟები. ეს უკანასკნელნი, მანამდე  
წაკითხული წიგნების გმირებისგან განსხვავებით, არამარ-  
ტო ასაკობრივად, არამედ სულიერადაც იცვლებოდნენ —  
როგორც უკეთესობის, ისე უარესობისკენ. პასუხებს ვპოუ-  
ლობდი და პირველ ხანებში ეს ძალიან მახარებდა. თუმცა

დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ მათი გამოყენება რე-  
ალურ ცხოვრებაში ან შეუძლებელი გახლდათ, ან ძალიან  
ძნელი. კითხვის შემდეგი ეტაპი იყო წიგნების შერჩევა და  
მოძიება ავტორების მიხედვით — როცა ან ცნობილი და  
აღიარებული მწერლის ნაწარმოებზე ვნადირობდი, ან რო-  
მელიმე ავტორიტეტული მკითხველის რეკომენდაციას  
ვეყრდნობოდი და მანამდე უცნობი პოეტისა და პროზაი-  
კოსის წიგნს ვიღებდი ხელში. ამ პერიოდში არც თავს ვიქ-  
ცევდი და არც ცხოვრების გაიოლებას ვცდილობდი. უბრა-  
ლოდ, ვტკბებოდი კარგად მთხრობელ, ორიგინალურად  
მოაზროვნე, განათლებულ პიროვნებებთან ურთიერთო-  
ბით. ამის შემდეგ მემამბოხეების დრო დადგა, მწერლებისა,  
რომლებიც კალაპოტიდან ამოვარდნას, გაკვალული გზე-  
ბიდან გადახვევას და გაბატონებული შეხედულებებისგან  
თავის დახსნას ქადაგებდნენ. იმ დროს წაკითხულ წიგნებს  
შორის საუკეთესო იყო ესპანელი რეჟისორის ლუის ბიუნუ-  
ელის — „ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა“. ამჟამად ყველა-  
ფერს ვკითხულობ, უფრო სწორად, თითქმის ყველა ჟან-  
რის ლიტერატურას, რადგან უკვე ვისწავლე, ვისთან და  
როდის უნდა დავიჭირო საქმე. ჩემი ბიბლიოთეკა ახლა უფ-  
რო მრავალფეროვანია, ვიდრე ორმოცი წლის წინათ და კა-  
რადების თაროებზე გვერდიგვერდ მიწვია: სტივენსონის,  
ჰემინგუეის, ნიცშეს, ჟიულ ვერნის, ბორხესის, მარკ ტვე-  
ნის, ჰიუგოს, ასტრიდ ლინდგრენის, ორტეგა ი გასეტის,  
აკუტაგავას, კარლო კოლოდის, მიშელ მონტენის, ანდერ-  
სენის, ჰაშეის, ფოლკნერის, დეკარტის, ძმები გრიმების,  
სერვანტესის, რაფაელ საბატინის, ნიკო ლორთქიფანიძისა  
და მიხეილ ჯავახიშვილის წიგნები.


მთელი საღამო ბლუზს დავუთმე. დავჯექი და ვუსმინე  
მადი უოტერსს, სანი ბიო უილიამსონს, ზიგ მამა თორნტონს,  
ჯონ ლი ჰუკერს. სანი ბიო უილიამსონმა ბაადურ ბალარ-  
ჯიშვილი გამახსენა, მოთენთილი ხმით, სახის მსხვილი ნაკე-  
თებით, დამცინავი მზერით. ერთ-ერთ ბოლო კონცერტზე  
ბიგ მამა თორნტონი, გამონყობილი დიდბორტებიან მამაკა-  
ცურ პიჯაკში, თავზე ტეხასური შლაპით, გამხდარზე გამხ-  
დარი, „დიდი დედიკობის“ აღარაფერი რომ აღარ სცხია,  
ოთხმოცი წლის დედაბერს ჰგავს. გადავამოწმე ბიოგრაფია  
და გავარკვიე, რომ ათას ცხრაას ოცდაექვს წელს დაბადე-  
ბული — ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხში გარდაცვლილა; ახ-  
ლა მე რომ ვარ იმხელა, ორმოცდათვრამეტი წლისა. მაგრამ  
სვამდა თურმე, წლების განმავლობაში, გამოუფხიზლებ-  
ლად. სანი ბიოც არ უნდა ყოფილიყო მაგარ სასმელთან  
მწყრაღად, რაზეც მისი უკბილო პირი და შენელებული  
პლასტიკა მეტყველებს. მადი უოტერსი სვამდა თუ არა, ვერ  
გეტყვი, სვამდა ალბათ; სხვანაირად ძნელი წარმოსადგე-  
ნია ისე ჩამოჰკრა გიტარის სიმებს და ისეთი ხმა ამოუშვა  
გულ-ღვიძლიდან, რომ იმ წუთას შენ წინ მჯდომ მსმენელს  
კი არა, ორმოცდაათი წლის შემდეგ სხვა კონტინენტზე  
მცხოვრებ კაცს მოადინო ცრემლი. სწორედ ნახევარი საუ-  
კუნის წინათ, ათას ცხრაას სამოცდაორის შემოდგომაზე მო-  
უყვებოდა ლიანდაგებს რომელიღაც პროვინციული ქალა-

ქის სარკინიგზო ბაქნისკენ პალტოს საყელოანეული მადი, ბაქნისკენ, სადაც ბლუზის ფესტივალი უნდა გახურებულიყო და მასთან ერთად ჯონ ლი ჰუკერსაც უნდა ეჯადოქრა. ჰუკერი ჯერაც ახალგაზრდა იყო და სულაც არ ჰგავდა კუს.

იმ საღამოს ნამდვილი ბერი ტუკი იყო — მხნე, ხალისიანი, ბლომად ლუდისა და ხორციულობის მშთანქმელი. სამსახურიდან დაბრუნებულს მეუღლე უგუნებოდ დახვდა და გულის გადასაყოლებლად სტუმრად წასვლა შესთავაზა. უთხრა, — მეგობართან ავიდეთ, გემრიელობები ავიტანოთ, თან ვილაპარაკოთ, თან ვივახშმოთო. დაადგნენ გზას; ჯერ მალაზიაში გაიარეს. „ისნის“ ბაზრობასთან „ვაკის“ ფილიალი გაეხსნათ. იყიდეს ორნაირი — მოსახარში და შესანავავი სოსისი, სქელი, „მოხალადეცო“ ძეხვი, რუხი პური, მდოგვი და შვიდი ბოთლი „ჰინეკენი“ ნახევარლიტრიან ბოთლებში. მივიდნენ ლეხ კაჩინსკის ქუჩაზე, მეგობრის ოჯახში და შემოუსხდნენ მაგიდას ბუხრიან ოთახში. ყველაფერი დააგემოვნეს, დახვედრებული პამიდვრის სანებლის, გუდის ყველისა და ნიგვზიანი სალათის ჩათვლით. ლუდის სმაში ქალები შეეშველნენ, თითო მომცრო კათხა მონრუპეს, მან კი სვა, სანამ ქარვისფერი სითხე ეგემრიელებოდა და ოთხი ბოთლიც გამოცალა. ყბებთან ერთად ენაც არ გაუჩერებია — ხან რაზე ლაპარაკობდა, ხან რაზე. ყველაზე უკეთ, მისი აზრით, სიბერესთან შეგებებაზე წარმოთქმული მონოლოგი გამოუყვია. ამტკიცებდა, რომ შეზღუდვები, რომელსაც ასაკი აწესებს, სულაც არ არის

ძნელი შესასრულებელი და ცხოვრების ეს ეტაპი ტრაგიკულად არ უნდა აღიქმებოდეს; რომ სიბერეს აქვს თავისი, უმთავრესი მშვენება — შვილიშვილები. იმაზეც ილაპარაკა, ოღონდ ბრაზიანად, როგორ იბრალებენ ნონკონფორმისტობას და მემამბოხეობას ბურჟუების ხელის ბიჭები; როგორ ჰგავს ფსევდომბოხი იმ კაცის ქცევას, ვის სიცოცხლესაც ურჩხული ემუქრება და ის ამ დროს პატარა, აბეზარ ბუზებს დასდევს გაკეცილი გაზეთით ხელში. ისიც გაიხსენა და მოყვა, რიგ შემთხვევებში როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს საბჭოთა იდეოლოგიის მსახურები და კრიმინალურ ავტორიტეტობაზე მეოცნებე ქუჩის ბიჭები — ვინმე გრძელთმიან ყმანვილს რომ „შეაყენებდნენ“ სადმე „მოხვეულში“ და მის დამცირებას ასეთი ფრაზით რომ იწყებდნენ — შენ რა ბიჭო „ბიტელსი“ ხარ? და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა გრძელი თმის შესაჭრელად, მაკრატლებით ხელში, სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები დარბოდნენ ოთახ-ოთახ, ხოლო ჯონ ლენონი ისეთივე მტერი იყო საბჭოთა წყობილებისა, როგორც რადიოსადგური „ამერიკის ხმა“, ანდა „თავისუფლება“.

ჩემი საყვარელი მწერლების შემოქმედება უსიერ ტყეს მაგონებს, სადაც ხეების კენწერობებს თვალს ვერ აუწვდენ, გაფოთილ ტოტებს შორის სვეტებად ჩამოდის მზის სინათლე, ჯადოსნურ სიჩუმეს დროდადრო არღვევს შაშვის ჭახჭახი და ირგვლივ დგას მინაზე დაფენილი სველი წინგებისა და კენკრის სურნელი. დილით, ერთ-ერთ ლიტერატურულ საიტზე, სერგეი დოვლატოვის მოთხრობა „შემომეკითხა“, საბჭოთა კავშირიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებულ ვინმე გოლოვკერზე. ბუჩქნარში მივაბიჯებდი — ირგვლივ ცელოფანის პარკები, ცარიელი ბოთლები და სიგარეტების ასევე ცარიელი კოლოფები ეყარა. სხვა დროს სხვა გზით წავალ, ავერიდები ბუჩქნარს, საკმარისზე მეტი დრო მაქვს დახარჯული მის გადაკვეთა- გადმოკვეთაზე.



**ზაალ სამადაშვილი**  
შვილიშვილთან — ანასთან — ერთად

ბორის აკუნინი წერს: „არისტოკრატიზმს ხშირად ურევენ ინტელიგენტურობაში. ურადა, ეს ორი რამ უმეტესწილად ურთიერთსაპირისპიროა, ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ჭეშმარიტი არისტოკრატიზმი — ზრდილობა და უნაკლო მანერები კი არა, გამორჩეული, განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობაა — ნებისმიერ რთულ სიტუაციაში მოხვედრისას აუმღვრევლობა, შექმნილი ვითარებისთვის ალღოს აღება და დაბრკოლებების მიუხედავად, ფსკერიდან ზევით, ზედაპირისკენ ამოყვინთვა. გარკვეულწილად, ეს მებრძოლი ბულტერიერის გენეტიკით გამყარებული ჩვევებია. იქ, სადაც ინტელიგენტს სული გასძვრება, თან ერთ-ერთ პირველთაგანს, არისტოკრატი გაძლებს და გადარჩება“. თუ მწერალი საბჭოთა არისტოკრატებს გულისხმობს, ადამიანებს, რომლებმაც ათეული წლების მანძილზე ვითარებისთვის ალღოს აღებისა და ადაპტაციის გასაოცარი უნარი გამოამჟღავნეს, რა თქმა უნდა, ვეთანხმები მის მოსაზრებას.

თმის გასაკრეჭად მამას სახლთან ახლოს დაეყავი. საპარკიმახერო რუსული ეკლესიის გადმოღმა, საკონდიტროს გვერდით იყო, იქ, სადაც დიდუბისა და ნაძალადევისკენ მიმავალი ტრამვაები ჩერდებოდნენ და პატარა კიოსკში საღამოს გაზეთი „თბილისი“ იყიდებოდა. კლიენტებს სამი დალაქი ემსახურებოდა. სამივეს ერთი კედლის გასწვრივ ედგა სავარძლები და სარკეებიც გვერდიგვერდ ეკიდათ. სარკეების ქვემოთ, მაღალ ტუმბოებზე ვერცხლისფერი თასები, მოკლეთარიანი სქელი ფუნჯები, სხვადასხვა ზომის მაკრატლები და ოდეკოლონით სავსე ბოთლები ეწყო. ბოთლებს რეზინის ბურთები ჰქონდათ გამოძებული რეზინისავე შილებით. ბურთს ხელს რომ მოუჭერდი, ბოთლიდან ოდეკოლონი გადმოიფრქვეოდა. ტუმბოების უჯრებში ტყავის შალთებში ჩალაგებულ სამართლებსა და თმის ელექტროსაკრეჭებს

ინახავდნენ. როგორც წესი, მე მკრეჭდნენ და მამა მელოდებოდა ხოლმე, მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ თვითონაც მოკალათდებოდა ერთ—ერთ სავარძელში, აისვამ- ჩაისვამდა ლოყაზე ხელს და იტყოდა, — რაკი ხარჯია, ხარჯი იყოს, გავლამაზდები ჩემს ბიჭთან ერთადო. „Прибор!“ — დაიძახებდა რუსულად პარიკმახერი და მარლის გრძელი ნაჭრით გადატიხრული სათავსოდან ლურჯხალათიანი ხნიერი ქალი ცხელ წყალს შემოიტანდა ტოლით. ინწყებოდა, მაგრამ რა ინწყებოდა — ვერცხლისფერ თასში საპნის ნამტვრევების ჩაყრა, ნამტვრევებზე ცხელი წყლის დასხმა, რძისფერ სითხეში ფუნჯის ჩაყოფა და მორევა. ფუნჯის ტრიალი მანამდე, სანამ სითხე ქაფის გუნდად არ გადაიქცეოდა. ფუნჯს ახლა ამ ქაფში ამოუსვამდა დალაქი და თვალების, ცხვირისა და შუბლის გარდა, სახის ყველა ნაწილს დაუფარავდა მამას — ყელს, ნიკაპს, ლოყებსა და ზედა ტუჩს. ამის მერე უჯრა იღებოდა და საქმეში სამართებელი ერთვებოდა, რომელსაც სარკის გვერდით ჩამოკიდებულ ტყავის ნაჭერზე, ქამარს რომ ჰგავდა, კარგად აუღესავდნენ ისედაც ბასრ პირს. ვუყურებდი თეთრხალათიანი დალაქის გარჯას, მის ტრიონალს მამის ირგვლივ და ვნატრობდი იმ დღეს, როცა მეც ამ საქმისთვის შემოვიდოდი საპარიკმახეროში, როცა მეც, სუფთად გაპარსულს, ცხელი ტილოებით დამიამებდნენ სახეს და მხარზე ხელს დამკრავდნენ, — გაამოსო!..

კვლავ წავედით სოფლის მალაზიაში მე და სალომე, ამჯერად კიტრის საყიდლად. ეზოდან რომ გამოვედით, დავინახეთ ჭრელპერანგაიანი კაფანდარა ბერიკაცი, რომელიც გზაგასაყართან მდებარე მდელიოზე გამხმარ ბალახს და ხმელ ნიორებს აგროვებდა გრძელტარაიანი ფოცხით. შეეჩერდით და ვუყურებთ მის გარჯას. მარჯვედ მუშაობდა, კობტად აბულულებდა ყველაფერს, რაც ფოცხს მოჰყვებოდა. საქმეს რომ მორჩა, ფოცხი მდელიოზე დააწვინა, ჩაცუცქდა და გულის ჯიბიდან ამოღებულ ასანთს გაჰკრა. ავარდა, მაგრამ რა ავარდა ალი, მეზობელ ეზოში მდგარ ხის კენწეროებს მისწვდა. მე მგონი, სალომემ პირველად ნახა კოცონის აგიზგიზება. თან იუცხოვა, თან მოეწონა მისი ელვარება და ხმა — თივისა და ტოტების ტკაცა-ტკუცი. გავაგრძელეთ გზა. წინა დღეებთან შედარებით ნაკლები გუბე შემოგვხვდა და ფეხსაცმელებიც არ დაგვტალახიანებია. მალაზიაში შესვლებს გამყიდველი ქალი ღიმილით მოგვესალმა და ერთიმეორეზე უკეთესი, კრიალა კიტრები აგვიჩაჩა. რამდენიმე ბოთლი წყალიც ვიყიდეთ, ბავშვებისთვის განკუთვნილი, თავზე სანოვარათი. გამოვედით თუ არა მალაზიიდან, სალომემ კიტრი მოითხოვა. მოსალოდნელი საყვედურის მიუხედავად — ქალები აუცილებლად დამტუქსავდნენ — ბავშვს ქუჩაში ჭამას რატომ აჩვენო, ერთ პატარა კიტრზე წყალი გადავუვლე და გავუნოდე. ახლა ხელში აყვანა მომთხოვა. ეს თხოვნაც შევუსრულე და ვიარეთ ჩვენი სახლის ეზოს კარამდე კიტრის ხრამუნით და სანოვარიანი ბოთლიდან წყლის ნრუპვით. კაფანდარა ბერიკაცსა და მის მიერ დანთებულ კოცონზე არანაკლებ მნიშვნელოვან რამესაც გადავეყარეთ უკანა გზაზე — ქვის ყრუ კედელზე აცოცებულ ლოკოკინას, რომელსაც ჯერ მე გადავუსვი ფრთხილად საჩვენებელი თითი ნიჟარაზე და მერე სალომემ.

ჩემი ბავშვობისდროინდელი, დღევანდელთან შედარებით სამჯერ პატარა თბილისში ეგრე იყო — ყველა უბანს

თავისი ბაზარი ჰქონდა და იმ ბაზრების მუშტრები უმეტესად იმ უბნელები იყვნენ. ვერელები — ვერის ბაზარში დადიოდნენ, ნავთლუღელები — ნავთლუღისაში, სოლოლაკელები და მეიდნელები — ე.წ. „დახურულში“, ავლაბრელები — ავლაბრისაში, ხოლო ოქროსუბნელები და ჩულურეთელები — „მალაკნებისაში“. თუმცა ზოგიერთს ქალაქის ყველა კუთხიდან ეტანებოდნენ იმის გამო, რომ იქ ისეთი რამე იყიდებოდა, რასაც სხვაგან ვერ იშოვიდი. თევზით და ხიზილალთ მარტო ავლაბარში ვაჭრობდნენ, კახეთიდან ჩამოტანილი კარგი ღვინო კი მხოლოდ ნავთლუღის ბაზარში უნდა გეძებნა. ერთგანაც და მეორეგანაც ტრამვაით უნდა მისულიყავი, რადგან მეტროს ხაზი აღმოსავლეთის მიმართულებით „ზემელზე“ წყდებოდა. სანამ ბარათაშვილის აღმართს შეუდგებოდა, წითლად შეღებილი ორვაგონიანი შემადგენლობა გვერდს ჩაუვლიდა მუხრანის ხიდს, ლითონის ულამაზეს კონსტრუქციას, რომელსაც შორიდან რომ შეხედავდი, გეგონებოდა, მტკვარში ორი უზარმაზარი ბორბალი ჩაუშვიათ სანახევროდო.

რამ დამანყებინა ამ თემაზე ფიქრი — არ ვიცი, მაგრამ აღმოვჩინე, რომ აღარ მახსოვს სუპერპოპულარი საბჭოთა მწერლის იმ მოთხრობის სახელი, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების „ენკავედემნიკს“ ეძღვნება. თავიდან ვიდარდე, სულ უკან და უკან მიმდის მეხსიერების საქმე-მეთქი, მაგრამ ცოტა მოგვიანებით მივხვდი, რომ სრულად ჯანმრთელი პროცესი მიმდინარეობს ჩემს ტვინში და ამ პროცესს ადრეც მოუტანია სარგებელი. გაცილებით ახალგაზრდას დამავინყდა სხვა, არანაკლებ პოპულარული საბჭოთა მწერლების „ნანარმოებები“, ანუ გონების სამართავმა პულტმა ახალი და სასარგებლო ინფორმაციის დასაბინავებლად გაათავისუფლა ფუჭი ინფორმაციით შევსებული მეხსიერების უჯრედები.

კვლავ აკუნინი, ტექსტი სათაურით „წიგნის ექსგუმაცია“: „უცხო მხარეებში შენი გავლენის გავრცელების ყველაზე მძლავრი და საიმედო საშუალება — „სიყვარულით დაპყრობა“, ანუ კულტურული ექსპანსიაა. როცა სხვა ქვეყნების მკვიდრნი შენი კულტურით უფრო ინტერესდებიან, ვიდრე საკუთარით, უყვარდებათ ის, უჩნდებათ სურვილი იცხოვრონ ისე, როგორც შენ — იქცნენ შენს ნაწილად, შეგერწყან. სწორედ ასე მოიპოვა გამარჯვება „ცივი ომში“ დასავლეთმა სოციალისტურ ბანაკზე, რაკეტების მეშვეობით კი არა — ჰოლივუდით, „ბითლზით“, ჯინსებით და ჰამბურგერებით. ამ თვალსაზრისით იმპერიალისტი ვარ და თანაც მაგარი, ვოცნებობ რუსული კულტურის რევანშსა და ექსპანსიაზე, „რა თქმა უნდა, საუკეთესო ნიმუშების გამოყენებით“. ველიკოდერჟავულ ზრახვებს თავი რომ დავანებოთ, მეტისმეტად ზედაპირული მოსაზრებაა, ასეთი რამ მწერალს არ ეკადრება — „ცივი ომი“ ფოლკლორსა და ჩეხოვის, ჯონ ლენონსა და შოსტაკოვიჩს, ბიგ-მაკსა და პელმენს შორის კი არა, თავისუფლებასა და ძალადობას შორის მიმდინარეობდა და ამ ომში თავისუფლების წყურვილმა გაიმარჯვა. რაც შეეხება რევანშსა და ექსპანსიას, მიუხედავად რუსული ლიტერატურისა და სამზარეულოს არაჩვეულებრივობისა, ვეჭვობ, მათთან შერწყმის სურვილი გაუჩნდეს სხვა ეროვნების მწერალს, მკითხველს, მზარეულსა და გურმანს.

ეკა ბუჯიაშვილი

# „იყო ცხრა ოქტომბერი...“

□

**შეხვედრა ნოდარ მგალობლიშვილთან**

— ყველას, ვისაც წამოგვგონებია გალაკტიონის სტრიქონები: ელვარე და ლომფერი, იყო ცხრა ოქტომბერიო, აუცილებლად გვიფიქრია: ნეტა რა დღე იყო ის ცხრა ოქტომბერი საქართველოს ცხოვრებაში, რას ეხმაურება გალაკტიონი, რისი შემონახვა სურს ან მის პირად ცხოვრებაში რით იყო ის გამორჩეული? — ამ კითხვით დაიწყებს **როსტომ ჩხეიძე** ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში საღამოს, რომლითაც ლიტერატურულ შეხვედრათა ახალი სეზონი გაიხსნება.

აბა დღეს ზუსტად ვინ იცის, რა ხდებოდა დიდი პოეტის სულში ათეული წლების წინათ, მაგრამ ბატონი როსტომის თქმით, ამ სალონში შეკრებილთა ცხოვრებაშიც და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების შეხვედრათა ისტორიაშიც 9 ოქტომბერი მართლაც გამორჩეულად ჩაენერება, რადგან ეს იყო დღე ნოდარ მგალობლიშვილთან შეხვედრისა —

— იმ იშვიათ გამონაკლისთან, როცა პიროვნება და შემოქმედი, ტალანტი და ადამიანი, მოქალაქე და ხელოვანი ურთიერთპარმონიაშია.

როცა ნოდარ მგალობლიშვილზე ჩამოვარდება სიტყვა, უპირველესად ახსენდებათ უბრწყინვალესად განსახიერებული თეიმურაზ ხევისთავი — ტელეეკრანზეც და სცენაზეც.

ისე მოხდა, რომ ამ როლმა გადაფარა ბატონი ნოდარის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლები, თუნდაც ჰაკი აძბა (ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“), ტრუსოცკი (ფიოდორ დოსტოევსკის „მარადი ქმარი“), ოსვალდი (ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“), ექიმი შტოკმანი (იბსენისავე „ხალხის მტერი“)... იაგო (შექსპირის „ოტელო“), რომელიც იმით იყო გამორჩეული, რომ მაყურებელმა თვით ეს უკეთური ადამიანიც შეიყვარა ბატონი ნოდარის შესრულებით.



საერთოდ, იაგოს ყოველთვის წარმოსახავდნენ როგორც ბოროტებას, რომელსაც შუბლზე აწერია თავისი ავი ზრახვანი, მაგრამ თუკი მისი მზაკვრობა ასეთი თვალსაჩინოა, როგორ შეიძლება ამ ადამიანმა გარშემო ყველა მოატყუოს?!

თავის დროზე კოტე მარჯანიშვილმა და უშანგი ჩხეიძემ მიაგნეს ამ მარცვალს იაგოს ხასიათში — ის უნდა ყოფილიყო მომხიბლავი პიროვნება, სანდო გარეგნობის, რომელიც ყველას კეთილად განაწყობდა მის მიმართ.

გადის ხანი და სწორედ ასეთად წარმოსახეს იაგო თემურ ჩხეიძემ და ნოდარ მგალობლიშვილმაც.

თავის დროზე უშანგი ჩხეიძე ამბობდა: მსახიობი, რომელიც შეძლებს კარგად შეასრულოს იაგოს როლი, არანაკლები იქნება ოტელოზეო.

და აი, ჩვენს რეალობაში ეს ნოდარ მგალობლიშვილმა დაამტკიცა და იაგო იქცა გამორჩეულ სახედ თემურ ჩხეიძის დადგმულ „ოტელოშიც“ და, საერთოდ, გასული საუკუნის თეატრალურ ცხოვრებაშიც.

ნოდარ მგალობლიშვილი ის პიროვნებაა, რომელსაც არაფერი აქვს დასამალი, ისე უცხოვრია, შეუძლია ყველას წინაშე ამაყად წარდგეს — თავისი შემოქმედებითაც და ბიოგრაფიითაც.

საერთოდ, მსახიობები მაინცდამაინც ვერ დაიკვებნიან ხოლმე განათლებით. ასეთ დროს მსახიობთა გამართლებას იმით ვცდილობ, რომ მაინცდამაინც ვერც მწერლები გამოირჩევიან ნიგნიერებით. და, აი, ბატონი ნოდარი ერთ-ერთი გამონაკლისია მსახიობებს შორის, რომლის განათლებაც ძალიან ფართო მასშტაბებს მოიცავს — ნებისმიერ საზოგადოებრივ სფეროში, იქნება ეს ლიტერატურა, მხატვრობა, არქიტექტურა... და თვითონ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ბოლომდეა ჩაფლული.

აი, ამიტომაც იგი სამაგალითო ჩვენთვის.

## „ასეთი კარგი კაცი“

არც კი ვიცოდი, ასეთი კარგი კაცი თუ ვიყავიო, — ასე დაიწყებს საუბარს ბატონი ნოდარი და თავისი ბავშვობის შესახებაც მოგვითხრობს:

— ჩემი ცხოვრების მანძილზე სიხარულიც არაერთი შემხვედრია და მწუხარებაც, ტრავმირებული ბავშვიც კი გახლდით.

პირველი ტრავმა რვა წლისამ განვიცადე, როცა რეპრესიების წლებში მამა დაიჭირეს და ათი წელი მიუსაჯეს. მახსოვს, სასამართლოზე დედა წაიქცა და ეს იყო

პირველი ცნობიერი განცდა რაღაც დიდი უბედურების, ტრაგედიის...

მერე დედასა და მამიდასთან ერთად ვიზრდებოდი.

მეორე დიდი დარტყმა მაშინ მივიღე, როცა დედამ საბურთალოს ბაზარზე მამაჩემის უკანასკნელი პერანგი გაიტანა და... გაყიდა.

თანხა რომ მისცეს, დედამ გადათვალა და... აკლდა. მიიხედა-მოიხედა, მაგრამ აღარავინ იყო. ვაიმე, ეს რა დამემართაო და... ჩაიკეცა. პატარა ვიყავი, როგორ დავიჭერდი, ორივე ნავეიქვით...

ბავშვობიდან ეს ორი მოგონება ჩამრჩა ყველაზე მძაფრად.

\* \* \*

...მერე ცოტა გაძლიერდა, რადგან მამა ჩამოვიდა.

ოთხი წელი ჰქონდა ეს ბედნიერება. მამის გარდაცვალება მესამე დიდი ტრაგედია აღმოჩნდა 17 წლის ბიჭისთვის.

კარგი ნათესაობა ჰყავდა, მათ შორის — საოცარი ხმის პატრონი პეტრე ჟღენტი. სურდა თვითონაც მომღერალი ყოფილიყო, მაგრამ... მამის გარდაცვალების შემდეგ ხმა დაკარგა.

მერე სხვაგან სცადა ჩაბარება, მაგრამ პირველივე გამოცდაზე — მათემატიკაში — ჩაჭრეს. შინ არ უთქვამს, დედას ვერ გაუმხილა. ერთ დღესაც დადის ქუჩაში, არაფერს აკეთებს. შეხვდა თავისი მეგობარი ჯემალ ანჯაფარიძე, ზურაბ ანჯაფარიძის ძმა. თეატრალურ ინსტიტუტში ვაბარებ, სარეჟისოროზე, იქნებ შენც გეცადო.

— რა მინდა დრამის თეატრში, მე ოპერა მაინტერესებსო! — უთქვამს ბატონ ნოდარს.

თუმცა გამოცდებზე მაინც გავიდა და... მიიღეს.

კურსზე მასთან ერთად აღმოჩნდნენ: ირაკლი უჩანეიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, მალხაზ ბებურიშვილი, ნოდარ ჩაჩანიძე...

ორი წელი ისე ისწავლა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რას აკეთებდა. დიდად არც აინტერესებდა.

მერე მათთან აკაკი ვასაძე მივიდა პედაგოგად და სულ ამოაყირავა მის გონებაში ყველაფერი. მეოთხე კურსზე კი აკაკი ხორავამ მისთვის რაღაც სხვა სამყარო გახსნა...

მარჯანიშვილის თეატრში გაანაწილეს.

საერთოდ, მიაჩნია, რომ თუ ჟინი არ გაქვს, თუ მიზანდასახული არ ხარ, ვერაფერს მიაღწევ. თვითონ ამ თვისებებით არ გამოირჩეოდა.

ისე მოხდა, რომ ლილი იოსელიანმა დაანახა, რომ სხვაგვარად ცხოვრებაა საჭირო. ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც ფიქრობს, რომ სწორედ მისი დამსახურებით გახდა ის, ვინც არის — „ასეთი კარგი კაცი“.

— ამგვარი შეხვედრების მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ როსტომ ჩხეიძეს ვერ ვუთხარი უარი.

საერთოდ, ჩემზე ძალიან მოქმედებს პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, თავისთვის, თავჩახრილი რომ მუშაობს ადამიანი და საჭირო საქმეს აკეთებს. მეორე ასეთ ადამიანს მე არ ვიცნობ, ამიტომ, გარდა იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ, კეთილი შურით მშურს მისი.

და კიდევ:

პირველი მეუღლე დამეღუპა.

აღარც აღარაფერი მიფიქრია მას შემდეგ, მაგრამ... სწორედ როსტომ ჩხეიძემ გამოგზავნა ჩემთან ნინო ჩხიკვიშვილი დიალოგის ჩასაწერად ჟურნალ „ომეგას“ ერთ-ერთი ნომრისათვის და ისე მოხდა რომ... ცოლად შევირთე.

ამისთვისაც მადლობელი ვარ მისი.

„თამაში სცენაზეა კარბი...“

და

ის უცნაური ჭიანჭველები

დალილა ბედიანიძე:

— ბატონო ნოდარ, თქვენთვის გამორჩეულად საყვარელ როლზე მინდოდა მეკითხა...

ნოდარ მაგლობლიშვილი:

— ამ შეკითხვას მსახიობები ასე პასუხობენ ხოლმე: ყველა როლი შვილივით მიყვარსო.

ზოგისთვის, რა თქმა უნდა, ასეცაა, მაგრამ მე პირადად — ქვეცნობიერად თუ ცნობიერად — მაინც მაქვს გამოორჩეული დამოკიდებულება ზოგიერთი როლისადმი.

ჯერ ერთი, რაც უნდა მიმტკიცოს ვინმემ, ამა თუ იმ როლში ძალიან კარგი ხარო, მე ხომ ყველაზე უკეთ ვიცი, სად, რომელ სახეს რა დავაკელი, რა მინდოდა გამეკეთებინა და რას ვერ მივაღწიე ვერასოდეს. ამიტომ ჩემთვის გამორჩეულია ორი უცნაურად განსხვავებული როლი: იაგოსი და თეიმურაზ ხევისთავის.

საერთოდ, ადამიანში არის ორი მხარე: ძალადობა, შური, პირველობისკენ სწრაფვა და, ასევე, თავმდაბლობა, სიკეთის კეთების სურვილი, კეთილმოსურნეობა ადამიანების მიმართ. ხან ერთი მძლავრობს ხოლმე, ხან — მეორე. გახსოვთ? მე ბავშვებს ისეთ რამეს ვერ ვასწავლი, რაც მე თვითონ არ მწამსო...

როსტომ ჩხეიძე:

— ეს არის თეიმურაზ ხევისთავის ხასიათის მთავარი თვისებაც და ღირსებაც, ამ ფრაზაზე დგას იგი...

ნოდარ მაგლობლიშვილი:

— ამის გამო თეიმურაზ ხევისთავს ხშირად მოიაზრებენ როგორც ლაჩარ, დამთმობ, უსუსურ ადამიანს, მაგრამ ყველაზე ძლიერი ეს თვისება მგონია კაცში და ამითაა ის გამორჩეული. თემურ ჩხეიძე სპექტაკლზე მუშაობისას სულ იმას მეუბნებოდა, არ იყო დაჩაგრული, ყოველთვის გაამართლე ის, რომ სხვისთვის უნდა აკეთებდე სიკეთესო.

მე თუ მკითხავთ, ადამიანი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რა არის საერთოდ ჩვენი ცხოვრება. ჩვენი ამქვეყნად არსებობის არსი მარადისობისთვის მზადებაა და თუ ამისთვის იღვნი, მაშინ სხვანაირი ხარ — გულლია, გულმონყალე, დამთმობი, მიმტყველებლი...

ძალიან მინდა მივხადო ასეთ ადამიანებს, მაგრამ... ადამიანური ბუნების იმ ორი მხარედან ხან ერთი თვისება მომეძალდება ხოლმე, ხან — მეორე, ხან დაუნდობელი ვარ გარშემომყოფთა მიმართ, ხან კი პირიქით — ძალიან გულმონყალე...

მანანა ტურიაშვილი:

— იაგოს, თუ არ ვცდები, ასეთი ფრაზა აქვს: ჩვენ ერთმანეთის სახეებს ვცნობთ და არა გულებსო. თქვენ

როგორ ახერხებთ იცნოთ და იგრძნოთ პერსონაჟის გულისცემა?

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— იაგოს აქვს ასეთი უცნაური ფრაზაც:

მე თავს ვაჩვენებ არა ისეთს, როგორიც ვარ, არამედ როგორიც მინდა ვიყო. მე ის არა ვარ, ვინც ვჩანვარ.

თვითონაც არ ვიცი ბოლომდე, ვინ ვარ, რადგან ადამიანმა არასოდეს იცის, რა შეუძლია მას. გარემოებათა მიხედვით გადაიხსნება სამყაროს მიმართ. არავის გვინდა ჩვენი ნაკლოვანებების წარმოჩენა, ამიტომ ბევრ რამეს ვნიღბავთ. არადა, რაც ხარ, ის უნდა იყო, ასე უფრო იოლია ურთიერთობა. თამაში სცენაზეა კარგი, ცხოვრებაში — არა. სამწუხაროდ, ამას გვიან მივხვდი, ძალიან გვიან...

\* \* \*

ერთ დღეს ხესთან ვიდექი. ჭადრაკს თამაშობდნენ კაცები და ვუყურებდი.

რატომღაც ხის ღარებს შევხედე, დავაკვირდი და ვხედავ: მიდის ჭიანჭველების კოლონა, მოჰყავთ ერთი ჭიანჭველა. ეტყობა, დაკრძალვის ცერემონიაა. ისე აუვლიან ერთმანეთს გვერდს, ისე უთმობენ გზას... შემშურდა პირდაპირ.

ვინანე, რატომ მწერალი არ ვარ-მეთქი, თორემ ამ საოცრებას აუცილებლად აღვწერდი.

**„...ისაც თურმე გმირობაა დიდი“**

— მაღალ ტაძარში მაღალია სულისკვეთებაც — არა მარტო სივრცის, სულიერებისა და განწყობის თვალსაზრისითაც, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას **თემურ ქორიძე**. იყო დრო, როცა მასაც ეგონა, რომ ჩვენ, ადამიანებს, შეგვეძლო სადღაც დაგვეჭირა ჩვენი ბედნიერება, ჩაგვეკრა გულში, დაგვეპყრო და მერე მუდმივად ბედნიერი ვიქნებოდით, მაგრამ გადის დრო და ვგრძნობთ, რომ ბედნიერი მხოლოდ წუთები შეიძლება იყოს — ერთი... ორი... სამი...

სხვათა შორის, ღირსეული მსახიობები და ხელოვანი იმით არიან ბედნიერი, რომ თავად აშენებენ ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს.

თეიმურაზ ხევისთავი რომ ითამაშა ბატონმა ნოდარმა, მასხოვს, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა საზოგადოებაში — ერთი მხრივ იყო ის ტრადიციული უკმაყოფილება: რა გააკეთა ეს მიხილ ჯავახიშვილმა, რა გვიქნა ქართველებს, აღარაფერი დაგვიტოვა საიმედო იმისთვის, რომ რაღაც ღირსებით ვიცხოვროთო.

სპექტაკლში იყო ასეთი რამ — თავის დროზე ნიკოლაი ბერდიაევი რომ შენიშნავდა: მე არ მინდა ვიყო ბედნიერი, მეზიზღება ბედნიერება, არ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოსო — თავის ტანჯვასა და თვითგვემაში ჯიუტი ხევისთავი განასახიერა ბატონმა ნოდარმა. საზოგადოების მხრიდან კი — მიუხედავად იმისა, ვინ რომელი კუთხიდან იკვლევდა ამ სპექტაკლს — ზუსტად ის რეაქცია მოჰყვა, რომელიც უნდა ჰქონოდა: „ისე მიყვარდი, ამ სიყვარულით მძულდი კიდევაც“.

თავის დროზე შალვა ამირეჯიბმა უსაყვედურა მიხეილ ჯავახიშვილს: ასეთი ღირსებააყრილი, დამცირებული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი, საერთოდაც უღირსებო ქართველი რატომ აღწერე, როგორ დაამცირე ქართველი კაცი აქამდეო.

გადის დრო და ნოდარ მგალობლიშვილისთვის ღირსების ორდენის გადაცემას რომ გადაწყვეტენ, იტყვის:

— ღირსებააყრილ ქვეყანაში ღირსების ორდენის მიღება სირცხვილია!

ნოდარ მგალობლიშვილის ღირსება, **ლია მეტრეველის** თქმით, სამაგალითოდ რჩება პროგრესული საზოგადოებისთვის, ამიტომ კიდეც ერთხელ, დარბაზიდან დაუდასტურებს მსახიობს ამ დიდ სიყვარულს.

**თემურ ქორიძე** კი:

— ეს ისეთი წუთია, შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეშურდეს, როგორი კდემამოსილი და თავმდაბალიც გინდა იყოს, რადგან ნებისმიერი ადამიანის ბიოგრაფიას დაამშვენებდა.

მასხოვს, მთელი საზოგადოება ამაზე საუბრობდა მაშინ — როგორი ღირსებით თქვა უარი ბატონმა ნოდარმა ღირსების ორდენზე.

ეს ის წამია, რომელზეც შეიძლება ვთქვათ:

— შეჩერდიო!

და მახსენდება:

ერთი ნიჭიერი პოეტი გვყავდა, კონფორმისტული დამოკიდებულების, ტაშისმოყვარული... სიცოცხლის ბოლოს განვლილ გზას რომ გადახედა, წამოსცდა:

„წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდის, ესეც თურმე გმირობაა დიდი“.

თქვენც ასეთ გმირად მიმანჩხართ, ბატონო ნოდარ!

კაცად დარჩენის საკითხს გამოენხაურება დარბაზიდან **ციალა არდაშელიაც**, პრობლემას, რომელიც ყველა საუკუნეში იყო, არაერთი მწერლის თემად ქცეულა, და მაღლობას რომ გადაუხდის ბატონ ნოდარს, შეკრებილი საზოგადოებისთვის ამასაც დასძენს:

— ის კაცი არის, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა.

\* \* \*

მოგვიანებით, შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, **მურმან ჯგუბურია** რედაქციაში საგანგებოდ რომ გვეწვევა — საღამოზე სიტყვით გამოსვლა ვერ მომიხერხდაო — და გადმოგვცემს ორად გაკეცილ ფურცელს: „მოკლე სიტყვა ბატონ ნოდარ მგალობლიშვილზე ანუ ცოტა რამ თავისუფალი პატიმრის შესახებ“, სწორედ ამაზე გაამახვილებს ყურადღებას:

„არა — იშვიათია ისეთი კაცი, ძაგებას რომ ვერ გაუბედავ.“

იშვიათზე იშვიათია ისეთი კაცი, ქებას რომ ვერ გაუბედავ.

არ შეიძლება ბატონ ნოდარს შევავლო თვალი, გინდა სცენაზე და გინდა სცენის გარეთ, ალექსანდრე ბლოკის შესანიშნავი ლექსის საწყისი სტრიქონები რომ არ გამახსენდეს:

**О доблестях, о подвигах, о славе  
Я забывал на горестной земле...**



კაცს, რომელსაც ჩინ-მედლები არაფრად უღირს, ვერც ქება-დიდებას გაუბედავ.

ასეთი კაცი გახლავთ, ჩემი გაგებით, ნოდარ მგალობლიშვილი.

ასეთი კაცი გახლავთ იმიტომ, რომ იგი თავისი თავის თავადია. თავისი თავის უფალი.

„ასეთი თავისუფალი პატიმარი ჩემს ცხოვრებაში არ მენახაო“, ამბობს გურამ დოჩანაშვილი, ცხოვრებული გიორგი ჭანტუიას სასამართლო პროცესს რომ აკვირდება.

ეს გამონათქვამი — თავისუფალი პატიმარი — ნოდარ მგალობლიშვილზეა ზედგამოჭრილი.

სხვათა შორის, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს 75 წელი ჰქონდა მისჯილი საერთო ჯამში, რაც ბოლშევიზმის ასაკს ემთხვევა და რასაც ექვსგზის გამოექცა. ციხიდან ციხეში, როგორც იტყოდა ტერენტი გრანელი, ანუ პანია ციხიდან — ვეებერთელა ციხეში.

ნოდარ მგალობლიშვილმა, დაახლოებით, იმდენივე წელიწადი, ანუ დღემდე, თავისუფალი პატიმრის სტატუსით ისარგებლა და იცხოვრა.

და ერთიც:

როგორც ხედავთ, ღერი სიტყვაც არ მითქვამს ბატონ ნოდარზე, როგორც მსახიობზე, მაგრამ აქ, ჩემი ღრმა რწმენით, ისეთი ბედნიერი იშვიათობის შემსწრენი ვართ, როცა ხელოვანი და პიროვნება, როგორც იტყვიან, გაჭრილი ვაშლივით ემთხვევა ერთმანეთს“.

### „ნასტაიაში გრუზინ!“

— ერთხანს რუსეთში ვცხოვრობდი — სხვა ქვეყნებშიც — და ახლა მე მინდა გადავიხადოთ მადლობა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მიმიღია თქვენი კინოროლების გამო. განსაკუთრებით კი ეს ეხება ფილმს „სიყვარულის ფორმულა“, რომლის ყურებისას მე-ამაყებოდა, რომ იმ ბრწყინვალე მსახიობთა თანავარსკვლავედში თქვენც იყავით და ტოლს არავის უდებდით. ფრანგები და იტალიელები დააბნიეთ კიდეც.

— თქვენ რა, აქამდე არ იცოდით, რომ კალიოსტრო ქუთაისიდან იყო-მეთქი? — ვხუმრობდი ხოლმე.

ასეთი ბრწყინვალე შესრულების შემდეგ ნუთუ არ გქონდათ მინვევები რუსეთის კინოსტუდიაში, თუ გქონდათ და დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობების გამო თქვით უარი? — ამას შეხვედრამდე **ჯამალ ფოცხვერია** იკითხავს. ბატონი ნოდარი კი:

— უმადური კაცი ცოდვია, ამიტომ არ ვარ უკმაყოფილო. ისეთი ბიოგრაფია არ მაქვს, რომ ვთქვა: განებივრებული ვიყავი დაუსრულებელი მინვევებით-მეთქი, მაგრამ... იყო დრო ორ-სამ ფილმში ერთდროულად მიღებდნენ უკრაინასა და რუსეთში.

ერთხელ, მახსოვს, კინოსტუდიის ეზოში ვიდექით რამდენიმე კაცი. ერთი ამბობს:

— რა არის, რატომაა, რომ ნოდარს განსაკუთრებული არაფერი უთამაშია ქართულ კინოში?!

გიზო გაბესკირიამ უპასუხა:

— ეტყობა ნოდარი დღეს არ არის ქართული კინოს ტიპი.

სხვათა შორის, ეს ასეც იყო წლების განმავლობაში, ვიდრე თემურ ჩხეიძემ ეკრანზე არ გადაიტანა თეიმურაზ ხევისთავის ტრაგიკული როლი.

ჩემი მხრივ, მადლობელი ვარ რუსეთის თეატრალური საზოგადოებისა. მათი ინტერესი რომ არა, ვერაფერს შევძლებდი, რადგან ჩემი ბუნების კაცს არ შეუძლია რამისთვის — მათ შორის როლისთვის — იბრძოლოს.

მახსოვს, ოტელოს პირველი მოქმედების შემდეგ ჩვენი კულტურის მინისტრმა ამოიყვანა კულისებში რეჟისორი მარკ ზახაროვი, რომელმაც მომცა ტექსტი და მითხრა: ნაიკითხე ეს და ხვალ მოგაკითხავო.

დავინტერესდი, რა იყო.

— კალიოსტროა, ცნობილი პიროვნება, — მიპასუხა მან.

— ვიცი, ნაიკითხული მაქვს-მეთქი.

მეორე დღეს ამიყვანეს ამ როლზე.

გამიკვირდა, რადგან ისეთი მსახიობები გასინჯეს, ვერ ვიფიქრებდი, თუ მე ამირჩევდნენ.

გადაღებებისას ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი. შინ რომ მივედიოდი, იმაზე ვფიქრობდი, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი-მეთქი. ვგრძობდი, რომ მარტო ვიყავი. თითქოს ვერ მიმიღეს. ისინი ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი იყვნენ, მე კი უცხო სხეული აღმოვჩნდი, ამიტომაც დავიძაბე.

მერე მოხდა ერთი ჩემთვის ტრაგიკული და მათთვის კომიკური ამბავი:

სასტუმროში ჩემთან იკრიბებოდნენ მსახიობები, რადგან ისე მოხდა, რომ ოთახში თეთრი როიალი მედგა.

ერთ მშვენიერ დღეს ასე შევიკრიბეთ. შეზარბოვებულებმა სიმღერა დავინწყეთ. ზაფხულია, ფანჯრები ღიაა. გარეთ ვილაცამ ტაში დაუკრა. გადავიხედე და... დგას არაჩვეულებრივი გოგონა (აი, ნინო რომ არის, ისეთი, — ამბობს ბატონი ნოდარი და თავის მეუღლეზე მიგვანიშნებს. ე.პ.)

— ვინ მღეროდა? — მეკითხება იგი.

— მე-მეთქი.

— შესანიშნავი იყო, — ამბობს და ტაშს უკრავს.

ავხტი რაფაზე და ვეუბნები:

— რა გავაკეთო თქვენთვის? გინდათ გადმოვხტე?

და გადავხტი.

და მოვიტეხე ფეხი.

მეორე დღეს მთელი გადამღები ჯგუფი დამადგა სანახავად. ყველაზე ბოლოს მარკ ზახაროვი შემოვიდა, დამხედა და:

— ნასტაიაში გრუზინ!

მერე მითხრა, რომ შემეძლო ვნოლილიყავი, რამდენი ხანიც დამჭირდებოდა, მაგრამ გადაღებები აუცილებლად უნდა გამეგრძელებინა.

დამადეს თაბაშირი. ქვემოდან ამოუდეს ლანჩა ისე, რომ ფეხის დადგმა შემძლებოდა. შემსვეს ცხენზე და... გადამიღეს!

ერთი კვირის შემდეგ იღება კარი და შემოდის ვილაც ტაჯიკი. ჯიგიტი ვარო, — მეუბნება, — თექვსმეტ ადგილას მქონდა მოტეხილობა, ჩემი სოფლიდან ეს ჩამომიტანეს, შენც უნდა შეჭამო და ყველაფერი კარგად იქნებაო.

დადო მაგიდაზე რალაც შეხვეული. გავხსენი. შავი, მაგარი მასაა.

— რა არის-მეთქი?

— მუმიოაო, ჩვენს სოფელში წვეთ-წვეთობით ვაგროვებთ, უებარია ორგანიზმისთვისო.

37-ე დღეს თაბაშირი რომ მომხსნეს, გაოგნებულმა ექიმმა მკითხა:

— აქ ალარაფერი ეტყობა, პატარა ნანიბურის გარდა, რა გააკეთე ამისთანა?

არც ვაციე და არც ვაცხელე:

— ეტყობა ჯიბი გვაქვს ასეთი ქართველებს-მეთქი.

მერე იმ ექიმმა მთელი ჯგუფი შემოიყვანა სტუდენტებისა და დიდხანს ესაუბრებოდა იმაზე, თუ რას ნიშნავს ორგანიზმი, გარემო, სადაც ყალიბდება ადამიანი, როგორ მოქმედებს ბუნება ამ ყველაფერზე და ა.შ.

ლექცია წაუკითხა საქართველოზე.

**„თქვენ არავინა ნაკლები არ ხართ“**

**ნანა ჭრელაშვილი:**

— ბატონო ნოდარ, თქვენ ერთხელ გითქვამთ: მე, როგორც მსახიობი, გავიხსენი უფრო გვიან და რეჟისორი, რომელმაც გამხსნა, იყო თემურ ჩხეიძეო. იქნებ თქვენს ტანდემზე გვითხრათ რამე?

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— საკუთარ თავზე საუბარი ძნელია, რადგან ასეთ დროს ადამიანი ან იჩაგრება, ან კეკლუცობს. ეს ორი რამ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ამიტომ ძნელია ამაზე ლაპარაკი — ვთქვა ის, რომ მე არაფერი ვიყავი და უცებ თემურ ჩხეიძემ და ლილი იოსელიანმა აღმომაჩინეს, ცალმხრივი დამოკიდებულება იქნება. ბევრ რეჟისორთან მიმუშავია, მაგრამ ამ ორმა ადამიანმა ჩემზე იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა... ერთმა მასწავლა ანბანი, მეორემ კი მისი გამოყენება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეიძლება ანბანი იცოდე, მაგრამ ვერ წერდე. მე, მაგალითად, ვერ ვწერ. მახსოვს ერთადერთი წერილი, რომელიც მივწერე დედას, და ისიც ჯიბეში ჩამრჩა, როცა ქუთაისიდან წამოვედი.

ხშირად მეუბნებიან: დანერე, რაც ცხოვრებაში გადაგხდაო, მაგრამ ვერ ვახერხებ. არადა, რაც იწერება, ის რჩება ხოლმე, ნათქვამი სიტყვა კი ქრება...

**ლიანა ელიავა:**

— მიხეილ რომს აქვს მთელი ფირფიტა თავისი ზეპირი მონათხრობისა. თქვენი ნაამბობიც ძალიან საინტერესო იქნებოდა.

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— ის მიხეილ რომი იყო, მე ნოდარ მგალობლიშვილი ვარ...

**ლიანა ელიავა:**

— თქვენ, ნოდარ მგალობლიშვილი, არავინა ნაკლები არ ხართ...

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— მე რომ მემუარები დავწერო და სინამდვილე აღვწერო, ისეთი იქნება, არ ვისურვებდი შთამომავლობისათვის დამეტოვებინა. ამიტომაც ვერ იდები.

საერთოდ, ვინც მემუარებს წერს, ის არ არის ბოლომდე გულწრფელი.

სხვათა შორის, ჟან-ჟაკ რუსომ დანერა თავის თავზე გულწრფელად, ყოველგვარი დანდობის გარეშე...

**თემურ ქორიძე:**

— სადაც, მისივე თქმით, „მომხიბვლელი ნაკლოვანებანი“ უფრო მეტია...

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— საერთოდ, ცხოვრების გადატანა ფურცელზე დიდი პასუხისმგებლობაა. დიდმა მსახიობმა აკაკი ხორავამ დატოვა ასეთი მოგონებანი — დაუნდობელი პამფლეტი ქართული საზოგადოებრიობისა, ოღონდ თავის თავზე ისეთივე პირუთვნელობით მაინცდამაინც ვერ წერს, როგორც სხვაზე.

სრულიად გააშიშვლო საკუთარი თავიც, სხვაც, საზოგადოებრივი ყოფაც... ამას ძალიან დიდი ბუნება სჭირდება კაცისა.

მე ასეთი არ ვარ.

**ლიანა ელიავა:**

— ბატონო ნოდარ, მურმან ლებანიძეს აქვს ასეთი სტრიქონი: „...არამც და არამც არ ჩაუჯდებ ხელმწიფეს ნავში“.

როგორ უყურებთ იმ ხელოვანებს, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელმწიფის ნავში ისხდნენ?

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— ყველას თავისი გზით გაუმარჯოს!

**მანანა ტურიაშვილი:**

— მაგრამ ხომ იყვნენ ისეთი ხელოვანნი, ხელმწიფის ნავში რომ ისხდნენ — მოლიერი, შექსპირი... — მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათი შემოქმედებისათვის. ამიტომ ასე ცალმხრივად ვერ ვიტყვი, რომ...

**ნოდარ მგალობლიშვილი:**

— გენიოსობა სხვა რამაა, ადამიანობა სხვა. ნიჭი სულ სხვა ფენომენია თურმე ადამიანში. თქვენ როგორ ფიქრობთ, ყველა გენიოსი კაცად შეიძლება ჩავთვალოთ?

\*\*\*

რაც შეეხება თემურ ჩხეიძეს:

შეიძლება ძალიან ამპარტავანი გეჩვენოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მე რომ არ ვყოფილიყავი, ვის ათამაშებდა თემურაზ ხევისთავის როლს?

მახსოვს, ორ ფილმში მიღებდნენ მაშინ რუსეთში. ერთ თვეში 15-ჯერ გადავფრინდი და ვადმოვფრინდი. თემურს ვთხოვე: იქნებ დუბლიორი დამინიშნო, ან მე ვიქნები დუბლიორი-მეთქი. ასე მითხრა: როგორ ფიქრობ, მე რომ დუბლიორი მდომოდა, ამ როლზე ავიყვანდიო?!

როგორც მე ვიყავი მისთვის ერთი, ისე ის იყო ჩემთვის ერთადერთი.

სხვა რეჟისორთან ალბათ ამას ვერ ვითამაშებდი.

საერთოდ, „ჯაყოს ხიზნები“ არ მიყვარდა და ძალიან ცუდად შევხვდი ამ შემოთავაზებას — არ მინდოდა თემურაზ ხევისთავის როლში შესვლა.

ამის გამო იმდენი ტკივილი მივიღე მერეც.

ბრინკას მეძახდნენ ქუჩაში.

ერთხელ ერთმა მძღოლმა კაცმა მთელი არზა მომიტანა სახლში:

— მე „გარაჟში“ ვმუშაობ და ჩვენი მძღოლების სახელით ეს წერილი მოგიტანეთ ხელმოწერებით, თქვენ მაგ როლში აღარ უნდა ითამაშოთო.

საჭირო პასუხი გავეცი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა, ღვინო მომიტანა საჩუქრად. შინ შევიპატიუე, დავსხედით, რამდენიმე ჭიქა დავლიეთ, ვისაუბრეთ...

„სიკეთის ქმნიდაც კლიერი“

ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება უკვე მერამდენედ ბენჯის ხიდზე გადის. **ნინო ბაქანიძეს** კი ნებისმიერ დროში უფიქრია ასეთი რამ: რა კარგია, რომ ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, ერთგვარი ორიენტირები — რომელთაც შეიძლება ქვეცნობიერად დაეყრდნო — მაგალითები მაღალი მოქალაქეობისა, ზნეობისა.

— ჩემთვის ყველა დროში თქვენ რჩებოდით ასეთ ორიენტირად — არა მხოლოდ როგორც მსახიობი, არამედ როგორც მოქალაქე და პიროვნება.

როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმანო... მინდოდა მეკითხა, როგორ შეაფასებდით ქართული თეატრის დღევანდელ მდგომარეობას და, როგორც მსახიობს, რა გეგმები გაქვთ?

ბატონი ნოდარი კი:

— იმით დავიწყებ, რომ სამომავლო გეგმა არაფერი მაქვს, რაც შეეხება თეატრს...

ყველა მოვლენას, ყველა სფეროს რატომღაც წარსულს ვადარებთ ხოლმე. არადა, ყველაფერს თავისი გაჩენისა და განვითარების დრო აქვს. მე თუ მკითხავთ, რაც ხდება, კანონზომიერია. ეს ეტაპი უნდა გაიაროს თეატრმა. მოთმინება სჭირდება ამ ყველაფერს, ამიტომ შედარებას ნუ მომთხოვთ. არანაირი უნიჭონი ესენი არ არიან, უბრალოდ დღეს სხვა მიმართულებაა — თეატრშიც, ცხოვრებაშიც... ჩვენს ყოფაშიც — და მეტი არაფერი. თეატრალური საზოგადოების ფუნქცია ის არის, რომ როგორმე გადაარჩინოს თეატრი — ფიზიკურად და სულიერად. მთავარი ესაა, თორემ რაც უნდა შეენიანაღმდეგო მოვლენებს, მოსახლენი მაინც მოხდება, გასავლელი მაინც უნდა გავიაროთ, რადგან გარდაუვალი პროცესებია. დრო თავისთავად გაცხრილავს ყველაფერს, წასაღებს წაიყოლებს, დასატოვებელს დატოვებს... და მოვა ახალი მიმართულება, ახალი თაობა და ახლებური აზროვნება.

ეს არის და ეს.

თეატრი ცხოვრებაა.

როგორიცაა მთავარი რეჟისორი, ისეთივეა თეატრი.

და როგორიცაა ხელისუფალი, ისეთივეა სახელმწიფოც.

\* \* \*

— თეატრი მართლაც ჰგავს სახელმწიფოს...

საერთოდ, ცხოვრება ურთულესი გასავლელია, მაგრამ, მაღლობა უფალს, ამ გზაზე გვყავს ნოდარი მაგალობლიშვილისნაირი ადამიანები.

ისინი ცოტანი არიან, მაგრამ... არიან! — ამას შეხვედრამ გვი **შაჰნაზარი** იტყვის.

იტყვის მას შემდეგ, რაც ბატონ ნოდართან ურთიერთობის ხანას გაიხსენებს — როცა მარჯანიშვილის თეატრი ორად იყო გაყოფილი, თვითონ კი მიხეილ ქვლივიძესთან ერთად თარგმნილ უნგრულ დრამაზე — იოჟეფ კატონას „ბანკ ბანი“ — მუშაობდა მსახიობებთან. თავის გამოსვლას კი ასე დაიწყებს:

— იმთავითვე ნიჭიერი კაცი იყო ნოდარ მაგალობლიშვილი.

ასე არ ღვინდებიან.

ასეთებად იბადებიან.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის თაობა შეყვარებული გახლდათ ნოდარ მაგალობლიშვილზე. ამას შეხვედრაზე **ცისანა კვინტრადე-გომიაშვილი** მოიგონებს — ფანატიკურ სიყვარულს თეატრისა, განსაკუთრებით — მარჯანიშვილის თეატრისა და ამ თეატრის მსახიობებისა, მათ შორის ნოდარ მაგალობლიშვილისა.

კიდევ „უცნობის“ ტელეპროექტ „საკანს“ გაიხსენებს — ხან მთელი ღამეც რომ შერჩებოდა ხოლმე, შუალამისას რომ დარეკავდა ბატონი ნოდარი, ამხნეებდა ახალგაზრდებს და მათაც უხაროდათ, უხაროდათ...

— ჩემი მეუღლე და ნოდარ მაგალობლიშვილი თანაკლასელები იყვნენ და როცა მას ჰკითხავდნენ, რომელი სკოლა დაამთავრო, ნომერს კი არ ამბობდა, ნოდარ მაგალობლიშვილის კლასელი ვარო, — სიამაყით იტყოდა ხოლმე.

რალაცნაირი სიამაყით და სიხარულით.

სიხარული კი არაერთი მიუნიჭებია ბატონ ნოდარს ადამიანებისთვის — არა მხოლოდ სცენიდან თუ ეკრანიდან... და **ლევან ქურციკაშვილი** ერთ სწორედ ასეთ ამბავს გაიხსენებს: როგორ მიუტანა წამლები მსახიობმა ჯუნა მიქაბაძეს — ცნობილ მოქანდაკეს, მარტო გალაკტიონის ძეგლითაც კი დარჩებოდა შთამომავლობას. ასეთი სიხარული არავისთვის დაშურებია ბატონ ნოდარს და ეს იქნებ არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ჩვენ ყველანი ვიყავით იმის მომსწრე, როცა საზოგადოებრივი ხდება ბოროტება, მაგრამ სიკეთეს რატომღაც ფეხი ეთრევა ხოლმე, რომ საზოგადოებრივი გახდეს.

„ბოროტმა შეგქმნათ, უძღურნი ხართ სიკეთის ქმნისთვის“.

ნოდარ მაგალობლიშვილი კი, გარდა იმისა, რომ ძლიერი მსახიობია, სიკეთის ქმნითაც ძლიერი ადამიანია.

\* \* \*

ეს ყველაფერი შემოდგომის ერთ თბილ და მზიან დღეს მოხდა.

მოხდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში, რომელსაც არაერთი საინტერესო შეხვედრა ახსოვს და ეს თავყრილობაც გამორჩეულად ჩაენერება ამ შეკრებათა ისტორიაში, როგორც დღე ნოდარ მაგალობლიშვილთან შეხვედრისა — ელვარეც, ლომფერიც და დავუინყარიც.

იყო ცხრა ოქტომბერი... და როსტომ ჩხეიძე დიდი პოეტის სულის დავიდარაბასაც გადაწვდებოდა:

— ნეტა გალაკტიონი რაღას აეფორიაქებინა, რა დღე იყო 9 ოქტომბერი საქართველოს ყოფაში, რისი შემონახვა სურდა პოეტს, ან მის პირად ცხოვრებაში რით იყო ეს დღე გამორჩეული?

კობა ცხაკაია

# ფსიხლად ფეისბუქელემო

ანუ  
ფრთხილად იყავით,  
ვისაც 500-ზე მეტი მეგობარი გყავთ



**(აჯილა სინონიმია ჩადრისა  
ანუ აბრასიის ახალი ფორმა)**

*ვირებში თუ ხარ, შენც უნდა ტლინკები ყარო,  
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიოთ მთელი სამყარო...*

ავიცენა

ფეისბუქი ყველასთვის თუ არა უმეტესობისათვის ცნობილი და საკმაოდ პოპულარული ხილია. მეც ამ ცუკერბერგისული სენით ვარ, ასე ვთქვათ, დაავადებული. საკმაოდ დიდი ხნის სტაჟი მაქვს ამ გვერდზე მოღვაწეობის და, მინდა გითხრათ, რომ საკმაო რაოდენობის მეგობრები და მტრები შევიძინე.

ფეისბუქის ხიბლი კი პირველ რიგში ის არის, რომ პირველყაროდან სწრაფად მიღებულ ინფორმაციასთან ერთად შესაძლებელია სწრაფადვე მოახდინო რეაგირება — გამოთქვა მოსაზრება, მისცე რჩევა, გამოაქვეყნო სადისკუსიოდ — და მინდა გითხრათ, რომ ამ ყველაფერს ძირითადად ადამიანებისა და მათი საქმიანობისათვის სარგებელი მოაქვს. ეს ის, რაც პირადულს ეხება...

მაგრამ ის დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და ახორციელებს რევოლუციებს, თუნდაც ეგვიპტის მაგალითი რად ღირს...

ფეისბუქი საშიშია იმათთვის, ვისაც საზოგადოებაში არსებული აზრებისა და შეხედულებების მოსმენა და გავრცელება არ უნდათ, ხოლო ვისაც აინტერესებს საზოგადოების პრობლემები, თვითონვე თვლის თავს ამ ფორმაციის განუყოფელ ნაწილად — ფეისბუქი შეიძლება ითქვას სამოთხეა

თუმცა ახლა არც მეგობრებზე და არც მტრებზე და არც რევოლუციებზე არ მინდა საუბარი, თავს არ შეგანყენთ და პირდაპირ გადავალ საქმეზე...

არსებობს სპეციალური სქემა, რომლითაც საქართველოში არსებული იდეოლოგიური მანიპულირების, ანუ ფსევდო პიარის შემქმნელი ორგანიზაცია ახდენს საზოგადოებრივი აზრის დისკრედიტაციას, ცნობილ პიროვნებათა კომპრომეტირებას, ამ ორგანიზაციის საშუალოზე დაბალი ინტელექტის მქონე პირების გაპიარებას.

ამ საქმიანობამ გადაინაცვლა ინტერნეტში და კონკრეტულად ფეისბუქზე.

ამის საუკეთესო მაგალითი იყო — ერთ-ერთი ჩვენთვის ცნობილი პიროვნების თანამდებობიდან ჩამოგდება — აბსურდულ ბრალდებათა საფუძველზე, რომელსაც წინ უძღოდა საშუალო დონეზე ჩატარებული დეზინფორ-

მაციის კამპანია, რომლის მიზანიც იყო ამ პიროვნებისაგან მონსტრის შექმნა, საზოგადოების მომზადება, რათა ამ პიროვნებას ჯვარზე გაკრა და მის მაგივრად სხვა, ასევე საშუალოზე დაბალი ნიჭის პიროვნებით ჩაანაცვლებოდა... თუმცა, რაკი (ღვთის წყალობით) უნიჭოები პროგნოზირებადები გამოდგნენ, მხოლოდ პირველის გაკეთება მოახერხეს, ისიც დიდი წვალებით.

როგორ ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირება ფეისბუქზე და რეალურ პიროვნებათა ჩანაცვლება ფსევდო მასტებით?

მოგიყვებით სულ ცინცხალ მაგალითზე:

1) ცდილობენ, ფეისბუქზე 500 მეგობარზე მეტი ვისაც ჰყავს, სხვა და სხვა საშუალებებით აღმოაჩინონ და დაუმეგობრდნენ.

2) აკვირდებიან მას, მის გვერდს, მის შენიშვნებსა და მოსაზრებებს კითხულობენ, თუ საჭიროა, მისთვის საამო პოსტებსაც კი აწვდიან, რათა მეტი ნდობა დაიმსახურონ.

3) ქმნიან ფსევდო გვერდებს პარალელურად და ასევე ცდილობენ დაუმეგობრდნენ 500-იან საზღვარს აცდენილ პირებს ფსევდო-სახელებით და ფსევდო-ორგანიზაციების სახელით.

ამის შემდეგ:

4) იწყება ზოგადი მოთელვის პერიოდი, ანუ დგინდება ამ 500-იან ზღვარს გადაბიჯებული პირთა ინტელექტუალური პოტენციალი, დაფარული მიზნები, აზრები, მისწრაფებანი.

5) რომელიღაც ორგანიზაციის მიერ შექმნილი მეგობარი განათავსებს პოსტს (შესაძლებელია ეს უახლოეს პერსპექტივაში გაკეთდეს კიდეც), მაგალითად წინადადებით — მთანმინდა გადაიტანონ გლდანის 25 მიკრო-რაიონში, ხოლო მის ადგილას გადაკეთებული ტაძრის ბაზაზე გაიხსნას კაზინო სახელწოდებით „შემოიხედე და დარჩი ჩვენთან“.

6) ამ პოსტზე თვითონვე, ან მათივე ორგანიზაციის წარმომადგენლები წერენ პოსტებს, იწონებენ და პროგრესულად მიიჩნევენ ამ წამოწყებას.

7) ბევრ ფეისბუქელს აქვს განსხვავებული აზრი, ამიტომ ზოგიერთი და მათ შორის 500 მეგობარზე მეტის მქონე წერს თავის საკმაოდ ლოგიკურ და ამასთანავე ჯერჯერობით ნაკლებად რადიკალური აზრით გამსჭვალულ მოსაზრებას...

8) და აქედან იწყება...

ა) ორგანიზაციის წევრები სწერენ მას, რომ ის შეურაცხყოფას აყენებს ვიღაცას და რაღაცას, ანუ ქმნიან მსხვერპლის ხატს (არადა სიტყვა არ თქმულა ამდაგვარი).

ბ) 500 მეგობრიან ფეისბუქელი იმის მაგივრად, რომ შეეშვას ამ თემას საერთოდ, იბნევა და იწყებს აზრის და-კონკრეტებას, რადგან ჰგონია, რომ რეალურ პირთან აქვს საქმე, რომელსაც ვილაცაში ეშლება და ა.შ. ორგანიზაცია ხარობს — თევზი ანკესზე წამოეგო.

გ) შეურაცხყოფა და დემაგოგია გრძელდება, რომელიც გადადის ფარულ მუქარაში... თუკი 500 მეგობრიან ფეისბუქელს აღარ ეყო მოთმინება და ავარდა...

მაშინ —

ირთვება ორგანიზაციის პიარ კომპანიის კლასიკური მექანიზმი — ანუ 500 მეგობრიან ფეისბუქელის გვერდი შეურაცხყოფებითა და დეზინფორმაციებით ივსება.

დ) ამის მერე უკვე გამოჩნდებიან ჯერჯერობით არა-ორგანიზაციის წევრი, მაგრამ კანდიდატი პიროვნებები, რომლებიც აკრიტიკებენ მხარეებს და საბოლოოდ ამ 500 მეგობრიან ფეისბუქელი იბნევა, შლის თავის გვერდს, ან ველარაფერს ამბობს, ანუ ნოკაუტშია და ორგანიზაციის წევრები იმარჯვებენ, რადგან ორივე შედეგი სასურველია და აი ამ წარმატებული შედეგების არსი: 1) 500 მეგობრიან ფეისბუქელი წყვეტს თავის შეხედულებათა და აზრების გამოთქმას და მის მინოდებას ინტერნეტით თავისი 500 ან უფრო მეტი მეგობრისათვის.

ან —

2) თუ არ შეწყვეტს, ეს ორგანიზაცია ინტერნეტის გარდა გამოიყენებს სხვა ბერკეტებს (არ იფიქროთ ძალადობას, ანუ ცემას, აქამდე ჯერ არ მისულან), მას შეავინ-როვებენ და ბოლოს და ბოლოს გააგდებენ სამსახურიდან, სასწავლებლიდან, ანუ დაკარგავს მისთვის საჭირო ადგილს...

ანუ აღსრულდება ჩინური ანდაზა — წინილა უნდა მოკლა, რომ მაიმუნს შეეშინდესო...

ორგანიზაციას კი უჩნდება ახალი საქმე — ამ ოპერაციის დროს ახალი, პოტენციური საფრთხეები —

3) უფრო მეტი ინფორმაცია იკრიბება ორგანიზაციისათვის ჯერ კიდევ დამალულ დისიდენტებზე, რომლებზეც წერტილოვანი დარტყმა უახლოეს მომავალში განხორციელდება და მოხდება სრული დათრგუნვა თუნდაც ინტერნეტში არსებულ საზოგადოებრივი აზრისა...

...მაგრამ თუკი 500 მეგობარზე მეტის მქონე ჯერ არ გამოდის წყობილებიდან. თუმცა ჩანს, რომ იგი უკვე მზადაა შემდგომი ეტაპისათვის...

9) ამ დროს ინტერნეტში შემოვარდება ამავე ორგანიზაციის მიერ მოგონილი პიროვნება რომელიც იწყებს პირველ რიგში იმაზე ლაპარაკს, რომ ის უდიდეს პატივს სცემდა ამ 500 მეგობრიან ფეისბუქელს, მაგრამ ამის შემდეგ სულ დაკარგა მასზე შეხედულება და ახორციელებს საოცარი ზოგადი ფრაზებით ბრალდებების წაყენებას (ანუ უფრო ზუსტად, იწყებს პიროვნების და არა მისი მოსაზრების შეურაცხყოფას).

10) 500 მეგობრიან ფეისბუქელი, თუკი ცდილობს სიმშვიდის შენარჩუნებას, მაშინ ირთვება ყოველნაირად (ამ ორგანიზაციის აზრით) მომგებიანი მექანიზმი, იწყება დემაგოგია — ის (500 მეგობრიან ფეისბუქელი) მშიშარაა, ის გარყვნილია, ის დებილია, ის ფაშისტია, ის ფარისეველია და კიდევ რაღაც ამდაგვარი აბდაუბდა — ეს ყველაფერი მიდის ინტერნეტში პირდაპირი ტექსტით.

11) თუკი 500 მეგობრიან ფეისბუქელი — ამ შემთხვევაშიც არ ავარდა, მიზანი გარკვეულწილად მაინც მიღწეულია, რადგან საზოგადოებამ გაიგონა და თავის გონებაში ჩატივითა ამ 500 მეგობრიანის გაცნობის, რომელიც მას ადრე უდიდეს პატივს სცემდა, შეხედულებანი და რეალური ბრალდებები.

ჩამოყალიბებულ პიროვნებებში არა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულ ადამიანებში ეს უკვე აჩენს ეჭვს და მიზანიც მიღწეულია...

ახლა იწყება დისკრედიტირებული 500 მეგობრიანი ფეისბუქელის ჩანაცვლება კომპეტენტური, სუფთა, საყვარელი, ჭკვიანი და სანდო ორგანიზაციის მიერ მოგონილი ზეპიროვნებით:

12) ბოლო საფეხურია საშუალოზე დაბალი ნიჭის პიროვნების (უმეტეს შემთხვევაში ორპირი) გამოჩენა, რომელიც ფეისბუქზე ისვრის ბრტყელ-ბრტყელ, ლამაზად შეფერილ აზრებს, მას ორგანიზაცია (ანუ მისი ჭანჭიკები) მიმართავს მონინებით. თან გაუგებარია, რატომ ასეთი აღფრთოვანება, მაგრამ ორგანიზაცია, როგორც ჩანს, აქ ხელმძღვანელობს ძველი, საკმაოდ გაცვეთილი და უკვე მობეზრებული გამონათქვამით: მეფეს ქმნის არა მისი ინტელექტი, არამედ ამალა...

თუმცა დავუბრუნდეთ თემას.

ამ ღმერთ-ადამიანის გამოჩენის შემდეგ ლაგდება სიტუაცია მაგრამ მხოლოდ ამ საშუალოზე დაბალი ნიჭის პიროვნების სასარგებლოდ... მის მოსვლას ამდენი გაუგებარი აგრესიით გაოგნებული 500 მეგობრიან ფეისბუქელიც კი სწორად ვერ აღიქვამს და უხდის მადლობას — მადლობა კი იმის ნიშანია, რომ 500 მეგობრიანი ფეისბუქელის ავტორიტეტი ჩანაცვლა ამ ფსევდო ინტელექტულმა.

საქმე გაკეთებულია ნახევრად, თუკი საქმე ეხება არა ინტერნეტ, არამედ რეალურად პოპულარულ პიროვნებას, და მაშინ უკვე ირთვება ინტერნეტ შეტევასთან ერთად ტელევიზიაც, რადიოც და პრესაც...

შედეგიც ადეკვატური იქნება და იყო კიდევ.

საქმე გაკეთებულია, უფრო სწორად, ბოროტებამ დროებით კვლავ გაიმარჯვა, იმიტომ, რომ გაჩნდა ფსევდო კეთილშობილი პიროვნება, რომელიც საზოგადოებაში მოქმედ და არსებულ უკმაყოფილების მუხტს გაუნეცს დისკრედიტაციას და ამით საერთოდ დაშლის საზოგადოებას და ინდეფერენტულს გახდის მას.

მე არ ვარ ოპოზიციონერი, არც ეგრეთწოდებული პოზიციონერი, მე მხოლოდ მიყვარს ჩემი ქვეყანა და მისი ყოველი სიკეთე გამიხარდება, ცუდზე კი, როგორც ნორმალურ ადამიანს, შესაფერისი რეაქცია მექნება... მაგრამ, იმედია, ყველას ახსოვს ანდაზა: მოყვარეს პირში უზრახე, მტერს პირს უკანაო.

და კიდევ — თუკი საზოგადოებას არ ანალვლებს სახელმწიფოს შეცდომები, რატომ ჰგონია ვინმეს, რომ მისგან (საზოგადოებისაგან) კარგი ჯარისკაცები გამოვლენ: დაკოდლილი ჯოგი (ინდიფერენტული საზოგადოება) მგლებს სიყვარულით შეხვდებაო, ესეც ნათქვამია.

საქმე გაკეთებულიაო, მაგრამ როგორ ფიქრობთ, მომავალში ვინ მოიგებს?

ქვეყანა თუ...

როსტომ ჩხეიძე

# ნილაბთა ეს უჩვეულო კარნავალი

(შახშიანება მაკა ჯოხაძის მონოგრაფიასთან „ჩემი დავით კლდიაშვილი“)

დავით კლდიაშვილი თვითონვე გახდებოდა პერსონაჟი. ჯერ ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

მერე სერგო კლდიაშვილის ავტობიოგრაფიულ რომანში „ორფეოსი“.

შემდეგ კი მაკა ჯოხაძის მონოგრაფიაში „ჩემი დავით კლდიაშვილი“.

ეს გახლდათ სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წინადად გამოცემისას განიტვიტებოდა სქოლიოებისაგან, ზოგიერთი — დისერტაციისათვის აუცილებელი — ფრაზისგანაც და, რაც მთავარია, ასევე „დისერტაციული“ შესავლის ნაცვლად ნაემძღვარებოდა ესეი „შტრიხები პორტრეტისათვის“, შთამბეჭდავი ნიმუში, რომელიც მთელი მონოგრაფიის სულს განსაზღვრავს, მაგრამ არა სტილისტიკას, რადგანაც ბელეტრიზებულ ესეის აღარ მოსდევს ბელეტრიზებული გაგრძელება.

არადა, მონოგრაფია ისეთი სიცოცხლითა და ცხოველმყოფელობით სუნთქავს, ისეთი ექსპრესიულია მსჯელობა და დავით კლდიაშვილის იუმორისტულ-კომიკური სამყაროს სიღრმეში შეღწევის, მეტიც, მოგზაურობის ცდა, რომ თავისთავად მოითხოვდა მწერლის ბიოგრაფიული ქრონიკის ჩაფენასაც თხრობაში. მითუმეტეს — შესავალიც ამასვე გულისხმობს.

ბიოგრაფიული ქრონიკის ჩაფენას კი თითქოს ბევრი არაფერი სჭირდებოდა, თანაც მაკა ჯოხაძე ამას ჩვეული არტისტიზმით შეასხამდა ხორცს, თუკი მოინდომებდა.

და ხელთ გვექნება ჩინებული ბიოგრაფიული რომანი დავით კლდიაშვილზე.

მაგრამ...

არამცთუ წინა პირველად გამოცემისას, გამეორებისასაც — „არტანუჯი“ 2012 წელს მწერლის დაბადებიდან 150 წლისთავს რომ დაამთხვევდა — უცვლელად დატოვებდა ყველაფერს და... ჩინებულ მონოგრაფიას გვაკმარებდა.

ნეტა ასევე თუ მოიქცეოდა ავტორი იმ შემთხვევაშიც, რომ არ არსებულებოდა „ჩემი ცხოვრების გზაზე“?

ცხადია, მაშინ მეტი მოვალეობა დაგვეკისრებოდა ამ რანგის შემოქმედის წინაშე, ქართველი ერის კომიკური სული ვისაც გაეცხადებინა (ოთარ ჩხეიძე), რომ აღგვედგინა მისი სრული ბიოგრაფიული ქარგა, ახლა კი, რაკილა ეს ქრონიკა ჩვენი სულიერი ყოფის თანამდევად ქცეულა, აღარ ვიჩქარებდით დავით კლდიაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის გვერდით ბიოგრაფიული რომანის ამოსაყენებლად, ავტობიოგრაფიული რომანის, რომლის რაობასაც ასე ლაკონურად, ზუსტად და ტეკვად ნარმოაჩენს შესა-

ვალში მონოგრაფიის ავტორი, ჯერ მემუარულ ლიტერატურაზე ზოგადად რომ ჩამოაგდებს სიტყვას: ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთულად დასაძლევია ჟანრია. იქნებ პარადოქსულადაც უღერდეს, მაგრამ ასეა, რადგანაც ავტორს, ბრწყინვალე მესხიერებასთან, ობიექტურობასთან, თხრობის კარგ უნართან და ეპოქის ზედმინევენით ცოდნასთან ერთად ყველაზე დიდ ბარიერად მაინც საკუთარი თავი ეღობებაო, — ამ ფონზე კანთიელ და მონუმენტურ სახეებად ნარმოაჩენს დავით კლდიაშვილს, ვინც ამ ბარიერს, საკუთარ პერსონას, განსაცვიფრებელი სიიოლით აუქცევდა გვერდს, თითქოს თვითონ არც არსებობდეს, არც ყოფილიყოს, არც გაევილოს... თანაც, ეს ყოველივე მოეხერხებინოს ისე, რომ არცერთ აბზაცში, არცერთ წინადადებაში არ გამოჟონავდა თუ გამოიჭყიტებოდა ყალბი თავმდაბლობა.

და მსჯელობის ამ ფარგალში მარჯვედ შემოცურდებოდა და აიკინძებოდა ის რამდენიმე ფსიქოლოგიური შტრიხი თუ ეპიზოდი, ასე ხელშესახებად რომ გაგვითვალსაჩინობდა დავით კლდიაშვილის პიროვნულ ხასიათს და შესავლად საგულისხმევ ესეის ბელეტრისტული იერითაც აღბეჭდავდა.

ბავშვობაში რომ ჰყვარებიათ, ეს თურმე იმის ბრალი ყოფილა, რომ:

— ადამიანის გულის მოყვარულმა დედამ, ახლო მეზობლების გარდა სხვაც ბევრი მოკეთე, მოსიყვარულე და პატივისმცემელი მოუპოვა ჩვენს ოჯახს. მამაც, რომელიც სამსახურში იყო ქუთაისში, გულითადი მომხრე იყო, როცა ვინმე სოფლიდან საქმეზე მიმართავდა მას... ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩემს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ბავშვობა...

იმას, რომ არ გადარუსებულყო, დავით კლდიაშვილი იმდროინდელი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს — პოლიკარპე ჩხიკვიძელსა და კონია ლორთქიფანიძეს — და სასულიერო აკადემიის სტუდენტებს — ნიკო ლომოურს, მიხეილ ილურიძესა და ივანე გაფრინდაშვილს — მიანერდა.

შესავალში მეტის თქმა აღარ იყო აუცილებელი, რადგანაც მსჯელობა შორს ნავიდოდა, და ამიტომაც მონოგრაფიის ავტორი ვაკვრით აღნიშვნას იკმარებდა: მშობლიურ ენადავინყებულები ჭაბუკი თავიდან ისწავლიდა ქართულსო... აქ კი შეგვიძლია ის გარემოებაც აღვადგინოთ და შევავსოთ, რომ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა — იმ სტუდენტთა ჩარევა მის ცხოვრებაში, მაშინ, როდესაც ყმაწვილი დავითი გულითა და სულით მოინადინებდა მშობლიური ენის აღდგენას, თორემ სამი წლის შემდეგ რომ დაუბრუნდებოდა საზაფხულო არდადეგებზე თავის სოფელს, თან თავის თანატოლ ბიძაშვილსაც იახლებდა... თარჯიმნად, რაკილა დედამისმა რუსული არ იცოდა, მას კი... ქართული გადავინყებოდა.

როგორი წარმოსადგენია „სამანიშვილის დედინაცვლის“ მომავალი ავტორი, ქართულად კრინტის დაძვრასაც რომ ველარ ახერხებს და დედასთან სალაპარაკოდაც თარჯიმანი დასჭირებია?!

რეალობა ეს გახლდათ, და კიდევ კარგი, უამრავი თანატოლისაგან განსხვავებით დაუბრუნდებოდა მშობლიური ენის წიაღს — თანაც რამხელა წვდომითა და ექსპრესიით.

იმას, რომ მუნდირში გამოწყობილი ოფიცერი არ შეასრულებდა იმპერატორის ბრძანებას — ამღელვარებული ხალხის დარბევას რომ ითვალისწინებდა — და, გიორგი ზდანევიჩის სიტყვებისა არ იყოს, „ამ გმირის გუნდს არცერთი ტყვია არ გაუსროლია...“ — ბედისწერას დაუმაღლებდა

დავით კლდიაშვილი, ქებით აღენილი და შეცბუნებული ტაშის გრიალში გულწრფელად რომ განაცხადებდა კიდევ:

— არავითარი გმირობა არ ჩამიდენია, ბედისწერისაგან შებრალებული აღმოჩნდი, ბედნიერი იმათთან შედარებით, რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშე...

და თავმომწონედ კი არა, თანაგრძნობით გახედავდა გრიგოლ ორბელიანის აჩრდილს, სინანული რომ აღბეჭდვოდა იერზე: სხვა გზა არა მქონდაო!.. ეს მაშინ, ამქრების გამოსვლის ჩახშობას რომ მოსთხოვდნენ იმპერატორის სახელით და ისიც... დაუნდობლად დაარბევდა... ბედისწერამ გიმუხთოლა და არ შეგიბრალო, საშინელ მოგონებას უმსუბუქებდა მასავით სამხედრო პირისა და მწერლის შემბრალებ მზერა, მხოლოდ უნებურად შეიქენი დამნაშავე შენი ხალხის წინაშეო!..

„სამანიშვილის მოთხრობის“ — მისი ხსენებისას მიგელ დე სერვანტესის აჩრდილიც რომ არაერთხელ შეუწუხებიან — გამარჯვებასაც თავის მეგობარს გადააბრალებდა.

— ამ მოთხრობას ბედი ენია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობით...

პიესების ტრიუმფალურ ზეიმს ლადო მესხიშვილსა და მსახიობებს დაუმაღლიდა:

— ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ის დაუფინყარი წუთები...

— „დარისპანის გასაჭირიც“ ბედნიერი გახდა. დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებულად მოსიყვარულე გამომსახველი — ვალერიან შალიკაშვილი...

რა გამოგნებელი სისადავით, რა მხურვალეობით, გზნებით, თანაც ექსპერტის რა ძლიერი ლოგიკით გააბათილებდა დავითი თავის მემუარებში ალექსანდრე ყაზბეგის გარშემო ატეხილ ბინძურ მითქმა-მოთქმას, მის მიმართ წაყენებულ უმძიმეს ბრალდებას.

და აქ მკაცრად ფოხაძე მოადვენებს მისთვის ასერიგად ჩვეულ გულისშემძვრელ პასაჟს:

— რა გადამდებია ეს დაცვა, რამხელა შუქი, სითბო მოედინება, როგორ აღწევს ჩვენამდე და დღევანდელ ამღვრეულ, ათქვეფილ, გაუფასურებულ, გაბითურებულ ურთიერთობებში, დაშრეტილ, გაქვავებულ გულებში წვეთიწვეთ როგორ შემოაქვს სულის ნამალი — სიყვარული! როგორ მოგათქმევენებს ამ მალამოთი სულს...

ერთი მხრივ, პიროვნული კეთილშობილება და უსამართლობასთან შეურიგებლობა არ განებებს თვალი მოარიდო დიდებული მწერლის შეურაცხყოფას უღირსთაგან თუ დაბნეულთაგან.

მეორე მხრივ, ღრმა სულიერი თანაზიარობა მასთან.

სიმონ ჩიქოვანი სხვა ნიშნითაც წარმოიდგენდა გვერდი-გვერდ ალექსანდრე ყაზბეგსა და დავით კლდიაშვილს, და მათთან ერთად ვაჟა-ფშაველასაც: ისინიც იყვნენ დიდი მწერლები, რომელნიც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს ნამდვილ ხალხურ მხატვრულ აზროვნებას ეყრდნობოდნენო.

— მათი ქმნილებების დასაბამი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, ქართველი ხალხის მხატვრულ აზროვნებაში და ხალხურ ფანტაზიებში უნდა ვეძიოთ.

დაშრეტილ, გაქვავებულ გულებში წვეთიწვეთ როგორ შემოაქვს სულის ნამალი — სიყვარულიო...

სხვისი ნიჭით აღფრთოვანების რა ღვთიური ნიჭით უნდა დაჯილდოებულიყო, ევროპიდან ის-ისაა დაბრუნებული ახალგაზრდა მომხსენებლისათვის პარტერიდანვე რომ უნ-

და შეეთვალა, კი არ შეეთვალა, ლამის შევედრებოდა: ანი მომავალი ლექციები რუსულის მაგიერ ქართულად წაუკითხე აუდიტორიასო... და გრიგოლ რობაქიძესაც უმაღლესი შეესრულებინა თხოვნა მისი გზნებისა და ტალანტის დამფასებელი დავითისათვის. და სულ მალე ქართულად წაუკითხა თავბრუდამხვევი საჯარო ლექციები ვაჟა-ფშაველასა თუ აკაკი წერეთელზეც და... ფრიდრიხ ნიცშესა, ოსკარ უაილდსა თუ სხვა დასავლელ მწერლებზეც.

ამ დეტალში მონოგრაფიის ავტორი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ერთი სწავლულის ამტყვევლება ქართულად. ამ თხოვნამ თუ უფრო ვედრებამ ერთბაშად უნდა შეათბოს და შემოაბრუნოს ქართული სიტყვისაკენ ზურგშექცეული არისტოკრატია...

რომელი ერთი ჩამოეთვალა, რომელი ერთი გაეხსენებინა ამ მომცრო ტანის ღირსეული მოხუცის სრულქმნილი პიროვნული ბუნების წარმოსაჩვენად, მოხუცისა:

— მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფარად რომ ედგა თავისი ქვეყნის ღირსებას და მის დასაცავად დუელიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიელებს...

\* \* \*

იმჟამად, როდესაც ეს მონოგრაფია ინერებოდა, სრულიად მიყრუებული, საქართველოს ისტორიიდან ბოლშევიკურად ამოშლილი გახლდათ 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ის ჰეროიკული აქტი, იარაღით დატვირთული ხომალდი „სირიუსი“ რომ მოადგებოდა ფოთის სანაპიროს, გიორგი დეკანოზიშვილის მიერ ყოველმხრივ ორგანიზებული და ნაგულისხმევი ეროვნული აჯანყებისათვის.

ეს ხომ ის დროა, როდესაც ბათუმში მდგარ ჯარის ნაწილში დავით კლდიაშვილი მსახურობდა, და სწორედ მას მიადგებოდნენ ფარულად და დახმარებას სთხოვდნენ თედო სახოკია და ალექსანდრე ჯაბადარი — ამ აქციის თავგამოდებული მონაწილენი. ცხადია, მიადგებოდნენ იმიტომ, რომ ჯარისკაცებს შორის მისი დიდი ავტორიტეტისა ეიმედებოდათ.

ავტორიტეტი კი მართლაც განსაკუთრებული ჰქონდა, მაგრამ ეს მაინც ვერ იკმარებდა ამ მეტად სახიფათო საქმეში ჯარისკაცების ჩასაბმელად.

და თუმცა ეს მოლაპარაკება ვერ დაგვირგვინდებოდა შესაფერისად — ჯარისკაცთა მიმხრობით, მაგრამ თვითონ ფაქტისა საგულისხმო და ამაღლებელი — „სირიუსის“ ჩამოდგომის ეპიზოდსაც რომ უკავშირდება დავით კლდიაშვილის სახელი.

\* \* \*

თავისი ქვეყნის ღირსების დასაცავად დუელიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიელებსო.

ამ გამჭვირვალე მინიშნებაში ჩანს ურულა ის კომიკურად გარდასახული მღელვარე ეპიზოდი, დავით კლდიაშვილი საზოგადოებრივი ღირსების დასაცავად რომ აღიმაღლებდა ხმას და არ აპატიებდა „გათახსირებულ, ჭუჭყიან“ რუსულ ვაზეთს გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენების თაობაზე „ყოვლად უმგვაწო, ყოვლად შეუწყნარებელი“ წერილის მოთავსებას თავის ფურცლებზე — ყოვლად საზიზღარის, ურცხვის, მახინჯის.

წლები გავიდოდა, მაგრამ მწერალი მშვიდად ვერც ახლა გაიხსენებდა იმ ეპიზოდს თავის ავტობიოგრაფიულ რომანში და იმჟამინდელი სიფიცხითა და გზნებით მოყვებოდა, თუ როგორ მივარდებოდა წერილის ჩამთავრებისთანავე ბატალიონის კანცელარიაში ტელეფონს და შავ



დღეს დააყრიდა გაზეთის რედაქტორს, ვისაც ცოტა ხანში დუელშიც გამოიწვევდა და... დააფრთხოდა და რას დააფრთხოდა პალმს, ციხის უფროსთან რომ მივარდებოდა, ეგებ როგორმე გადამარჩინოო. და სულ ბოდიშებად დაიღვრებოდა, რადგანაც უამისოდ დავითის გამჩერებელი არავინ გახლდათ:

— მე წინააღმდეგი ვარ სისხლის დაღვრისა, მაგრამ პალმის სისხლს კი სიამოვნებით დავღვრი, თუ ბედი ამაში შემენია!

თუ სულიერად ისედაც ილია ჭავჭავაძის ჩამომავალი გახლდათ, ბარემ დუელის დროსაც მისეური შეუპოვრობა გამოეჩინა, უბოდიშოდ არ გაეშვა შეურაცხყოფელი, თუ არადა...

პალმის სისხლს კი სიამოვნებით დავღვრიო...

ამ სათნოების განმასახიერებელ ადამიანს შეეძლო მიეტყუებინა პირადად მის მიმართ ჩადენილი უგვანობა თუ უდიერობა, მაგრამ სალოცავად მიჩნეული პიროვნებისა და საქვეყნო საქმის გულისათვის იმ სიმკაცრესა და პრინციპულობას გამოამჟღავნებდა, კიდევ ერთი მომხიბლავი შტრიხით რომ შეავსებდა მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, რომელიც მკა ჯოხაძის ხელში იმ ღრმა, მრავლისმეტყველი სურათით გადაიხსნებოდა და იმთავითვე გაანათებდა დავით კლდიაშვილის პიროვნულ ხასიათსაც და მის დრამატულ ბედისწერასაც.


ღრმა, მრავლისმეტყველი და... გარეგნულად მოულოდნელი სურათით — მკითხველის ცნობიერებაში რომ შემოიტანდა მესტიის მუზეუმში დაკიდებულ ორმოცი მოწამის ძველისძველ ფერწერულ ხატს, გამოაგნებელს იმ განათებით, რომელსაც ფერზე მეტად შუქი ეთქმის.

ამ გამოაგნებელი ხატის აღწერა იმგვარ პოეტურ გზნებას ითხოვს, ასე რომ ამჟღავნებს „ჩემი დავით კლდიაშვილის“ კარის შესხსნასა და ამ დიდებულ მხატვრულ სამყაროში მოგზაურობას, თითქოს პლატონ სამანიშვილის მიერ მოუხილავ ადგილებში შეღწევაც ჩვენ გადმოგვბარებოდეს და, რასაც დავითს საყვედურობდნენ მისი პატივისმცემელი თუ მოთაყვანენი, კიდევ დიდხანს რატომ არ ატარე და ამოგზაურე შენი გმირიო, ჩვენი აღსასრულებელი გამხდარიყოს, რაკილა ეს სამყარო — გარეგნული სიმცირისა და მკაცრი შემოფარგულობის მიუხედავად — დაუშრეტელი და ამოუწურავია, ქართველი ერის კომიკური სულისა არ იყოს.

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო დიდების ღირსიო, — სიმონ ჩიქოვანის ეს აფორისტული სტრიქონი ძალდაუტანებლად მიესადაგება დავით კლდიაშვილის მხატვრულ დრო-სივრცესაც, ასერიგად განფენილს თავისი შინაგანი აღმაფრენით, ხალხის ერთ მეტად კოლორიტულ თვისებას რომ გამოამზეურებ, შეფარულს, აუხსნელს, და ლიტერატურული, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განსჯის შუაგულში მოაქცევ შემწყნარე ღიმილით აელვარებულსა და... თურმე სულში ჩასაძვრენს.

ამ გამოაგნებელი ხატის აღწერა იმგვარ პოეტურ გზნებას ითხოვსო...

ესეც გზნება და არტისტული დახვეწილობა:



— ორმოცი სხვადასხვა ასაკისა და აღნაგობის სხეული ჩვენს თვალწინ ლღვება, დნება. ისეთი მშვიდი სიმხურვალე მოდის ხატიდან, თითქოს ორმოცი ანთებული სანთელია დასანვავად გამზადებული, თითქოს საბოლოო გაქრობამდე ამ რთული, უამრავი ცდუნებით სავსე გზაგამოვლილმა ადამიანებმა ჩუმი შეთქმულება მოაწყვეს და თავიანთ უკანასკნელ ამოსუნთქვას ჩასაქრობად განწირული რწმენის პანია ალები ერთდროულად ამოაყოლეს. ალები კი ერთმანეთს შეუერთდნენ და ორმოცი მოწამე სამარადჟამო შუქში დატოვეს...

და დავით კლდიაშვილზე ინტენსიური ფიქრი სწორედ ამ ხატიც უნდა დაწყებულიყო, რადგანაც მონოგრაფიის ავტორის თვალწინ ამოისახებოდა 1872 წლის კვირიკობის თვეში პირქუშ

ზღვაში აყირავებულ გემბანზე ბანცალ-ბანცალით როგორ ეხლებოდნენ ერთმანეთს ბავშვები — ზუსტად ორმოცნი.

— მათი აძაგაძაგებული სხეული და სული უკვე იწყებს შორეული, უცხო ქვეყნიდან წამოსული სუსხით აცრას. უცხო ენასთან, უცხო სამყაროსთან, უცხო მზესთან შეხვედრის შიშით შეტორტმანებული მათი ფსიქიკა უკვე იწყებს მტკიცეულ დაშლას...

ეს ის ბავშვები არიან, თავადაზნაურთა შვილები, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან ყოველწლიურად რომ მიჰყავდა მთავრობას რუსეთის სამხედრო სასწავლებელში, კორპუსებში.

მიზანი მათი გაგზავნისა — გარუსება — ხშირად მიღწეულიც გახლდათ და „ჩემი ცხოვრების გზაზე“ ამ სატიკივარს დაუფარავად გამოფენდა.

ეს ერთი უბედურება, რომ:

— რუსეთში სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი ივწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან ფეხებამდე გარუსებული. და ესეც მეორე:

— თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგანაც ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შვილის აღსაზრდელად...

დიდი ხალისითო...

და ძალდაუტანებლად მოტივტივეებს გონებაში ჯონათან სვიფტის სატირული ესეი „მორიდებული წინადადება“ — თუ როგორი ხალისით იმეტებენ ინგლისელთა პოლიტიკურ კაბალაში ირლანდიელები შვილებს... შესაჭმელად — ბავშვს მშობლიურ ენასა და სულიერების შეგრძნებას რომ დაუქარგავ, ეს განა შესაჭმელად გამოეტება არ არის?!

ის, რასაც ირლანდიელი სატირიკოსის კალამი გროტესკული მანერით ამოზიდავს ზედაპირზე, ქართულ მემუარულ თხზულებაში რეალისტური სურათია, რომლის შემადრწუნებელი ზემოქმედებაც თავისთავად გინვეს დღევანდელობამდე მოადვენო მზერა, ამჟამინდელ კატასტროფულ შედეგებამდე „ქართული ატმოსფეროს, ქართული ყოფის, ქართული ფსიქიკის ნებაყოფლობითი გადაგვარების იმ მძლავრ იმპულსებს, დავით კლდიაშვილის ამ სტრი-

ქონებში ასე საგრძნობად რომ გამოსჭვივის... და მაკა ჯოხაძემ სწორედ მას უნდა წაავლოს ხელი, იმ ორმოციდან ამ პატარა ბიჭს და შეავედროს მამაზეციერს, „რადგან ღვთის წინაშე იგი ისეთივე უბრალო და უცოდველია, როგორც შუაგულ იმერეთში მზის გულზე გასაპრობად გადგმული კაკლით სავსე კალათა. ისევე რეალური და ხელშესახები, როგორც სიმონეთის კოპნია ეზოკარის ნებისმიერი ბინადრისათვის კალათისაკენ განვდილი ხელი“.

კიევში რომ დაასრულებდა გიმნაზიას, ეს 1880 წელს მოხდებოდა, არდადეგებზე შინ დაბრუნდებოდა, რათა აგვისტოში ისევ გამგზავრებულიყო კიევში, იქიდან კი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში ეპირებოდა. მაშინ უნდა სწევოდა ის ბედნიერება — პირველად ხილვა აკაკი წერეთლისა, ვინც ხალისიანი მოჩანდა და ამ კილოთი ელაპარაკებოდა ყველას. და სხვებთან ერთად ყმანვილ დავითსაც გამოელაპარაკებოდა: სად სწავლობ, სად მიდიხარო?..

— კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

— გარუსების დასათავებლად?! — მხიარული სიცილით ეტყოდა აკაკი.

— არა, მე არ გავრუსდები! — მიუგებდა ბიჭი.

— ვნახოთ... ვნახოთ! — ისევ სიცილით დაატანდა „გამზრდელის“ შემოქმედი, ვის სიცილშიც არანაკლებ მოჟონავდა ცრემლი და ვარამი, ვიდრე ჯონათან სვიფტისა, სიცილით რომ ლამობდა ჭირთა გამკლავებასა და დარდის გაქარვებას.

„არ გავრუსდებიო“ მტკიცე პასუხია იმ ყმანვილის, ვისაც სულ ცოტა ხნის წინათ თარჯიმანი დასჭირებოდა დედასთან სალაპარაკოდ.

„ვნახოთ... ვნახოთ“ თან გაჰყვებოდა განსაცდელის წინაშე მდგარ სამხედრო კურსანტს აკაკის ეს შეგულიანება, როგორც თილისმა, დიდი ნკვარამიდან გამოსაღწევად და იმ მხატვრული სამყაროს ასაგებად, უდავითკლდიაშვილად სამუდამოდ დაუხატველი რომ დაგვრჩებოდა.

მის გამორჩეულ ქართველად დარჩენას, მის გაუზზარაობასა და გაუტყულობას პიროვნული ხასიათი განსაზღვრავდა, ჯიში და გენი?

ეს ყოველივე თავისთავად, და კიდევ:

— ორივე ბაბუის, დედულეთისა და მამულეთის ის ჯანსაღი გარემო, რომლის წიაღში ათეულობით გლეხი, ყმა, გადი, ნათული, ნათლია, მოჯამაგირე, მეზობელი, ნათესავი, ბებია, ბაბუა, ბიცოლა, მამიდა დაბაზიჯებდა: დღე და ღამე შრომისა და ღვინის მარადიულ ფუსფუსში გაბმულ ადამიანებში დღეისათვის თითქმის გაუგებარი და მიუწვდომელი სულიერი თანხმობა და ჰარმონია სუფევდა. ყველას ერთად კი სიყვარულის ფერი ედო და ამ ფერში გამუდმებით ამოგანგლული იყო პატარა დავითი.

ამ ჰარმონიიდან ამოზრდილიყო ის უჩვეულო, ლალი და მხიარული, შინაგანი დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღვსილი სამყარო პერსონაჟთა მომხიბლავი და დაუვიწყარი, მართლაც მარადიული გაღვინას, რომელთაგან ვალაკტიონ ტაბიძე გამოარჩევდა ბუკინას, დარისპანსა (ერთადერთს მთელს შავიზღვისპირეთზე, „რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზნით, მოგზაურობს თავისი ლაფჩინებით და „ამე-იმე“-თი“) და კაროჟნას („მშვენიერზე მშვენიერი... ნამდვილი სახე რევოლუციამდელი“), მაკა ჯოხაძე კი თავის მხრივ სოლომან მორბელაძესაც დაუმატებდა... და მისი ხსენებისას გამოიხმობდა... სოლომანის ჯორსაც:

— მორჩილების, სათნოების, მიმტევებლობის ბიბლიური ფერი რომ დაადო დიდმა მწერალმა...

ჯორიცი კი მხოლოდ ასე თუ შემოცურდებოდა, სწორედაც ბიბლიური ფერით იმ ღრმააზროვან ძიებებში, რომელსაც ასეთ მომხიბლავ განსაზღვრებად უძღვის სათაურშივე გამოტანილი: ჩემი...

„ჩემი“ განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვესაც გულისხმობს, უფაქიხეს ინტიმს, ყველაზე მთავარ სიმზე ხელის შეხების სურვილსაც და... ღრმა კრძალვასაც იმ მონუმენტური სამყაროს წინაშე, რომლის უჩვეულო მრავალფეროვნებიდან და სიღრმიდანაც მხოლოდ ერთი ხაზის, ერთი ფერის, ერთი ხვეულის ამოზიდვა-გადმოშლასაც პირდები მკითხველს, მხოლოდ შენეული სარკმელის შეღებას...

ასეთ დროს მთავარია სარკმელი ისეთ შრეებს მოგახილვინებდეს, ამ მხატვრული სამყაროს გულისგულს რომ შეადგენს და ათასგვარად დატოტვილ ბილიკებზე შეგაყენებს, მარინა ცვეტაევას „ჩემი პუშკინისა“ არ იყოს, ღრმად პირადულისა და დიდ განზოგადებათა მოხდენილი გადაკვეთების ერთობლიობად რომ შემოგვრჩენია.

და მაკა ჯოხაძის „ჩემი დავით კლდიაშვილიც“ ღრმად პირადულისა და დიდ განზოგადებათა მოხდენილი გადაკვეთების ერთობლიობაა, მახვილგონივრულ დაკვირვებათა მთელი წყების მოქცევა თხრობის ექსპრესიულ ქარგაში, ემოციურობისა და აკადემიზმის იშვიათი ხელოვნებით შერწყმა და კვლევა-ანალიზის გადაქცევა თვითემარ ესთეტიკურ მოვლენადაც.

დავით კლდიაშვილის არტისტული, მხიარული და... გულისშემძვრელი სამყაროს შესაფერისად.

ამ ეპითეტს — არტისტული — მაკა ჯოხაძე რომ გამოიყენებდა დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყაროს განსაზღვრისათვის, და წარუშლელადაც ჩაგვებქედებოდა გულსა და გონებაში, როგორც მარჯვედ მიგნებული ტერმინი, როგორც ზუსტი და ტევადი დახასიათება ამ სამყაროს თავისებურებისა, უეცრად აღმოვაჩინდით, რომ თვითონ დავით კლდიაშვილს ეს სიტყვა ერთხელაც არ გამოეხმო.

ხატავდა არტისტულ გარემოსა და სინამდვილეს და... სახელს კი არ არქმევდა, მკითხველს მიანდობდა მის შესაფერის განსაზღვრას, და ვიდრე ეს ეპითეტი ამოჩნდებოდა, ის უჩვეულო სინამდვილე, ნიღბების მომხიბლავი და ეგზოტიკური კარნავალი პაოლო იაშვილის თვალათხევებაში „ათას ერთი ღამის“ ზღაპრულ რეალობას წამოატივტივებდა და თანაც არა რომელიმე სიუჟეტურ ხვეულსა თუ ეპიზოდს, არამედ მთლად დამაგვირგვინებელ სურათებს: და გადაიქცა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებად.

დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყაროს მოვლინების შემდგომ იმერეთი კვლავ რჩებოდა მშობლიურ მხარედ და თან... რალაც უცხო იერიც დასდებოდა — უცხო არა საიდანაც გადმონერგოლის თვალსაზრისით, არამედ — უშუალოდ იმ ფესვების, რომელზეც ამოზრდილიყო, მაგრამ ჟამთა ბრუნვა-ტრიალს გაეუცხოებინა და ხელახლა აღმოსაჩენი გამხდარიყო.

ვალაკტიონ ტაბიძეს ესეისტური დაკვირვებებისას სწევოდა ზუსტი შეფასებანი თუ განსაზღვრებანი, მოულოდნელი, პარადოქსული ფრაზები, ამა თუ იმ მწერლის მხატვრული სამყაროს გულისგულში რომ ჩაგახედებდა, მაგრამ ამჯერად აღარ გამოიდებდა თავს საძებნელად, ისე ალტაცდებოდა პაოლო იაშვილის სტრიქონებით და, აღიარების ნიშნად, არამცთუ გაიმეორებდა თავის ჩანანერში, არამედ უმ-

თავრეს თეზისად შემოგვთავაზებდა დავით კლდიაშვილის შემოქმედების თავისებურების გამორკვევის გზაზე.

გადაქცეულიყო ეს იმერეთი არაბული ზღაპრის დაბოლოებად.

მაკა ჯოხაძე კიდევ უფრო ლაკონიურ ეპითეტს გამოძებნიდა, რომლის მეტაფორული გაშლაც პაოლო იაშვილის სტრიქონებამდე მიგვიყვანდა.

ხოლო გალაკტიონი განუმეორებლად მეტყველსაც რომ უწოდებდა დავით კლდიაშვილს და თავისებური კოლორიტით მწერალსაც, ვერა და ვერ იკმარებდა ამ შეფასებებს და მკითხველს შემოუტევდა: არ დაგავიწყდეთ, პირველი ქართველი სახალხო მწერალიო.

თვითონ დებდა თავს სახალხო მწერლობაზე, ახლა კი დაუნანებლად გადაელოცა ეს წოდება თავისი საყვარელი შემოქმედისათვის, რაღაც განსაკუთრებული პატივის ნიშნად, თორემ შეუძლებელია თავის მხრივ დავინწყნოდა, რომ მანამდე ალექსანდრე ყაზბეგი გახლდათ სახალხო მწერალი, კიდევ მანამდე კი ილია ჭავჭავაძეც და აკაკი წერეთელიც...

მაგრამ როდესაც რაღაც განსაკუთრებულის თქმა გნადია!..

დავით კლდიაშვილის არტისტული, მხიარული და... გულისმემძვრელი სამყაროს შესაფერისადო...

თავიდან დიდად არ განსხვავდებოდა ხალხოსან მწერალთაგან და თემატიკის მხრივ ორიგინალურობას ვერ დაიჩემებდა?

მართალია უკვე იქ, იმ პირველ ბელეტრისტულ ცდებში ეტყობოდა მწერალს რაღაც სხვა მადლი, სხვა ხელოვნების უნარი, მაგრამ უნდა დამდგარიყო ჟამი ნამდვილი დავით კლდიაშვილის დაბადებისა და მისი ტალანტიც სწორედ მაშინ უნდა აელვარებოდა მთელი მისი სისავსით:

— როდესაც მოხდა შინაარსისა და მისი გამოსახატავი ფორმის ერთი შეხედვით დაცილება.

პარადოქსია?

არადა, ესაა ამ მხატვრული სამყაროს ძარღვიც, საყრდენიც და მსოფლგანცდაც, მისი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ნაწარმდგერებიც — პარადოქსი უეცრად სტილური მანერის ქვაკუთხედად გამოიკვეთა და პერსონაჟებიც და ამბებიც თავის ნებაზე დაატრიალა.

— ტრაგიკული გამოხატა კომიკურით, მაგრამ ისე, რომ არსად დარღვეულა წონასწორობის პრინციპი. სწორედ ამ წონასწორობამ განაპირობა მხატვრული გამარჯვება.

მაკა ჯოხაძის ძიების გარეშე აღმოჩნდებოდა მწერლის ყველა ის ბელეტრისტული თხზულება, რომელშიც არ წარმოსდგება ადამიანის ახალი ტიპი — ნიღბოსანი, მოთამაშე... და აღუნიშნავი არ დარჩებოდა, რომ „ნიღაბი“ დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ პირველად აკაკი გაწერელიას გამოეყენებინა.

საერთოდ კი ტყუილს, ტრაბახს, ოპტიმიზმს, ნიღაბს, ნიღბის სახეებსა და მათი გამოყენების ოსტატობას, იმერელი (საერთოქართული) აზნაურების არტისტიზმს გაიაზრებდა შრომითი პროცესის უაღრესად ორიგინალურ და მხატვრულ გადანყვეტად. თამაში ხომ ამ სამყაროს პერსონაჟთათვის ის უმთავრესი და უპირველესი საშუალება გახლდათ, რომლის მეშვეობითაც ცდილობდნენ უფრო მსუბუქი, უფრო იოლი და სხვისათვის შეუმჩნეველი გაეხადათ საკუთარი ცხოვრების ტრაგედიამდე მისული მძიმე პირობები, და სწორედ ეს სურვილი, ეს სწრაფვა იწვევდა მათი

ტრაგედიის გამოვლენას კომიკური — თანაც მძაფრი კომიკური — იერით.

დონ კიხოტის ლანდი იმთავითვე აედევნებოდა დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა ტრაგიკომიკურ ყოფას და განსაკუთრებით პლატონ სამანიშვილისა და კირილე მიმინაშვილის ტანდემი გაუჩნდა მკითხველს (პეტრე უმიკაშვილია მკითხველთა ამ საერთო განწყობილების გამომხატველი) ნადილს, მათაც დონ კიხოტივითა და სანჩო პანსასავით ეხეტილათ წუთისოფლის ოღორილო გზებზე, ლისხ იქითაც და ლისხ აქეთაც, და ყოველი ნაბიჯი დაუფინყარი შთაბეჭდილებით აღევსოთ — სიბრძნისა და მხიარულების, სიცილისა და სევდის ჰარმონიული ურთიერთმენაცვლებით.

მაგრამ მონოგრაფიის ავტორი სხვა კუთხეს გამოძებნის ესპანელი იდალგოსა და ქართველი აზნაურების შესაპირისპირებლად, და ყურადღებას გაგვიმახვილებს, რომ ლამანჩელის მუდმივი ზეღმაფრენაა მისივე ტრაგიზმი, მაგრამ პირადად ამ გმირისათვის ეს ტრაგიზმი — როგორც შეგრძნება — მოხსნილია, ჩვენთვის კი ის სწორედ იმას გულისხმობს, რომ უაღრესად დიდია განსხვავება იდეალსა და ცხოვრებას შორის, კომიზმს კი ქმნის ის, რომ ამ სხვაობას ვერ ხედავს თვითონ ლამანჩელი, ვინც არ იტყუება და არც ნიღაბი მოურგია.

არსებობს კი დავით კლდიაშვილის სამყაროში, მის პერსონაჟთა აღქმაში ეს თანხმობა იდეალისა და ცხოვრებისა?

— ტყუილი არსებობს იმდენად, რამდენადაც სხვისი „გაცუცურაკება“ საჭირო. კლდიაშვილის გმირები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცრუობენ, მაგრამ თავს არასოდეს იტყუებენ.

და ნიკოლაი გოგოლის სიტყვებსაც რომ მოიშველიებდა: მოიტყუო — ნიშნავს ილაპარაკო ტყუილი იმ ტონით, რომელიც ასე ახლოა ჭეშმარიტებასთან, ისე ბუნებრივად, ისე გულუბრყვილოდ, როგორც შეიძლება ილაპარაკო მხოლოდ და მხოლოდ სიმართლით, — უფრო ხელშესახებად წარმოაჩენდა, რომ: თუმცაღა მორბელაძეები, სამანიშვილები თუ კლდიაშვილური სამყაროს სხვა ხორცი ხორცთაგანნი და სისხლი სისხლთაგანნი ტიპური თეატრალური არიან, მათი არტისტიზმი ესთეტიკურ სიამოვნებაზე მეტად ყოფით წუხილს განგვაცდენინებს, და ეს ალბათ იმიტომ, რომ ლამანჩელი რაინდისა არ იყოს, მათი თეატრალიზმის სამოქმედო ასპარეზი ის ბრძოლის ველია (ცხოვრება აბსტრაქტულად), სადაც უშუალო მტრად მხოლოდ ქარის ნისქეილი არსებობს.

დონ კიხოტის სახიფათო თავგადასავლებთან შედარებით პლატონ სამანიშვილის თავგადასავალი არარაობადაც შეიძლება მოგვჩვენებოდა?

მაკა ჯოხაძე შეგვახსენებს, რომ: ქარის ნისქელებთან უაზრო, სასაცილო შებრძოლებას ამართლებს უდიდესი აზრიანობა — რწმენა იმისა, რომ იგი სწორად იქცევა, და რომ ბრძოლა ასეა საჭირო.

და ესეც თანხვედრა იდეისა რეალობასთან.

ესეც სულისა და იდეის კომიკური გამოხატვა.

ესეც აზროვნების სიბრძნე და მოქმედების სისულელე.

დონ კიხოტს არ სჭირდება არავითარი თავშესაფარი, რაც ასერიგად აუცილებელია დავით კლდიაშვილის პერსონაჟებისათვის, ნიღაბი რომ მოუმარჯვებიათ თავშესაფრად და უმთენარო, განამებული ყოფის შესალამაზებლად, არამცთუ მხოლოდ გასაძლებლად, რაკილა არც პატივ-

მოყვარეობა ანებებთ ნიღაბზე უარის თქმას და, რაკილა პატივმოყვარეობა თავის მხრივ ტრაბახსაც აიძულებთ, ამითაც ექცევიან უკიდურესი კომიზმის შუაგულში.

მონოგრაფიის ავტორი ამ კუთხით საერთოს ხედავს ნიკოლაი გოგოლის პერსონაჟებთან, ოღონდ შედარება-შეპირისპირების გზას აღარ მიჰყვება და მხოლოდ კლდიაშვილის გმირების სულს უღრმავდება, რათა წარმოაჩინოს, რომ პატივმოყვარეობა, ისევე, როგორც ტყუილი, მათი ბუნების ორგანოა, თანდაყოლილ თვისებას კი არ წარმოადგენს, არამედ გვაროვნული პრიორიტეტის შერყევის შედეგად კიდევ უფრო მძაფრდება და თავდაცვის დანიშნულებასაც იძენს.

\* \* \*

— ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია. ჩემთვის მთავარია — რას და როგორ წერ, — ასე გაიხსენებდა სერგო კლდიაშვილი მამის სიტყვებს ბიოგრაფიულ თხზულებაში „ორფეოსი“, — გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე, გადახედე, თუ ასე არაა!

დავით კლდიაშვილის ამ შეხედულებას მაკა ჯოხაძე არა ამ მონოგრაფიაში, არამედ სხვაგან გაიხსენებს და დასძენს: მისთვის ჩვეული სისადავითა და უბრალოებით სვამს ზუსტ დიაგნოზს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ნამდვილი ხელოვნება.

ეს „სხვაგან“ ლალი ავალიანის მონოგრაფიისადმი — „დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი“ — მიძღვნილი რეცენზიაა, რომელშიც ქებითაა მოხსენიებული ამ მეცნიერის პედანტიზმამდე მისული კვლევის მეთოდი, როდესაც მონუსრიგებული გონება თუ ბუნება ახერხებს მოხელთებას ისეთი წვრილმანი დეტალებსა, მანამდე შეუმჩნეველი რომ რჩებოდა.

კი მაგრამ, პედანტიზმი დიდ პატივში რომ არასოდეს ყოფილა და თითქოს გამორიცხავს აღმოჩენით მოგვრილ აღმაფრენებსა და სიხარულს?

მაკა ჯოხაძე არასოდეს მოქცეულა სტერეოტიპულ წარმოდგენათა ტყვეობაში, ის კი არა, ყოველთვის გაბედულად უპირისპირდებოდა და ამსხვრევდა კიდევ სტერეოტიპულ შეხედულებებს, და ამჯერადაც ამ თვისებას ღირსებად მიუთვლის ლალი ავალიანს, ვინც მასალის ძირისძირობამდე წვდომისა და დამუშავების წყალობით ახერხებდა სრულიად შეუმჩნეველ დეტალთა და ნახნავთა ამოზიდვას სამზეოზე და აელვარებას.

— ასეთი ნიმუშებითაა სავსე მისი წიგნი „დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი“.

საგულისხმო ისაა, რომ მაკა ჯოხაძე აქ უნებურად საკუთარი კვლევის მეთოდსაც გვიმჟღავნებს, პედანტიზმამდე მისულს, აღმოჩენებით მოგვრილი აღმაფრენებისა და სიხარულის მოწმესა და თანაზიარს რომ გვხდის.

ამიტომაცაა ასეთივე ნიმუშებით სავსე მისი წიგნიც „ჩემი დავით კლდიაშვილი“.

ხოლო იმ არამეცნიერულ სინამდვილეში, სადაც გვიწევს ცხოვრება, მკითხველს ცოტა არ იყოს გააკვირვებდა კიდევ ამ ალტაცებული რეცენზიის გაცნობა. ჩვენში ხომ დაუოკებელი ჟინი და სწრაფვაა ამა თუ იმ თემის, მწერლის, ეპოქის დაჩემებისა და ისე შემორავვის, თითქოს საკუთარი ბაღჩა იყოს, სადაც შესვლის კი არა, გადახედვის უფლებაც სხვას არავის აქვს.

ამიტომაც „თავხედს“ ან შანთით უნდა გამოენთონ ანდა

მზერა აარიდონ, თითქოს სრულიად ვერ ამჩნევენო.

ზნეობრივი საზოგადოების მოსვლა ამ არამეცნიერულ ჟინსაც დათრგუნავს, ისევე, როგორც ბევრ სხვა უკეთურებას.

ცხადია, ის ზნეობრივი საზოგადოება თავისით არ გაჩნდება, სიცარიელიდან არ ამოიზრდება, რომ არა ცალკეული კეთილშობილური გამონათებანი... ოღონდ ის, რამაც დროდადრო უნდა გაიელვოს, მიმანიშნებელია ზნეობის უწყვეტობისა, და კიდევ იმედოვნებისა, ადრე თუ გვიან ეს სწრაფვა მომძლავრდება და... სულიერად ფერნაცვალი სინამდვილის წინაშე აღმოვჩნდებითო.

გასაოცებელი იმდენი რამაა ქვეყანაზე, რაც გასაკვირი არაა, ის უკვე აღარც გაგვიკვირდება.

ჯერჯერობით კი უჩვეულოდ გაისმის, არა, დავით კლდიაშვილზე ჩინებული მონოგრაფიის ავტორის მიერ გულუხვად ნათქვამი საქებარი სიტყვა დავით კლდიაშვილზე სხვა ჩინებული მონოგრაფიის ავტორზე?..

მაგრამ ის... მაკა ჯოხაძეა!..

დავით კლდიაშვილს კი ძველ ბრძენკაცთა დარად შეეძლო ღრმა შეგონებათა უბრალოდ გაზიარება:

— გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე...

...ეს მაინც რა მოხდენილად, ეფექტურად მომარჯვებელი სიტყვაა — მიფოთარებია!..

\* \* \*

გვაროვნული პრიორიტეტის შერყევის შედეგად კიდევ უფრო მძაფრდება და თავდაცვის დანიშნულებასაც იძენსო...

თუმც ამ მხატვრული სამყაროს ფესვებს უფრო შორსაც შეიძლება გავყვეთ და არა მხოლოდ გვაროვნული პრიორიტეტის შერყევა ვიგულისხმოთ მის გამომწვევად, არამედ ეროვნული ხასიათის თვისებად გარდასახული შეუსაბამობის შეგრძნებაც დიდ მისწრაფებებსა და მის აღუსრულებლობას შორის, უღონობამდე და უილაჯობამდეც რომ დაკნინებულა, არადა, დიდი მისწრაფებანი დიდი სახელმწიფოებრივი შეგნებიდან მომდინარეობს, იმ რწმენიდან, რომ რაღაც გრანდიოზული ცივილიზაციის შვილები ვიყავით და დრო-ჟამისა და ბედისწერის უღმობელობამ შემოგვზღუდა და ჩაგვკეტა ვინრო სარბიელზე, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა გამოვიდეს იმ ძველებურ სივრცეში იმ ძველებური წყურვილითა და ძალ-ლონით. და თუმც რეალობა საპირისპიროს გვიმტკიცებს, თავშესაფრად ხომ გვიპოვნია ის ნიღაბი, რომელმაც უნდა შეგვანარჩუნებინოს მისწრაფებათა ამაღლებულობა და უწყვეტობა ნატვრისა და მოლოდინის გარდუვალ აღსრულებამდე.

დაე მანამდე ეს ყოველივე სასაცილოდაც გამოიყურებოდეს.

სულიერი არტიზმი გადაგვატანინებს კომიზმში თავის ნებაყოფლობით ჩაგდების ტკივილს, ვიდრე დაგვიდგებოდეს ჟამი საკუთარი მეობის სრულყოფილად გამოვლინებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სიმხნევის საბოლოო დამკვიდრებისა, დიდი ქვეყნების სათამაშოდ კი არა, ჩვენივე ნების წარმმართველებად რომ ჩამოგყალიბდებით.

ამ სწრაფვას გრიგოლ რობაქიძე და მისი მოწაფეები, ცისფერი ორდენი, დრამატულ საფანელს მოუნახავდნენ და ქალდეას მონატრებად გაასიმბოლოებდნენ — ოდესღაც არსებული დიდი ცივილიზაციის ხელახლა აღდგენის რწმენად დაი-

გულბდნენ. და თუმცა გარეგნულად სრულიად სხვადასხვა მოჩანს ეს სიმბოლოც და ეს რწმენაც დავით კლდიაშვილის სამყაროსაგან, ღრმა სულიერი ძარღვით სწორედაც ერთი და იგივეა, ერთი და იმავე ტკივილის თავთავისებური წარმოსახვა — დრამატული ერთი მხრივ და ტრაგიკომიკური მეორე მხრივ, და ამ ტრაგიკომიზმის მარტოდენ ერთი ხაზი თუ ფერი, კომიკურის ნიღბებთან დაკავშირებული, არ უნდა ფარავდეს ჩვენს ალქმაში კლდიაშვილის პერსონაჟთა გალერეის მრავალსახოვნებას, როდესაც პერსონაჟთა არსებობა, მათი განცდების დრამატულობა ტრაგიკულობამდე მალდდება.

და როდესაც მკაცრად უკმაყოფილოდ სამანიშვილის დრამატულობისა და ტრაგიკულობის მწვერვალად მოიხსენიებს მის სიზმარს, დასძენს, რომ ელდარ შენგელაიას ფილმმა „სამანიშვილის დედინაცვალი“ ბევრი დაკარგა სცენარიდან სწორედ გმირის სიზმრის ამოღებით, მითუმეტეს, რომ:

— მწერლის მიერ ბრწყინვალედ გააზრებული შემპარავი, თითქმის შეუმჩნეველი გადასვლა რეალობიდან სიზმრის საუფლოში, რომელიც არაფრით არა ჰგავს სიზმრისეულ სამყაროს (ტრადიციული გაგებით), კინემატოგრაფიისათვის უმდიდრეს მასალას წარმოადგენდა, რათა უფრო გამოკვეთილიყო ცხოვრებისეული დრამა.

მხოლოდ ასე, სიზმრისა და ცხადის ზღვარდაუდები მონაცვლეობით წამოიწვედა წინა პლანზე დავით კლდიაშვილის მხატვრული აზროვნებისათვის ნიშანდობლივი ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემათაგანი:

— მოთამაშე, ნიღბოსანი ადამიანებისათვის რეალობა მოუცილებელი, განუყრელი მუდმივობაა, მუდმივი, მტკივნეული შეგრძნებაა და მაინც თვით თამაშის დროსაც კი ამ რეალობაში ცხოვრობენ.

ეს რეალობა ვერ ჰკვებავს ამ ადამიანებს და ამიტომაც შიათ ასე განუწყვეტილ პერსონაჟებსაც და მათ ნეკნებ-გადმოყრილ სახედრებსაც?

— სამაგიეროდ იგივე რეალობა ჰკვებავს და ბიძგს აძლევს მათ შემოქმედებით წარმოსახვას, მათ ტრაბახსა და ტყუილს, შიშსა და იმედს, ოპტიმიზმსა და პესიმიზმს, მათ ოცნებებს, ნატვრასა და სიზმარს.

და ეს ყოველივე გასაქრობად გაიწირებოდა, დავით კლდიაშვილი რომ არ შემოიხრებოდათ, მწერლურ მონოდებას — ვასილ ბარნოვისა არ იყოს — საკმაოდ გვიან რომ იგრძნობდა საკუთარ თავში, ხოლო მანამდე, გარდა სამხედრო საქმიანობისა, ქალთა გიმნაზიის დაარსება უფრო მნიშვნელოვნად უნდა მიეჩნია, საბანკო საქმეები, რკინიგზის გაყვანა და მარგანეცის აღმოჩენა, ჯარისკაცთა კლუბის ორგანიზება, გალატაკებულ აზნაურთა საჩივრების მიტანა მაღალ ინსტანციებში...

მონოგრაფიაში ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული უფრო იმის ნათელსაყოფად, რომ დავით კლდიაშვილი ყველგან და ყოველთვის ერთიან მონოლითურ და უღალატო პიროვნებად რჩება საკუთარი მრწამსის, საკუთარი ზნეობრივ-მორალური იდეალების წინაშე.

ამ მხრივ იგი XIX საუკუნის — 32-იანელთა და 60-იანელთა — უშუალო მემკვიდრედ წარმოგვიდგება, ათასგვარი საქმით გაძეხვებულად, არადა, საქვეყნო ტკივილები მოითხოვს ჩარევასა და შემსუბუქებას და არც დაგიდევს, სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა გირჩევნია თუ ამ მომბეზრებელ საქმეთა მოგვარება.

საქვეყნო სატიკვარი, გადაუდებელი ჭირვარამი ილია

ჭავჭავაძეს ჩამოაცილებდა ლიტერატურას.

დავით კლდიაშვილს კი ლამის სრულიად ააცდენდა.

ვასილ ბარნოვისათვის მწერლობის კარი რომ გადაიხსნებოდა, ალექსანდრე ყაზბეგის წყალობა გახლდათ, მისი წაკითხვა აპოვინებდა საკუთარ თავს და მხატვრულ სტილს.

დავით კლდიაშვილს კი უშუალოდ გარემომცველი ყოფა უბიძგებდა საკუთარი თავის აღმოსაჩენად და თვითვე შექმნიდა თავის ლიტერატურულ სკოლას, რომელსაც თავისებურ ლაიტმოტივად გასდევს მის ნაწერებში პირდაპირ ნათქვამი, სხვებთან კი ნაგულისხმევი: ამაზედაც გამაღლობო, უფალო!..

ნიღბების ამ მიმზიდველ კარნავალში კი, უფრო შუა თაობის სახეები რომ ჩამორიგებულან, მონოგრაფიის ავტორის თქმისა არ იყოს, კიდევ ერთმა ასაკმა უნდა გადაირბინოს და გამოანათოს — ბავშვობამ...

ეს უზარმაზარი თემა — ბავშვი ქართულ ლიტერატურაში — თითქმის სრულიად მიტოვებულია ღვთის ანაბარა, გარდა ორიოდე გამონაკრთომისა, და ამ გამონაკრთომთა შორის საგულისხმოა „ჩემი დავით კლდიაშვილის“ თხრობაში ბოლო, დამაგვირგვინებელ თავად შერჩევა „წართმეული ბავშვობისა“, რომლის უკანასკნელი აკორდიც მონოგრაფიის ფინალური სტრიქონებიცაა:

— ამიტომ იშვიათად, ათასში ერთხელ, მათი დაკონკილი სამოსიდან არა მხოლოდ ვარდისფერი და უბინო სხეული გამოანათებს ხოლმე, არამედ ის სასონარკვეთილი და მძიმე სევდაც, რომელიც ცხოვრებანაწი კაცის მუდმივი თანამგზავრია.

და სწორედ ამგვარ ფინალს უნდა შეეკრა კომპოზიციური ქარგა იმ თხზულებისა, რომელიც ორმოცი მონამის ფერწერული ხატითა და პირქუშ ზღვაში აყირავებულ გემბანზე ბანცალ-ბანცალით მოსიარულე და ერთმანეთს შეხვლილი ბავშვების სურათით იხსნება, უცხო ენასთან, უცხო ქვეყანასთან, უცხო მზესთან შეხვედრის შიშით შეტორტმანებული ორმოცი ყმანვილის მოლანდებით.

— გარუსების გასათავებლად?! — იცინებდა აკაკი წერეთელი იმ სიცილით, ამჯერადაც ცრემლზე უფრო მწარე რომ გახლდათ.

— არა, მე არ ვაგრუსდები! — პასუხობდა ყმანვილი, ვის გონებაშიც ათასგვარი ფიქრი და ნატვრა რომ რიალებდა, თავის შესაძლო პროფესიებს შორის რომელს აღარ მოსინჯავდა, გარდა... მწერლობისა, და მოგვიანებითაც, უკვე ზრდასრული კაცი ალექსანდრე ყაზბეგს რომ შეეხმანებოდა ალტაცებული ბარათით — მისი „განკიცხულით“ მოხიბლული — ეს როგორც მკითხველი მწერალს და არა — თანამოკალმე თანამოკალმეს...

ხოლო ის ძველისძველი ხატი გამოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა იმ განათებით, ფერზე უფრო მეტად შუქი რომ ეთქმოდა.

ჩვენს თვალწინ გალღვებოდა, დადნებოდა ეს ორმოცი სხეული ორმოცი ანთებული სანთელივით დასანავავად გამზადებული, უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის ერთდროულად რომ ამოეყოლებინათ ჩასაქრობად განწირული რწმენის პატარა ალები, ერთმანეთს შერწყმულნი სამარადჟამო შუქად რომ შემორჩებოდა დიდებული წარსულის ხელახლა აღდგენა-მოვლინების წყურვილით აღვსილ ქვეყანას.

— ვნახოთ... ვნახოთ!.. — იმედს ებლაუჭებოდა აკაკი

ლელა ჯიყაშვილი

# თავისუფლების მჩუქებელი

მურტალი ქართველების გახსენებაზე ძალაუნებურად მეცინებოდა... ქიზიყში არაერთხელ მომისმენია სიტყვა „მურტალი“ და ყოველთვის ისეთ კონტექსტში, რომ ღიმილის მომგვრელი იქ არაფერი ყოფილა. ამან კი — არჩილ ქიქოძემ რალაცნაირი სიყვარულით გამაღიმა. მის მოთხრობაზე „მურტალი ქართველები“ გეუბნებით.

არჩილს დიდი ხანი არ არის, რაც პირადად ვიცნობ. მოთხრობები კი გაცილებით ადრე გავიცანი.

რომ ვნახე პირველად და რომ ვუთხარი, ვისაუბროთ მეტეხი (სიტყვა „ინტერვიუ“ არ ვახსენე, რომ ამით რალაც ჩარჩო არ შემექმნა ბარიერივით), ალაღად მომიგო — ვნახოთ თუ გამოვა რამე... მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ერთი მთავარი რამ არჩილზე — ის დუმილის კაცია, მიუხედავად იმისა, რომ ხალისიანი ლაპარაკი იცის და გულწრფელად გიყვება „იქითურს“ თუ „აქითურს“, მთავარზე ყოველთვის დუმს და ამიტომ იძულებული ხდები მისი მოთხრობებიდან და ფოტოებიდან მისხალ-მისხალ მოაგროვო პანანინა ნამცვრევები.



მწყემსები

ფოტო ვახსენე და... ვინმემ არ წარმოიდგინოს არჩილისთვის გადაღებულ ფოტოებს ვგულისხმობდე... მის გადაღებულ ფოტოებს ვგულისხმობ.

მიყვარს არჩილ ქიქოძის ფოტოების ქართველები — ნაჯაფარები და ღიმილიანები, დაღლილები და პურის საჭმელად დამსხდრები... შუბლშეჭმუნულები და ცხენზე ამხედრებულები... ერთი ფოტო დამიდგა ახლა თვალწინ — მხედარი ცხენს მიაჭენებს — ალბათ ტყისკენ — და ხელში ნაჯახი აქვს, შუბის დასამზადებლად მიდის. ერთი მოთხრობაა მისი ნაჯახთან ერთად მგზავრობა. კარგი მეგობარივით გადაუხვევია ხელი, ალესილი პირი ჭენებისას შემოფეთებული ჰაერის ნაკადისთვის მიუშვერინებია და ისე „ცოცხლად“ მიჰყავს, თითქოს უბრალო ნაჯახი კი არა, თვალვფახულა ბალღი ჰყავდეს გულთან ახლოს მიხუტებული...

კიდევ ერთი: ქალი ზის ფერდობზე, ცისფერ და ყვითელ ყვავილებს იქით კი ცხენი ჩანს, როგორც ყავისფერი ლაქა... ქალი ზის შუბლზე ლეჩაქჩამოფხატული, თვლებიც კი არ უჩანს... ზის და იმ ჩამოფხატული ლეჩაქიდან შორეთს გაჰყურებს — თვალებით კი არა — გულით!

მომწონს, არჩილის ღიმილი ფოტოში რომ მხედება — დახლზე ქათმის ბარკლები და დახლთან ქათმის ბარკალივით დახლიდარი! უკან მიჟანგულ-მოჟანგული სახლი თუ ვაგონი და წინ ასევე „დაჟანგული“ გაკრეჭილი მასპინძელი... მასთან ადამიანები და სხვათათვის უსულო საგნები ერთი დიდი, საერთო ცხოვრებით ცხოვრობენ.

მიყვარს არჩილის უადამიანო ფოტოებიც — ფრინველები და ცხოველები, მცენარეები — ისინი არჩილის სიჩუმეს ჰგვანან.

ეგ სიჩუმე გაელვებასავით გაკრთა ერთი-ორჯერ ჩვენს შორის. სულ წამის შესამედით. მერე მომეჩვენა, რომ თავის სიჩუმეს გამოეცა და ისევე იმ ხალისიანი ჟღერადობიდან გააგრძელა მოსაყოლი ამბავი, სადაც შეწყვიტა... მაგრამ ვიდრე გამოიქცეოდა... მოვასწარი და გამახსენდა, რომ ერთი-ორჯერ არჩილის ხსენებისას უნებურად ზალიკო წამომცდა — მამამისის სახელი. ერთმანეთში კი არ ამრევია, უბრალოდ თითქოს რალაც დიდ ერთიანობას შევხე ქვეცნობიერად — ერთიანობას, რომელზეც თავად არჩილი არასოდეს ლაპარაკობს.

„მურტალი ქართველებით“ დავინყე და სად წამოვედი — ფიროსმანის ულიანდაგო მატარებელს გამოვეყვი თითქოს... საით? — ეს მხატვარს არ აინტერესებს და მეც დავრჩი ასე — მიმართულების გარეშე.

ისე, არჩილ ქიქოძის „კახეთის მატარებელმა“ სულ სხვანაირ მამაშვილობაზე ამიხილა თვალი — დროებისაგან დაჯიჯგნილ, „გათხუნულ“ მამაშვილობაზე, რომელსაც ყველაზე მეტად შეუნახავს სისუფთავე — ხელოვნების სიმაღლეზე აყვანილი და ტრაგიკული.

„დილით სამუშაოზე მიმავალ გურგენას ხშირად უნახავს, როგორ აჭმევდა ცხენს გინდა ბავშვი და გინდა დიდი და ყოველთვის გახარებია. მარტო ერთხელ მოუვიდა გული, როცა შორიდან დაინახა, თავის ბიჭი როგორ სტენიდა პირში გაფცქენილ ბანანს. მაშინაც მარტო იმიტო გაბრაზდა, რო თვითონ მაგ უცხო ხილის გემო არ იცოდა და ეს კიდევ ცხენს აჭმევდა. ამიტომ, ალბათ, იმ გაბრაზებაზეც არ იყო დასაძრახი გურგენა, მაგარამ მაინც ნანობდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სად იყო მაშინ ამდენი ბანანი...“

სამაგიეროდ როგორი კარგი იყო ხოლმე, როდესაც ბნელი ქუჩებით შინ დაბრუნებული, სკვერის კიდზე ცხენის აწონილ ლანდს გადაანყებოდა! უცაბედად რომ შემოგყროდა, რომც არა გხსომებოდა იმისი იქ ყოფნა, მაინც კი არ გაშინებდა — გამშვიდებდა, თითქოს ცოცხალი საზღვარი იყო გაუცხოებულ, ჩაბნელებულ, ახალი ხმაურებით გაგსებულ ქალაქსა და სახლს შორის.

იმ დილით შორიდანვე შენიშნა ორივე. ცხენს დაეძებდა თვალთ და სკვერის სიღრმეში ნითელ ლაქად საკუთარი შვილის ქურთუკი დალანდა. მერე თეთრი

ცხენიც გამოარჩია. ერთად იყვნენ სულ მარტოები ზამთრის ადრთან დილით. გურგენას კი ბიჭი სახლში მძინარე ეგულებოდა. გაბედა და მიუახლოვდა. მისგან ზურგშექცევით მდგარი შვილი ცხენს ეფერებოდა, ფაფარს უჩეჩავდა და გურგენამ გაიფიქრა, რომ ბიჭი სულ არ იყო ისეთი დიდი და საშიში, როგორაც თავი მოჰქონდა. უახლოვდებოდა და ასეთს რომ უცქერდა — მისთვის უცხოს, ბიჭურს, ცხენთან მოთამაშეს თუ მოალერსეს, ეჩვენებოდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ყველაფერი კარგად დასრულებულიყო.

ორი წელიც, ჰა, ჰა — სამიც და გადაუვლის. გაიზრდება და გადაუვლის. „ნეტა სულ უძინარია თუ ესე ადრეა ამდგარი“, იფიქრა გურგენამ და შეიღმაც გამოხედა უკვე სულ ახლოს მისულს. გამოხედა და მაშინვე სახე შეეცვალა — ისევე ქვად და რკინად იქცა. აკი, დედამისიც ხომ დასტიროდა სულ რაღაც ოციოდე საათის მერე: „ვინ იყო შენი მომრევი შვილო? ქვა და რკინა იყავი ცარიელიო!“ ყველაფერი ხომ იმ ღამეს მოხდა“.

„ქვა და რკინა“ ბიჭები ძალიან ძნელად ეგუებოდნენ ტყუილს. სიყალბე ტყვიანზე მეტად ჭრიდათ, „მოსანეცს“ თამაშ-თამაშ ეტანებოდნენ და ყველაზე ძვირადღირებული და მაშინ ჯერ კიდევ იშვიათი ხილი — ბანანი — უპატრონო ცხენისთვის ემეტებოდათ. და როცა ქვეყანა ნელ-ნელა იძირებოდა ბოლმასა და სიბრაზეში, იმედგაცრუებისა და შეგუების ჭაობში, ისინი უანგარიშოდ ფლანგავდნენ — ყვითელ ბანანებსაც და საკუთარ სიცოცხლეებსაც...



ხევსური ქალი

არაფერი ვიცი არჩილის „ქვა და რკინობის“ შესახებ. როცა სიცილით ყვება რაღაცას, სულ არ ჰგავს იმით — „ქვა და რკინებს“, მგრამ მასშიც ნამდვილად არის რაღაც ფოლადივით ძალიან მაგარი და „აღამიანის შიგნით და შიგნით“ თუ დაიწყებ ხელის ფათურს, აუცილებლად წააწყდები ამ სიმტკიცეს — ძვრას რომ ვერ უზამ, ისეთს. ეს ფოლადივით მაგარი ფარი იცავდა მზარდი მონსტრისგან — ქალაქისგან, რომელიც დღითიდღე იბერებოდა ტყუილებით.

„მე ვეუბნებოდი, რომ ქვეყნად არ არსებობს მეორე უფრო დიდი ტყუილი, ვიდრე ეს ერთმანეთზე მიჯრით მომდგარი, ერთმანეთის მაცქერალი და მოთვალთვალე საბურთალოს კორპუსებია, რომ ეს კომუნისტური არქიტექტურის ილუზია და აქაური წესრიგი და სიმშვიდე ისეთივე ილუზორულია, როგორც თვითონ კომუნისმი იყო. მე ვიცი, რაში მდგომარეობს ამ საკმაოდ მარტივი ფოკუსის არსი. მანძილშია მთელი საქმე. აქედან ჩანს მხოლოდ, რომ ყოველი ფანჯარა განათებულია, ყველადაც შუქი გამოდის, თითოეულში რაღაც ხდება და გგონია, რომ კარგი ხდება. გგონია, რომ ამბებს ხედავ, მაგრამ ვერც სახეებს არჩევ წესიერად და ხმა ხომ, რა თქმა უნდა, არ გესმის. ვეუბნებოდი, რომ სულ ტყუილია ჩემი აივნიდან დანახული ეს მუნჯი წესრიგი და სიმყუდროვე.“

ვეუბნებოდი, რომ ოთახის სიღრმეში სავარძელში ჩაფლული მოხუცი, ჩვენგან უხილავ ტელევიზორზე რომ გამტერებია თვალი, მთელი ცხოვრება ბოზი და ჩამშვები იყო, რომ აკრძალული წიგნის კითხვაზეც კი აბეზღებდა ხალხს და ამას მთელი სიამოვნებით, გემოს ჩატანებით აკეთებდა. გვერდზე ბინაში კი სახარშავია და ის ბიჭები, აქედან რომ თითქოს ერთად და ჯიგრულად არიან, მარტო წამლის გამო არიან ერთად — მეტი არაფრისთვის.

ვარწმუნებდი, რომ ოთახში მოთამაშე ბავშვები, რომელთა აივანზეც მუდამ ხელუხლებლად იდო ახალთ-ახალი ველოსიპედი, აუცილებლად ახვრებად დაიზრდებოდნენ იმიტომ, რომ მამას ვიცნობდი მაგათსას, რაც თავი მახსოვდა. ვუმტკიცებდი, რომ სამზარეულოში აყვავილებული ახალია მხოლოდ რაღაც მეშჩანური და გულისამრევი კეთილდღეობის სიმბოლო იყო, ხოლო წვნიანი კერძი — ამავე სამზარეულოში გაზზე რომ თუხთუხებდა — სულ მთლად უგემური და უფარვისი, როგორც თვითონ ოჯახი და, ვინ იცის, სუფრაზე მიტანის წინ ცოლი ქმარს შიგაც უფურთხებს — მეთქი...“

არჩილ ქიქოძის მოთხრობების ნაქოხვის მერე რაღაც შეიცვალა ჩემში.

ალარ შემიძლია გავბრაზდე მეზობლის კუნთმაგარ ბიჭზე, დილიდან დაღამებამდე რომ ჩემი აივანის პირდაპირ საყვავილეზეა ჩამომჯდარი, ხშირად თანამეინახებებთან ერთად არაყს ლუდს რომ აყოლებს... ხან სახლის გვერდით გადაინაცვლებს, ხის მაგიდასთან, „საამსაქმისოდ“ რომ გააკეთეს უბნელებმა. არჩილის

მოთხრობების მერე თავს უსიამოვნოდ ვერ გავაბრუნებ მარჯვნისკენ, როცა მარცხნივ ქუჩაზე ლასლასით გადმოვა რაღაც უბედურებით გაბრუებული ფერმკრთალი ბიჭი.

არჩილმა ფსკერზე დაშვებულ ადამიანებსაც მოუძებნა თავიანთ ნაცარნაყრილ ცხოვრებაში დაკარგული ღიმილი და სიკეთე. ტყუილად კი არ მიყვარს „მურტალი ქართველები“... ვენებისა და შპრიცების დიდმა მცოდნემ მირიანამ აკი ფერდელა გადაურჩინა ტარიელას — მოუძებნა მუცელზე ვენა დავარდნილ საქონელს და უნამლა. არჩილმა კი — როგორც მოთხრობის ავტორმა, მისთვის — მირიანასათვის — საუკეთესო გაიმეტა: მართალია, ფიქრში, მაგრამ ცხენით გააჭენა, ველურ მხედარს დაამსგავსა: „მზე რომ ახალი მიმდგარი იქნება დაღესტნის მთების წვერებს, გახარებული და გაკვირვებული მირიანა ცხენის ათრთოლებულ ზურგს მოეფერება და უცებ მოექცევა ზემო ქედისკენ უზამს პირს. მინას არ შეეხება, ისე გააქროლებს იორლა არხილოს შარაგზას იქამდე, სანამ მხედარი მარცხნივ არ დაუქანავს ალვირს და ალაზნისკენ არ დააქანებს. მირიანას კობტად, ჯეულურად უჭირავს ტანი ცხენის უბელო ზურგზე. ლორღის ჩხრიალით ჩაათავებენ გრძელ, ხრიოკ თავდაღმართს და ალაზნისპირა ქალას შეერევიან“...



და თუმცა სინამდვილეში ეს ვერ ასრულდება — მირიანა, ალბათ ვერც შეძლებს ჭენებას კი არა, ჩორითი სვლასაც კი, მაგრამ ამან ხომ გაანავარდა, საკუთარი უძღურებისა და ტყუილებისაგან, უზიერო თავგადასავლებისაგან გაათავისუფლა!

არჩილ ქიქოძე ნამდვილად არის თავისუფლების მჩუქებელი კაცი...

„არ განირო“ — ეს ორი სიტყვა არჩილს არც არასოდეს დაუწერია, მაგრამ მისი ყველა ფრაზა ამ ორ სიტყვაში კონცენტრირდება — არ განირო!

კაცობრიობის ნახევარი მაინც ხომ განწირული გამოდის საკუთარი სიმარტოვის გამო, ეს მარტოობაც ეყოფათ!

„რატოა რომ ყველა ჩათლახი ყოველთვის ერთმანეთს პოულობს და კარგი ხალხი კიდევ სულ ცალ-ცალკე არიან? ...ჩვენი ბრალი ხო არ არის ბიჭო, ტახი, ჩვენი ერთად არ-

დადგომის ბრალი? იმის ბრალი, რომ ერთმანეთის სიხარულით გახარება აღარ შეგვიძლია, რომ მარტო ჭირში ვიცით გვერდზე დადგომა. ჩვენ რომ ცოტა სხვანაირები ვყოფილიყავით, უფრო კეთილები, რა! უფრო ჯიჯიანები, უფრო შემრგებლები ცხოვრების და ერთმანეთის უფრო გამფრთხილებლები, იქნებ ეს ამბავი არ დაგვმართნოდა. უფრო პატიოსნები უნდა ვყოფილიყავით რა! გგრუზავ არა? მთელი ცხოვრება პატიოსანს გამოსირებულს ეძახი და მერე მართლა გამოსირებული მოდის და პატიოსნებას იბრალებს. სათქმელი კიდე არაფერი გაქვს, აღარც შენდა აღარც იმ მართლა პატიოსანს, თუ დარჩა კიდე სადმე... ჩვენი ბრალია, ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, ტახი, სხვანაირები და მაშინ ესენი ვერ მოგვერეოდნენ“, — ეს სულ დარჩება ავტორის საფიქრალად.

ერთი გზა გვექონდა და იმ დღეს ერთად ვიმგზავრეთ. მერე უადგილო ადგილას ჩამოვედით „მარშუტიკიდან“. უადგილო უფრო არჩილისთვის იყო — გზა ჰქონდა გადასაკვეთი. ათიოდ მეტრში მაღლა აჩხლართული რკინის გადასასვლელი ხიდისკენ არც გაუხედავს. დამემშვიდობა და ქუჩის გადაკვეთა დააპირა. ფრთხილად მეთქი, — მივაძახე. იმან გაიცინა. მანქანებს შორის მიმავალს ზურგიდან ვხედავდი, თუმცა წარმომედგინა გაჩუმებული — კიდევ უფრო დამძიმებული ქუთუთოებით... ასეთი თვალის ქუთუთოები თურმე მთაში ჰქონიათ გენეტიკურად — მცხუნვარე მზისგან თავისებურად დასაცავად. არჩილსაც ალბათ მთის გენით მოსდგამს.

მანქანები უწყვეტ ნაკადად მოქრიან გზის ამ მონაკვეთში. მათ ფონზე კიდევ უფრო მარტოსული ჩანდა წელში გამართული, ხალისიანი ამბების მომყოლი, სინამდვილეში დუმილის კაცი — ძალიან ნიჭიერი არჩილი.



კურტ ტუხოლსკი დაიბადა 9.1.1890 წელს ბერლინში, გარდაიცვალა 21.12.1935 წელს გოთებორგში. იურიდიული და ლიტერატურული სწავლებანი ბერლინში, ყენევისა და იენაში; 1911 წელს სტუმრობა ბროდსა და კაფკასთან პრაღაში; 1913 წელს თანამშრომელი ბერლინში გამოცემული გაზეთის „დი შაუბუნე“; 1919/20 შეფრედაქტორი — სატირული დანართის „ულკ“; 1924 წლიდან უპირატესად — საფრანგეთში, კორეს-პონდენტი — პარიზში; 1926 წლიდან გამომცემელია გაზე-

თის „ველთბიუნე“, აქ ზოგიერთი სტატია დაიბეჭდა მისი სუთი ფსევდონიმით: „ვეფხვი, ავაზა, ბელურა, ჰაუსერ და იკ“; თანამშრომლობს ოსიეცკისთან; 1930 გადავიდა შვედეთში; 1933 ოფიციალური გადასახლება და ბეჭდვის აკრძალვა გერმანიაში; გამოაქვეყნა მოთხრობა: „რაინსბერ“ (1912) და რომანი „გრიპსპოლმის სასახლე“ (1931), კუპლეტები და სიმღერები (და სხვა უწყინარი სიმღერები, 1919), მოგზაურის მოხსენებანი (და სხვა პირინის წიგნი, 1927), ესეები (და სხვა გერმანია, გერმანია უპირველეს ყოვლისა, მაღლა, 1929) ასევე ფელეტონები (და ა.შ. 5 ფს-ით, 1928; მონა ლიზას სიცილი, 1929).

კურტ ტუხოლსკი

# ჰიტლერი და გოეთე

(სასკოლო თხზულება)

შ ე ს ა ვ ა ლ ი. თუ გერმანელ ხალხსა და მის ისტორიას თვალს გადავავლებთ, ის უპირატესად იმ ორი გმირით წამოგვიდგება, რომელთაც თავიანთი ბედისწერა მართეს, რადგან ერთი ასი წლის მკვდარია, მეორე კი — ცოცხლობს. როგორ იქნებოდა, ეს რომ პირიქით ყოფილიყო, არც უნდა ვეძიოთ, რადგანაც ეს არა გვაქვს დავალებული. ამასთან მიგვაჩნია მნიშვნელოვნად და საყურადღებოდ, თუ თავმკვდარ გოეთესა და თავცოცხალ ჰიტლერის შედარებას განვავრცობთ.

ახსნა. გოეთე რომ ავხსნათ, საჭიროა მხოლოდ მივანიშნოთ, რომ იგი პატრიოტი არ ყოფილა. მას ნაპოლეონის გასაჭირზე წარმოდგენაც არ ჰქონდა და თქვა, თქვენ მას ვერასდროს დაამარცხებთ, ეს კაცი თქვენზე ბევრად დიდიაო. მაგრამ ეს არ არის მართალი. ნაპოლეონიც არ ყოფილა უდიდესი გერმანელი, უდიდესი გერმანელი ჰიტლერია. ეს რომ განმარტო, საჭიროა, მხოლოდ იმაზე მიანიშნო, რომ ჰიტლერმა ტანენბერგის მიდამოებში ომი მოიგო და, ამასთან, იქ არც იმყოფებოდა. ჰიტლერი უკვე რამდენიმე თვეა გერმანიის პოპულარული მოქალაქეა და სურს კერძო საკუთრება გაანადგუროს, რადგანაც ის ებრაელია, ხოლო რაც ებრაული არაა, არის შექმნილი საკუთრება და არ უნდა განადგურდეს. გოეთეს პარტია ბევრად პატარა იყო, ვიდრე — ჰიტლერის. გოეთე არ არის ჩინებული.

დასახუთება. გოეთეს ნაწარმოებებს ჰქვია ფაუსტი, ეგმონტი პირველი და მეორე ნაწილი, ვერტერის არჩევითი ნათესაობანი და პიკოლომინი. გოეთე არ არის გერმანელი ხალხის მარსის ქვა, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ და, ვის გამოც სხვებს ჩვენი შურს. მაგრამ ჩვენი, უფრო მეტად, ჰიტლერის გამო შურთ. ჰიტლერი იშლება მანაილად: ლეგალურად, ნამდვილად და გებელსურად, რომელმაც მისი მოვალეობა შეასრულა. გოეთეს თავისი ცხოვრება არასდროს გაურისკავს, ყულფში თავი არ გაუყვია, მაგრამ ეს რამდენჯერმე მოუშოქმედებია ჰიტლერს. გოეთე გახლდათ ერთი დიდი გერმანელი. ცეპელინი იყო ძალიან დიდი გერმანელი. ჰიტლერი არის საერთოდაც უდიდესი გერმანელი.

კონტრასტი. ჰიტლერი და გოეთე ნამდვილად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. იმ დროს, როცა გოეთემ უფრო მეტად მწერლურ საქმიანობას უძღვნა თავი. მაგრამ თეოდორ კიორნერის საპირისპიროდ გამათავისუფლებელ ომებზე უარი თქვა. ჰიტლერმა გვასწავლა, რას ჰქვია, იყო მწერალი და იმავდროულად ფიურერი მილიონიანი პარტიის, რომელიც მილიონების პარტიაა. გოეთე გახლდათ იდუმალი. ჰიტლერი სახელმწიფო საბჭო. გოეთეს მოღვაწეობა ჩადინება არამარტო ადამიანთა ყოფნაში, არამედ იშლება კოსმეტიკურშიც. ჰიტლერი ამის საპირისპიროდ მტერია მატერიალური სამყაროსი. იგი აუქმებს ამ

თავის ხელისუფლების გადაჭარბებას, წაგებულ ომსაც, უმუშევრობას და ცულ ამინდს. გოეთეს ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა ქალბატონ შტაინთან, ქალბატონ სესენჰაიმთან და შარლოტე პულფთან. საპირისპიროდ, ჰიტლერი სვამს მხოლოდ უიშვიათეს წყალს და საერთოდ არ ეწევა სიგარეტს, რომლითაც თავის ქვეშევრდომებს იმედს გაუცრუებს.

შედარება. მაგრამ ჰიტლერსა და გოეთეს შორის არსებობს შეხების წერტილებიც. ორივე ვაიმარში ცხოვრობდა, ორივე მწერალია და ორივე ზედმეტადაა შეწუხებული გერმანელი ხალხის ბედით, რის გამოც სხვა ხალხებს ჩვენი შურთ. ასევე ორივეს ჰქონდა წარმატებაც, თუმცა ჰიტლერის წარმატება ბევრად დიდია. თუ ჩვენ ძალაუფლებას მოვიზიარებთ, გოეთეს გავანადგურებთ.

მაგალითი. ის, თუ რამდენად სჯობს ჰიტლერი გოეთეს, იმითაც დასაბუთდება, რომ როცა ჰიტლერი ჩვენს ქალაქში იყო, მე მას სხვადასხვა ჰიტლერული ახალგაზრდით მივესალმე. ოსაფმა თქვა, თქვენ ხართ გერმანელი ახალგაზრდობა და ხელს თქვენს ქოჩორზე დაგადებთო. ამიტომ მე იმ დროისთვის ახალი ვარცხნილობა გავიკეთე. დიდ ჰალეში მისვლისას ყველა დაკავებული ადგილი ტოტალურად გაიყიდა და მუსიკა უკრავდა. ჩვენ ყვავილებით ვიდექით, რად-

გან ჩვენ გერმანელი ახალგაზრდობა ვართ. და იქ უცებ, ფიურერი ჰიტლერი მოვიდა. მას ისეთივე წვერი აქვს, როგორც ჩაპლინს, მაგრამ სწორედაც რომ არც ისე სასაცილო. ამან მაგრად გაგვაშიარულა. წინ გამოვედი და ვთქვი – ჰაილ. აქ სხვებმაც თქვეს ასე – ჰაილ, და ჰიტლერმა ხელი ყოველი ჩვენგანის ქოჩორზე დადო. უკან ერთმა დაიძახა – არ გაინძრეთ! რადგან ეს ფოტოზე აღიბეჭდებოდა. იქ ჩვენ, მართალი რომ ვთქვა, სრულიად წყნარად ვიდექით და ფიურერმა ფოტოგადაღების დროს გაიცინა. ეს იყო მთელი ცხოვრებისთვის დაუვინყარი გამოხედვა და ამიტომაც ჰიტლერი ბევრად დიდა, ვიდრე – გოეთე.



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

გან ჩვენ გერმანელი ახალგაზრდობა ვართ. და იქ უცებ, ფიურერი ჰიტლერი მოვიდა. მას ისეთივე წვერი აქვს, როგორც ჩაპლინს, მაგრამ სწორედაც რომ არც ისე სასაცილო. ამან მაგრად გაგვაშიარულა. წინ გამოვედი და ვთქვი – ჰაილ. აქ სხვებმაც თქვეს ასე – ჰაილ, და ჰიტლერმა ხელი ყოველი ჩვენგანის ქოჩორზე დადო. უკან ერთმა დაიძახა – არ გაინძრეთ! რადგან ეს ფოტოზე აღიბეჭდებოდა. იქ ჩვენ, მართალი რომ ვთქვა, სრულიად წყნარად ვიდექით და ფიურერმა ფოტოგადაღების დროს გაიცინა. ეს იყო მთელი ცხოვრებისთვის დაუვინყარი გამოხედვა და ამიტომაც ჰიტლერი ბევრად დიდა, ვიდრე – გოეთე.

მტკიცება. გოეთე არ გახლდათ ჯანსაღი წვრილბურთუა. ჰიტლერი ითხოვს ყველა შ და შუ ქუჩის თავისუფლებას, ასევე, ყველაფერი რომ სულ სხვაგვარად იყოს. ამას ვეთანხმებით ჩვენც! გოეთე, როგორც ასეთი, საკმაოდ ცნობილია თავისი ნაწარმოებებით, ჰიტლერი, როგორც ასეთი, გვაძლევს პურს და თავისუფლებას, მაშინ, როცა გოეთე უკეთეს შემთხვევაში ლირიკულ ლექსებს თხზავდა, რომელსაც ჩვენ, როგორც ჰიტლერული ახალგაზრდობა, უარყოფთ, მაშინ, როცა ჰიტლერი მილიონების პარტიაა. როგორც ანგარიში ემსახურება შორიდან, რომ გოეთე არ იყო ჩრდილოელი ადამიანი, არამედ ჰაიჰარად იტალიისკენ გაემგზავრა და თავისი დევიზები საზღვარგარეთ შეცვალა.

ჰიტლერი საერთოდაც არ იღებს გასამრჯელოს, არამედ ინდუსტრიას ამაგრებს ხანგრძლივად.

დასკვნა. როგორც უკვე დავინახეთ, ჰიტლერისა და გოეთეს შედარება ამ უკანასკნელისთვის ძალიან არასახარბიელოდ განვითარდა, რომელიც არ არის მილიონების პარტია. ამიტომ ჩვენ გოეთესთან არ ვთანამშრომლობთ. მისი ბოლო სიტყვები იყო: მეტი სინათლე. ამას ხომ ჩვენც ვადგენთ! გოეთე უფრო დიდი იყო თუ შილერი, ეს მხოლოდ ჰიტლერის გადასაწყვეტია და გერმანელ ხალხს შეუძლია უხაროდეს, რომ ასეთი მარგალიტი ორი არ აქვს!

გერმანია, გაიღვიძე იუდა ჩააძალღე, ჰიტლერი იქნება რაინსპრეზიდენტი!

ამას ვწყვეტთ ჩვენ!

ძალიან კარგი!

**გერმანულიდან თარგმნა  
საითუნა პატაშურმა**

\* თხზულება ამ სახით 1932 წლის 17 მაისს დაიბეჭდა გაზეთ „ველთბუნეში“, ფსევდონიმით კასპერ ჰაუსერ, ტუხოლსკიმ ტექსტი ერთ სკოლის მოსწავლეს დაუწერა.

მაია მაკალათია

# ქურნალი და... სურვილები

გამოვიდა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ქურნალი“. ერთად აკინძული და მაინც სიფრიფანა კრებული მე-7-8 ნომრებისა, რასაკვირველია, აერთიანებს შესაბამის თვეებს — ივლისსა და აგვისტოს. ქურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ. შინაარსი, თუნდაც თვალის ერთი გადავლევით, ცხადყოფს, დროის მიდევნების მიუხედავად, პუბლიკაციები სათანადო სინათლესა და სიახლეს მაინც არ კარგავენ. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ ორ-ორ ნომრად ასეთნაირი დაწყვილებით, საცნაური ხდება, ეს სიმპათიური გამოცემა ხელმოკლეობას განიცდის.

მხოლოდ ჩამონათვალი შეუვსებელი რუბრიკებისა — ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებამცოდნეობა, ფილოსოფია, თეოლოგია, კრეაციონიზმი, განათლებამცოდნეობა, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, ეკონომიკა სამართალი, ცივილიზაცია, დიალოგი — მიანიშნებს მიზეზს...

და ის, რაც ჩვენს ხელთაა:

ქურნალი იხსნება ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის ავთანდილ ნიკოლეიშვილის პუბლიკაციით: „ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ რეცეფცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“.

საკუთარი დაკვირვებისა თუ აღმოჩენების ნათელსაყოფად ავტორი იშველიებს კონკრეტულ მაგალითებს გალაკტიონის შემოქმედებიდან და დასძენს: „მის პოეზიაში დიდი წინამორბედის იდეებისა და პოეტური ინტონაციების გამოძახილიც ისმის ცხადად და აშკარად“. იქვე განმარტავს, რომ „კარგად ცნობილ ალეგორიულ ხატებს გალაკტიონ ტაბიძე უბრალოდ კი არ იმეორებს, არამედ თავისი დროის ეპოქალური სინამდვილის კონტექსტში იაზრებს და ახლებური თვალთახედვით წარმოაჩენს.

ამ ლაკონიურად შეკრული ნაშრომითაც ავტორი კვლავ ადასტურებს სანდოობას საკვლევი მასალისადმი და აგრეთვე შესანიშნავ სურვილსაც — რასაც ფიქრობს, გასაგებად მიაწოდოს მკითხველს, თუნდაც არაპროფესიონალს, მაგრამ დაინტერესებულს. არ დააბნოს იგი, გნებავთ, უცხო სიტყვათა ლექსიკონებში საგანგებოდ დაძებნილი ლიტერატურული ტერმინებით; ხელოვნური ალუზიებით, როგორც ხდება ხოლმე უმეტეს თუ უმცირეს შემთხვევაშიც.

ნესტან ფიფიას წერილი ამზეურებს ქართველთათვის უსაყვარლესი გმირის დიმიტრი ყიფიანის ნაკლებად

ცნობილ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. კერძოდ, სამეგრელოს მთავრის ქვრივის, ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ მის „აპეკუნად“ დანიშვნას საკუთარ მამულში, მაშინ, როცა დედოფალი რუსეთის იმპერატორის „კეთილმოსურნეობით“ სამშობლოდანაა განვეული.

ნესტან ფიფიას მიერ საგანგებოდაა მოხმობილი ეპისტოლეები, სადაც იკვეთება ის, რაც ყოველი დროისა და ყოველი საზოგადოებისათვის მანკიერი მახასიათებელია: შუღლი და სიძულვილი. ერთ-ერთი წერილიდან სწორედ ამას ვიტყვობთ: დედოფლის ერთგულ და უანგარო ადამიანს როგორ მტრობენ, ხელს უშლიან თავისი მისია პირნათლად აღასრულოს: „უძვირფასესო დედოფალო! ამ წიგნით უნდა გთხოვოთ აპეკუნობიდან განთავისუფლება, სამსახურიდან უნდა გამოვიდე..“

ახლა თქვენ კი აღარა გმტრობენ, მე მმტრობენ, ამას რო თვალით აღარა ვხედავდე, სულ არას ვინაღვლიდი, მაგრამ ცხადია, ვხედავ, და სარგებლობის მაგივრათ, თუ არ ჩამოგეცალეთ, უფრო ვაზარალებ თქვენს საქმესა...“

ამ საინტერესო პუბლიკაციის ავტორი ნესტან ფიფია შეგვახსენებს და ხატოვნად გვისურათებს დიმიტრი ყიფიანის სამაგალითო პიროვნულ თვისებებს: ზნეკეთილობას, უკომპრომისობას, „სულიერი მღვიძარებით ხელდასხმულობას“.

რა თქმა უნდა, მხოლოდ თემატურობის გამო, ქურნალი აგრძელებს ორი ავტორის დალილა ბედიანიძისა და მაია ცერცვაძის პუბლიკაციების ბეჭდვას.

ფოლკლორულ-მითოსური ნაკადის ძიება და კვლევა ამჯერად ანა კალანდაძის პოეზიაში დაუსახავს დალილა ბედიანიძეს.

სასაიამოვნოა ის, რაც ცხადია. პოეტი და მეცნიერი თანდათანობით მნიშვნელოვან გამოკვლევას მოუყრის თავს და ქართული ფოლკლორისტიკის საგანძურს საინტერესო მონოგრაფიას შემატებს.

მაია ცერცვაძე XIX საუკუნის ქართველ რომანტიკოსთა კოჰორტას დასტრიალებს. გვანდის მასალას თუ ისტორიულ ფაქტებს — მეტად მნიშვნელოვანს, ცხოველმყოფელს, ემოციურსა და გულშიჩამწვდომს. მოგინდება რომ ამ დოკუმენტებს ჩაეჭიდონ ნამდვილი მეცნიერები, და ყოველივე არც მხატვრული სიტყვის ოსტატთათვის არ უნდა იყოს უნაყოფო ნიადაგი თუ წყარო წარმოსახვების მოძალეებისა. მითუმეტეს, როცა აგერ, ჩვენ თვალწინ, ერთიერთმანეთზე საუკეთესო პროზაული თუ დრამატურგიული ნიმუშები შეიქმნა ევროპელი მეოცნებე-ლამაზმანის დაგნი იუელის ტრაგიკული ბიოგრაფიის წყალობით. იქნებოდა სასურველი ამგვარივე ინტერესი ქართველ ბანოვანთა ხასიათების ასახსნელადაც გაჩენილიყო. მათ მჩქეფარე, მაგრამ გარდასულ ცხოვრებას, დახუთულ ფონდებსა თუ საარქივო მასალებში ჩაკირულს, ეგებ რომელიმე ქართველი მწერლის ხელდასხმით უწერია ცხოველმყოფლობა.



\* \* \*

იონა მეუნარგიას მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ ერთი ასეთი ეპიზოდიც აქვს გახსენებული თვითმხილველთა მონათხრობზე დაყრდნობით.

ერთ საზოგადოებაში ვილაც იკითხავდა:

— ე ბერძენ-რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიციოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

ამ შეკითხვას ნიკოლოზ ბარათაშვილიც შესწრებოდა და... მისი გონებამახვილობის კაცი ხელიდან როგორ გაუშვებდა ამისთანა მარჯვე შემთხვევას:

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლ-ასლო-ვიო, — მიუგებდა რუსული ზმით და მიუშვერდა ხელს იოსელიანს.

რუსული სიტყვა **Богослов**, რაც ქართულად ითარგმნება როგორც ღვთისმეტყველი, ზმით სწორედ ვირების ღმერთსაც ნიშნავს, ეგაა, ერთი სიტყვა ორად უნდა დაცალკევდეს: **Бог ослов**.

საქილიკოდ გადაქცეულიყო პლატონ იოსელიანის გარეგნობა — რალაც უშნო და უხეირო, ყველას მაშინვე რომ ხედებოდა თვალში მისი უღაზათობა. თუმცა... ეს უფრო საბაბი გახლდათ, რაკილა შურსა და წყრომას ინვევდა საზოგადოებაში მისი საკმაო დანინაურებაც სამთავრობო წრეებში

და დიდი გავლენა და ავტორიტეტიც. ნიკოლოზ ბარათაშვილს ეს სულაც არ აწუხებდა და მის გულისწყრომას ინვევდა პლატონ იოსელიანის მკვეთრი რუსული ორიენტაცია და საქართველოს ისტორიის განყოფილება სამთავრობო თარგზე; სიცოლის გუნებაზე კი აყენებდა პლატონის ღრმა სერიოზულობა, სულ ფიქრებში რომ ჩაძირულიყო, არასოდეს ასდევდა საერთო მხიარულებას და ყველა სიტყვას საგანგებოდ წონიდა.

ამიტომაც იცინებდა იმ დღესაც გულიანად და მთელ საზოგადოებასაც ახარხარებდა. მე შენ გეტყვი, პლატონი მოახერხებდა ფრთიანი სიტყვის შეგებებას ან მაშინ და ან სხვა დროს ან მისთვის და ან სხვისათვის.

ეს კიდევ რა არის.

1873 წლის 16 მარტს ილია ჭავჭავაძე მეუღლეს ბარათს რომ გამოუგზავნიდა დუშეთიდან, ხუმრობით უსაყვედურებდა, ჩვენს გაზილას რატომ არა კითხულობო:

— ისეთი ბრძენი ძაღლია, რომ პლატონ იგნატიჩს იოსელიანს ახლავ ჰსჯობია ფილოსოფიაში. ბევრი კარგი შტუკები ისწავლა. ჩემი შემაქცევარი და დროს გამმატარებელი გაზილა არი. სანატრელია ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძალზედ არის დამყარებული.

გაზელა ხომ ახლავ სჯობდა პლატონ იოსელიანს ფილოსოფიაში, და ახლა ესეც ნახეთ, პეტერბურგიდან კვლავ მეუღლესთან გამოგზავნილ ბარათში, 1874 წლის

15 იანვრით რომაა დათარიღებული, როგორ გამოხატავს გულისტკივილს მიშკად სახემერქმეული ცხენის დაკარგვის გამო:

— ნეტავი ისევ დუგანა დაკარგულიყო და მიშკა კი არა. ძალიან მიყვარდა და შენც გიყვარდა. პლატონ იოსელიანზედ უფრო ბრძენი ცხენი იყო. სანყალი, მგონი ეხლა რა უპატივრობაში და ჯაფაშია. მეცოდება და მენანება.

ეს ფრაზა: პლატონ იოსელიანზედ უფრო ბრძენი ცხენი იყო, — ოთარ ჩხეიძეს ფრჩხილით ჩაუხაზავს ილია ჭავჭავაძის ატომეულის X ტომის 339-ე გვერდზე.

აგდება და გამასხრება და ამისთანა!..

თურმე ცხენიც მასზე უფრო ბრძენი ყოფილა.

ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილთან სულიერად უამრავი რამ რომ აკავშირებდა, თურმე ეს საერთოც ჰქონიათ — პლატონ იოსელიანის მიმართ მწვავე სარკაზმის გამჟღავნება.

არადა, როდენ სატირული პორტრეტი წარმოსახება — მისი სულიერი მისწრაფებანი უღაზათო გარეგნობაზე მინიშნებითაცაა „დამშვენებული“.

პლატონ იოსელიანი ვირების ღმერთია, ფილოსოფიაში ძალღიკ სჯობს, ხოლო სიბრძნით — ცხენიც.

განა მართლა ასეთი ხელნამოსაკრავი და აბუჩად ასაგდება ეს ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე? ბოლოსდაბოლოს, რა აუცილებელია, გარეგნობითაც ლაზათიანი ყოფილიყო?!..

მის სხვა ნაწერებს რომ თავიც დავანებოთ, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ჩინებული მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილებაა, არამარტო ისტორიკოსთათვის მნიშვნელოვანი, არამედ ბიოგრაფიული რომანის ნიმუშიც და ამ ჟანრზე საუბრისას ვერასოდეს ავცდებით.

თუმცა... განა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს ჩვენზე უკეთ არ მოეხსენებათ, ვისზე რა და როგორ უნდა თქმულიყო?!.

...ჰოი, რას გაიხარებდა ალექსანდრე ორბელიანი, ერთ ეპიზოდს რომ შესწრებოდა და მეორეს მოსწრებოდა — ილია ისე აღერღილა იმხანად პლატონ იოსელიანზე, რომ მხოლოდ პირად წერილებში კი არ გაამჟღავნებდა თავის განწყობილებას, სხვებთანაც და საჯაროდაც დაუფარავად გააცხადებდა. იცინებდა და იმათაც გაამხიარულებდა.

რას გაიხარებდა ალექსანდრე ორბელიანი...!

ახია მაგაზე, აბა, რატომ კადრულობს სიყალბეების ჩანერასაც აწინდელი და გარდასული ჟამის საქართველოს სურათების წარმოსახვისას, იმიტომ ვუამბობდით სიმართლეს და თეკლა ბატონიშვილიც იმიტომ დაიხარჯა მასთან მუსაიფისას, რომ ბოლოს ყველაფერი მაინც თავისდა სასურველად გადაეხსავებინაო?!.



\* \* \*

ვახუშტი კოტეტიშვილი მთავრობაში ყოველთვის მიღებული კაცი გახლდათ.


სამთავრობო ცვლილებებსა თუ გადატრიალებებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა მისთვის. მიდიოდნენ და მოდიოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ვახუშტი კოტეტიშვილი კი რჩებოდა მუდმივ შინაურ კაცად.

ამის მიუხედავად, საერთო წესებს, რას იზამ, ისიც უნდა დამორჩილებოდა და საქართველოს პარლამენტის შენობაში შესვლისას მეტალო დეტექტორის ზღუდე მასაც გადაეღობა.

გადალახავდა კიდევ, წინ რა დაუდგებოდა!..

მაგრამ... რალაც მოულოდნელობისაგან დაზღვეული არავინაა და ერთხელაც იმ დეტექტორში ლალად გავლისას ისეთი ზრიალ-წკრიალი ატყდებოდა!..

დაცვის წევრები ცნობით კი სცნობდნენ და სიხარულითაც ეგებებოდნენ, მაგრამ წესს ხომ არ გადაუხვევდნენ და სთხოვდნენ, რკინისა რაც მოექვევებოდა, ყველაფერი მაგიდაზე დაელაგებინა და ხელახლა გამოეველო.



ის ამოიყრდა ჯიბიდან ხურდა ფულს და კვლავ გადააბიჯებდა იმ უხილავ ხაზს, რომელიც იმ დღეს რალაც მოჯადოებულებით აღმართოდა წინ და... ისევ ატყდებოდა რეკვა-ზრიალი.

— რკინისა გიდევთ, ეტყობა, რალაც და კარგად მოიძიეთ! — გაუშეორებდნენ.

ბატონი ვახუშტი კიდევ ერთხელ ამოიბრუნებდა ჯიბე-უბეებს და... ვერაფერს აღმოაჩენდა.

არადა, ზარი რა შელოცვილივით რეკდა და ზრიალებდა.

დაცვის წევრები უხერხულად გრძნობენ თავს, საპატივსაცემო კაცის გაჩერება რომ უხდებოდა, მაგრამ რა იღონონ!.. და კვლავ სთხოვენ მორიდებით:

— რალაც გექნებათ რკინის და, ნუ იჩქარებთ, გულდასმით მოძებნეთ.

ეს ხელებს შლის.

— რკინისა გული მაქვს, გული და, აბა, რა გიყოთ, აქ როგორ დაგიტოვოთ?!

ისინი იცინიან და გზას უტევენ. აბა, რკინის გულსაც ხომ არ დაიტოვებდნენ... ისე ნეტა რა აწკრიალებდა და აზრიალებდა იმ წუთას ზარს, რა სურდა, რას ჩასაფრებოდა?!

\* \* \*

ჩემი არ იყოს, თავი იუმორისტი ხომ ყველას ჰგონია და აწყდებოდნენ და აწყდებოდნენ თვითმარქვია იუმორისტები სატირული ჟურნალის „ნიაგო“ რედაქციას. აკლებული ჰყავდათ მისი რედაქტორები, იმხანად კი — ზაურ ბოლქვაძე.

აგერ კიდევ ერთი მოხალისე ავტორი შეჭრილა მის კაბინეტში და გაცოცხლდა და გულისწყრომას გამოთქვამს, როგორ თუ შესანიშნავ მასალას არ მიბეჭდავთო.

— ამხანაგო! — ცდილობს მის დაწყნარებას რედაქტორი.

ამაოდ. ის მოინევს, ხმასაც უმაღლებს, ხელებსაც უფრო ენერგიულად შლის.

— ამხანაგო! — რედაქტორი კვლავ თავშეკავებით ლამობს მის გამოფხიზლებას.

გაგიგონია?!. ის უკვე ზედაა მიმდგარი რედაქტორის მაგიდას, გადაფოფრილა კიდევ და ხელებს ცხვირწინ უტრიალებს.

თავშეკავება უკვე აღარ გამოვა, და ზაურ ბოლქვაძე ზეზე რომ წამოიჭრება, მუშტსაც დაჰკრავს მაგიდას და ხმასაც აუმაღლებს:

— ამხანაგო!.. თუ გესმით, ამხანაგო, აქ რა ამბავში ხართ!. მიბრძანდით, თორემ...

დამთავრება აღარაა საჭირო. „ამხანაგლის“ ფართი-ფურთი მაშინვე იფშუკება, მოხალისე ავტორი პატარავ-



მეგობრული შარჟები ზაურ სულაკაურისა

დება და კუდამოძუებული გამოიძურნება კაბინეტიდან.

ისე ენობრივი ექსცენტრიკის როგორი ნიმუშია: ამხანაგლი!.. — ერთბაშად მოსაზრებული და, თანაც, რა მარჯვე დროს, ამ სიტყვით რომ წააქცევდა მოძალადე „იუმორისტს“, ვისაც მთელი ცხოვრება რომ ეწვალა და ევაგლახა, ამის მინამგვანსაც ვერ მოიფიქრებდა, ზაურ ბოლქვაძეს კი ამისთანები დაეფანტა?!

თუ ლევან ბრეგაძე ამ სიტყვას „ნაგლი“ შეიტანს თავის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“, საილუსტრაციო მასალად ეს ქართულ-რუსული კომპოზიტიც გამოადგება, და კიდევ ალექსი ჭინჭარაულის ის შესანიშნავი ეპიგრამა, რომელიც — ვერ ამისხნია, როგორ გამოჩნა ვახუშტი კოტეტიშვილს, ლექსო პაპას კაფიებს რომ მოუყრია და თავს, და კიდევ კარგი ამირან არაბულის კოლექციის წყალობით რომ შემოგვრჩებოდა:

**თქვენაც ყოფილხართ „ნაგლები“,  
არც ჩვენ ვართ თქვენზე ნაკლები,  
თუ გინდათ გამოგვაჯიბრეთ  
თქვენი „ნაგლების“ ნაკრები.**

...ჩვენ მათიცა გვეამბებსო, — რუსთველი რომ იწონებდა ამხანაგთა (მაშინდელ „ამხანაგლთაც“) სათრეველ სტრიქონებს, უთუოდ ამ რანგს გულისხმობდა, ლექსო პაპას სულიერი ნინაპრები რომ ქმნიდნენ ჰაერში გასაფანტავად...

უცხო ნაყოფი კვლევისა

1853 წელს ვეფხისტყაოსნის ერთი ხელნაწერი შორეულ და ხანგრძლივ მოგზაურობაში გაისტუმრეს და სამშობლოში დაბრუნება თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ელირსა — 1935 წელს.

ინახებოდა და, ღვთის წყალობით, საიმედოდაც ინახებოდა კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) არქივში (ლენინგრადის ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტი).

საიდან მოხვდა იქ რუსთველის უკვდავი პოემა?

როგორც ირკვევა, ვეფხისტყაოსნის უძვირფასესი ხელნაწერი (XVII ს.) ვორონცოვისათვის საჩუქრად გადაუციათ ერეკლე მეფის ასულის თელას ოჯახიდან.

გამოხდა ხანი და სამშობლოს მოწყვეტილი ხელნაწერი, ერთ მშვენიერ დღეს, ვორონცოვის არქივიდან პირდაპირ საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის — გიორგი ლეონიძის საწერ მაგიდაზე მოხვდა.

დიდებული ქართველი პოეტისა და მკვლევარის ყურადღება მიიპყრო ხელნაწერის ბოლოში დართულმა გალექსილმა ანდერძმა, რომელიც თავად კალიგრაფის, „დიდმოურავიანის“ ავტორის — იოსებ ტფილელის მიერ იყო შეთხზული. გიორგი ლეონიძისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ სახელდობრ ვინ იგულისხმებოდა ხელნაწერის დამკვეთად და მეპატრონედ („ვაქებ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსესა, ლევან მირზასა“). ადრესატი უტყუარი იყო: ლევან-მირზა ანუ ლევან ბატონიშვილი, მამა ვახტანგ VI-ისა, უმცროსი ძმა სახელოვანი ქართველი მეფეებისა — არჩილისა და გიორგი XI-ისა, თავისი დროისათვის ცნობილი მწიგნობარი და, თანამედროვეთა სიტყვით, „ფილოსოფოსთა თავი“.

თითქოსდა ყველაფერი ნათელია. ხოტბა მიქმდვანა ღირსეულ პიროვნებას, რომელსაც ბრძოლის ველზეც არ ავიწყდებოდა ვეფხისტყაოსანი და თვითმხილველი მემატანიანის სენია ჩხეიძის ცნობით, ერთხელაც ქირმანის უდაბნოში გადაკარგულ ქართველ მხედართა რაზმი რუსთველის ლექსით გაუმხნევებია: „უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნენ ხმელთა სპანი; განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი; ვერ დამხსნიან ვერ ცხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი; ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი“.

მაშ რაღამ დააეჭვა გიორგი ლეონიძე? მაშ რაღა იყო საჭოჭმანო და დასაფიქრებელი? რა იყო და ის იყო, რომა... აბა, თავად განსაჯეთ, როგორ შეეგუებოდა პოეტის ნატიფი გემოვნება ამ გაურანდავ სტროქონს: „ვაქებ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსესა, ლევან მირზასა“. ამასთან ერთად, „მირზა“ მოხდენილად ვერ ეწყობოდა მოცემული სტროფის დანარჩენ რითმებს (მონახაზასა — მაზასა — რაზასა).

მკვლევარის თვალმა კი სხვა ხინჯიც შენიშნა. ლევან ბატონიშვილის ანუ ლევან-მირზას სახელი შემდგომში ჩამატებულს ჰგავდა. აშკარა იყო, რომ თავდაპირველი ტექსტი ამოეციკათ და ერთი სახელი მეორეთი შეეცვალათ. ნაშლილი ასოები იოლად როდი იკითხებოდა, მაგრამ გარჯამ მალე გამოიღო ნაყოფი და ქალაქმა თავისი საიდუმლო გაუმჟღავნა მკვლევარს. თურმე ყოფილა: „ვაქებ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსეს, სარდალ სახლთხუცესს ზაზასა“.

ახლა უკვე ისტორიკოსს ეკუთვნოდა სიტყვა. გიორგი ლეონიძეს არც ამ მისიის შესრულება გაუჭირდებოდა. ქართლის ცხოვრების ჩინებული მცოდნე შენიშნავს, რომ ხსენებულ სახელს ზოგჯერ ატარებდნენ სოლოლაპილები და თარხნიშვილები, ბართაშვილები და გაბაშვილები, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარობით ციციშვილებში სარგებლობდა და მათ საგვარეულო სახელს წარმოადგენდა XV საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე. და აი, XVII საუკუნეში, როგორც პალეოგრაფიულად თარიღდებოდა ვეფხისტყაოსნის ეს ხელნაწერი (საბოლოოდ, „ზაზასეული“ რომ უწოდეს), აღმოჩნდა ხუთი ზაზა ციციშვილი. მკვლევარმა ყველაფერი მოიძია ხუთივეს შესახებ, შემდეგ — სხარტი ქრონოლოგიური ანალიზი და არჩევანი შეჩერდა იმ კაცზე, რომელიც ყოფილა „სპასპეტი საბარათიანოსი“, ძე სარდალ სახლთხუცესს პაპუნა-

სი. სწორედ მისი თანამედროვე იქნებოდა იოსებ ტფილელი და ეს ფაქტიც ადასტურებდა არჩევანს.

გიორგი ლეონიძე, ცხადია, არ

სჯერდება იოსებ ტფილელის მიერ გამოთქმულ ხოტბას და სხვა წყაროებშიც ეძებს ზაზა ციციშვილის სახელს. „ზაზა თავისი დროის განთქმული ვაჟკაცი ყოფილა“, — წერს მკვლევარი და იმონებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას 1664 წელს გამართულ ბრძოლაზე, როდესაც შაჰნავაზ-ხანს (ანუ ვახტანგ V, მეფე ქართლისა) და მის ვაჟს, კახეთის მეფე არჩილს, ღამით თავს დაესხა ერეკლე, შვილიშვილი თეიმურაზ პირველისა, კახთა და თუშთა რაზმით, კახეთის ტახტის დაუფლებას რომ ღამობდა. ამ ბრძოლაში თავი გამოუჩენია ზაზა ციციშვილს. იგი შექებულა აგრეთვე ფეშანგის პოემის („შაჰნავაზიანი“) ფურცლებზე.

გამოკვლევა თითქოსდა ემსგავსება მიმზიდველ დეტექტივს.

ნამოიჭრება ბუნებრივი შეკითხვა: რატომღა ამოფხიკეს ზაზას სახელი მისივე მისამართით შეთხზულ ხოტბაში? მკითხველი მოუთმენლად ელოდება პასუხს და მკვლევარიც აღარ აყოვნებს.

გიორგი ლეონიძის სიტყვით, ზაზა სარდალი, გალაღებული სახელითა და დიდებით, ტიპიური წარმომადგენელი იყო ფეოდალურ-სეპარატული ჯგუფებისა, იმ ძლიერი პარტიისა, რომელიც დაჟინებით ებრძოდა სამეფო ხელისუფლებას.

ვახუშტი ბატონიშვილი ამგვარად გადმოგვცემს ზაზა ციციშვილის ცხოვრების ტრაგიკულ ფინალს: „ხოლო განდიდნა და იქცოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. ამისთვის ინება მეფემან წერთნა მისი და მოიყვანა იგი. არამედ ძემან მეფისამან გიორგიმ, რომლისათვის შეესმინათ, უგვანად ინება შეპყრობა მისი. ხოლო იგი მონდვლითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოკლა ფავლენისშვილი. ამისთვის მოკლეს იგიცა ბრძანებითა გიორგი მეფის ძისათა. მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინათგან იყო ნათესავი (გარნა იტყოდინ მართლისა ამის სისხლისთვის იქმნა შფოთნი ესე ძეთა შორის მეფისათა, ვითარცა დავითისა)“.

გიორგი ლეონიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, ძმისწულის შვილი გიორგი XI-ისა, პირუთვნელად გადმოგვცემს ქართული ფეოდალური საზოგადოების აზრს იმის თაობაზე, რომ ზაზა ციციშვილი უსამართლოდ იქნა მოკლული. მკვლევარის მოსაზრებით, ვახუშტის იმის თქმაც სწადია, რომ შაჰნავაზ-ხანის შვილთა ტრაგიკული ეპოპეა წარმოადგენდა ღვთის სასჯელს ზაზა ციციშვილის უბრალო მკვლელობისა გამო.

გიორგი ლეონიძე ასკვნის, რაკი ზაზა მოუკლავთ როგორც სახელმწიფო მოღალატე, მის დასჯას კანონით ქონების კონფისკაციაც უნდა მოჰყოლოდაო. და ძვირფასად შემკული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა, რასაკვირველია, მეფის იასაულთა ნადავლი გახდებოდა.


ვეფხისტყაოსნის საუცხოო ხელნაწერი ხელთ ჩაუვარდა ახალ პატრონს. ასე ინება განგებამ („უგანგებოდ ვერას მიზმენ“!). ზაზა ციციშვილს კი სიკვდილი არ აკმარეს და მისი სახელის გაქრობაც განიზრახეს მისივე დაკვეთით შესრულებული ხელნაწერიდან.

დიახ, მოხდა მეორე უსამართლობა. ამ შემთხვევაში სიკვდილზე არანაკლებ შემადრწუნებელი — ზაზა ციციშვილის სახელი ამოფხეკილ იქნა.

სასტიკი ეპოქა იყო. დრო იყო სისხლის წვიმებისა. სასტიკად უსწორდებოდნენ ერთიმეორეს. აღარც ნათესაობა ახსოვდათ და აღარც დამსახურებანი. აღარც ცოცხალს ინდობდნენ და აღარც მკვდარს. თავგამოდებით ვამტიკცებთ, ყიზილბაშური ადათ-ნესები ინერგებოდა ქართლის ცხოვრებაში. განტყეების ვაცი, ვაი როგორ, გვეამება.

გასრულდა ესე ამბავი...

ზაზასეული ხელნაწერის ნაღვლიანი თავგადასავალი ზუსტად და ამომწურავად გაარკვია (როგორც სჩვეოდა!) ენგერის ვიოლინოთი გატაცებულმა დიდებულმა ქართველმა პოეტმა.



## ყველაზე პერაზნი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ამერიკელი — სულით და ხორცი (ერთი ამერიკელი, როგორც იტყვიან, ასპროცენტინი ამერიკელი. რობერტ ლიპკა ერქვა და დაბადებული იყო ამერიკის დედა-გულ ნიუ-იორკში 1946 წელს. 1964 წელს კი ჯარში გაიწვიეს, როგორც ყოველი ასპროცენტინი ამერიკელი (პრეზიდენტის შვილი რომ იყოს, მაინც გაიწვივენ. ჩვენგან განსხვავებით, ბლატები არა ქრის შტატებში!), და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოში გააწვეს. ახალწვეულს ევალეობდა უაღრესად პასუხსაგები საქმე — მოსპობა იმ საიდუმლო მასალებისა, რომელთა საფუძველზე ადგენდნენ მოხსენებებს აშშ უმაღლეს ხელისუფალთათვის.

რობერტ ლიპკა საკმაოდ მალე მიხვდა მის ხელში გავლილ დოკუმენტთა დიდ ღირებულებას. გამჭრიახმა ამერიკელმა არც აცივია, არც აცხელა და თავქუდმოგონილი გამოცხადდა ყოფილი საბჭოთა კავშირის საელჩოში (ვაშინგტონში) და მშობლიურ სუპერსახელმწიფოსთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ მეორე სუპერსახელმწიფოს თავისი საიდუმლო უწყებების უსაიდუმლოეს საუფრთხო მიყიდვა შესთავაზა. მაცდურებელი წინადადება, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული. ახალ აგენტთან კავშირი დაამყარეს სამალავთა საშუალებით, სადაც იგი ტოვებდა გასაყიდ მასალებს და საიდანაც ამოიღებდა კუთვნილ გასამრჯელოს (დოკუმენტთა ყოველ პაკეტში უხდიდნენ 500 დოლარს. იმდროინდელ მსუყე დოლარებს!).

1965-1967 წლებში ჩატარდა დაახლ. 50 გაცვლითი ოპერაცია და ლიპკას დამკვირვებლებმა ხელთ იგდეს 200-ზე მეტი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სულ გადაუხადეს დაახლ. 27 ათასი დოლარი).

1967 წელს სამხედრო სამსახურის ვადა ამოეწურა და თავის თავად შეწყდა მისი კონტაქტები საბჭოთა დაზვერვასთან. ლიპკა ჩაირიცხა პენსილვანიის შტატის ქელაქ მილერსვილის კოლეჯში, 1972 წელს დაამთავრა სწავლა პედაგოგიკის ბაკალავრის ხარისხით და იქვე დარჩა ისტორიის მასწავლებლად.

ცოტა ხნის შემდეგ გახსნა ნუმიზმატიკური მაღაზია, საიდანაც გარკვეული შემოსავალი ჰქონდა. თავისუფალ დროს ადგილობრივ პრესაში თანამშრომლობდა და, ყველა სიკეთესთან ერთად, აზარტული თამაშებით იყო გატაცებული.

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ეთქმოდა. ერთხელ უსიამოვნო ინციდენტიც კი სასიკეთო სიურპრიზად შემოუბრუნდა. 1992 წელს სამორინეში ყოფნისას მაგიდა დაეცა ფეხზე და სერიოზულად დაუშავა. ლიპკამ სასამართლოში უჩივლა სამორინის მეპატრონეს და საქმე მოიგო. შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის გამო გადაუხადეს კომპენსაცია 250 ათასი დოლარის ოდენობით (ეს იყო თითქმის ათჯერ მეტი იმ თანხაზე, საბჭოთა „კაგებემ“ რომ უწყალობა ფასდაუდებელი სამსახურისათვის).

მაგრამ, როგორც ბრძნული ქართული ანდაზა ბრძანებს, კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო. და აი, ერთ არცთუ მკვენიერ დედს, სახელდობრ 1996 წლის 23 თებერვალს, ლიპკა დააპატიმრეს. ნაუყენეს ბრალდება საბჭოთა კავშირისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიყიდვის თაობაზე (30 წლის წინათ!).

გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებმა ბრიფინგზე, რომელიც ლიპკას დაპატიმრებას მიეძღვნა, განაცხა-

დეს, რომ ლიპკა ექვმიტანილი იყო ჯერ კიდევ 60-იან წლებში, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცდა და მხოლოდ 1994 წლის დამდეგს, როდესაც შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა „კაგებეს“ გადამდგარი გენერალ-მაიორის, ამერიკაში გადახვენილი ოლეგ კალუგინის მემუარები, გამოძიებამ მიიღო ოდესლაც აღძრული ეჭვის ავტორიტეტული დადასტურება.

შემდგომში კალუგინი და მისი ფასიანი თუ უფასო ადვოკატები პირზე დუჟმორეული ამტკიცებდნენ, რომ ზემოხსენებულ სააგენტოში 60-იან წლებში მუშაობდა 120 ათასზე მეტი თანამშრომელი და ლიპკას გამოთვლა კალუგინის ნიგნში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაცილებით ძნელია, ვიდრე ნემსის პოვნა თვის ზინშიო. მაგრამ, როგორც ბრძნული ქართული ანდაზა ბრძანებს, ეგრე არ არი თაყაო, შენ რო მამული გაყო. აი, დავიმონთო ნანყვეტა კალუგინის მემუარებიდან: „ახალგაზრდა ჯარისკაცი ქრიადა და სპობდა საიდუმლო დოკუმენტებს და შეეძლო ჩვენი მომარაგება ღირებული ინფორმაციით... ზოგჯერ ის ვერც კი ხვდებოდა, რაოდენ მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდიდა... ეს იყო ყოველდღიური და ყოველკვირეული სრულიად საიდუმლო ცნობები თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტისათვის — იმ მოლაპარაკებათა ასლები, მთელ მსოფლიოში განლაგებულ აშშ ჯარების შენაერთებთან და „ნატოში“ გაერთიანებულ მოკავშირეებთან რომ მიმდინარეობდა“.

კალუგინი დასძენდა, რომ აღნიშნულმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა, დემობილიზაციის შემდეგ, დაამთავრა კოლეჯი (როგორ მოგწონთ ამ დეტალის მითითება?).

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, ყოფილი „კაგებეს“ დიდჩინოსნის გამოსობით, იოლად დაადგინა საბჭოთა აგენტის ვინაობა. აშშ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოში დიხაც ათობით ათასი ახალგაზრდა ჯარისკაცი მსახურობდა, მაგრამ კალუგინის მიერ ჩამოთვლილ დოკუმენტთა მოსპობა ევალეობდა სულ რამდენიმე კაცს და დამატებითი მინიშნება გადაბიებული ამერიკელის მიერ კოლეჯის დამთავრების შესახებ ორჯერ ორივით ამხელდა რობერტ ლიპკას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალ სამყაროს თავშეფარებულ ოლეგ კალუგინის სილა გაანა, არც მეტი და არც ნაკლები, სწორედ თავისუფალი სამყაროს ერთ-ერთმა თვალსაჩინო რაინდმა, თვით ჯორჯ ბუშმა (უფროსმა), აშშ ექს-პრეზიდენტმა, რომელიც ერთხანს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს თავკაცობდა.

აი, რას ლაღადებს უკვე შენსიაზე გასული ბუშ-უფროსი: „იმისდა მიუხედავად, რომ ჩემი ცხოვრების აწინდელ ეტაპზე მე წყნარი ბიჭი ვარ, გარდა მრისხანებისა და ზიზლისა, სხვა არაფერს ვგრძნობ იმით მიმართ, ვინც ლალატობს ნდობას, როდესაც ამჟღავნებს ჩვენს წყართა სახელს. ჩემი აზრით, ისინი ყველაზე ვერაგნი არიან გამცემთა შორის“.

ამგვარი მორალური შეფასება, თუკი ამერიკელთაგან ამოჩემებულ ორმაგ სტანდარტებს ზურგს შევაქცევთ, ალბათ, კალუგინზეც შეიძლება გავრცელდეს.

რაც შეეხება კალუგინისგან ჩაშვებულ რობერტ ლიპკას, მან აღიარა თავისი დანაშაული და მიუსჯეს თავისუფლების აღკვეთა 18 წლით.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მინდისფერი დარბაზი პოეზიის საღამოს მასპინძლობდა.

საპრეზენტაციო წიგნი — „**მინიმა**“. ავტორი **ნინო ქოქოსაძე** ცოტა მოგვიანებით გაამხელს, რომ ლექსებს ბავშვობიდან წერს, საბავშვოსაც და სადიდოსაც; აქამდეც გასჩენია შესაძლებლობა, სიხარული საკუთარი წიგნის გამოცემით მოგვრილი, განეცადა, მაგრამ არ იჩქარა, ვიდრე სათქმელის გამოხატვის საკუთარ ფორმას არ მიაგნო.

„მინიმა“ — გამოცემილობა „საუფრემ“ დაბეჭდა. რედაქტორი — **მარიამ ნიკლაური**, მხატვრულად გააფორმეს **გულადი ფაცია** და **რობერტ მესხია**.

საღამო, როგორც ამნაირ ღონისძიებებს არცთუ იშვიათად ახასიათებს, იყო სასიამოვნო — გულითადობისა და კეთილმოსურნების გამო, რასაკვირველია, ყოველგვარი შეღავათის თუ წახალისების გარეშე. ყოველიც, გახშირდა თითოეული გამოშვლების, ლიტერატორის თუ არალიტერატორის სიტყვაში. ყველას ჰქონდა

ორიგინალური სათქმელი, ამ მშვენიერი ლექსების წიგნით გამოწვეული. ღონისძიებას უძღვებოდა **მარიამ ნიკლაური**. სიტყვით გამოვიდნენ: **ნინო სადღობელაშვილი**, **ნატო ჩხეიძე**, **ლელა ცუცქერიძე**, **ბალათერ არაბული**, **რობერტ მესხია**.

მსახიობმა **ზურაბ ქადაგიძემ** წაითხა ნინო ქოქოსაძის ლექსები. ნორჩმა დეკლამატორებმა, ტყუპებმა **ირინა** და **ანასტასია ირემე** **მაშვილებმა** პოეტის საბავშვო ლექსები გააცნეს პუბლიკას და ბედნიერი მომხილავობით მხარი დაუჭირეს ბებოს, საღამოს ავტორს.

სახალისო აუქციონიც შედგა. ახალი პოეტური კრებულის გამორჩეულად დაბეჭდილი ერთი ეგზემლარი 200 ლარად შეიძინა **ნინო მაჭავარიანმა**. პოეზიის მორტიფიკალ ქალბატონს თანხის გადახდა აღარ დასჭირდა, სიურპრიზი გულისხმობდა საჩუქარს.

დასასრულ ფერად-ფერად ფურცლებზე დაბეჭდილი ნინო ქოქოსაძის ლექსები ფრიალ-ფრიალით დაეფინა დარბაზს, პრეზენტაციაც მონვეულებმა კი იმ მშვენიერ საღამოს სახსოვრად არცერთი არ გაიმეტეს დასატოვებლად.

